





ଲୋକ ଧର୍ମ ପାତ୍ର

ଶର୍ମିଳା

1909 წლის 28 ას.

იმ უკანასკნელ დროს ჩვენს საზოგადოებაში თუ პრესაში ბევრს ლაპარაკობდნ კომპარაციის შესახებ.

ეს არც გასაკვირია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ აუ-
ტონელ გავირვებას, რომელსაც დღეს განიცალის. ჩვენში ხალ-
ხის უმრავლესობა.

კოლექტაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა.

102.36

გამოცემული

„შრომის“ სტამბის ამხანაგობის შექ.

ქვემოთ:
S. N. კახოვა.



თვილისი

ელექტრომძებლავი ამ. „შრომა“. რუსეთის ქუჩა, № 3.

1909

იმ უკანასკნელ დროს ჩვენს საზოგადოებაში თუ პრესაში ბევრს ლაპარაკობენ კომპერაციის შესახებ.

ეს არც გასაკვირია, თუ მიუღებთ მხედველობაში იმ აუ-
ტანელ გაჭირვებას, რომელსაც დღეს განიცდის. ჩვენში ხალ-
ხის უმრავლესობა.

გაუთავებელმა კრიზისმა ქალაქის მრეწველობაში, თით-
ქმის ქრონიკულმა მოუქალობამ სოფლათ ხალხი გააღატაკა.
და გაჭირვებაში ჩაგარდნილი საზოგადოება, განსაკუთრებით
მშრომელი ხალხი, ახლა ეძებს ყოველგვარ საშეალებას თავის
მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

ასეთ შემთხვევებში თითქმის სტიქიურათ იბადება საზო-
გადოებაში აზრი შეერთებულის ძალით მოქმედებისა. და, თუ
ჩვენ დავაკვირდებით კომპერატიულ მოძრაობის ისტორიას,
დავინახავთ, რომ კომპერატიული ამხანაგობანი თითქმის ყველ-
გან ასეთ ნააღავზე აღმოცენებულან.

„კომპერაცია შეილია გაჭირვებისა“!...

ამიტომ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჩვენშიც კომპერა-
ციის საჭიროების შესახებ ილაპარაკდენ განსაკუთრებით დღეს,
როცა ხალხის აუტანელ მდგომარეობას გამოსავალი არ უჩანს.

ჯერ კიდევ 1907 წ. გასულს ერთი ქართული გაზეთი
სწერდა: „კომპერატივების დაარსება მუშაბის ყველა რაიო-
ნებში მორიგი კითხვაა, რომლის დაყოვნება არ შეიძლება;
მასა ახლა ამოძრავებულია, ის ადვილათ შეიგნებს და შეი-
თვისებს კომპერაციის იდეას, მის მნიშვნელობას, და მხურვა-
ლეთ მოეკიდება მის დაარსების საქმეს“ („წყარო“, 1907 წ.,
ნოემბერი).

და მართლაც, ჩვენ უხედავთ, რომ ამ უკანასკნელ ხანებ-
ში ჩვენში აქა-იქ არსდება მომხმარებელი. და სასოფლო-სამე-
ურნეო საზოგადოებანი, საკრედიტო ამხანაგობანი და სხვ;

მაგრამ იმას კი მაინც ვერ ვიტყვით, რომ კომპერატიუ-
ლ მოძრაობას ჯერ ჩვენში ფეხი მოედგას და ჩვენი ცხოვ-

რების მიმდინარეობაში ჯერ რაიმე თვალსაჩინო ადგილი დაე-
ჭიროს,

კომპერაციას, ორგორც ყოველ ახალ საქმეს, ჯერ ჩვენ-
ში ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ელობება წინ. და ერთი
ამ დამაბრკოლებელ მიზეზთაგანი, გადაჭრით შეგვიძლია ვსტკვათ,
არის საქმის უცოდინარობა.

სანამ კაცი არ იცნობს კარგათ საქმის ვითარებას, არ
იცის იმის წარსული და აწყო, არ არის ღრმათ დარწმუნე-
ბული იმის სარგებლობაში, იგი გულიძნათ და ენერგიულათ ვერ
მოეკიდება ამ საქმეს...

ხოლო კომპერაცია. კი უველა საზოგადო საქმეზე უფრთ
მეტს ხალისსა და ენერგიის მოითხოვს: ენერგიას — რადგან ეკ-
ლიანი გზა აქვს გასავლელი, ხალისს — რადგან კომპერაციაში
მუშაობა მეტათ „პროზაიკული“ და „მოსაწყენი“ საქმეა ..

გარდა ამისა, საქმის უცოდინარობით მრავალი ფეხად-
გმული კომპერატიული დაწესებულებაც დაიღუპა, როგორც
სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენშიც. და ეს კი უველაფერზე უფრო
სავალალო და სამწუხაროა, რადგან ერთი და ორი კომპერა-
ტიუში საქმის წახდენით მასა შინდება და გულს იყრის კო-
პერაციაზე:

ასეთ მიზეზების თავიდან ასაცილებლათ უცხოეთში და
რუსეთშიაკ კომპერატიულ ცენტრალურ დაწესებულებებს ყავს
გამოცდილი სპეციალისტი — ინსტრუქტორები, რომელნიც და-
დიან ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში და ხელმძღვანელობას
უწევენ ახალგაზრდა კომპერატივებს და გამოუცდელ კოიპე
რატორებს.

ჩვენ გვრწამს, რომ მოგა დრო და კომპერატიული მწა-
რაობა იმდენათ გაიზრდება ჩვენშიაც, რომ კომპერატიული
დაწესებულებანი თვითონ შესძლებენ განსაკუთრებულ სპეცია-
ლისტების, პრაკტიკულ ხელმძღვანელთა — ინსტრუქტორების
კოლის და სხვ. მაგრამ დღეს, სამწუხაროთ, ქართულ ენაზე
ლიტერატურაც არ შეიძლება ამ საგნის შესახებ.

მართალია, ჩვენს პრესაში დრო-გამოშვებით, აქა-იქ, შე-

ხედებით წერილს კონპერაციის შესახებ, მაგრამ არ მოიპოვება არც ერთი წიგნი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში სწორეთ ერთსა თუ ორ ნათარგმნ ბროშიურას, რომელიც კონპერაციის იდეიურ მხარეს უფრო ეხება, ვიდრე პრაქტიკის კონპერაციისას), სა- დაც მკითხველს შეეძლოს, როგორც თეორეტიულათ გაცნ- ბა იმის, თუ რას წარმოადგენს კონპერაცია, ისე პრაქტიკუ- ლი საკითხების ახსნა-განმარტების პონა.

ეს კი ლიდ დაბრკოლებას წარმოადგენს კონპერაციისა- თვის ჩვენში.

კონპერაციაში, მომხმარებელი საზოგადოება იქნება, იგი, თუ საკრედიტო ამხანაგობა, ხალხის ფართე მასა იღებს აქ- ტიურ მონაწილეობას. რა თქმა უნდა, ამათგან უმრავლესობას არ შეუძლია მიმართოს უცხო ენაზე დაწერილ წიგნებს. ამი- ტომ სანამ ჩვენში არ არსებობენ მოსიარულე ლექტორები, კონპერაციები—პრაქტი- კები, რომელთანაც შეიძლებოდეს საჭიროების დროს მისვლა და პირისპირ მოლაპარაკება, ქართული წიგნი კონპერაციის შესახებ იქნება ერთათ-ერთი დამხმარე და დამრიგებელი კონ- პერატიულ საქმეში.

ამ გარემოებამ მაფიქრებინა და გამაბედვინა ჰყ ამ შეგ- ნის დაწერა, საღაც მოკლეთ და შეძლებისაღარათ შე- ვეხე, როგორც თეორიას, ისე ისტორიას და პრაქტიკას კონ- პერაციისას.

ლრმათ დარწმუნებული იმაში, რომ კონპერაციის ზრდას- თან ერთათ, რომელსაც დიადი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნის ნივთიერ და კულტურულ წარმატებისათვის, იმატებს ჩვენში სპეციალური ლიტერატურაც კონპერაციის შესახებ, მე ღიღათ დაჯილდოვებულათ ჩავსთვლი ჩემს თავს ამ მცირე შრომისათვის, თუ მანამდის ამ წიგნაკმა ერთი ან ორი მკით- ხველი მაინც დააინტერესა კონპერაციით და ვისმე, თუნდ ჩვენს მიერჩნილ პროექტებში, მცირეოდენი სამსახური მა- ინც გაუწია პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგმაში.

კ. კანდელაკი.

აგვისტო, 1909 წ. ქ. თფილისი.

I

რა არის კოოპერაცია.

ჩვენი საუბრის საგანს შეადგენს კოოპერაცია.

რა არის კოოპერაცია?

პირდაპირ რომ ვსთარგმნოთ, სიტყვა კოოპერაცია ნიშნავს თანამშრომლობას, შეერთებულის ძალით რისიმე გაკეთებას.

ვინ არ იცის, რომ შეერთებულის ძალით მუშაობას დიუ მნიშვნელობა აქვს საქმის წარმატებისათვის; კერძოთ მომუშავე თავისდღეში ვერ გააკეთებს იმდენს და ვერ იმუმავებს ისე ნაყოფიერათ, როგორც ორი-სამი მღვა ერთათ, როგორც მომუშავეთა ჯგუფი. ეგ ცველასათვის თვალსაჩინოა.

ამრომ, არამცუ თანამედროვე საზოგადოება, პირეელ-ყოფილი ადამიანი და ცხოველებიც კი აფასებენ შეერთებულის ძალით მოქმედებას და ერთმანეთს ეხმარებიან. ვის არ უნახავს, მაგალითად, რა ხელოვნურათ აშენებენ პაწია ჭიანჭველები თავის საერთო სოროებს, როგორ შეერთებულის ძალით ეზიდებიან და ინახავენ ამ სოროებში საკვებს. ვინ არ იცის ფუტკრის „მმური“ კავშირი მუშაობაში და განუყრელი იერიში მტრის მოგერების დროს. შენც გინახავს შეიძლება, მკითხველო, ერთი სასაცილო სურათი: დათვი მიპარულა სკას-თან თაფლის მოსაპარავათ, მაგრამ თათის გაწევისათანავე ერთბაშათ უგრიალნია სკაში დაბინავებულ ფუტკარს და დათვს. დახვევია. გარბის და თმას იგლეჯს ვებერთელა ცხოველი, გარს კი პაწია ფუტკარი სეტყვასავით ახვევია და უმოწყალოთ კბენს სამტროთ მოსულს დაუპატიუებელ სტუმარს... ასეთ ძალის აძლევს პაწია მწერს შეერთებულის ძალით მოქმედება, რამდენათ უფრო დიდწიშვნელოვანი უნდა იყოს იგი ადამიანის ცხოვრებაში!..

შეერთებულის ძალით მოქმედება, ურთიერთ დახმარება, წარმოადგენს კოოპერაციის უბრალო, მარტივ, ფორმას. ასეთმა მარტივმა კოოპერაციაშ აღამიანის შრომაში კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურებზევე იჩინა თავი. როცა პირველყოფილ საზოგადოების ცხოვრების სახსარს მხოლოდ ნადირობა წარმოადგენდა, ნადირობაში სარგებლობდა აღამიანი შეერთებულის ძალით; საზოგადოება დაადგა მეჯოგეობას, აქ იჩინა თავი თანამშრომლობაშ; აღამიანი გახდა მიწის მუშა, არც მაშინ გაუნებებია იმას თავი კოოპერაციისათვის.

ბრძოლა ოსებობისათვის, ბრძოლა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მუდამ ჩასჩინინებდა აღამიანის, ხელი გაეწვდინა თავის მოქმედების, ეცხოვრა ურთიერთ დახმარებით,

ამიტომ შეერთებულის ძალით მოქმედებას ანუ კორპურაციას მუდამ ადვილი ქონდა საზოგადოების ცხოვრებაში. იგი ოსებობდა აღამიანის პირველყოფილ მდგომარეობაში, ოსებობდა გატონი ყმობის დროს, ოსებობს დღესაც. კოოპერაცია ოსებობს ყველგან, სადაც რამდენიმე აღამიანის თავი მოუყრია, რომ შეერთებულის ძალით დაამზადონ რაიმე ცხოვრებაში გამოსადევი საგანი, სადაც შეერთებულან იმ მიზნით, რომ თავის მოქმედებით ხელი შეუწყონ ცხოვრების პირობების ნივთიერათ გაუმჯობესებას.

აქიდან ცხადია, რომ კოოპერაცია არ ეწოდება ყოველნაირ საერთო, შეერთებულ მოქმედებას. კოოპერაციას ვერ ვუწოდებთ, მაგალითათ, ვერც თვითგანვითარებისათვის შეკრებილ საზოგადოებას, ვერც მლოცველთა ჯგუფს, ვერც მოქერდეთა და მომღერალთა გუნდს და სხვ. თანამედროვე ქარხანა კი წარმოადგენს კოოპერაციას: აქ თავს იყრის რამდენიმე მუშა, მუშაიბენ შეერთებულის ძალით და ამზადებენ ცხოვრებაში გამოსადევ საგანს, საქონელს

კოოპერაციაზე ანუ შეერთებულის ძალით მუშაობაზე არის დაყრდნობილი მთელი დღევანდებით კაპიტალისტური წარმოების წესი. კოოპერატიულ ნიადაგზე არის აგებული თავ

ნამედროვე ქარხნები, დიდი სავაჭროები და სხვ. მაგრამ ასეთ კაპიტალისტურ კონკრეტურიას არ ეტრფის დღეს საზოგადოების ფართო ნაწილი. მართალია, კერძო ქარხანაში შეერთებულის ძალით მუშაობას, თანამშრომლობას, მიზნათ ცხოვრებაში საჭირო საგნების დამზადება აქვს დასახული, მაგრამ ამ „თანამშრომელთა“ ცხოვრების ნივთიერ პირობების გაუმჯობესება კი აღარ შეაღენს იმის მიზანს. კონკრეტურაცია აქ ემსახურება კერძო პირს, კაპიტალისტს. გარდა ამისა, აქვთ კონკრეტურაციას აქვს იძულებითი ხასიათი: მუშები იძულებული არიან გაყიდონ თავისი შრომა, რომ თავი ირჩინონ; შრომას ყიდულობს კაპიტალისტი და მერე ისე ხმარობს იმას, რომ რც მოესურვება — უნდა ცალკალკე ამუშავებს მუშას, უნდა ერთათ, კონკრეტურატიულათ. და თუ იგი არჩევს უკანასკნელს, ეგ იმიტომ, რომ შრომის ასეთ ფორმას მეტი სარგებლობა მოაქვს მისთვის პირველშიაც და მეორე შემთხვევაშიც მთელი საქმის ბატონ-პატრონი ეგ ერთი კაცია-კაპიტალისტი და მთელი სარგებლობაც მის საკუთრებას შეაღენს.

საზოგადოების ინტერესები კი მოითხოვს, რომ ამ კერძო პირების როლი თვით კონკრეტურაციამ იკისროს, ე. ი. კონკრეტურის ნაყოფი ან მოგება თვითონ კონკრეტურის წევრებს ან საზოგადოებას აჩებოდეს; თვით მშრომელნი, თვითონ კონკრეტურის წევრები, იყვენ ბატონი და პატრონი თავის კონკრეტულ მოქმედებისა; კონკრეტურაცია უნდა წარმოადგენდეს თავისუფლათ შეერთებულ პირთა ჯგუფს და კონკრეტურაციას არ უნდა ქონდეს იძულებითი ხასიათი.

ასეთ კონკრეტურაციისაქვენ მიიღოტვის დღეს საზოგადოების ფაროვ ნაწილი, განსაკუთრებით მშრომელი ხალხი.

იგი ბევრათ ვავს კაპიტალისტურ კონკრეტურაციას, მაგრამ არსებითათ განირჩევა მისგან. კაპიტალისტურ კონკრეტურაციაში ბატონობს კაპიტალისტი და მხოლოდ პირადი ინტერესები, აქ კი თვითონ „კონკრეტურატორები“ არიან თავისი ბატონი და საზოგადო ინტერესებს უჭირავს პირველი ადგილი; იქ კაპი-

ტალისტი არდგენს „კომპერაციას“, რომ მშრომელთა შეურთებულის ძალით ისარგებლოს, აქ კი თვითონ მშრომელი ერთდებიან, რომ თავისი ნივთიერი მდგომარეობა გაიუმჯობესონ; კაპიტალისტურ კომპერაციის ზრდა მრასწავებს კერძო პირთა საკუთარ სიმღიდრის ზრდასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მშრომელთა კომპერაციის განვითარებით კი საზოგადოების ფართე ნაწილის მდგომარეობა უმჯობესდება.

კომპერაცია, რომლის შესახებ ჩვენ გვექნება საუბარი ეკუთვნის უკანასკნელ ჯგუფს. იგი წარმოადგენს მშრომელთა თავისუფალ კავშირს, ანუ შეერთებულ ძალას, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული, როგორც თავის წევრთა, ისე საზოგადოების, ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება.

II

კონპერაციის მიზანი.

ერთ დროს ადამიანი ყველაფერს, რაც მას ესაჭიროებოდა ცხოვრებისათვის, იყოთონ აკეთებდა. თვითონ იყო თავის ოჯახისათვის მთესავიცა და ხაბაზიც, შალის მომქსოვიც და ტანსაცმელის შემკერავიც, ტყავის დამზადებელიც და ხარაზიც, ხუროცა და ნალბანდიც... ყველა ჯერდებოდა იმას, რაც თვითონ შეეძლო ოჯახში დაემზადებია და ოჯახის იქით არ მიღიოდა. არც არავის გამოქმნდა რამე გასასყიდათ, არც მყიდველი იყო ვინმე. რა თქმა უნდა, მაშინდელი ადამიანის მოთხოვნილებებიც ძლიერ მცირე იყო: ხამის პერანგი ეცვა შიგნით გლეხს და ტყავის წამოსასხამი აოფობდა გარიდან; ლარიბის ქოხს კი არა, მდიდრის დარბაზსაც ნავთის მაგიერ ქონის ჭრაჟი ანათებდა ხოლმე იმ დროში; სპიჩის მაგიერ ყველას წელზე კვესითა და აბედით საესე ქისა ეკიდა...

მაგრამ რაც დრო მიღიოდა, ადამიანი უფრო და უფრო ხუმჯობესებდა მუშაობისათვის საჭირო (საწარმოვო) იარაღებს და მით ის თანდათან ახერხებდა დაემზადებინა მოსახმარებებებით საგნები იმაზე მეტი, რაც მისთვის და მის ოჯახისათვის იყო საჭირო. ეს ზედმეტი ნაწარმოები ახლა იმას გამოქმნდა ოჯახის გარეთ სხვა ისეთ საგანში გასაცვლელათ, რომელსაც თვითონ ან სრულიად არ ამზადებდა ან ამზადებდა ძლიერ ცოტას.

რამდენათ ცხოვრება წინ მიღიოდა, იმდენათ უმჯობეს-სდებოდა საწარმოვო იარაღები და პირველყოფილ კარჩაკეტი-ლობასაც ბოლო ეღებოდა.

მანქანის გამოვლებას თან მოყვა უზარმაზარ ქარხნების გაშენება, სადაც აუარებელი მოსახმარებელი საგნები (საქონელი) მზადდება მხოლოდ სხვა საგანში გასაცვლელათ ანუ გასასყიდათ. თუ პირველათ, ხელოსნურ შრომის დროს, ნაწარმოები აღგილობრივ მოთხოვნილებებს ძლიერ აქმაყოფი-

ლებდა, ახლა საჭირო შეიქმნა ნაწარმოების სხვა და სხვა ადგილებში გადატანა გასასყიდათ. მუდმივ აუარებელ საქონლის გასასყიდათ მზადებას თან მოყვა მუდმივი; განუწყვეტელი, ზიდვა საქონლის ერთ ადგილიდან მეორეში, მუდმივი გაცვლა-გამოცვლა. ახლა საჭირო შეიქმნენ ისეთი პირებიც, რომელნიც იკისრებდნენ ამა თუ იმ ვასაყიდ საგნის, საქონლის, იმ ადგილის, იმ ქალაქში ან სოფელში მიტანას, სადაც იგი საჭირო იყო, და იქიდან ისეთ საქონლის წამოღებას, რომელიც აქ იქნებოდა საჭირო. ეს ყიდვა-გაყიდვის საქმე დაბოლოს ისე გართულდა, რომ ადამიანების ერთი ჯგუფი, საზოგადოების ერთი ნაწილი, მარტო ამას მოუნდა. ყიდვა-გაყიდვა ამ პირთათვის განსაკუთრებით ხელობათ გადაიქცა. ეს ხელობაა—გვერდია, ამ პირებს კი ვაჭრებს ეძახიან.

მანქანის გამოგონების, მისევლა-მოსევლის გალმჯობესებისა და ვაჭრობის წყალობით საქმის გარემოება ერთიანათ. შეიცვალა. დღეს ჩვენ რას ვხედავთ? თუ ჩვენს პაპათ-პაპას, რა შედიდარიც უნდა ყოფილიყო იგი შინ მოქსოვილი ხამის ჰერანგი ეცვა, ახლა არც კი მოიპოება ისეთი გლეხი, რომ უბრალო შვიდ: ექვეკაპიკიანი. ჩითის ჰერანგი მაინც არ ეცვას. ქონის ჭრაქს კი არა, დღეს ნავთსაც არ ვსჯერდებით და განათლებულ ქვეყნებში ღარიბების სადგომებიც კი ვაზით და ელექტრონითაა განაავტორი, რადგან ესეც არ არის ნავთზე უფრო ძვირი. ადგილობრივ ნაწარმოებს აღარ ვჯერდებით და უცხო ქვეყნიდან ჩამოტანილს ვიძენთ. ავილოთ იგივე საპერანგე უბრალო ჩითი. სულ ადვილათ შესაძლებელია იგი ინკლისის ან ამერიკის რომელიმე ქალაქში იყოს მოქსოვილი. წულა? საწულე ტყავი შეიძლება რუსეთის ერთ-ერთ ქალაქშია დამზადებული, მერე თფილისშია ჩამოტანილი, თფილისელ ხარაზის შეკერილია და მერე რომელიმე ჩვენებურ სოფელშია ჩატანილი გასასყიდათ. ერთ ლერ სპიჩეს სამი სახელმწიფო აქცის გამოვლილი. ერთ სახელმწიფოში შოულობენ გოგირდს, მეორეში ამზადებენ სპიჩეს, მესამეში, მეოთხეში, ყუდიან. ჩვენებური (ბაქოელი) ნა-

ვთი რსმალეთის ან კიდევ ესპანიის ქუჩებს და სახლებს ან თებს: ჭიათურიდან გატანილ შავი ქვის საშვალებით დამზადებულ ლითონის რამე საგანს საფრანგეთში და ინგლისშიაც კი ხმარობენ.

ამნაირათ ჩვენ სხვისთვის და სხვებიც ჩვენთვის შრომობენ, მუშაობენ; ვაჭრებს კი გადააჭვთ აქით-იქით ეს ნაშრომი, ნაწარმოები, და აწვდიან იქ, საღაც საჭიროებას ხედავენ.

ასეთია საზოგადოებრივ ურთიერთობის გარევნული ფორმა, და შიგ რომ ჩაქსოვილი არ იყოს ბევრი ცუდი თვისებები, მაშინ იდამიანის თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება იდეალური იქნებოდა.

ვაგრამ საქმე იმაში არის, რომ ეგ გამუღმებული შრომა ადამიანის გულკეთილობის შედეგი არ არის; იმისთვის არავინ შრომობს, რომ ფიქრობდეს, თუ მე არ ვიმუშავე საზოგადოებას საჭირო საგნები დაკალდებათ. როგორც დღევან ჯელ წარმოებას, ისე ვაჭრობას, აქვს იძულებითი ხასიათი. შრომა გამოაქვს ბაზარზე მშრომელს გასაყიდათ ისე, როგორც რაიმე საჭირო საქონელი და ყიდის, რომ აღებულ ქირით შესძლოს სხვა და სხვა მისთვის საჭირო საქონლის შეძენა, შეიძლოს თავის რჩენა. მას შემდეგ, რაც მინქანა შემოვიდა ხმარებაში და ტექნიკა გაუმჯობესდა, შინაური ნაწარმოები აღარ აკაუფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს; ამიტომ იგი იძულებულია თავისი შრომა გაცვალოს სხვა და სხვა მოსახმარებელ საგნებში, გაყიდოს იგი, და ისე დააკაუფოვილოს სხვა და სხვა გვარი მოთხოვნილებანი. ყიდულობს შრომას კაპიტალისტი. რათქმა უნდა, არც იგი ხელმძღვანელობს გულკეთილობით. მისი მოქმედების სარჩულს წარმოადგენს ფულის მოგება, რაც შეიძლება მეტი მოგება—აი მისი დევიზი.

როცა კაპიტალისტი, მაგალითათ, ნავთის ქარხანას აარსებს ან ნავთით ვაჭრობას იწყებს, ამას იმიტომ კი-არ შევბაროვ ხალხი არ შეწუხდეს უნავთობითო, მას ფულის მოგება აინტერესებს. ის დაინტერესებულია, რაც შეიძლება შეტინა-

უთი დაამზადოს და გამოიტანოს გასასყიდათ, იმ იმედით, რომ შველას გაყიდის და დიდ სარგებლობას ნახავს. ის არ ეკითხება მყიდველს, რა უფრო ესაჭიროება ამ წუთში იმას, არ იცის მყიდველის, მომხმარებლის, მოთხოვნილება. არც ის იცის ამისთანა საქონელს სხვა მექარხენები. რამდენს ამზადებს. ამიტომ ერთი საქონელი მოთხოვნილებაზე მეტია გამოტანილი ბაზარზე, მეორე საკმაოც არ არის. მომხმარებლის მოთხოვნილება კაპიტალისტს ფეხზე კიდია და თუ ის ღწევს ანგარიშს, ისევ თავის მოქიშვე მექარხენეს ან ვაჭარს.

შოქიშვე კი ბევრი ყავს კაპიტალისტს. ამიტომ იგი ცოლობს, ისეთი საშვალებები გამოიგონოს, ისე მოაწყოს საქმე, რომ საქონლის დამზადება და გასაძება სხვა კაპიტალისტზე უფრო „ხელსაყრელათ“ დაუჯდეს. ხოლო ამ მიზნის მისაღწევათ უპირველეს ყოვლისა იგი ცოლობს, რაც შეიძლება. ნაკლები სამუშაო ქირა მისცეს მუშას, რაც შეიძლება მეტი ამუშაოს იგი, გამოიყენოს შრომა დედაკაცის, ბავშის და სხვ. შველამ კარგათ ვიცით, რა პირობებში იმყოფება დასახელებულ მიზეზის გამო მშრომელი კაპიტალისტურ წარმოებაში. არსებულ ურთიერთობის გამო, ამნაირათ, მშრომელი ხალხი, ე. ი. საზოგიდოების უშეტესობა, დღეს იჩაგრება უპირველეს ეფექტისა როგორც მომჟავე, მწარმოებელი.

მაგრამ იგი იმავე დროს იჩაგრება, როგორც საქონლის გამსაღებელი, როგორც მომხმარებელიც.

იმავე მიზნით, რომ საქონელი იაფი დაუჯდეს, კაპიტალისტი ხშირათ იდენს სიყალებს, აფუჭებს საქონელს, ზედა პირს საქონლისას ალამაზებს, აპრიალებს, შიგნით კი მდარესა და დამპალს საქონელს ყიდის. ასეთ მახეში კი უფრო ხშირათ ლარიბი კაცი გაებმის ხოლმე, რაღანაც ლარიბი მუდამ იმის ცდაშია, რომ იაფი შეიძინოს საქონელი, გაფათ კი იმას უვარების საქონელს აწვდიან ხოლმე.

კაპიტალისტ—მექარხენეს ამ საქმეში მხარს უჭერს კაპიტალისტი—ვაჭარი და წვრილი ვაჭარიც.

საქონლის გასასალებლათ მექარხნე მოლაპარაკებულია მსხვილ ვაჭართან, რომელსაც დამზადებული საქონელი ერთ-ბაშათ გამოაქვს ქარხნიდან და თავის თვალმიუწვდენელ გა-ლაზიაში აწყობს გასასყიდათ. რა თქმა უნდა, როგორც მე-ქარხნეს არ შესტკივა გული, ისე არც ეს ვაჭარი დაეძებს მომხმარებლის, მყიდველის, სარგებლობას; ის თავის საკუთარ სარგებლობისათვის, საკუთარ ჯიბისთვის ცდილობს. ამიტომ მექარხნემ თუ ცოტა მოიგო ამ ვაჭრიდან (უფრო შეტს ჩე-ქარხნე იგებს მუშიდან ეგრეთ წოდებულ ზეღმეტ ღირებულე-ბის შექმნით), როცა საქონელი გამოატანა, ეს ვაჭარი თვი-თონ ერთი-ორათ იგებს, როცა საქონელს სხვას მიყიდის. უბე-დურება იმაშია, რომ მომხმარებელი პირდაპირ ამ ვაჭრიდანაც ცერ ყიდულობს. ეს, როგორც მსხვილი მოვაჭრე, წვრილმა-ნობით ვაჭრობას არ კადრულობს; მომხმარებელს კი რათ უნ-და, რომ ბევრი საქონელი ერთბაშათ იყიდოს. ამიტომ მსხვილ ვაჭრიდან საქონელი მიაქვს გასასყიდათ მეორე უფრო წვრილ ვაჭარს. რა თქმა უნდა, ამასაც უპირველეს ყოვლისა თავისი ჯიბე აინტერესებს. ესეც იგებს ორ იმდენს, რაც პირველ ვა-ჭარმა მოიგო. შეიძლება ცერც ამისაგან იყიდოს მომხმარებელ-მა საქონელი, იგი კიდევ გამოივლის ოამდენიმე ვაჭრის. ხელ-ში, როლებთანაც, რასაკვირველია, ფასი თანდათან იზრდება და, სანამ მომხმარებლობის მიაღწევდეს, ერთი-ათათ გაძვირ-დება. ასე, საქონელი თუ ორ აბაზათ ღირდა, როცა ქარხა-ნაში მუშის ხელიდან გამოვდა, იმავე მუშამ, როცა იგი მი-დის იმ უბანში, საღაც თვითონ ცხოვრობს, მეწერილმანე ვა-ჭართან თავის განაკეთებ ორ-აბაზიან საქონლის საყიდლათ, ცოტა რომ ესთქვათ, ორი-სამი მანეთი ჯნდა გადიხადოს. ეს იმიტომ მოხდა, რომ მექარხნემ თითო ცალ საქონელზე — ესთქვათ ეს საქონელი წალა იყო — ორი აბაზი მოიგო; ქარ-ხნიდან გამტანმა მსხვილმა ვაჭარმაც წვრილ ვაჭრზე გაყიდვის დროს ორი აბაზი ზეღმეტი დაადო იმ ფასს, რაც თვითონ გა-დიხადა; ამისგან მყიდველ ვაჭარმა კიდევ ორი აბაზი, და ამ-

წարհատ, სანამ ეს საქონელი იმ წვრილ ვაჭრამდრის მივიღოდა, რომელიც მუშების მიერჩებულ უბანში ვაჭრობს, სამი-ოთხათ გაძვირდა. ახლა ამ ვაჭარმაც ხომ უნდა მოიგოს და... მყიდველი დარჩა გატყავებული. რამდენათ წვრილია ვაჭარი, იმდენათ მეტს იგებს იგი, იმდენათ უფრო აძვირებს საქონელს. ან რა ქმნას, თუ ძლიერ არ ასწია ფასი. ერთ უბანში რამდენიმე ერთგვარი სავაჭროა გახსნილი. ერთი ან ორი სავაჭრო სრულიად დაკმაყოფილებს ამ უნის მცხოვრებთა მოთხოვნილებებს და, რომ სინდისიერ ფასებში ყიდონ, ამ სავაჭროების პატრონებიც „ხეირს“ ნახავენ. აქ კი ორის მაგიერ ათი ან თორუმეტი სავაჭროა. არც ერთს არ ყოფნის შემოსავალი; ამიტომ თუ რომელიმე იმათგანმა მყიდველი ხელში ჩაიგდო, უნდა ეყალოს სულიან ხორციანათ გაფუქვნას იგი. მერე საქონელსაც დამბალსა და დამბალებულს გაატანს, იმიტომ რომ, ვინ იცის რამდენი ხანია უგდია იგი იმას გაუსაღებელი.

ვაჭრების რიცხვი დღეს საშინლათ დიდია და თან გასასოცაო სისტრატეიტ მატულობს. საფრანგეთში, მაგალითათ, შარლ ეიდის გამოანგარიშებით, ყოველ ცხრია კაცზე ერთი ვაჭრი მოდის. ქ. ჰამბურგში (გერმანიაში) 1898 წ. 17 ათასი წვრილი ვაჭარი იყო, ასე რომ აქ ცხრია ოჯახზე ერთი ვაჭრი მოდიოდა. ახლა, თუ მრვილებთ მხედველობაში იმასაც, რომ თითოეულ ვაჭარს შეათანა რიცხვით სამი ნოქარი ყვეს, გამოდის რომ ყოველ სამ რიჯახს სარჩენათ ცერლია ერთი ნოქარი *).

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ვაჭარი, გატაცებული შხოლოდ თავის ჯიბის ინტერესებით, არ დაწოვავს მყიდველს, მომხმარებელს. და არც ზოგაც: წელზე ფეხს იდგამენ ვაჭრები მყიდველის მოსატყუილებლათ. ათასნაირ ხრიკებსა და ეშმაკებას მიმართავენ ხოლმე ისინი, რომ მყიდველის ყურადღება დაიმსახურონ, თავისკენ მიიზიდონ. გამოაწყობენ ხოლმე

*) В. Тотоміанцъ. „Мощь кооперації“ 24 аз.

საქონელს შუშაბანდებში, ეპატიუებიან გამვლელ-გამომვლელს, მობრძანდით, ბატონო, მობრძანდითო*, ულმერთოთ სტუ-
ვიან, თითქოს დაჯიბრებულიან, ვინ უფრო მოხერხებულია
ტყუილის თქმაში, ვითომ საქონელის გაიაფებით აპირებენ
მყიდველის გულის მოგებას და დამპალს, დაობებულ საქო-
ნელს კი აჩრიან მყიდველს. ქალაქებში გულუბრყევ გამ-
ვლელს გული უტოკდება ხოლმე მაღაზიების წინ გავლის
დროს, ისე კოხტათ და კეკლუცათ არის საქონელი შუშაბან-
დში გამოწყობილი და ელექტრონით ათასფრათ განათებულ-
გაჩირალდნებული. ახლა გაზეთებში რანაირათ აქებენ თავის
საქონელს ეს ვაჟბატონები! გაჯერებენ, რომ ჩალის ფასათ
ოქტომბერის იძლევიან!.. რა თქმა უნდა, უველა ეს ხრიკები, რო-
მელსაც რეკლამებს ეძახიან, აუარებელ ხარჯებს იწვევს. ასე,
მაგალითათ, ერთ ამერიკელ ვაჭარს, უენემეკერს, რომელიც
შეკერილ ტანსაცმელს ყიდის, ამ რეკლამების დამწერების ჯა-
მაგირში ყოველ წლიურათ სამიათას სამასი თუმანი (33000 გ.)
ეხარჯება თურქე. შვეიცარიის ქალაქში ციურიხში ას ორმოც-
და ათი ათასი მცხოვრებია, რომელნიც ოცდა ათი ათას ოჯახს
შეადგენენ. აქაური ვაჭრები შეიდას სამოც ათას მანეთს მარ-
ტო რეკლამებში და ამისთანა თვალისახვევ რამეებში ხარჯა-
ვენ, რომ მყიდველი ერთმა მეორეს წაართვას *). მერე ამ ხარ-
ჯებს ვაჭარი, ხომ წყალში არ გადაყრის? მიუხედავათ იმისა,
რომ ეგ ხარჯები მყიდველისათვის არავითარ საჭიროებას არ
წარმოადგენს, რადგანაც მისთვის სულ ერთია ვისგანაც იყი-
დის საქონელს, ვაჭარი ასეთ ხარჯებსაც საქონელს შეაწერს
ხოლმე და მომნმარებელს გადაახდევინებს ციურიზმი მაგალი-
თათ, როგორც დავინახეთ, თითოეულ ხასახსრეულამებში ოც-
დახუთ მანეთამდის ეხარჯება... .

ამნაირათ, უმთავრესი ნაწილი იქმ ხარჯის, რომელიც

*) В. Тотоміанцъ «Формы рабочаго движенья», изд. Глаголева. 1966 гг.

ჩვენ ამა თუ იმ საჭირო საქონლის შეძენაში ვიხდით, ვაჭრის
ჯიბეში გადადის; საქონლის ფასის საში მეოთხედი იმ პირთ
მიაქვთ, რომელნიც ქარხნიდან გამოიტანენ საქონელს და ჩვენ
გვაწვდიან; ჩვენ გვერდს ვერ ვუვლით იმათ და ჩვენი პარი
შემოსავლის ბატონ პატრიონი ისინი ხდებიან

ასე, საზოგადოების უმრავლესობა არსებულ პირობებში
იჩიგრება ორნაირათ: წარმოებაში, საქონლის დამზადების, შე-
ქმნის, დროს იგი იჩიგრება როგორც მუშა, მწარმოებელი; ამ
საქონლის განაწილების დროს (ვაჭრობა) — როგორც საქონ-
ლის მყიდველი, მომხმარებელი.

კონკერაციის მიზანია შეებრძოლოს ასეთ უსამართლო-
ებას, შეებრძოლოს კაპიტალს, კაპიტალისტს; როგორც წარ-
მოებაში, ისე ვაჭრობაში. კონკერაციის მიზანია კერძო ინტე-
რესები, პირადი მოგება, დაუმორჩილოს საზოგადო ინტერე-
სებს; მწარმოებლისა და მომხმარებლის შუა გადოს პირდაპი-
რი ხილი, მწარმოებლის მოქმედება დაუმორჩილოს მომხმარე-
ბლის მოთხოვნილებას. და ამნაირათ მოსპოს წარმოებისა
და ვაჭრობაში გამეფებული ანარქია და უწესოება. წარ-
მოების გამგეთ, პატრიონათ, თვით მწარმოებელი, მშრო-
მელი, უნდა გამოდიოდეს, ნაწარმოების, საქონლის, გამნაწი-
ლებლათ. თვითონ მყიდველი, მომხმარებელი. წარმოებაში ზე-
დმეტია კაპიტალისტი — პატრიონი, საქონლის. განაწილებაში
შუამავალი კვაჭარი. ესენი, ორსვე, პირად ინტერესებს ემსა-
ხურებიან, აშიტომ იმათ აღგილზე თვით საზოგადოება უნდა გა-
მოვიდეს, თვითონ საზოგადოებამ უნდა იკისროს. იმათი რო-
ლი — აი კონკერაციის მიზანი. ამ მიზნის განხორციელებას
ემსახურება კონკერატიული მოძრაობა. როგორ? რა, საშუა-
ლებით?

ამას დავინახავთ, როცა უადავავლებთ თვალს კონკერა-
ტიულ მოძრაობის ისტორიას.

III

თ ს ტ რ ი ა.

კონპერატიული მოძრაობა დაიბადა და გაიფურჩქნა ინ-
გლისში. მისი აკვანი იყო დედამიწის ის კუთხე, სადაც პირ-
ველათ აფრიკალდა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების დრო-
შა, მისი პირველი ჭირისუფალნი იყვნენ ინგლისის მუშები,
რომელთაც პირველათ გამოსცადეს ცხოვრების ის აუტანელი
პირობები, რომელსაც უმრავლესობისთვის სჭედავს დღევან-
დელი წარმოების ფორმა.

მეთვრამეტე საუკუნის ნახევრიდან დაწყებული, როცა
გამოგონებული იყო ორთქლის მანქანები, ინგლისი განსა-
ცვიფრებულის სისწრაფით იზრდებოდა და იცვლებოდა, ეს
პატარა ქვეყანა, სადაც წინათ აქა-იქ თუ წააწყდებოდით ხალ-
ხით დასახლებულ სოფლებსა, დაბებს და პაწია ქალაქებს,
თორემ სულ მინდვრებითა და საბალახოებით იყო სავსე, სულ
მოკლე ხანში გახია ბანკირების, მსხვილ მექანიზმების და
მდიდარ ვაჭრების სამოლვაწეო ასპარეზათ. ელვის სისწრაფით
მატულობდა აქ სიმდიდრეც და მცხოვრებთა რიცხვიც.

თვით გარეგანი შეხედულობა ინგლისისა, ამტკიცებდა
ინგლისის წარმოების საოცარ ზრდას და განვითარებას. გუ-
შინდელ ჭუჭყიან სახლების ადგილას ახლა წამოჭიმული იყო
უშესანიშნავესი სასახლეები და მდიდრულათ მოწყობილი ბი-
ნები, თეატრები, ბუზეუმები დი ათასი სხვადასხვა გვარი გა-
სართობები. მაგრამ ყველაფრით ამით მხოლოდ უმცირესობა,
შეძლებული კლასები, ჟარგებდებდა.

იმავე დროის ხალხის უმრავლესობა, ინგლისის მშრომელი
ხალხი, კი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. ვისაც წაკით-
ხული აქვს ფრ. ენგელსის შესანიშნავი წიგნი „მუშათა კლა-
სის მდგომარეობა“ ინგლისში, იმან იცის, თუ რას წარმოა-
დგენდა ეს გაჭირვება.

მანქანის შემოლება, შრომის განაწილების უმაღლეს სა-

ფეხურამდის განვითარებამ და საზოგადოთ ტეხნიკის გაუმჯობესებამ ძირი გამოუთხარა იმ პატრიარქალურ უმანკულებას, რომელსაც წარმოადგენდა ძველი ინგლისი. აუარებელი როტევი კერძო მესაკუთრეთა, ხელოსანთა, მიწის მუშების და სხვ. დაქირავებულ ქარხნის მუშათა ჯარში ჩადგა და ამასთანავე კვლავ მესაკუთრეთ გახთომის იმედსაც საუკუნოთ გამოესალმა. ცხოვრებამ თავი დაუკრა ძველს „სანეტარო“ ადათს, პირველ რიგზე შიშველი ანგარიში გამოიტიმა. ორ მოპირდაპირე კლასს — ბურუუაზიასა და პროლეტარიატს — დღეს აერთებდა მარტო ფული — სამუშაო ქირა. მწარმოებელი უყურებდა შრომას, როგორც რაიმე საყიდელ ნავთს, რომელშიაც რაც შეიძლება ნაკლების მიცემას უნდა ცდილობდეა ადამიანი; მშრომელის ინტერესები კი რაც შეიძლება მეტი სამუშაო ქირის აღებას მოითხოვდა. მაგრამ რაյო ყოველივე პირობები, ამ ქვეყნისა და ზეციური, პირველისთვის იყო ხელის შემწყბი, იგი იმარჯვებდა.

და გამარჯვებით გატაცებულმა ინგლისის ნორჩმა ბურუაზიამ არ უკოდა მადის საზღვარი. ყველაფერი ადამიანურო ზეარაკათ შეეწირა მანქანას და მოგების სურვილს! ჩვენ ვიცით, თუ როგორ გაჭირვებას განიცილოს მუშა ხალხი ჩამორჩენილ ქვეყნებში, მაგრამ ის პირობები, რომელშიც იგი იმყოფებოდა ინგლისში მეთვრამეტე საუკუნის ნახევრიდან. დაწყებული მეტხამეტე საუკუნის პირველ ნახევრის გასვლამდე, მაინც აუწერელია. სამუშაო დღე სრულიად განუსაზღვრელი იყო, ასე რომ რამდენსაც მოისურვებდა წარმოების პატრიონი, იმდენს ამუშავებდა დაქირავებულ მუშას (ჩვეულებრივ ასეთი სურვილი განისაზღვრებოდა 17—18 საათით, ხშირად მეტითაც); მოსკილდებოდა ბავში დედის ძეძუს თუ არა, ქარხანაში მიყავდათ იგი, რადგან ახლა 6—7 წლიდან დაწყებული ბავშის შრომაც გამოსადეგი შეიქმნა მანქანისათვის ხელის შესაწყობათ; დედაკაცის შრომაც არ განისაზღვრებოდა, როგორც არ იყო განსაზღვრული მამაკაცის შრომა... ამას დაუ

მატოთ სიმცირე სამუშაო ქირის, სანოვაგის სიძვირე, უსუფ-
თაობა, გარენილობა და დანაშაულობა—აღმოცენებული გა-
ჭირვების ნიადაგზე, და ჩვენთვის ადვილი წარმოსადგენი იქ-
ნება ის აუტანელი პირობები, რომელშიაც ინგლისის მუშა
იმყოფებოდა.

სწორეთ ამ დროს (1771 წ.). დარბადა გამოჩენილი სო-
ციალისტ-უტოპისტი და ინგლისის დიდებული საზოგადო მო-
ლვაშე რობერტ ოუენი. მშრომელ ხალხის აუტანელ მდგომა-
რეობამ მაღა მისი ყურადღება და გრძნობიარე გული.

მართალია, რობერტ ოუენის სოციალისტური მისწრაფე-
ჰანი უტოპიური იყო და საშინლათ დამარცხდა ცხოვრებაში,
მაგრამ მისი თავდადებული და გულწრფელი მოლვაშეობა სა-
ზოგადოთ, მიმართული არსებულ უსამართლოების წინააღმ-
დეგ, იმდენათ მნიშვნელოვანი იყო კონკრეტულ მოძრაო-
ბისათვისაც, რომ ჩვენ არ შეგვიძლია არ შეეჩერდეთ იმაზე.

დაიბადა რობერტ ოუენი ინგლისის ერთ პატარა ქალაქში,
ში, ღარიბ მშობლების ოჯახში. ძლიერ ცოტა ხანს იყო
შეკოლაში, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაშიც კითხვა იმ-
დენათ შეუყვარდა, რომ შეკოლდან გამოსცულის შემდეგაც
ძლიერ ბევრს კითხულობდა და ბევრიც შეიძინა. შეისწავლა
წერა-კითხვა თუ არა, იგი მშობლებმა ნოქრათ მიაბარეს ნო-
ქრათ ოუენი ერთხანს თავის სამშობლო ქალაქში მსახურებდა,
მერე ლონდონში და შემდეგ მანჩესტერშიაც. საშიახლერში
ოუენმა მშევნიერათ შეისწავლა მაულის კეთების საქმე, თანაც
საქმაო ფული მოაგროვა და მანჩესტერში თავისი საკუთარი
ქარხანა გახსნა. მაგრამ მაღა დაინახა, რომ წვრილი მწირმო-
ებლის საქმე კაპიტალისტურ ქვეყნაში ვერ არის სახეირო;
ამიტომ თავი გაანება საკუთარ საქმეს და სხვა მწარმოებლებ-
თან ერთათ დაარსა ნიუ-ლენარქში (შოტლანდიაში). ღილი
ქარხანა, სადაც სამშობლის კაცი მუშაობდა. ამხნან აგებდა
ამ ქარხნის გამგეო თვითონ რ. ოუენი დაინიშნეს.

რობერტი კარგათ იცნობდა იმ აუტანელ მდგომარეობას,

რომელშიაც მუშები იმყოფებოდა ინგლისში, რადგან თვითონ იმათი ახლოს აღიზარდა, თვითონ გამოიარა სილარიბე-ახლა, როცა სამი ათას მუშის ილბალი ბედმა ხელში ჩაუგდო იმას; რობერტი დაუყონებლივ შეუდგა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რ. ოუენი იმ შეხედულებისა იყო, რომ ადამიანი თავის თავათ, დაბადებიდან, არც ბოროტება, არც კუთილი; კეთილათ თუ ბოროტათ ადამიანს ქმნის აღზრდა და ის წრე და გარემოება, რომელშიაც იმას უხთება ცხოვრება. ამიტომ, თუ გვინდა ადამიანი იყოს კუთილი, უნდა გავაუმჯობესოთ ის პირობები, რომელშიც იგი ცხოვრობს.

ასეთი აზრებით გატაცებული რ. ოუენი შეუდგა ნიულენარკის მუშების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. იმან მოუწმარტა მუშებს სამუშაო ქირა, შეუმოკლა სამუშაო დღე 17-დან ათს საათამდის და მოსპონ ბავშების ათ წლამდის მუშაობა; დააარსა ბავშებისათვის უფასო შეკოლა, აუშენა სადგომი მუშებს და სხვ.

ამანაგებმა ჯერ გულმოსული შეხედეს რობერტის მოქმედებას, მაგრამ, როცა დაინახეს, რომ ქარხანას არამცუ არ უხარალნია, ოუენის ხელში უფრო კარგათაც წავიდა იმის საჭმე, ისინი დამშვიდდენ დროებით

ოუენმა აგრეთვე ხელი მიყო წარმოებაში პირობების გაუმჯობესების ქადაგებას.

— თუ უსულო მანქანების მოვლას, სარგებლობა მოაქვს თქვენთვის — ეუბნებოდა იგი მწარმოებლებს — განა უფრო მეტ თარგებლობას არ მოგიტანს თქვენ ცოცხალი განქანები, რომელთა ავებულობა უსულო მანქანაზე უფრო რთულია, ოლონდ მიაქციეთ ამათაც იმდენივე ყურადღება... ყველაზე იყის, რომ უსულო მანქანა უფრო გამოსადევია გაშინ, როცა მაგრათ არის გაკეთებული, სუფთათ ინახება და საუკეთესო ზეთში იფერება, რომ მალე არ გაცვდეს; აქიდან აღვილი წარმოსადგენია, რომ ცოცხალი, უფრო ნაზი, მექანიზმიც უფ-

რო იმუშავებს მაშინ, თუ ჩვენ ისე აღვტოდით იმას, რომ ძლიერი და ენერგიული გამოვიდეს; შევინახავთ სისუფთავები, მოვეპურობით რბილათ და ალერსიანათ და ვეცოცხით ჩავაყენოთ ისეთ პირობებში, რომ უზრუნველყოფილი იყოს მუდამ საკმარის საღისა საჭირო საგნებით; რომ მისმა სხეულმა შესძლოს მუდმივი შრომის ატანა... *)

ამას ჩასჩინენებდა ოუენი ყველას და ყოველგან და მტკიცეთ ადგა-თავის ცხოვრებაში. და იქ, სადაც ანგარიშია გამეფებული, რომ გრძნობას ადგილი ქონდეს, ზარწმუნებული უნდა ვიყოთ, მისი გულწრფელი ქადაგება ჭა ცოცხლი მაჯგალითი გასჭრიდა და გულს მოულობდა ყველას, ვრასც კუუნახავს თვითონ თუენი და ნუ ლენარეი... .

თუენს დიდი ნაცნობობა ყავდა. მასთან სადარბაზოთ იყო, სწვათა შორის, თეით რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, რომელიც თურმე თუენს რუსეთში ეპატიუებოდა და მის შვილს, რომელიც კარგი ტანადობის იყო, კიდევ სამხედრო სამსახურში. **).

თუენი მუდამ იმის უფაში იყო, რომ თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა გამოყენებია მუშა ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, მისი რადიუსი კალური აზრები იმ დროის ინგლისელ უმაღლეს კლასებში მომხრებს ვერ იშვიდა, განსაკუთრებით რაკი შეატყვეს თუენს, რომ მისი საბოლოო მიზანი, მოკლეთ რომ ვსოდეთ, სოციალიტემი იყო.

თუენი ისე ფიქრობდა: დველი საზოგადოებრივი ცხოვრება არ ვარგა, საჭიროა საზოგადოების გარდაქმა, ახალი საზოგადოების დაარსებათ. ამ მიზანის მისაღწევათ თუენის აზრით საჭირო იყო სახელმწიფოს დაქარსებია პატარა ახალშე-

*) Б. Уэббъ. Кооперативное движение въ Англіи, изд. 1905 г.

**) А. И. Герценъ. „Робертъ Оуэнъ“, изд. Ф. Павленкова.

ნები, სადაც საზოგადოების წევრები თვითონ დამზადებდნ. უოველგვარ საჭირო საგნებს და თვითონვე მოიხმარდნ, ე. ი. ამ საზოგადოებაში არ უნდა ქონდეს ადგილი პრც დაქირავებულ შრომას, რომელიც წყართა უოველივე გაყვლეფის, ამც აღებ მიკემბას, როს გამო დღეს იაფათ ყიდულობებს საქონელს ვაჭრები და მერე ესენი ძლიერ ძირიათ ყიდიან მომხმარებელზე და სხვ. „მე ვიძლევით, სწერდა ოუენი, ადამიანის საცხოვრებლათ ისეთ სისტემას, რომელიც წინააღმდეგია, როგორც წარსულის, ისე თანამედროვე ცხოვრების სისტემისა. . . ეს ახალი სისტემა თვალს აუხელს ხალხს და დაანახვებს ქვეყნის სისულელეს და ჩვენ დაწესებულებათა სიცრუეს; დაანახვებს, რომ საჭიროა მოსხუვნილი იქმნას შეცვლა უველა ამ პირობებისა და შემოღებულ იქმნას ახალი დაწესებულებანი, რომელნიც დაყრინობილი იქნებიან ცნობილ ფაქტებზე და შესაბამი იქნებიან ჩვენი ბუნებისათ“ *).

აქ იმარხებოდა ოუენის შეხედულებათა შეკრომის უმთავრესი ძარღვი. იგი ფიქრობდა, რომ სოციალიზმის განსახორციელებლათ სრულიად საჭირო არ იყო თბიერტიური პირობები: საქართვის იყო გამოგონება ახალი „სისტემისა“ და ცხოვრებაც ამ „სისტემისა“ კალაპოტში ჩაისმებოდა.

მცრე, როთი ფიქრობდა ოუენი ამ აზრის განხორციელებას? ამა ქვეყნის ძლიერთა დახმარებით, მაგალითათ, ფიქრობდა აუენი, რუსეთის იმპერიატორმა ნიკოლოზ პირველმა, რომელსაც იგი, როგორც წინათაც ესთქვით, დამტკიცებით იცნობდა, რომ შეიგნოს „ახალი სისტემა“, შესცვლის რუსეთში ცხოვრების პირობებს და მით ხალხს ხელათ გააძელნიერებსო **.

რამდენათ აუენის მოქმედება კარგავდა უბრალო ქველმედების ხასათს და ოუენი, აშკარა იყო, სოციალიზმის

*) А. Голубковъ. „Утопический и научный социализмъ“,

83. 11.

**) А. И. Герценъ „Робертъ Оуэнъ“

მომხრეთ გამოდიოდა, ძლიერთა აშა ქვეყნისათა თანაგრძნობის მავიერ ომი გამოუტაცეს იმას. საძმობლოში აღარ გაეძლებოდა ოუენს, თუ უნდოდა მოღვაწეობისთვის თავი არ გაენებებია. ამიტომ იმან გადასწყვიტა, თავის აზრების განხორციელებას შედგომოდა ამერიკაში. ამ მიზნით მან შეიძინა ამერიკაში ერთი უდაბნო ადგილი, წილიან ინგლისიდან ბევრი თავისი მიმდევრები, განურჩევლათ წოდებისა და საზოგადოებრივ მდგომარეობისა, და აქ დაარსა ახალშენი, სადაც ფიქრობდა თავის იდეალის განხორციელებას. ახალშენს სახელით „ახალი გარმონია“ უწოდა..

ბევრი მიზეზების გამო, რომლის აღწერას ჩვენ აქ არ შეუდგებით, ოუენის „ახალი გარმონია“ მოკლე ხნის განმავლობაში ნამდევილ ანარქიათ გადაიქცა და ოუენი იძულებული იყო ამ უტოპის გამომშვიდობებოდა და კვლავ სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მასი დაუღალავი ყნერგია არ დრკებოდა. ის შეუდგა ახლა ინგლისში ახალ დარგის საზოგადოებათა დაარსებას; რომლისთვისაც ხელი არ გაუშევია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის. პირველი ასეთი საზოგადოება იმან დაარსა ბრაიტონში 1828 წ. ამ საზოგადოების მიზანს კინგი, ოუენის მოწაფე, ასე გადმოგვცემს: „ჩვენ ვაარსებთ საზოგადოებას, რომლისთვის საჭირო თანხა ყოველკვირეულ გადასახადიდან უნდა შედგეს; როცა საკმარის თანხას შევაგროვებთ, ჩვენ ვხსნით სავაჭროს, სადაც წევრებმა უნდა იყიდონ ყველაფერი, რაც საჭირო იქნება მათთვის; სარგებელი თანხას მიემატება; საზოგადოება, როცა საკმარის საშვალებას თავს მოუყრის, დახმარებას გაუწევს უმუშევარ წევრებს სამუშაოს მოძებნაში, თვითონ შეიძენს მიწას, რომელსაც დაამუშავებენ წევრები, და საზოგადოთ ყველაფერს, რაც საჭირო იქნება წევრებისათვის, საზოგადოებაშივე დაამზადებენ“ (*).

*) Проф. И.-Озеровъ. „Общество потребителей, Истори-

Саზოგადოების საქმე პირველათ კარგათ მიღიოდა. ამ გა-
რემოებაშ ბევრ აფენლას გამოიწვია ასეთივე საზოგადოებათა
დაარსება. ყველან დიდის სიტრანსილით ეპურობოდენ საქმეს,
სახელ გატეხილს და უზნეთ ხალხს ადგილი არ ქონდა ასეთ
საზოგადოებებში. 1830 წელს ასეთ საზოგადოებათა რიცხვი
170-დის აღიოდა ინგლისში და მათი რიცხვი: თანამდებობა მატუ-
ლობდა *).

ესნი იყვნენ პირველი მომხმარებელი საზოგადოებანი. იმა-
თი სახელი მჭიდროთ შეკავშირებულია რ. ოუენის სახელთან.

ოუენის ამ დროის მოღვაწეობა საზოგადოთ მეტათ ნა-
ყოფიერია. 1826 წლიდან 1837 წლამდის ივან წარმოსთქვა
ათასი სიტყვა, გამოუშვა ხუთა-ი მოწოდება სხვადასხვა კლა-
სების მიმართ, ორი ათასი საგაზეთო წერილი დაწერა და სა-
მასი მოგზაურობა შეისრულდა. თავის პლანების განსახორციე-
ლებლათ ოუენმა 1.200.000 გან. საკუთარი ფული დახარჯა **).

მრავალი ამხანაგობები დააძისეს რ. ოუენის მიმდევრებ-
მა. მართალია, ამ ამხანაგობებს არ უხეირნია, მაგრამ ოუენის
მრავალფეროვან მოღვაწეობასა და ქადაგებას იმდენათ დიდი
მნიშვნელობა ქონდა კოოპერატიულ მოძრაობისთვის, რომ
იგი დღეს სამართლებრივ იოვლება მამათავარათ კოოპერატიულ
მოძრაობისა.

გარდა იმისა, რომ კანონმდებლობა ხელს უშლიდა იმ
დროის საზოგადოებათა განვითარებას, ოუენისებურ მომხმარე-
ბელ საზოგადოებათა დაცემის მიზეზი ისიც იყო, რომ საზო-
გადოების წევრები მისდევდენ რაც შეიძლება მეტი ფულის
შეგროვებას, რომ ოუენის აღთქმა „ახალშენების“ დარსების
შესახებ სისრულეში მოეცვანათ, და ისიც, რომ საზოგადოე-

ческій очеркъ ихъ развитія въ Зап. Европѣ, Америкѣ и Россіи”, изд. 2-ое, 1900 г., 11-83.

*) ibid.

**) В. Тотоміанцъ „Къ 50-лѣтію со дnia смерти Р. Оуена“,
„Вестн. Кооперациі“, № 2, 1909 წ.

ბებს ხშირათ ეკარგებოდა ფული წევრებზე, რაღან ნისიათ ვაჭრობდენ. ამიტომ ეს მომხმარებ. საზოგადოებინი თანდათან ქრებიან და 1833—1834 წ.წ. თითქმის სულ აღარ სჩანან ინგლისში.

მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მომხმარებელ საზოგადოებებმა კვლავ პირი იბრუნეს სასიცოცხლოთ. დადგა ახალი ხანა კონკერატიულ მოძრაობისა. მის მესვეურათ გამოვიდა ახალი ელემენტი. მოძრაობამ დაკარგა ქველმოქმედების ხასიათი და მთარველთა კალთის გავლენის ქვეშ სიარულს თავი გაანება. იგი სამედო ხელში გადავიდა და მით ერთხელ კიდევ ეუწყა კაცობრიობას ის უტყუარი ფაქტი, რომ მშრომელი ხალხი თვითონ გამოიყვნას თავის თავს განსაკთელოსაგან.

ვინ იყვენ კონკერაციის ეს ახალი პირისუფლები?

უბრალო მუშები, ქ. როჩდელის ქარხნებში მოშუშვე უკარებისა.

როჩდელი ინგლისის პატარა ქალაქია. ქაურ მუშების მდგომარეობა უარესი თუ არ იყო, არაურით სჯობდა სხვა ინგლისელ მუშების მდგომარეობას. დიდხანს ფიქრობდენ აქაური ფეიქრები, დადგება სადაც არის ღრო და პირობები ჩვენი სასარგებლოთ შეიცვლებათ, დიდხანს ემუდარენ ქარხნის პატრონსაც, რომ შესულიყო იგი იმათი მდგომარეობაში და შრომის პირობები გაეუმჯობესებია; მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. მაშინ ისინი იძულებული გახდენ გაფიცვა გამოეკადებიათ. გაფიცვა მწყაბრათ დაიწყო, მაგრამ, საუბედუროო, დაბოლოს ბედმა უმუხლისა ფეიქრებს ქარხნის პატრონები გაჯიუტდენ და მუშები დიახაც არ დააკმაყოფილეს. გაფიცვა გაგრძელდა დიდხანს. ბევრმა ველარ აიტანა უმუშევრობა და ქველ პირობებში დაუბრუნდა საქმეს; ბევრმა კი ძველ პირობებში მუშაობის გარეთ დარჩენა ამჯობინა, ბევრიც თვითონ ქარხნის პატრონებმა დაითხოვეს.

თუ ქარხანაში მუშაობა ჯოჯოხეთი იყო, გარეთ უსაჭრო ყოფნა ორკეც წამებათ გარდაექცა საბრალო მუშებს. იქ

ორ გროშს მაინც იღებდენ, ახლა ესეც დაეკარგათ და ცოლ-შვილი შიმშილით ეხოუებოდათ. უმუშევარ ფეიქრების გული მაინც არ დრკებოდა. ისინი ხშირათ იკრიბებოდენ სადმე ყავახანაში თუ სარდაფში სამუსაიფოთ, მართავდენ კრებებს, ბჭობდენ და ითვალისწინებდენ თავისი უნუგეშო¹ მდგომარეობას. ერთ დღეს ჩვეულებრივათ შეკრებილიყო ოცდა-რვა მუშა დიდი ხნის უმუშევრობას, მუდის შიმშილ-წყურვილს, სიცივეს, ავათჰოფობას და უიმედობას თავისი დალი დაემჩნია მუშებზე; ისინი ერთი მეორეს შესცეკროდენ, მაგრამ არც ერთის მოსაზრება არ შეიქმნა კრების მოსაწონი. დაბოლოს წამოდგა მუშა ჩარლზ გოვარდი და სიტყვა წარმოსთქვა:

,მეგობრებო, სთქვა იმან: ჩვენი მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა, როგორც გვგონია. მართალია, დღეს ძლიერ ხელ-მოკლეთა გართ, მაგრამ, თუ ჩვენ შევკავშირდებით, არათერი გვიშავს...

ამის გაგონებაზე მუშებმა მხარი ასწიეს, არ მოეწონათ იმის ნათქვამი: რა არისო, იფიქრეს, გოვარდიც კავშირებზე გველაპარაკება; განა კავშირები და მომხმარებელი საზოგადოებანი ცოტა იყო ჩვენში, რომ ეხეირნა? რა მოგვცეს იმათ ზარალის მეტო?

გოვარდმა ეს შეამჩნია ამხანაგებს და განაგრძო:

— „მართალია, მეგობრებო, ჩვენში წინათაც არსებობდა საკავშირო სავაჭროები, მომხმარებელი საზოგადოებანი, და ვერ იხეირეს. მ გრამ ამ გარემოებამ გული არ უნდა გაგვიტეხოს. ეს სავაჭროები ცუდათ იყო მოწყობილი. ახლა ჩვენ მომხმარებელი ამხანაგობა სულ ახალ ნიადაგზე დავაარსოთ.

ი თქვენ გულგატეხილი ხართ წინანდელ საზოგადო სავაჭროებზე, მითხარით მაინც, რა იყო მიზეზი, რომ ეს საზოგადო სავაჭროები გაკოტრდა?“

— ყველას ნისიათ მიქონდა საქონელი, ვალის გადახდაზე კი არავინ ზრუნავდათ, სთქვა ერთმა.

— დედაყაცებმაც წაახლინეს საქმე; იმის მაგიერა რომ

საზ იგადო სავაჭროში ეყიდათ საქონელი; კერძო ვაჭრებთან გარბოდენ ხოლმე, ხეირს მაინც იმათ აძლევდენო, სოქვა მეტორებმ.

— „მართალი ხართ, მართალი, დაიწყო ისევ გოვარდმა. ჩვენ ვეცადოთ, გამოვიყენოთ წინანდელი გამოცდილება. თუ ნისიათ ვაჭრობით ზოგიერთებბა უსინიდისოთ ისარგებლებს, ახლა ნისიათ საქონელს ნურავის მივყიდოთ. ჩვენ შევიძინოთ კარგი საქონელი, მყიდველს ნუ დავატყუილებთ ნურც წონაში, ნურც ღირსებაში და მაზანდაზე მივყიდოთ. თქვენ მეტყვით, ვაჭრები ეშმაკებია, ისინი მაინც მიზიდავებ მყიდველს და ჩვენ ზარალს ვნახავთო. ამის ნუ გეშინიათ, თუ ამ მოკლე ხანში არა, მალე მაინც ჩვენს სავაჭროს ბევრი მყიდველი ეყოლება. დღემდის მომხმარებელ საზოგადოებაში ასეთი წესი არსებობდა: მეტს სარგებელს იმას აძლევდენ, ვა საც მეტი საწევრო ფული ქონდა შემოტანილი. ასეთი უფრო შეძლებული პირები იყვენ და მეტი სარგებელიც იმათ მიქონდა. ეს არ არის სამართლიანი. საწევრო ფულზე მივსცეთ პატარა სარგებელი ყველას, იმდენი, რამდენსაც ბანკი იძლე ვა ხოლმე, როცა შესანახათ მიაქვთ იქ ფული; დანარჩენ სარგებლიდან კი მეტი იმას მივსცეთ, ვინც წლის განმავლობაში ჩვები სავაჭროდან მეტ საქონელს წილებს. მეტს ხომ ის ყიდულობს; ვისაც დიდი ოჯახი აქვს და დახმარებასაც სწორეთ ესენი უფრო საჭიროებერნა!..

დიდხანს ილაპარაკეს კილევ მუშებმა. გოვარდის აზრი ყველას მოეწონა, გადასწყვიტეს საზოგადო სავაჭროს დაარსება. სწორეთ სასაცილო იყო ამათი საქმე: ჯიბეში გროში რა არის. არ მოექვებოდათ, სავაჭროს გახსნა კი გადასწუვიტეს!

აი რას ნიშნავს გამბედაობა. რომელის ფეიქრების მაგალითი ბევრ რასმე გვასწავლის, ამიტომ კარგათ დაუკუირდეთ შათ. მოქმედებას ..

გადასწყვიტეს შექლით. შეეჭრებით ძირითადი თანხა.

ჯერჯერიობით თითოეულ წევრს კვირაში რვა კაპიკი უნდა გადაეხადა და ოოცა საჭირო თანხა შევროვდებოდა, მაშინ სავაჭროც გაეხსნათ. ამოირჩიეს ფულის მომკრებნიც. ამათ კვირაში ერთხელ უნდა ჩამოვლოთ როჩდელის ჭუჭყინი ქუჩები და გამოერთმიან წევრებისათვის დადგენილი რვა-რვა კაპიკი. ერთი არჩეულთაგანი იყო მოანგარიშე (ბუჭვალტერი) სმისისი ამის არჩევა ძლიერ სასარგებლო შეიქმნა. როჩდელელ ფეიქრებისათვის. საზოგადო საქმეში ანგარიშს დიდი მნიშვნელობა აქვს და სმისისიც კარგი მოანგარიშე იყო. გარდა ამისა, იგი იყო მარჯვე, დაულალავი, მუდამ მხიარული და ოხუნჯი კაცი. დაუვლიდა ხილმე თავის უბანს, დაჯდებოდა მუშის ოჯახში, ბევრს იოხუნჯებდა, გაამხიარულებდა ყველას, თანაც გააცნობდა საამხანაგო სავაჭროის მიზანს და, მიუხედავათ იმისა, რომ რვა კაპიკის გაუახდაც საძნელო იყო, უარს არავინ ეუბნებოდა მოანგარიშე სმისისს.

ცოტა ხნის შემდეგ როჩდელელებმა დაინახეს, რომ საქმე ნელის ნაბიჯით მიღიოდა წინ და გადასახადი გაადიდეს: რვა კაპიკის მაგიერ ახლა თორმეტ კაპიკს იხდიდენ. ყველა აღფრთოვანებული ეპურობოდა. საქმეს და საქმეც წინ მიღიოდა.

დადგა შეისდგომა 1844 წ. აღმოჩნდა, რომ კავშირში 40 კაცი იყო და თანხაც ოცდა რვა ოუმანს შეადგენდა. გამართეს ქრება, ითათბირეს და გადასწყვიტეს, რომ დაუყონებლივ გაეხსნათ სავაჭრო. ამასთანავე შეიმუშავეს წესდებაც, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელი მომხმარებელ ამხანაგობას. ამ ხუთი უმთავრესი მუხლი ამ წესდებისა:

- 1) მოტანილი და გაყიდული უნდა იქნეს ძლიერ უარგი ლირსების საქონელი;
- 2) ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს ნალიზე;
- 3) გამგეობა და სავაჭროზე თვალყურის დევნება ევალება ყველა წევრებს;
- 4) ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს საზოგადოების არსებულ

ფასებში--მაზანდაზე და მოვებილი მეტი იმას მიეცეს, ვინც
მერს ივაჭრებს მომხმარებელ ამხანაგობილან;

5) ყველა წევრები ალჭურვილი არიან თანასწორ უფ-
ლებით.

ჩვენ დავინახავთ შემდევ, რომ დასახელებული მუხლები,
რომლებიც საფუძვლათ დაედვა როჩდელის მომხმარებელ სა-
ზოგადოებას, ძლიერ გამოსალეგი შეიქმნა და ამიტომ დღემ-
დის ეგ მეხლები ანუ „როჩდელის პრინციპები“, როგორც
ამბობენ ხოლმე. ყველა მომხმარებელ საზოგადოებათა ძირი-
თად კანონებათ ითვლება.

სახლი მომხმარებელ სავაჭროსათვის როჩდელის ფეიქრებმა
ერთს მიყრუებულ ჭურაში იქირავეს. თუ რას წარმოადგენდა
ეგ სახლი, ეს იქიდანაც სჩანს, რომ იგი სამი წლით 125 მან.
იქირავეს, ამ სახლში წინათ ცხოვრობდენ ჯარისკაცები , სა-
პიორები“, რომელთაც ინგლისურათ „პითნერებს“ ეძახიან.
ამიტომ შემდეგ ფეიქრებს, რომელთაც აქ გახსნეს მომხმარე-
ბელი საზოგადოება, ეძახოდენ „პატიოსან როჩდელებს, პიო-
ნერებს“ და ამ სახელით არიან ისინი ცნობილი ისტორიაში.

სახლის დაქირავების შემდევ „პატიოსან პიონერებს“
155 მან. დარჩათ ამ თანხით გაბედეს საქმის დაწყება. იყი-
დეს საქონელი, დააწყვეს, იგი სავაჭროში და გამგეობა ამა-
რჩიებს.

21 დეკემბერი 1844 წ. სახსოვარი დღეა. ამ დღეს პირ-
ველათ გაილო კარები როჩდელის მომხმარებელ საზოგადოებისა,
რომელიც შემდეგში თითოს საჩვენებლათ და სათაურანო საგ-
ნათ გადაიქცა მილიონი სხვა და სხვა ქვეყნის კონტერატო-
რებისათვის. ამ დღეს შეიკრიბენ ჩუმათ „პატიოსანი როჩდე-
ლელი პიონერები“ სავაჭროს გასაღებათ. გულის, ფანცეა-
ლით მოელოდენ ისინი ამ ბედნიერ დღეს და კიდეც მრალწი-
ეს, მაგრამ მათი მყუდროება სხვებმა დაარღვია. მათი მტრებს,
წვრთლ ვაჭრებს, არ სძინებგათ: ამათ მოეყარათ ჭახი ზავ-
შის გოვის თავი და სავაჭროსთვის მოეყვანათ; ათასი კუსამო

ჰოსეტიალე ხალხი, რომელიც მუდამ სასაცილოსა და დასა-კილავს რამე დაეძებს, აქ მოსულიყო. ყველა ესენი გარიდგონ ეხვიენ სავაჭროს და „აუ-აუ“-ს ყვიროდენ. სავაჭროში მომ-წყვდეულ ფეიქრებს საშინლათ რცხვენოდათ კარის გაღება-დაბოლოს, როგორც იქნა, ერთმა იმათგანმა, გულადმა მუ-შამ, გაბედა და მაყურებელ მუქთახორჩთა დაცინვა-კისკისში და ბავშების ყვირილ-აურზაური მი გაალო კარი: „როჩდელის პიონერთა“, სავაჭროის მთელი ავლა დიდება გამოჩნდა. აქ ეწყო: ცოტა ერბო, ცოტა შაქარი და ორი თუ სამი ტომა-რა ფქვილი. ეს იყო და ეს.

პირველ ხანებში სავაჭრო მარტო საღამოობით იყო ღია, ისიც კვირაში სამჯელ. კვირაში ერთხელ იქრიბებოდენ გამ-გეობის ყველა წევრები მიმღინარე საქმებზე მოსალაპარაკებ-ლათ. რა დამტირებას არ იტანდენ „პატიოსანი როჩდელის პიონერები“ პირველ ხანებში: დიდების დაცინვა, ბავშების შეჩნა, ვაჭრების მტრობა და სხვ. არ ასევენებდა იმათ. ხში-რთ მოცულილი ხალხი განგებ შეღიოდა სავაჭროში და ისეთ საქონელს იყითხავდენ ხოლმე. რაც იქ არ ეგულებოდათ და ამნაირათ ისედაც მოჩატვ „პიონერებს“, საშინლათ არცხვენ-დენ. ბევრს, ათასნაირ ვაჭრვებას გაუძლეს „პიონერებმა“ და გული არ წაიხდინეს, საქმეს უფრო და უფრო გულიანათ მოეპყრენ და საქმეც თანდათან გაუმჯობესდა. წლის დამლევს 74 წევრი იყო როჩდელის მომხმარებელ საზოგადოებაში და შეიდას თუმნეჟ მეტი საქონელი აღმოჩნდა წლის განმავლო-ბაში გაყიდული.

„როჩდელის პიონერებს“ თავის ამნანაგობის წესდევში ძალით შეეძლოთ არა მარტო მომხმარებელ საზოგადოებათა, არამედ მწარმოებელ ამნანაგობათა დააჩსებაც. ამიტომ 1850 წ. ახალგაზრდა კომპერატივმა გახსნა წისქვილი, რომლისთვის გადასდო 400.-600 გირვ. სტერლინგი, ე. ი. ოთხი ექსი-ათას მანეთამდე. პირველ ხანებში წისქვილის საქმე ვერ წავი-და კარგათ; „პიონერებს“ საწარმოვო ფული არ ყოფნიდათ,

მიმართეს ნისიათ ხორბლის გამოტანას, ნისიათ კი ცუდ ხორბალს აძლევდენ, ფქვილი ცუდი გამოდიოდა და არავინ ყოდულობდა. ამის გამო საზოგადოებამ 5000 მან. იზარალა. მას გრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასეთი გარემოება. წევრების ენერგიულმა შრომამ გამოაკეთა საქმეები და 1852 წ. წისქვილმაც 1000 მან. წმინდა მოგება დატოვა *).

როც დრო მიღიოდა, „როჩდელელ პიონერების“ საქმე თანდათან ვითარდებოდა, საზოგადოებაში ახალი წევრები ეწერებოდენ და საზოგადოება თანდათან იზრდებოდა. დღეს როჩდელის მომხმარებელ საზოგადოებაში 13 ათასზე მეტი წევრია, მათი სავაჭროები თუ მიღიონ. მანეთზე მეტი საკუთარი ქონება აქვთ შეძენილი **). მომხმარებელი საზოგადოება აწვდის წევრებს საქმელ-სასმელს, ტანსაცმელს და ბინას კარგათ ყოფნობის დროს, ეხმარება ავათმყოფობისა და უმუშევრობის დროს, აჩრდვეს წევრებს და მათ ქონებას, საშეალებას აძლევს მიიღოს განათლება და ეხმარება სიკვდილის შემდეგაც რიგინათ იქმნენ დამარხული.

კომპერაციის დიდებულმა მამათმთავრებმა რ. იუნენმა თავისი მაგალითით უანდერდა კომპერატორებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხალხის განათლებას. ამ მხრივაც ჩინებულათ ასრულებს დღეს როჩდელის მომხმარებელი საზოგადოება თავის დანიშნულებას. თავიდანვე მოგების $2\frac{1}{2}\%$ როჩდელელი კომპერატორები განათლებისათვის დებდენ. ამნაირათ დიდ თანხას მოუყარეს თავი და დღეს იმათ აქვთ საკუთარი შკოლა, წიგნთსაცავი და სამკითხველო. შკოლაში 450 ბავშვები მეტი სწავლობს, წიგნთსაცავში 17,318 ცალი წიგნი აწყისა, ხოლო სამკითხველო შედგება ერთ დიდ დარბაზისა და 19 პატარა თოახისაგან. აქ იპოვით ყოველგვარ

*) И. Озеровъ „Общества потребителей и т. д.“ გვ. 18.

**) В. Тотоміанцъ „Формы раб. движениі“ 160 გვ.

ეჭრნალ-გაზეოს, როგორც ინგლისურს, ჩსე უცხოეთიდან გა-
მოწერილს; იპოვით ბევრ სამეცნიერო ხელსაწყოებსაც, რო-
გორიცაა ტელეფუნკი, მიკროსკოპი და სხვ. მაგრამ ამასაც არ
სჯერდება საზოგადოება. იმას აქვთ ბევრი სტიპენდიებიც, რომ
ზოგ წევრს შეძლება მისცეს უნივერსიტეტში განათლების მი-
ლებისა; საზოგადოება მართავს საღამოებს, წარმოდგენებს,
ლექციებს, იქნება რესიდენციებს, კურსებს და სხვ. *)

ასეთი ბოლომ მოყვა 28 როჩდელის საწყალ ფეიქართა დაწყებულ პატარა საქმეს. დღეს ისინი სამართლიანათ ითვ-ლებიან თანამედროვე კოოპერაციის მამათმთავრებელ და უზელა ხალხის მეგობრები პატივსა სცემს მათ ხსოვნას. 1902 წ. მან-ჩესტერში გაიმართა კონგრესი დედამიწის უოველ კუთხიდან ჩამოსულ კოოპერატორებისა. აქ იყვენ დეპუტატები საფრან-გეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ამერიკიდან და სხვ. რა დიდების მნახველები არ იყვენ ისინი და დიდებულ ქალაქ მანჩესტერსაც არ შეეძლო მათი გაკვირვება. მაგრამ ისინი გულის ფანკუალით გაემგზავრენ როჩდელში, ამ პაწია ჭუჭ-ყიან ქალაქში, რომ აქ ენახათ ის ქოხი, საიდანც პრატველათ გამოაშუქა კოოპერატიულ მოძრაობის სხივმა, რომელიც მო-ედო. მთელ დედამიწას და ახლა სულ სხვა და სხვა ქვეყნის, ტოშის და საჩრდინების წარმომადგენელები შეყარა ერთათ, ერთ საზოგადო საქმეზე მოსალაპარაკებლათ. ამ ქოხის ნახვით თითქოს უნდოდათ იმათ ეთქვათ ქვეყნისთვის: აი პატარა რო-ჩდელელ პიონერების ქოხი და აი ჩვენც, მათი შვილები, რო-მელნიც წარმომადგენელნი ვართ ათასი კოოპერაციების, სადაც მილიარდების საქონელი აწყვია; სულ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ასეთი ნაყოფი გამოიიღო კოოპერაციამ, რეალ იქნება, როცა კიდევ ორმოცდა ათი წელი გაივლისო!?

„რომელიც პიონერების“ შაგალითმა ბევრი გაიტაცა; განსაკუთრებით კომპერაცია მოედო ინგლისს. ელვის სის-

*.) И. Озеровъ „Общества потребителей и. т. д.“ 16-17 83.

წრაფით აქა-თუ იქ არსდებოდა მომხმარებელი თუ მწარმოებელი საზოგადოებანი, რომელნიც თავის მოქმედებას საფუძველია „როჩდელელ პირნერების“ პრინციპებს უდებდენ. არ დარჩენილა კუთხე ინგლისში, რომ კომპერაციის შუქს არ შეეჭყიტოს. 1905 წ. მთელ ინგლისში ითვლებოდა 1701 საზოგადოება, რომელშიც 4.116.127 წევრი იყო, ე. ი. მთელი ინგლისის მცხოვრებთა მეოთხედი. ამავე დროს ამ საზოგადოებებში ეწყო 290 მილიონ მანეთის საწევრო რანჩა და საზოგადოებანი ათას მილიონის საქონელს ატრიალებდენ წელიწადში *).

ინგლისის კომპერატივები არ არიან ერთ გვარი; შეს, მაგალითათ, 1700 კომპერაციიდან 1405 მომხმარ. საზოგადოებაა, 125 სასოფლო სამეურნეო, ხოლო 170 მწარმოებელი. არიან აქ აგრეთვე საკრედიტო კომპერატივებიც, დაზღვევი კომპერაციები და სხვ. მაგრამ დედაბოძს ინგლისის კომპერატიულ მოძრაობისას წაომოადგენენ მომხმარებელი საზოგადოებანი. ყველა გვარის საზოგადოებანი მჭიდროთ არიან შეკავშირებული ერთი მეორეზე, როგორც ნივთიერათ, ისე ზეობრივათ.

ზნეობრივი კავშირი ინგლისის კომპერატივებისა გამოიხატება იმაში, რომ ისინი ხელს უწყობენ კომპერაციის იდეიურ მხარეს, ეწევიან ფართე პროპაგანდას კომპერაციის მნიშვნელობის შესახებ, შეერთებულის ძალით ხელს უწყობენ საზოგადო განათლების საქმეს და სხვ. ამ მიზნის მისაღწევათ ინგლისის კომპერატივები შეკავშირებული არიან „კომპერატიულ კავშირში“, რომელიც დაარსებულია 1869 წ. და ახლა აკავშირებს ყველა კომპერატივთა 93%. ეგ „კავშირი“ სათავეში უდგას განათლების საქმეს საზოგადოთ და კერძოთ სპეციალურათ კომპერატიულ საქმის შესწავლის. მოგეხსენებათ, რომ ინგლისში სახელმწიფოც ბევრს ზრუნავს საზოგა-

*.) Б. Торгашевъ „Потребит. Овѣ на Западѣ“ ფგ. 12-13.

დო განათლებისათვის. ამიტომ კომპერატ. კავშირი¹ უფრო გეტ ყურადღებას კომპერაციის შესწავლის ძეგლებს. ამ მიზნით კავშირს აქვს განსაკუთრებული შკოლები, სადაც გადიან პოლიტიკურ ეკონომიკას, სახელმწიფო უფლებას და სხვ. საზოგადოებრივ მეცნიერებას, ხოლო განსაკუთრებით კი კომპერაციის სწავლობები. „კავშირთან“ არსებობს განსაკუთრებული კომისია, რომელიც ცოის მსურველთ და მერე ღიპლობებს აძლევს კომპერატივებში სხვადასხვა აღილების დასაჭიროათ. 1902 წ. ამ კომისიას გამოუციია 3486 კაცი. გარდა ამისა „კავშირს“ აქვს რამდენიმე სტიპენდია უმაღლეს სასწავლებლებში. კავშირი ხშირად მართავს ლექციებს, ექსკურსიებს, წარმოდგენებს, სცემს გაზეოს და სხვ. „კავშირთან“ არსებობს მუზეკალური და მომღერალთა საზოგადოებანი და სხვ., საზოგადოებრივური ბიურო, რომელიც კრებს ცნობებს კომპერაციის შესახებ და სხვ. და სხვ.

1905 წ. ინგლისის კომპერატივებს დაუზარჯავთ განათლებაზე 832.660 მან *) და ამაზე მეტს წელიწადში ზოგი პატარა სახელმწიფოც კი ვერ დახარჯავს!

მარტო ეს ფაქტი მცენტრულურათ ამტკიცებს ინგლისის კომპერატივების განსაცვიფრებელ სიძლიერეს. ზაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ინგლისში იქცევს კომპერატიულ საზოგადოებათა ნივთიერათ შემავავშირებელი. დაწესებულებანი: ინგლისის და შოტლანდიის „ნარდათ მყიდველი საზოგადოებანი“ (Cooperative Wholesale society). ამ ორი დაწესებულების წყალობით ინგლისის კომპერატორები დღეს თითქმის სრულიად გვერდს უვლიან ვაჭრებსაც, კერძო მუქარხნეებსაც და სხვა კაპიტალისტურ დაწესებულებებს. „ინგლისის ნარდათ მყიდველი საზოგადოება“ ერთ უდიდეს წარმოებათ ითვლება მთელ დედამიწის ზურგზე **). 1902 წლის

*) Б. Торгашевъ «Потребит. О-ва на западѣ» гл. 15.

**) Г. Давидъ «Социализмъ и кооперат. движение» 41 гл.

განმავლობაში ამ „საზოგადოებაში“ 183 975.090 მან. მეტი საქონელი დატრიიალებულია. აქიდან მეხუთედი სულ საკუთარ ქარხნებში იყო დამზადებული. „საზოგადოებას“ აქვს სამი წალების საკერავი ქარხანა, რომელთაგან ერთში 2500 მუშა-ზე მეტი მუშაობს, ორი სანთლისა და საპნის ქარხანა, ერთი ტკბილეულობისა და კონფეკტურის, ორი ქარხანა შოკალა-დისა და „პეჩენიების“, ერთი სამანუფაკტურო საქონლის ქარხანა, ერთი სააფთიაქო საქონლის, ორი ტანსაცმელის, ორი თეთრეულისა, მრავალი წისქვილები, ორი ხილის ბალი, ერთი თამბაქოს ქარხანა და უდიადესი მთელ დედამიწის ზურგ-ზე ჩაის სავაჭრო, სადაც 500 კაცი მუშაობს და 20 მილიონ მარკის*) (დაახლოვებით 9.200.000 მან.) ჩაი დატრიიალება წელიწადში. გარდა ამისა, „საზოგადოებას“ აქვს წარმოება უცხოეთშიაც. მაგალითათ, დანიაში აშენებს ღორებს, აგს-ტრალიაში (სიცნეი) აქვს კოკისის ზეთის ქარხანა, ცეილონ-ზე — საკუთარი ჩაის პლანტაციები. საზოგადოების. საკუთარი ფლოტიც კი ყავს: იგი შესდგება შვიდი გემისაგან. ინგლი სისა და შოტლანდიის, ნარდათ მყიდველ საზოგადოებაში^{**}. ერთათ 13 ათას კაცზე მეტი მუშაობს **).

აქ საჭიროა. აღვნიშნოთ, რომ მუშების მდგომარეობა ინგლისის კოოპერატიულ დაწესებულებებში გაცილებით უფ-რო კარგია, ვინემ კერძო წარმოებაში: უმეტეს ნაწილათ მუ-შები კოოპერატიულ დაწესებულებაში მუშაობენ 8 საათს, იღებენ კარგ სამუშაო ქირას, არიან კარგ სანიტარულ პირო-ბებში და სარგებლობენ ყოველწლიურ თავისუფლებით დასა-ჭვენებლათ...

ინგლისის კოოპერაციებს აქვთ საკუთარი ბანკი, სადაც ინახავენ როგორც თავისუფალ ფულს, ისე საჭიროების დროს.

*) მარკა უდრის 46. კაბ.

**) Г. Давидъ „Социализмъ и Капиталат. движение“ № 42 23.

სესხიც გამოაქვთ. 1902 წლის განმავლობაში ამ ბანკში და-
ტრიალებულა 846 მილიონი მანეთი*).

ასეთია ინგლისის კომპერატივების განმანათლებელი. და-
კომერციული საქმიანობა. ოფორც მდიდარი. დაწესებულე-
ბანი, ინგლისის კომპერატივები. ხშირათ ქველმოქმედებასაც
ეწევიან და შით საზოგადოების ყურადღებასა და თანაგრძნო-
ბას უფრო და უფრო იმსახურებენ. მაგალ., 1892 წ., ოცა
ინგლისი საშინელ კრიზის განიცილა, „ინგლისის ნარდათ
მყიდველ საზოგადოებაში“ 20 ათასი მანეთი გადასცო განირ-
ვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილთა დასახმარებლათ; ქვა-
ნახშირის მაღაროებში (ტორნეილში) დაშავებულთა სასარ-
გებლოთ ამავე საზოგადოებამ გადასცო 5000 მანეთი და სხვ.
1893 წ. შოტლანდიის „საზოგადოებამ“ დაარსა ნაავათმყოფ-
ფარ და დასუსტებულ პირთათვის თავშესაფარი, ომლის გახ-
სნის დროს „საზოგადოების“ თავჯდომარებ აღნიშნა თავის
სიტყვაში, ომი ინგლისის კომპერატიულ მოძრაობის ისტო-
რიაში დგება ხანა, ოცა კომერციული ინტერესების მაგიდ
პირველ აღილზე კაცომუყვარეობა გამოიდიო. „ჩვენ დავამ-
ტკიცეთო, დაათავა იმან თავისი სიტყვა, ომი კომპერატო-
რებს აქვთ მარტო ჯიბე კი არა, არამედ გულიც“**).

ინგლისის კომპერატივები, არამც თუ ყოველივე პარ-
ტიის გარეშე დგანან, არამედ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ
დრომდის, სრულიად არ იყვნენ დაინტერესებული პოლიტიკით.
უპარტიობამ, ყოველივე პარტიის გარეშე დგომამ, დიდი სარ-
გებლობა მოუტანა ინგლისის კომპერატიის. საუბედუროთ,
ამასვე ვერ ვიტყვით პოლიტიკიში სრულ ნეიტრალობის შე-
სახებ. კომპერატიის ბევრი მტრები ყავს, განსაკუთრებით სა-
ზოგადოების სამრეწველო წრეებში. ესენი სარგებლობდენ
მუდამ ინგლისის კომპერატივების ნეიტრალობით. და პარტი-

*). Г. Торгатевъ „Потребит. О-ва на западѣ“ 19. 83.

**) И. Озеровъ „Общества потребителей и т. д.“ 22. 83.

მენტში თუ ქალაქის გამგეობებში კონკრეტული შემავიწროებელი კანონები გაყავდათ. ამან ამ ბოლო ღრმას თვალი აუკისილა კონკრეტობებს და დაარწმუნა ისინი სრულ ნეიტრალობის უვარებისობაში და, რამდენათ ახლა ისინი, გამოღიანდნენ თავის ინტერესების დასაცავთ წარმომადგენლობითი დაწესებულებებში, იმდენათ უმჯობესდება კანონმდებლობაც და საზოგადოთ „უფლების მატარებელთა“ დამოკიდებულა კონკრეტული კონკრეტული მოყვარული ინგლისში განსაკუთრებული შევიწროება კონკრეტული არ გამოუცია ..

ჩევენ შედარებით დიდანის შეკრებით კომპერატიულ
მოძრაობაზე ინგლისში, ინგლისი, არამც თუ აკანია კოო-
პროტოულ მოძრაობისა; როგორც წინათაც ვსთქვით, ინგლი-
სის კომპერაცია დღესაც თითოთ საჩვენებელია ყველა ქვეყნის
კომპერატორებისათვის. მხოლოდ „რომელის პიონერთა“
მაგალითის შემდეგ პოვა კომპერაციამ ნაყოფიერი ნიადაგი
ფრთხების გასაშლელათ მხოლოდ „რომელის პიონერთა“
ცნობილი პრინციპები, რომელიც სრულათ დაცულია ინგ-
ლისის კომპერატივებში, ასულდებულებს დღესაც ყველა ქვე-
ყენის კომპერატიულ საზოგადოებებს.

ახლა ჩვენ გადავიდეთ პატარა ბელგიაში. ამ პატია სახელმწიფოში დღეს 1800 სხვადასხვა გვარი კოოპერატური, რომლებშიც 200 ათას წევრზე მეტი ითვლება.

თუ ინგლისელი კომპერატორები ნაშეტან შორის არიან
პოლი წიკიდან საზოგადოა, ბელგიელი კომპერატორები, სა-
მაგიეროთ, არამაც თუ წინააღმდევი არიან ნეიტრალობის, აქ
კომპერატორი მჴიდროთ შეკავშირებულია მუშათ სოციალის-
ტურ პარტიისთვის და მხოლოდ ზოგ ადგილს კათოლიკურ-
სამლევლოების გავლენის ქვეშ იმუოფება.

ამ გარემოებამ თავისი განსაკუთრებული ელფერი დასდო კონპერატულ მოძრაობას ბელგიაში. ასე, მაგალითათ, ვისაც უნდა კონპერაციის წევრი გახთეს, იგი უნდა ჩაეწეროს ან მუშათა სოციალისტურ ან კათოლიკეთა პოლიტიკურ პარტიაში.

ამ ორ პარტიაში გამარჯვებული მუშათა პარტია რჩება; ამიტომ სოციალისტური კონპერატივები უფრო მრავალ რიცხვოვანია: 200 ათასი წევრიდან 120 ათასი მუშათა კონპერატივების წევრებათ ითვლებიან. ბელგიის მუშათა პარტია, რა თქმა უნდა, ამ ფაქტს უყორდებოთ არ ტოვებს; აქაურ მოღვაწეთა აზრით, მუშათა პარტიის განვითარებას ბელგიაში ძლიერ დიდ სამსახურს უწევენ კონპერატივები...

კონპერაციის არსებობა ბელგიაში თვალსაჩინო შეიქმნა მხოლოდ ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ. მართალია, ამ დრომდისაც არსებობდენ აქ მომხმარებელი საზოგადოებანი, მაგრამ ისინი ფეხს ვერ იკიდებდენ და მთელი მათი ისტორია ამ დრომდის არის „ისტორია მათი დამარცხებისა“ (*). ბელგიის კონპერაციის ზრდა და განვითარება იწყება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქ. გენტში დარსდა (1880 წ.) მომხმარებელი ამხანაგობა „წინ“ (Voruit). ამხანაგობის ძირითად თანხმას შეადგენდა ორი ათასი ფრანკი (**) (750 მანეთამდის), რომელიც ფექტურების ადგილობრივ კავშირმა ასესხა საქმის მეთაურებს. ამხანაგობამ ვაჭრობა დაიწყო პურით. ერთს პატარა სახლში გახსნეს ფურნე, ხოლო მის გვერდში საკრებულო დარბაზი, წიგნთსაცავი და სტამბა. ვაჭრობა სწარმოებდა ნაღდზე, სარგებელი უნდა გაეყოთ იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენი ივაჭრებდა („როჩდელის პრინციპები“).

მომხმარებელ ამხანაგობას იღორძინებისათანავე დაუახლოვდა მუშათა პარტია, ამხანაგობის გახსნას დაესწრო მუ-

*1 Вандервельдъ и Дестрэ „Социализмъ въ Бельгии“, 30 г.

**) ფრანკი უდრის 37 ნახ. კა.

შათა პარტიის წარმომადგენელები*). ისინი ხელს უწყობ დენ მომხმარებელ ამხანაგობის დანიშნულების გავრცელებას ხალხში წერითა და ზეპირ პროპაგანდით. მალე გაზეთიც გამოვიდა, რომელსაც მომხმარებელ ამხანაგობის სახელი ერქვა („Voruit“), განუწყვეტლივ ხთებოდა კრებები და სხვ. განსაკუთრებით ერთმა გარემოებამ ქლიერ შეუწყო ხელი ამ საზოგადოების საქმეს. იმ კუთხის მაღაროებში, ბორინაჟში, სადაც იმყოფებოდა ამხანაგობა „წინ“, მოხთა მუშების გაფიცვა. მუშებმა მოუმზადებლათ დაიწყეს გაფიცვა, ამიტომ ცოტა ხნის შემდეგმათ საჭმელი შემოაკლდათ; მაშინ „წინ“-ის წევრებმა თანაგრძნობის ნიშნათ გაფიცულებს 10000 პური გაუგზავნეს. ამ შემთხვევამ აალაპარაკა პრესა, საზოგადოება, მიიპყრო მთელი ბელგიის ყურადღება. ჩაც დრო გადიოდა „წინ“-ის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა, იგი თანდათან აღიდებდა საქმეს. მომხმარებელი საზოგადოება „წინ“ არსებობს დღესაც. ახლა იმას რამდენიმე განყოფილება აქვს. ღიდებულ ფურნისგარდა, სადაც კვირაში 7500 ფუთზე მეტი პური ცხვება, იმან დაარსა სხვა და სხვა სავაჭროები. „წინ“-ს აქვს შვიდი აფთიაქი, სადაც წამალი იყიდება ძლიერ იაფათ, შეკერილ ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის სავაჭრო, სანახშირე, მშვენიერი რესტორანი, სადაც ყველაფერს იშვივთ ზაგარ სასმელების გარდა, სამუსიკო და დრამატიული კურსები, კასა მუშების უმუშევრობისა, გაფიცვისა და უბედურ შემთხვევისაგან დასაზღვევი და საურთიერო დამხმარე კასა; საავათმყოფო და სხვ. „წინ“-ის წევრს, თუ იგი ქალია, ორსულობის დროს შეუძლია ერთი კვირის განმავლობაში მიიღოს უფასო ყოველგვარი საჭმელ-სასმელი და საჭირო საგნები. „წინ“-ი თავის წევრებს აძლევს პენსიას, მაგ. ვისაც 20 წლ. განმავლობაში წლიურათ ერთი მეორეზე 150 ფრანკის (50 მანეთამდის) საქონელი წაულია, როტა ის 60 წლის გახთება,

*) И. Озеровъ., „Потребит. О-ва, и т. д.“ 84 გვ.

ქალი იქნება თუ მამაკაცი სულ ერთია, ენიშნება პენსიი 120 ფრანკი (45 მანეთამდის) წელიწადში. ქმრის სიკვდილის შემ-
დეგ ამ პენსიას იღებს კოლი მთელ თავის სიკოცხლეში 1906-1907 წელს, „წინ-“ს ყოლია 194 პენსიონერი, რო-
მელთაც უნდა მიეღოთ 20733 ფრანკი (7775 მანეთამდის)*).

მოშემარებელი საზოგადოება „წინ“ გახთა ბელგიაში
მისაბაძ მაგალითათ. „წინ“-დან დაწყებული კოოპერაცია
ბელგიაში თანდათან იზრდებოდა. განსაკუთრებით უურადლე-
ბას „წინ“-ის შემდეგ იქცევს საზოგადოება „სახალხო სახლო“
(Maison du peuple). დაარსებული 1881 წ. ბრიუსელში. მისი
ძირითად დაწესებულებასაც ფურნე შეადგენს. მაგრამ დღეს
იქანაც ფურნის გარდა ათასი სხვა და სხვა გვარი დაწესებუ-
ლებები აქვთ განსაზღვრი: რესტორანები, ყავანანები, კლუბები,
წიგნსაცავ-სამკითხველოები და სხვ. იმდენათ დიდია დღეს
„სახალხო სახლის“ გაჭრობა, რომ მარტო ნახშირს წელი-
წადში 400 ათასი ფრანკისას (150.000 ბ.) ყიდის „სახალ-
ხო სახლს“, აქეს რამდენიმე განცოდილება, ზოგი ბრიუსელ-
შივე, ზოგი ბრიუსელის გარეთ 1899 წ. „სახალხო სახლმა“
ააგთ შენობა და შიგ რამდენიმე თავისი დაწესებულება მოა-
თავსა. ეგ შენობა იმას 1 ნახევარ მილიონი ფრანკი (ნახევარ
მილიონ-მანეთზე შეტი) დაუჯდა**).

უველა სოციალისტური კოოპერატივები ბელგიაში შეკა-
ნურებული არიან. ამიტომ ესენ უფრო ძლიერნიც არიან.
უათოლიკეთა კოოპერატივები ვერ იქცევენ დიდ უურადლებას.
რაკიც კოოპერატივთა უმრავლესობა მუშების ხელშია,
შედგეტიც არის იმაზე ლაპარაკი, რომ მუშათა მცდომარეობა
ამ კოოპერატივებში კარგი იქნება. უზრუნველყოფილია 8
საათის სამუშაო დღე, კარგი სამუშაო ქირა, გიგიენური მო-
წყობილობა და სხვ. დღე უურადლებას იქცევენ აქაური კუ-

*) В. О. Тотоміавць «Формы рабочаго движенія» 187 გვ.

**) Г. Давидъ „Социализмъ и коопер. движеніе“ 44 გვ.

ოპერატივები უმუშევართა მდგომარეობასაც. გარდა ნივთიერ დახმარებისა, რომელსაც კომპერატივები უჩინენ იმათ, არსებობს რამდენიმე ქარხანა, მიწეული განსაკუთრებით უმუშევართათვის, ხოლო როცა უმუშევართა ოცნები ძლიერ მატულობს, ისინი მუშაობენ აქ მორიგეობით.

აუგარებელ თანხას ხარჯავენ ბელგიელი კომპერატივები პოლიტიკურ იგიტაცია-პროპაგანდაზე. საჭიროების დროს ისინი ამ მიზნისთვის აჭ ჰოგავენ არამცო საგანგებო თანხებს; ხშირად სათადარიგო თანხასაც... მართალი სთქვა ბელგიის გამოჩენილ მოღვაწემ ვანდერველდემ „ბელგიის კომპერატივები მუშათა პარტიის მეწვევლი ძროხები არიანო“.

მიუხედავათ იმისა, რომ ბელგიის კომპერაციაში უმოტავრეს რომ მუშათა სოციალისტური კომპერატივები თამაშობენ, ესენი არ არიან გაექნოთილი ვიწრო პარტიულ მიუკარებლობით. ისინი დიდის სიამოვნებით უახლოვდებიან. სხვა კომპერატივებს და ეძებენ მათთან კავშირს, რომ ამით უფრო და უფრო გააძლიერონ კომპერაციის პოზიცია კაპიტალისტურ წარმოებისა და თანამდეროვე ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

განსაკუთრებით ყურადღებას ღირსია კომპერატიული მოძრაობა პაწია დანიაში. დანიის გლეხობა ერთს დროს მეტად ლარბი და ბეჩავი, დღეს კომპერაციის წყალობით მთელ დედამიწის ზურგზე ერთ მდიდარ და ეკონომიკურად თავისუფალ გრემბობას წარმოადგენს.. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში მოხთა ეს საკვირველი ევოლუცია დანიის გლეხის ნივთიერ მდგომარეობაში...

თუ ინგლისის და ბელგიის კომპერაციაში პირველ აღგილზე დგას ქალაქის კომპერაცია, და მისი სარგებლობას განსაკუთრებით ქალაქის ხელმოყველ ქალხი გრძნობს, დანიაში უპირველეს ყურადღებას იქცევს კომპერაცია სოფლიდ და

ამიტომაც კომპერაციის სარგებლობა აშკარათ დაეტყო დანიის გლეხობას.

მიუხედავათ იმისა, რომ დანიამ სახელი გაითქვა სასოფლო სამეურნეო მწარმოებელ საზოგადოებებით, დანიის კომპერატივებში დიდი ადგილი უჭირავს მომხმარებელ საზოგადოებასაც. ამ ჩამდენიმე წლის წინათ მთავრობამ შეკრიბა სტატის ტიკური ცნობები და აღმოჩნდა, რომ დანიაში სულ 845 მომხმარებელი საზოგადოებაა, იმათვის სოფელში 837 საზოგადოება 130331 წევრით, ხოლო ქალაქებში მხოლოდ რვა საზოგადოება 4633 წევრით.

დანიის კომპერატივები „როჩდელის პრინციპებზე“ აგებული, როგორც ქალაქში, ისე სოფელშიაც. სოფელში კომპერაცია დანიელებმა წინათ რძის მეურნეობაში შეიტანეს. პირველი მერძევეთა კომპერაცია დაარსდა 1882 წ. ერთი სამუშაოენ შეკოლის მოსწავლის ახალგაზრდა შტილინგ ანდერსენის მეთაურობით. პირველ მაგალითს მოყვა სხვები. მერძევეთა ამხანაგობების დაარსებამ განსაკუთრებული სამსახური. გაუწია წარილ მესაკუთრე გლეხებს. ესენი წინათ ერბოს ამზადებდენ შინაურ საშვალებით და ასე მომზადებული ერბო კი ძლიერ ცუდი ხარისხის გამოდიოდა ხოლმე. კომპერაციის შემოლებით კი საშვალება მიეცათ შეეძინათ მანქანები და ერბო, თუ სხვა რძის ნაწარმოები, საუკეთესო ხარისხის დამზადებით. კომპერაცია თანჯათან მოედო დანიის სოფელს. ახლა დანიაში 1076 მერძევეთა ამხანაგობაა და შეი-
157537 წევრი ითვლება. 1906 წ. ყველა ამხანაგობებმა 4590 მილიონი გირვანქა რძე მოაგროვეს, რომლისაგან 176 მილიონი გირვანქა ერბო, 170 მილიონ კრონათ *) (დაახლოვებით 88 ნახ. მილიონ მანეთათ) ღირებული, დამზადეს **).

*) კრონი უდრის 52 კაპ.

**) В. Тотоміанів „Сельскохозяйственная кооперація“

კოოპერატივებში დამზადებული ერბო არც ერთი ნამცენი არ რჩება გაუსაღებელი—გააქვთ უმთავრესათ ინგლი. სსა და საფრანგეთში—ისე კარგი ხარისხის არის იგი, თვითონ დანიის მცხოვრებნი კი ფინურსა და ციმბირელ ერბოს ხმარობენ*).

მერძევეთა კოოპერატივებს მოყვა დანიაში სხვა გვარი კოოპერატივებიც. შესანიშნავია აქაური კოოპერატიული საყასბოები. ამათი რიცხვი უდრის 33; იმაში 91 ათასი წევრი ითვლება. ყველა საყასბოები შეკავშირებულია ერთს დიდ საზოგადოებაში. დანიაში დამზადებულ ღორის ხორცის (ლორს). დიდი გასავალი აქვს უცხოეთში და ყველგან ცნობილია იგი, როგორც საუკეთესო გემოისა და ხარისხის. 1906 წლის განმავლობაში ამ საყასბოებში 1.053.358 ლორი დაუკლავთ, რომლის ხორცი და ქონი ღირებულა: 64.921.356 კრონათ. (33 ნახ. მილიონ მან. მეტი**).

საყასბოების შემდეგ დანიაში ყურადღებას იქცევენ მექანიზმეთა და შეკვერცხეთა საზოგადოებანი. დანიელი კოოპერატორები დიდ ყურადღებას აქცევენ კვერცხის ღირსებას. ამოტომ ისინი აჯარიმებენ ყველა იმ წევრებს, ვისაც მოტანილი კვერცხი ლაჟე ან ძველი გამოადგება. რომ კანტროლი გაუკეთონ ამ მხრივ წევრებს; დანიის მეკვერცხეთა ცენტრალური დაწესებულება თითოეულ კვერცხს ასევე ნომერს წევრისას და იმ კოოპერატივისას, საიდანაც იგია მოტანილი. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კანტროლს. 1906 წელს დანიის კოოპერატივებმა გაყიდეს სულ 4.393.771 კრონის ($\frac{1}{2}$ მილ. მანეთამდის) კვერცხი***].

დანიაში არსებობს აგრეთვე რამდენიმე კოოპერატივი მეხილეებისა, ნეხვის მყიდველთა, და სხვ. არ დარჩენილა, ასენაირათ, სოფლის მეურნეობის არც ერთი უმნიშვნელო დარგი, რომელსაც არ შეხებოდეს კოოპერაცია.

*), Авцыферовъ «Кооперація въ сельск. хозяйствѣ Германіи и Франціи», 6 გვ.

**) В. Тотоміанцъ „С.-хоз. кооперація.“ 187 გვ.

***) ibid.

საშინელის სისწრაფით იზრდება აქ კოოპერაცია და კო-
ოპერაციის ზრდასთან ერთათ შატულობს დანიელ გლეხის
კეთილდღეობაც. დანის მცხოვრებთა მეოთხედი დღეს კო-
ოპერაციის წევრები არიან.

საფრანგეთში კოოპერატივები რიცხვით ბევრია, 2200
მდის ადის, მაგრამ წევრთა რიცხვი არ აღმატება 642 ათასს,
რაც ისეთ დიდ სახელმწიფოზე, როგორც არის შედარებით
საფრანგეთი, არ არის ბევრი, გარდა ამისა, კოოპერატივები
საფრანგეთში დღემდის ვერ დგანან დემოკრატიულ ნიდაგზე.
კანონმდებლობა კოოპერაციის შესახებ ჩამორჩენილია. ასე,
მაგალითათ, მომხმარებელ საზოგადოებას კანონის თანახმათ
არ შეუძლია მიყიდოს. საქონელი გარეშე პირს, თუ არა
წევრებს. ადვილი წარმოსადგენია, რომ თუნდ ეს ერთი გა-
რემობება რა საშინელ მუხრუჭს უჭირს მომხმარებელ საზოგა-
დოებებს თავის მოქმედებაში. უმეტესი ნაწილი კოოპერატი-
ვებისა შესდგება საშუალო კლასის წარმომადგენელთაგან,
წერილი ბურჟუაზიისაგან. მაგალითათ, უდიდესი მომხმარებე-
ლი საზოგადოება პარიზში არის „სახელმწიფო დაწესებულე-
ბაში მოსამსახურეთა საზოგადოება“ („Association coopérative des
employés de l'Etat“). თუმცა ეს საზოგადოება ძლიერ კარგათ
გაკრიბს – მისი დღიური შემოსავალ გასავალი ერთ მილიონ
ფრანკს (ე. ი. 375000 მანეთამდის) აღმატება – მაგრამ იგი,
როგორც აქციონერული საზოგადოებანი ჩვეულებრივ, მისდევს
შხელოდ მოკებას, კოოპერაციის იდეიური მხარეები კი მივი-
წყებულია. მუშათა მდგომარეობა აქ არაფრით განირჩევა
მუშათა მდგომარეობიდან კერძო დაწესებულებაში. არც კუ-
ლტურულ საქმებზე ან რამე ასეთზე ზრუნავენ ზაინცა და მა-
ინც აქაური კოოპერატივები.

მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ეტუმბა საფრანგეთშიც
დემოკრატიული ხასიათის კოოპერატივების აღორძინება და
მათი გავლენა თანდათან მატულობს.

პირველი კავშირი კოოპერატივებისა დაარსდა 1885 წ., ხოლო მეორე 1895 წ. ამათი მოქმედება ძლიერ ნაყოფიერია, განსაკუთრებით მეორესი („Bourse de cooperatives socialistes de frans“). ამ უკანასკნელ კავშირში შედიან ყველა სოციალისტური კოოპერატივები, რომელნიც ამ ბოლო დროს არსდებიან საფრანგეთში. ამიტომ აქ კოოპერაციის რდეური მხარეცა არ არის მივიწყებული. მთელი მოგების $\frac{2}{3}$ ნაწილს კავშირი აგიტაციაზე ხარჯავს, მხოლოდ მოგების $\frac{1}{3}$ ურიგდება წევრებს. იქ მუშებიც კარგ პირობებში არიან შედარებით: 8 საჭირო სამუშაო დღე, ქირის მომატება და სხვა. მუშები ძლიერ დააინტერესებს ამ კოოპერატივებმა და იხლა ესენიც ცოილობენ თავის წარმომადგენლების საშვალებით პარლამენტში გავლენა იქონიონ კოოპერაციის შესახებ კანონმდებლობის გასაუმჯობესებლათ.*)

ამ ბოლო დროს ფეხს იყიდებს საფრანგეთში მევენახეთა და ღვანის დამყენებელთა კოოპერატიული ამხანაგობანი და მეტათ თავისებური კოოპერაციები პურის მცხობელთა ანუ კოოპერატიული ფურნეები.

კოოპერატიულ ფურნეს ჩვენ ხშირათ ვხედავთ ქალაქებში (გაიხსენეთ თუ გინდ ბელგია), მაგრამ სოფელში ეგ იშვიათი მოვლენაა. მერე სოფელშიაც კი ღიღდ საჭიროებას წარმოადგენს იგი, განსაკუთრებით საფრანგეთში, ტადაც პურის დაცხობა მამაკაცის მოვალეობაა. გამაკაცს კი ხშირათ, განსაკუთრებით ზაფხულში, ათასი სხვა მოვალეობაც აწევს კისერზე, ამიტომ იგი პურის დასაცხობათ კვირაში ერთხელ იცლის ხოლმე. ამის გამო ხშირათ ერთი კვირის, ათი დღის, დაცხობილ პურსაც სჭამენ გლეხის ოჯახში. ასე იქცევიან ღარიბები აგრეთვე ხარჯის. შესამცირებლათაც: რაკი ერთხელ გააჩაღებენ ცეცხლს, ცოილობენ, რაც შეიძლება მეტი პური დააცხონ. ყოველ დღე ქურისა და ფურნისა გახურება კი ხელმოკ-

*) Торгашевъ. „Потребит. О-ва на Западѣ“ 21-28 გვ.

ლე კაცისათვის ძნელი ასატაჩია. რომ ძველი და გამხმარი პურის ჭამა თავიდან აიცილოს, ზოგი ხორბალს ყიდის, ხოლო საჭიროების დროს ცოტა-ცოტათი ყიდულობს კერძო ფურნეში გამომცხვარ პურს ან პირდაპირ უცვლის მეფურნეს ხორბალს გამომცხვარ პურში. ასეთი აღებ-მიცემობა კი სრულიად არ იყო ხელსაყრელი გლეხებისათვის, ვინაიდან კერძო მეფურნეები სარგებლობდენ მათი მდგომარეობით და პურს ძლიერ უმატებდენ ფასს, ხორბალს კი წინააღმდეგ აიაფებდენ. ხშირათ კონკურენციის მოსასპობათ ახლობელ სოფლის მეფურნეები ხელი ხელ ჩაკიდებული მოქმედებდენ. ამ გარემონტაბაშ დაბადა ფრანგის გლეხებში აზრი კოოპერატიულათ პურის დაცხობისა. წინათ ხორბალს ყიდულობდა ვაჭარი, მიყიდიდა მეორე ვაჭარს, მესამე ფქვავდა, ფქვილს მეფურნე ყიდულობდა და პურს :ცხობდა. ათის ხელში გამოვლილი ხორბალიან გაკეთებულ პურს, რა თქმა უნდა, იაფათ ველარ იყიდიდა ხორბალის გამყიდველი გლეხი. დღეს ხორბალი გლეხს პირდაპირ კოოპერატიულ ფურნეში მიაქვს. აქვე ფქვავენ, აქვე აცხობენ და გლეხს პურს უბრუნებდენ. ასეთი კოოპერაციის სარგებლობა ისე თვალსაჩინო შეიქმნა საფრანგეთის გლეხებისათვის, რომ სულ მოკლე ხანში 836 ამხანაგობა დაასდა სოფლათ და შე 176,166 შევრი ითვლება, რომელნიც აღწერილ საშვალებით ლებულობენ ყოველ დღე საჭირო პურს *).

კოოპერატიული მოძრაობა გერმანიაში დაიწყო უმთავრესათ საკურეოიტო ამხანაგობათა ანუ სახალხო კასების დაარსებით. ეს მოხთა გასულ საუკუნის ნახევარში, ე. ი. იმ დროს, როცა მსხვილი წარმოება თანდათან. იზრდებოდა გერმანიაში და შველ წარმოების ფორმას, ხელოსნის შრომას, ნიადაგი ეკარგებოდა. ხელოსნები ხედავდენ, რომ კაპიტალი შეიქმნა

*) В. Θ. Totomianц „С.-хоз. Кооперациј“ 66 გვ.

დიდი მამოძრავებელი ძალა: მხოლოდ იმას შეეძლო კონკუ-
რენცია გაეწია სხვებისათვის საქონლის დამზადებაში, ვისაც
მეტი კაპიტალი ქონდა, ბევრი კაპიტალის პატრონს შეეძლო
გაეიარებელია სიქონელი და მუშტარი მოეზიდა და სხვ. ისინი
კი მოკლებული იყვნენ ამ ჯალისნურ ძალას — თითოეულ იმათ-
ვანს არც საკუთარი კაპიტალი ქონდა, არც ნდობა გარეშე
პირებიდან ფულის სასესხებდათ. ამიტომ იმათში დაიბადა აზ-
რი, რომ შეკავშირებულიყვნენ და საურთიერთო ხელშეკრუ-
ლობა დაედვათ; ამით ისინი მოიპოვდენ კაპიტალს, რადგან
ჯერ ერთათ შეგროვდებოდა მათი წვრილ-წვრილ თანხები და
მერე კავშირი უფრო სანდოციქმნებოდა გარეშე პირებისათვის
ფულის გასასესხებლათ, ვიდრო კერძო ხელოსანი. რაკი კაპი-
ტალს იშოვიდენ, ხელოსნებს შეეძლოთ გამკლავებოდენ მსხვილ
მექარენებს. ამ აზრის განსახორციელებლათ ხელოსნები შე-
უდევნ საურთიერთო დამხმარე, შემნახველ გამსესხებელ კასე-
ბის, დაარსებას. ამ იდეის პირველი გამომხატველი, მისი
მედგარი მქადაგებელი და პრაკტიკული ხელმძღვანელი იყო
გერმანელი მოსამართლე ლიბერალი შულცე-დელიჩი. ბევრს
გაუგონია ალბათ იმის სხელი. განსაკუთრებით იმიტომ, რომ
იმისა და გამოჩენილ მოღვაწის ფ. ლასალის შუა საშინელი
პოლემიკა იყო ერთ დროს ამტყდარი გერმანიაში. ფ. ლა-
სალმა თავისი შეუბრალებელ კრიტიკის ქარცეცლში გაატარა
შულცე დელიჩის შეხედულებანი, როგორც თავისი პოლიტი-
კურ მოწინააღმდევებისა. მაგრამ არავინ იფიქროს, რომ მას
სრულიად დაეგმოს შულცე დელიჩის დვაწლი. ლასალი, მიუ-
ხდავათ თავისი სიმკაცრისა პოლიტიკურ ასპარეზზე, დიდ
პატივს სცემდა შულცე დელიჩს, როგორც გერმანიის ამხანა-
გობათა მამათმთავარს და სამაგალითო მუშაქს. „ის ერთათ
ერთი წევრია თავის პარტიის — პროგრესისტთა პარტიის, რო-
მელმაც რამე მანც გააკეთა ხალხისთვისთ — სწერს ლასალი
შულცეს შესახებ — და მით უფრო პატივის ღირსია იგი! თა-
ვისი დაუღალავ მოღვაწობით ის ძლიერ მძიმე დროში და

მარტოოდენ საკუთარ ძალლონის საშვალებით გახთა მამა და დამაარსებელი გერმანიის ასოციაციებისა და ისეთი მუჯლუ-გუნი კრა ამ საქმეს, რასაც დიდი მნიშვნელობა ქონდა ამ საქმისთვის შემდეგში. ვსწერ ამას ადგვინდა მისდამი გრძნობით სრული ჟარივისცემისა, და ხელს ვართმევ იმას ნიშნათ მაღლობისა ასეთ ღვაწლისთვის, თუმცა თეორეტიული მოწინააღმდეგენი კი ვართ ჩვენი ერთი მეორის^{*}).

ამნაირათ ჯერ შულცე დელიჩის (1851 წლიდან) და მე-რე რაიფეზენის (1862 წლიდან) ინიციატორობით და მო-ლვაწეობით გერმანიაში დაარსდა მრავალი საკრედიტო კოო-პერატივები. საკრედიტო კოოპერატივებს კი თანდათან მოყვა სხვა რიგი კოოპერაციებისა. ჯერ ხელი მოყვეს ხელოსნებმა საერთო ძალით ნედლი მასალის შეძენას, მერე მანქანების ყი-დვას, დამზადებულ საქონლის კოოპერატიულათ გაყიდვას და სხვ. პირველათ კოოპერაცია კრიცელდებოდა მარტო ხელოს-ნებში, მერე იმან სოფელშიაც იჩინა (გლეხებში) თავი, ხო-ლო გერმანიის ქალაქების განვითარებასთან ერთათ ქალაქის ნუშებშიაც. ახლა გერმანიაში ყოველნაირი კოოპერატივები არსებობენ. მომზმარებელ საზოგადოებებს გერმანიაში უსწრო სახალხო კასებმა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებმა. ამიტომ უკანასკნელ დრომდის ეს კოოპერატივები იქცვა-დენ გერმანიაში განსაკუთრებულ ყურადღებას. და დღესაც დანიის შემდეგ თითქმის არც ერთ ქვეყანაში გრიეხები ისე მჭიდროთ არ არიან შეკავშირებული კოოპერაციაში, რო-გორც გერმანიაში. მთელი გერმანიის გლეხების ხახვარი შედის წევრათ სხვადასხვა კოოპერატიულ საზოგადოებებში^{**}).

1 იანვარს 1907 წ. გერმანიაში ითვლებოდა სულ 22131 კოოპერატიული ამზადებლი, რომელშიაც თითქმის ოთხი

^{*}) Соч. Ф. Лассаля, т. 2 („Гласный отвѣтъ...“). Изд. Глаго-лева, 63—64 г.

^{**) იბ. ვ. ოთომიანცის შობენება „Труды I Всероссийск. Кооперат. Съезда“ გვ. 13.}

მილიონაშის წევრი იყო *). ყველა კომპერატივებზე მეტი საკრედიტო ამხანაგობებია (15108 ამხანაგობა — ორ მილიონ ზე მეტ წევრით **). ეს აისანება იმით, რომ კომპერატიული მოძრაობა გერმანიაში დიდხანს იმყოფებოდა შულცე-დელიჩისა და რაიფეიზენის გავლენის ქვეშ, რომელიც კომპერაციის ამ ფორმას დიდ ყურადღებას აქცევდენ. მაგრამ ამ ბოლოს მომხმარებელი საზოგადოებანიც, რაკი თავი იჩინეს, დიდის სისწრაფით მიღიან წინ (2558 საზოგ. ერთ მილიონზე მეტი წევრით ***) როგორც ქალაქში. ეს სოფელშიაც.

დღეს აერმანიის კომპერატივების უმრავლესობა რამდენიმე კავშირშია შეერთებული. ერთი იმათგანი თავს უყრის უმთავრესათ მომხმარებელ საზოგადოებებს. ეს არის „ცენტრალური კავშირი გერმანიის მომხმარებელ საზოგადოებებისა“. იმაში 1907 წ. 1 იანვრისათვის, როგორც ამ კავშირის ანგარიშიდან სჩანს შედიოდა 879 საზოგადოება 683406 წევრით. ეს კავშირი წარმოადგენს ზეობრივ ცენტრს გრძელ კომპერატივებისას. იგი ხელს უწყობს კომპერაციის განვითარებას, როგორც პოპაგანდით, ისე პრაკტიკულ დახმარებითაც; სკემს რამდენიმე გაზეთს, რომელთაგან ზოგი ძლიერ ბლობათ საღებება. მაგალ., გაზ. „სახალხო კომპერატიული ფურცელი“ 1908 წ. საღებელიდა 21'—230 ათასამდე ცალი და მეტი „კავშირი“ სკემს ბევრ წიგნებს, შეიძინა საკუთარი სტამბა და სხვ. ****).

შეორე კავშირია „საზოგადო კავშირი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა“. აქ უმთავრესათ თავს იყრის საკრედიტო კომპერატივები. იმაში 1328 ამხანაგობა ითვლება 685628 წევრით; იმათგან 51% წვრილი მესაჟურნენია; ხოლო წვრილ ხელოსანთა და მუშათა რიცხვი არ

*) Б. Торгашевъ «Потребит. О-ва на Западѣ» 38—39 გვ.

**) ibid.

***) „Вестник кооперации“, I, 1909.

****) ibid.

აღემატება 25%. 1328 საზოგადოებაში მომხმარებელი საზოგადოებაა 270.

,,საიმპერიო კავშირი გერმანიის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა“, ამაშიაც უმეტეს ნაწილათ შედიან საკრედიტო ამხანაგობანი, რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო და შევენახეთა კავშირები, ხოლო მომხმარებელი საზოგადოებანი თითქმის სრულებით არ არიან ამ კავშირის წევრი. ამას გარდაც არიან გერმანიაში სხვა კავშირები კოოპერატივებისა, მაგრამ ჩვენ იმაზე აღარ შეეჩერდებით. მივაჭრეთ მხოლოდ მკიოხველის ყურადღებას „გამბურგის ნარდათ მყიდველ საზოგადოებაზე“, რომელიც მოგვაგონებს ცნობილ ინგლისისა და შოტლანდიის ამ გვარსავე კავშირებს, მაგრამ არც ეს კავშირია ზევით დასახელებულ „ცენტრალურ კავშირსავით“; გვლენიანი. თვითონ „გამბურგის კავშირი“ ითვლება ცენტრალურ კავშირის წევრათ.

გერმანიის კოოპერატივები სულ პარტიულათ ნეიტრალურია, ე. ი. დგანან ყოველივე პარტიის გარეშე, თუმცა მუშათა პარტიი დიდის ყურადღებით ეცყრობა გერმანიაში კოოპერაციის და ბევრი გამოჩენილი მოღვაწე მუშათა პარტიისა პირდაპირ აქტიურ მოღვაწეობას იღებენ ამ უპარტიო კოოპერატივებში.

გერმანიის მთავრობა ერთხანს ძლიერ მტრულათ უცკეროდა კოოპერატიულ მოძრაობას და ავიტროებდა იმას, მაგრამ თანდათან აქაც ვაუმჯობესდა კანონმდებლობა კოოპერაციის შესახებ (პირველი კანონი კოოპერაციის შესახებ გერმანიაში გამოიკა 1867 წ. *) და, თუ დღეს რაიმე დაბრი კოლებას კი ხედავთ კოოპერატორები კანონმდებლობის მხრით, სხვადასხვა გზით ცითილობენ აუარონ იმას გვერდი. მაგალითათ, „გერმანიის მომხმარებელ ამხანაგობათა ცენტრალურ კავშირთან“ არსებობს წიგნის გამომცემელი ამხანაგო-

*) И Озеровъ «Общество потребителей и т. д.» 60 83.

ბა. მაგრამ კოოპერატივებს არა აქვთ უფლება გერმანიაში ასეთ ამხანაგობის დაარსებისა. ამიტომ ეს ამხანაგობა სწარ მოებს კერძო კაცის სახელზე და ნაჩვენებია როგორც კერძო, კაპიტალისტური, დაწესებულება. სახელსაც ასეთს ატარებს: „ცენტრალურ კავშირის წიგნის გამომცემლობა გენრის კაუზმანისა და ამხ.***). ასეთი საშვალებით უვლიან გვერდს გერმანიაში დამაბრკოლებელ მიზეზებს...

დიდის ნაბიჯებით მიდის წინ კოოპერატიული მოძრაობა ღრმადიშიც, სადაც ყველა ფო[†] მის კოოპერატივები მჭიდროთ შეკავშირებულია არიან ერთი მეორეზე და ყველაში „როჩდელის პრინციპებია“ გატარებული. იტალიის კოოპერატივებში გამაგრებული არიან უმთავრესათ სოციალისტები და სამღვდელოება, ლკანასკნელნი განსაკუთრებით სასოფლო კასებში. მიუხედავათ ამისა, აქ სრულიად დაცულია უპარტიობის პრინციპი. განსაკუთრებით უპარტიო კოოპერატივების მომხრე არიან სოციალისტები, მიუხედავათ იმისა რომ ჯერ 1892 წ. (გენუაში) და შემცირებულ 1900 წ. იტალიის ს.-დემოკრატიამ თავის პროგრამა მინიმუმშიაც კი შეიტანა მუხლი კოოპერაციის შესახებ**). სჩანს იტალიელი სოციალისტები გრძნობენ, რომ პარტიულ და სარტმუნოებრივ ნეიტრალობას დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციისათვის, ხოლო მათი პირდაპირ მიზანს კი ეს გარემოება სრულიადაც არ ვნებს:

1908 წ. 20-30 მაისს იტალიის ქალაქში რეჯიო-ემილიაში მოხთა კონგრესი იტალიელ კოოპერატორებისა. ამავე დროს კოოპერ. ლიგის ორგანომ „Cooperazite Italiano“-მ გამოაქვეყნა ცნობები, რომ იტალიის კოოპერატივთა კავშირში („ნაციონალური ლიგა იტალიის კოოპერატივებისა“) 1907 წ. დეკემბერში შედიოდა წევრათ 1454 სხვადასხვა კოოპერატივი

*). В. Торгашевъ „Потребит. О-ва на Западѣ“ 45 გვ.

**). В. Тотоміанцъ „Сельскохоз. Кооперація“ 11 გვ.

და 754 საურთიერთო დამხმარე საზოგადოება, ხოლო მთელ
იტალიაში 1906 წ. 4168 კონცერატივი ითვლებოდა *).

მომხმარებელ საზოგადოებათა რიცხვი მთელ იტალიაში
უდრის 1448 და შიგ 133 ათასი წევრი ითვლება **). იტა-
ლიის ბევრ ნაირ კონცერატივებში პირველი ადგილი უჭი-
ნავთ მომხმარებელ საზოგადოებებს, სასოფლო-სამეურნეო
ამხანაგობებს და სახალხო კონცერატიულ ბანკებს. თუ რას
წარმოადგენს ზოგიერთი აქაური კონცერატივები. ამის შეგა-
ლითხაც მოვიყენთ. ტურინის მომხმარებელ საზოგადოებაში
ითვლება 11 ათასი წევრი და წელიწადში 2 გილიონი მანე-
თის საქონელი ტრიალებს. საზოგადოებას აქვს ათი ზორუის-
საგაჭრო, სამი აფთიაქი, ორი სამანუფაქტურო საგაჭრო, ორი
საწყობი დამზადეულ ფეხსამსახურისა, შესანიშნავი მექანიკურ
ფურნე, რესტორანი, ღვინის სარდაფი, ლაბორატორია საჭ-
მელის გამოსამჯელევათ და „დამხმარე ბიურო ძებუმწოდე-
ბავშა აღმზრდელთათვის“. უკანასკნელ დაწესებულებაში
დედას შეუძლია მიღება ყოველგვარ დარიგების ბავშის გამო-
კვების შესახებ, იშვიერი დაწმენდილ რჩეს და სხვ. საზოგა-
დოთ, ეგ საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს წევრთა
ჯანმრთელობას, იმას დაქირაცებული ყავა, თერთმეტი სხვა და
სხვა სპეციალისტი ექიმი... საზოგადოებას აქვს სამკითხვე-
ლოები, მართავს წარმოდგენებს, ლექციებს და სხვ ***).

მომხმარებელ საზოგადოებათა და სახალხო კასების გარ-
და (1600 სახალხო კასა და ასი ათასზე მეტი წევრი. ითვ-
ლება შეგ****), იტალიის სოფლები მოფენილია სამეურნეო
ამხანაგობებით, რომელნიც დიდ სამსახურს უწევენ იტალიელ
გლეხს სამეურნეო ცოდნის შეძენაში, მიწის ნიადაგის გაუმ-
ჯობესებაში და სხვ. იტალიის სამეურნეო ამხანაგობებს დაქი-

*) „Вестник Кооперации.“ № 1, 1909 წ., ნაწ. II, გვ. 28.

**) Слобожанинъ „Смотръ Кооперат. силамъ“ გვ. 29.

***) ibid.

****) В. О. Тотоміанцъ «Сельскохоз. Кооперация», 81 გვ.

რავებული ყავს მოგზაური ლექტორები, რომელნიც ხან ერთს, ხან მეორე სოფელში, კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა მეურნეობაში გამოსადეგ ცნობებზე. სამეურნეო საზოგადოებანი იძნენ მეცნიახეთათვის სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლა ველ მორტირებს, იწერენ და ავრცელებენ საუკეთესო ჯიშის ცხოველებს და სხვ.

გავრცელებულია იტალიაში აგრეთვე მიწის მქირავებელთა საზოგადოებანი. საზოგადოთ იტალიაში ჩვეულებაა: მემამულისაგან მიწას ერთბაშათ ჭირაობს მოიჯარადოე და მერე ყოფს ნაწილებათ და მოგებით, დიდის მოგებით, რა თქმა უნდა, გლეხებზე აქირავებს. ახლა კი გლეხები კავშირდებიან და თვითონ გამოაქვთ ერთბაშათ მიწა მემამულისაგან და მერე ან საერთოთ დაიმუშავებენ ან გაიყოფენ. ყოველ შემთხვევაში მოიჯარადოს კლანწებიდან თავისუფალი არიან.

1902 წ. სამეურნეო საზოგადოებათა რიცხვი 248 იყო და შიგ 50000 წევრი ითვლებოდა.

ჩვენ არ შევუდგებით კოოპერაციის აღწერას დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ვიტყვით შეოლოდ, რომ არ დარჩენილა ევროპაში კუთხე, რომ იმას არ შეეშუქებითს თავისი სხივები და ყოველგან დიდის სისწრაფით მიდის წინ. ჩვენ მოვიყვანთ ციფრებს მარტო მომხმარებელ ამხანაგობათა რაოდენობის შესახებ. ავსტრიაში 271 საზოგადოებაა 113 ათასი წევრით, ვენგრიაში — 676 საზოგ. 110 ათასი წევრით, ჰუნაში 500 საზოგ. 76 ათასი წევრით, პოლანდიაში 138 საზოგადოებაა, სერბიაში 95, ბოლგარიაში 3.

კოოპერაცია ვითარდება ამერიკაში და ავსტრიალიაშიც*).

რესერვი პირველი მობხმარებელი კოოპერატივი დაარსდა 1865 წ., ქ. რიგაში **).

*) Слобожанинъ „Смотръ Кооперат. силамъ“ 29 გვ.

**) И. Озеровъ „Общество Потребителей и т. д.“ 141 გვ.

მესამრცე წლებში, როგორც ვიცით, რუსეთში დაქრო-
ლა განმათავისუფლებელ მოძრაობის სიომ და სხვა მაღალ
იდეებთან ერთათ კონკრეტული იდეამაც იჩინა აქ ამ დროს
თავი. საუბედუროთ ამ იდეას სრულიად მოუმზადებელი ნია-
დაგი შეხვდა. ბატონყმობის სასტიკ ჭახრაკში გამომხრჩვალი
რუსის გლეხი, უმეცარი, მოკლებული ყოველივე უნარს თვით
მოქმედებისას, რა თქმა უნდა, ვერ გამოიჩენდა ფხას ისეთ სა-
ზოგადო საქმისთვის, როგორიცარის კონკრეტულია. იმის გო-
ნება დიდხანს ვერ შეიგნებდა იმ სარგებლობასაც, რომელიც
შეეძლო მოეტანა მისთვის კონკრეტულია. ამიტომ პირველ
ხანებში კონკრეტული მოძრაობა, მომხმარებელ ამხანაგო-
ბათა სახით, ფეხს იდგამდა უმთავრესათ ჭალაქებში, ისიც ა-
ზოგადოების ცოტათ თუ ბევრათ შეეძლებულ ნაწილებში—
მოხელეებში, აფიცირებში და სხვ. მოძრაობის დემოკრატიზა-
ციისათვის არავინ ზრუნავდა, პაი ძვირი იყო, საზოგადოებებს
ხშირათ წოდებრივი ხასიათი ქონდა. საქმის განვითარებას
ბევრს უშლიდა ხელს საქმის უცოდინარობა, უენერგიობა და
სხვ. რუსეთის ინტელიგენცია, რომელიც სათავეში უდგა ამ
საქმეს, ენერგიას ვერ იჩენდა; პაის ყიდილობდენ ისეთი პირე-
ბი, რომელიც ამხანაგობას მერე შორიდან უცქეროდენ, არ
აინტერესებდათ მისი შინაური მდგრადი რეოლა, არ ცოლობდენ
შისი გასანვითარებლათ და ამხანაგობებიც; ასეთ პირობებში
თანდათან სკუნებოდენ *.

ასე მისჩანჩალებდა კონკრეტულის საქმე რუსეთში დიდი
ხნის განმავლობაში. მხოლოდ 1900 წლიდან დაეტყო იმას
რუსეთში სასიცოცხლო ნიშანწყალი. ამ დროიდან საზოგა-
დოებები ნელ-ნელა იმაგრებენ წელს და მათი რიცხვიც თან-
დათან მატულობს. ასე რომ 1904 წ. მომხმარებელ საზოგა-
დოებათა რიცხვი უკვე 951 უდრის. განვლილმა განმათავი-
სუფლებელმა მოძრაობამ უფრო დააინტერესა გამომხილებუ-

*) ibid.

ლი საზოგადოების ფართე ნაწილი კომპერაციით. ახლა კომპერაციამ ფრთა გაშალა და ელვის სისტრაფით მოედო მთელ რუსეთს, ქალაქებიდან გადავიდა სოფელში და აქაც განსაკვიფრებელის სისტრაფით ვრცელდება, მიუხედავათ ათასი გვარი, ჩვენთვის კარგათ ცნობილ მიზეზებისა. ზოგი კომპერატივი სულ მოკლე ხნის განმავლობაში ისე გაიზარდა, რომ დასავლეთ ევროპის ზოგ დიდ კომპერატივს მოგაგონებდათ. ასეთი იყო პეტერბურვის კომპერატივი „მშრომელთა კავშირი“ („Трудовой союз“). იგი დაარსდა 1906 წ. თებერვალში რამდენიმე ინტელიგენტისა და მუშის მეთაურობით. მისი ძირითადი თანხა – საქმის დაწყების დროს 300 მან. უდრიდა მაგრამ, რადგან მუშები თანავრძნობით მოეკიდენ, კომპერატივი მალე მოლონიერდა და გაიმართა წელში. განსაკუთრებით მისი ზრდას ხელი შეუწყო იმან, რომ მ. ს. ერმოლაევმა გადასცა ახალგაზრდა კომპერატივს მექანიკური ფურნე, ლირებული ჩა ათას მანეთათ, იმ პირობით, რომ კომპერატივს ნაწილ-ნაწილათ გადაეხადა იმის ფასი. ამ გარემოებამ უფრო წამოსწია კომპერატივი საზოგადოების თვალში. მუშები ასობით ეწერებოდა წევრათ მშრომელთა კავშირში, ძირითადი თანხაც თანდათან იზრდებოდა. 1907 წლ. დამლევს ამ კომპერატივში ითვლებოდა 9 ათასი წევრი და 70 ათასი მან. ძირითადი თანხა; კომპერატივს ქონდა პეტერბურვის სხვადასხვა კუთხეში 19 სავაჭრო, დღეში კომპერატივის მექანიკური ფურნე რამდენიმე ას ფურს პურს აცხობდა და ყიდიდა; „მშრომელთა კავშირის“ ყველა განყოფილებებში თვეში 100 ათას მანეთის საქონელი ტრიალებდა...

საუბედუროთ, „მშრომელთა კავშირი“, ასეთ რუსეთისათვის არა ჩვეულებრივ იყვავების შემდეგ, მალე დასკრნა. გარდა იმისა რომ კომპერაციის მოწყობილობაში იყო დაშვებული რამდენიმე შეცომა, ამ კომპერატივმა ულალატა ორს პრინციპს, რომელიც კომპერაციის საფუძვლათ უნდა ჩაითვალოს: დაიწყო ვაჭრობა შაზანდაზე უფრო დაფუძნებში და ნა-

სიათ. ამ ორმა გარემოებამ შეარყია მისი მდგომარეობა და
სულ მოკლე ხნის განმავლობაში (1908 წ.) მოულო ბოლო
ამ კომპერატივს, რომელიც თითის საჩვენებელი იყო
1907 წელში.

ახლა რუსეთში 1450 მომხმარებელი საზოგადოება ითვ-
ლება*) და შიგ 430 ათას წევრზე მეტია. ძირითადი თანხა
ყველა მომხმარებელ საზოგადოებისა 10 მილ. მანეთს აღმა-
რება, სათადარიგო თანხა კი საშ მილიონ ნახევარ მან. წლი-
ური შემოსავალ-გასავალი ყველა საზოგადოებათა 100 მილ.
აღმარება, ხოლო მოგება 3 ნახევარ მილ. აღის. ბევრი მომ-
ხმარებელი საზოგადოება შეკავშირებულია „მოსკოვის მომხმა-
რებელ საზოგადოებათა კავშირში“ („МОСКОВСКИЙ СОЮЗЪ
ПОТРЕБИТЕЛЬНЫХЪ ОБЩЕСТВЪ“), რომლის მიზანია ხელი შე-
უწყოს კერძო ამხანაგობებს თავის მიზნის განხორციელებაში.
ამისათვის „მოსკოვის კავშირი“ თვითონ ყიდულობს ნარდათ
საქონელს და აწვდენს წევრებს იაფ ფასებში, კრებს და აქვ-
ყნებს ცნობებს მომხმარებელ საზოგადოებათა შესახებ, გზავნის ინ-
სტრუქტორებს მოთხოვნილებისთანავე კომპერატივის მოსაწყო-
ბათ, სცემს ყოველ კვირეულ გაზეთს „Союзъ потребите-
ლей“ და სხვ.

მომხმარებელ საზოგადოებათა გარდა, რუსეთში ახლა არ-
სებობს მრავალი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი და საკრე-
დიტო კომპერატივები. მათი დაარსებაში დიდი ღვაწლი მი-
უძლვის რუსეთის ერობებს, რომელიც ხელს უწყობდენ იმათ
თუ ფულის სესხებით, თუ სამუშაო იარაღის გამოწერით და
სხვ. და სხვ. ერობაში მოსამსახურები, ეგრეთ წოდებული მესა-
მე ელემენტი, წარმოადგენს იმ ინტელიგენტურ ძალას, რო-
მელნიც თავის ცოდნითა და გამოცოლებით ხელს უწყობდენ
კომპერატივის განვითარებას სოფელში. დღეს სასოფლო-სა-
მეურნეო საზოგადოებათა რეცხვი რუსეთში უდრის დაახლო-

*) იხ. „Труды і Всеір. коопер. съездъ“, ვ. 6. ზელგეიმის მო-
სენება, მაგრამ ეს როცხვი შემცირებულთа (2000 საზოგ. მეტი იქმნება.).

ებით (კარგათ ვერ არის შესწავლილი დღეს ამ კოოპერაციის მდგომარეობა რუსეთში) 1500, რომელთაგან ზოგი: თავისი საკუთარი თანხით დაუწყია საქმე, ხოლო ზოგს კი დახმარება მიუღია სამიწათმოქმედო დეპარტამენტისაგან*).] იანვ. 1908 წ. ნება დართული იყო 231 ამ „საკრედიტო ამხანაგობა“ 1907 წ. 1 ივლისს გამოქვეყნებულ ანგარიშიდან სჩანს, რომ 1555 ამ ხანაგობას ჭონია გამოტანილი სახელმწიფო ბანკიდან (წევ-რებზე გასასესხებლად) 2.422 ათასი მანეთი ძირითად თანხათ და 6.658 მანეთი მოკლე ვაღიან სესხათ. ამავე დროს გაცემული იყო სესხათ 21.152 ათასი მანეთი, „საკრე-დიტო ამხანაგობათა“ წევრების რიცხვი 705 ათასი იყო**). „საკრედიტო ამხანაგობათა“ გარდა რუსეთში არსებობს შემ-ხახველ-გამსესხებელი კასები, რომელთა რიცხვიც 1000 აღის...

რუსეთის კოოპერატივები დრო გამოშვებით მართავენ ადგილობრივ კრებებს, ხოლო 1908 წ. აპრილში მოსკოვში შედგა პირველი მთელი რუსეთის კოოპერატივთა წარმომად-გენლების კრება (სიეზდი), რომელმაც ძლიერ კარგი შთაბეჭ-დილება მთავრინა ცველაზე, ვისაც აინტერესებს კოოპერაციის ილბალი რუსეთში.

რუსეთის კოოპერაცია ადგას დასავლეთ ევროპის გზას და შეძლებისადაცვარათ ანხორციელებს იმ პრინციპებს, რომე-ლიც იქ შეიმუშავა კოოპერატ. მოძრაობა.

არც ჩვენი ქვეყნისთვის არის სულ „უცხო ხილი“ კოო-პერაცია. მე 80-90 წლებში ჩვენშიც ვხედავთ აქა-იქ სხვადა-სხვა გვარ ამხანაგობებს და ზოგი იმათგანი საზოგადოების-დიდ ყურადღებასაც იქცევდა ამ დროს. ასეთი იყვნენ მაჩხანის მომხმარებელი საზოგადოება, მეაბრეშუმეთა საზოგადოება-

*) იხ. „Труды I Всеросс. Коопер. Съезда“, მოხსენება ე. კუ-ლიცნის.

**) М. Слобожанинъ „Смотръ Кооперат. силамъ“, 65 გვ.

„შუამავალი“ გურიაში, ამხანაგობა „შუამავალი“ თფილისში და სხვ. ამ დროს დაარსებულ ამხანაგობათაგან თითქმის არც ერთს არ მოუღწევია ჩვენამდის, სულ დაიხურებ. იმათ არსებობას არც თვალსაჩინო კეალი რამე დაუტოვებია ჩვენს ცხოვრებაში. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ყველა ასეთი საზოგადოებანი ჩვენში არ შეეფერებოდა საზოგადოების ფართო ნაწილის მდგომარეობას, არ იყო ხელმისაწილი ხალხის უმრავლესობისთვის, და არც მასსა იყო იმდენათ მომზადებული, რომ საქმეს გულიანათ მოკიდებოდა. ამხანაგობას აარსებდა ერთი ან ორი, კარგი სურვილებით გატაცებული, ადამიანი, ჩაწერდენ წევრათ ამხანაგობაში რამდენიმე ნაცნობს და საქმეც გათავდებოდა; ამ დროინდელი ამხანაგობანი პატარა ჯგუფს არ გასცილებიან ხოლმე. ამის უმთავრესი მიზეზი იყო, როგორც ვთქვით, პაის სიღიდე, საქმის უცადინარი ბა, ზეპირ და მწერლობითი პროპაგანდის უქონლობა კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ, მასსის მოუმზადებლობა და სხვ. აქა-იქ შეხვდებოდით პრესაში წერილს რომელიმე ამხანაგობის შესახებ, ხშირათ კამათიც იმართებოდა, მაგრამ ასეთი წერილები უფრო ხშირათ რომელიმე პიროვნების ირგვლივ ტრიალებდა, რამე ინტრიგითა და პირადი ინტერესით იყო ხშირათ გამოწვეული და საქმის პრინციპიალურად გამომკლევის შესახებ თითქმის ვერაფერს ვერ წააწყდებოდით. სანამ საქმე გაკოტრების კარამდე არ მივიღოდა, მანამდის „შინაურულათ“ სწარმოებდა იქ ყველაფერი და საზოგადოებამ. არ იცოდა არაფერი იმის შესახებ: „ჩვენებურ ამხანაგობათა შინაგან ცხოვრებასო, სწერდა გაზ. ივერიის“ თანამშრომელი ბ. ნარი 1887 წ., მათს წარსულსა და აწმყოს, ავს და კარგს საიდუმლოების ზეწარი აქვს გადაფარებული ჩვენთვის და ჩვენისავე წყალობითო.*). საქმის ასეთი ვითარება კი სამწუხაროა იმით, რომ ჩვენ ახლა არ შეგვიძლია ნათლათ გავითვა-

*.) „ივერია“, 1887 წ., № 40.

ლისწინოთ ის მიზეზები, რომელნიც აბრკოლებდენ ამხანაგობათა განვითარების საქმეს ჩვენში, დავუკვირდეთ მათი შეც-თომებს და მათი გამოცდილება გამოვიყენოთ. მაგრამ, საჭიროა აღვიაროთ ისიც, რომ ამხანაგობათა რიცხვი იმდენი არ ყო-ფილა ჩვენში, რომ შათ მოქმედებაზე შესაძლო იყოს საქმის შესწავლა; არც ორიგინალურ რასმე წარმოადგენდენ ისინი, რომ იმათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდეს; ისინი პირდაპირ გადმოდებული იყვენ რუსთის ამხანაგობებიდან, რო-მელნიც იმ დროს იქაც ძლიერ კოჭლობდენ, და ახალს არა ფრის მხრით არ წარმოადგენდენ.

დღეს ვისაც უნდა კითხოთ ჩვენში, რაზ ჯალუპა ამხანა-გობები ჩვენშითქვა, უსათუოდ ერთნაირ პასუხს მიღებთ „ალბათ ფული გაფულანგვსო“ ჩვენ არ შევუდგებით აქ იმის გან-ხილვას, თუ რამდენათ საფუძვლიანია ასეთი ბრალდება, მაგრამ ეს რომ არ არის ერთათ-ერთი მიზეზი ამხანაგობების გაკოტრებისა ჩვენში, ეს კი ცხადია. ცნობილი „როჩდელის პრინციპები“, რო-მელიც წითელ ზოლივით არის გატარებული თანამედროვე კო-ოპერატორთა ცხოვრებაში, როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთშიაც, რა თქმა უნდა, ჩვენებურ ამხანაგობებში არ იყო კარგათ დაცული. მერე „უკაცობა“, განსაკუთრებით სოფლათ, ძლიერ აბრკოლებდა საქმეს. „თავი და თავი აქ საქ-მეში ფულია და კაციო, ამბობს დასახელებული თანამშრომე-ლი „ივერიისა“ ბ. ნარი „შემნახველ-გამსესხებელ“ ამხანა-გობათა შესახებ: ფული კიდევ იშოვება, ოლონდ კაცი იყოს ისეთი, როგორც ამ საქმეს უნდაო“ *). გარდა ამისა, უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ჩვენში არ არ-სებობდენ (და არც დღეს არსებობენ) ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც ხელი შეეწყოთ ამხანაგობათა განვითარებისათვის, როგორიც არიან, მაგალ თუ გინდ რუსთის ერობები.

* გაზ. „ივერია“, 1887 წ. № 42.

ეს ორი სამი წელიწადია, განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდეგ, ჩვენში საზოგადოთ კულტურულ მუშაობაზე ღალაზისთან ერთათ ალაპარაკდენ კომპერაციის შესახებაც: ქართულ პრესაში ხშირათ წარწყდებით ახლა წერილებს კომპერაციის მნიშვნელობის შესახებ, სხვადასხვა გვარ კომპერაციებზე და სხვ. საუბედუროთ, საქმით იმდენი არაფერი გაკეთებულა, რამდენიც ილაპარაკეს. ყველაზე უფრო მეტი საკრედიტო ამხანაგობები დარსდა, მაგრამ იმათი რიცხვიც თფილისის გუბერნიაში 8 არ აღემატება. (უდიდესი იმათგანი არის სოფ. ვორონცოვკაში (ბორჩ. მაზრა) და იქაც წევრთა რიცხვი 110 არ აღემატება). ვინაიდან არ არის ისეთი დაწესებულება, რომელიც აგროვებდეს ცნობებს კომპერატიულ მოძრაობის შესახებ ჩვენში, ჩვენ არ შევვიძლია, დანამდვილებით ვსთქვათ, რამდენი მომხმარებელი საზოგადოება ან სხვა ტიპის კომპერაციები (გარდა საკრედიტო კომპერატივებისა) და-არსდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენში. მაგრამ მათი რიცხვი, რომ ძლიერ მცირე არის, ეს ეჭვს გარეშეა. სხვათა შორის, ეს აღმოჩნდა გასულ წელს (1908 წ.) მოსკოვში მომხთარ მთელ რუსეთის კომპერატივთა წარმოშადეგნლების პარველ კრებაზე, სადაც შეკრებილ ცნობებიდან აღიარეს, რომ ყველაზე უფრო სუსტია (რუსეთის იმპერიაში). კომპერატ მოძრაობა კავკასიაში და კიმბირში.

«ВѢСТНИКЪ КООПЕРАЦІИ. I-е უკანასკნელ ნომერში (№ 3, 1909 წ.) მოთავსებულია შემდეგი ცნობები: მომხმარებელი საზოგადოებათა რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში — 12, თფილი-სისაში — 6, ბაქოსაში — 9; სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში — 3 და თფილისისაშიაც — 3. ყველა ეს საზოგადოებანი დარსებულია 1907 და 1908 წ.წ.

1908 წ. ნოემბერში ქ. ფოთში დაარსდა კომპერატიული სასადილო „იმედი“. წევრების უმრავლესობას აღვილობრივი მუშები შეადგენენ. მოუხედავათ იმისა, რომ ეს ახალი საქმეა მათთვის, ესინი ძლიერ გულიანათ ეკიდებიან ამ საქმეს.

ამ უკანასკნელ დროს დღეში დაახლოებით 150 კაცი სადი-
ლობს „,იმედზი“¹⁾. საუბედუროთ, როგორც „,ჩვენი აზრის“²⁾
ფოთელ კორესპონდენტის წერილებიდან სჩანს, ამ დაბოლო
დროს საქმის განვითარებას ცოტას ხელს უშლის. ზოგიერთ
წევრების გვერდზე გადგომა. ეს ცუდი ნიშნებია. თუ ჩვენე-
ბურ სენის, „,ინტრიგანობის“³⁾, გზა არ დაივიწყეს კოოპერა-
ციის თანამგრძნობებმა, კოოპერაციის საქმეს ჩვენში საფრთხე
მოეღის.

ჩვენს ყურადღებას იქცევს აგრეთვე პატარა მომხმარებე-
ლი საზოგადოება „,ჯანმრთელობა“⁴⁾ გურიაში. ლისსშესანიშ-
ნავია იგი იმით, რომ არსებობს თითქმის მიუვალს ადგილზე,
ავარა-გურიის მთებში, სააგარაკო ადგილზე—ბახმაროზე, სა-
დაც წელიწადში მხოლოდ ერთი თუ ორი თვით აღიან მოსა-
გარაკენი საზაფხულოთ. დაარსებულია იგი 1904 წ. რამდე-
ნიმე პირის თაოსნობით. წევრები მომხმარებელ საზოგადოე-
ბის „,ჯანმრთელობისა“⁵⁾ სააგარაკო ჩამოსული სხვადასხვა
მდგომარეობისა და რწმენის ხალხია, მაგრამ ყველა ამათ აერ-
თებს სურვილი ბოლო მოუღონ იმ საშინელ აღვირ-წახსნი-
ლობას, რომელსაც დაადგენ სანოვაგის გაყიდვაში აქაური
წვრილი ვაჭრები. საწევრო გადასახადი 1 მ. 50 კ. გასულ
(1908 წ.) განმავლობაში საზოგადოებას ქონია შემოსავალი
1379 მ. 63 კ., გასავალი 1303 მ. 23 კ. საზოგადოებას ასა-
ლები აქვს სხვადასხვა პირებზე 1047 მ. 72 კ., ვალი აქვს
585 მ. 84 კ. დღევანდვილი უძრავმოძრავი ქონება საზოგა-
დოებისა უდრის 2937 მ. 36 კ. *) „ჯანმრთელობის“ წევრე-
ბი გულიანათ ეკვდებიან საქმეს და იმედი აქვთ, რომ მათი-
მომხმარებელი საზოგადოება უფრო და უფრო გაიზრდება. ამ
საზოგადოების წლევანდელ წლიურ კრებას მეტათ საგულის-
ხმო დადგენილებანი გამოუტანია: 1) გამოყვანილი იქმნას შემ-

*) ეს ცნობები ამოღებული გვაქვს „ჩანგის“ № 32-ში (1909 წ.)
მოთავსებულ კორესპონდენციიდან და იმათ სისწორეს კორესპონდენციის
ავტორის პასუხისმგებლობაზე ვტოვვეთ.

დეგ სეზონისათვის აგარაკში სასმელი წყალი; 2) აშენებული იქმნას შენობა, სადაც მოთავსდება: თეატრი, ბიბლიოთეკა, გამგეობის კანცელიარია და ოთახები არტისტებისა და ტურისტებისათვის და სხვ.

სჩანს, „ჯანმრთელობის“ წევრებს სწამტ მათი კოოპერა-ტიულ საქმის მომავალი და ამ რწმენასაც დიდი მნიშვნელო-ბა აქვს საქმის წარმოებისათვის.

ქ. ქუთაისში არსებობს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“ (დაარს. 1900 წ.). იმის ოპერაციები ჯერ ჯე-რობით არ არის დიდი, მაგრამ იმას მაინც თვალსაჩინო სარ-გებლობა მოაქვს, განსაკუთრებით მეაბრეშუმეთათვის (ქუთა-ისის გუბერნიაში) კარგი სარისხის თესლის გაფრცელებით და პარ-ჯის ფასის მოწესრიგებით.

„გორის მემამულეთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა“, — არსებობს ს. გომში (გორის მაზრა). იმას დიდი სარგებლო-ბის მოტანა შეეძლო გორის სოფლის მეურნეთათვის, მაკრამ პარის სიღილის გამო იგი არ არის ხელმისაწვდომი ბევრისათვის და ამიტომ ვერც ფართე საზოგადოების ყურადღებას იქცევს...

ასეთია მოკლეთ კოოპერატიულ მოძრაობის წარსული და მისი ახლანდელი მდგომარეობა დასავლეთ ევროპის სხვა-დასხვა ქვეყნებში, რუსეთში და ჩინებში. დასავლეთ ევროპაში კოოპერატიულ მოძრაობამ განვლო განვითარების პირველი საფეხურები და იგი იქ დღეს მკვიდრ ნიადაგზე დგას. რუ-სეთში და, განსაკუთრებით, ჩინებში, იგი ახლა იჩეკება და ფეხს იდგამს. „წინა კაცი უკანასი ხიდიაო“, იტყვიან ხოლმე ჩინებში. ასეთ „ხიდს“ ჩვენთვის წარმოადგენს ის ქვეყნები, სადაც კო-ოპერაციამ ფრთხი შეისხა და განვითარდა, და რომელთაც ჩვენ მოკლეთ უკვე გადავავლეთ თვალი.

IV

სხვადასხვა გვარი კონპერაცია.

კონპერაციის მოქლე მიმოხი ლვამ სხვადასხვა ქვეყანაში დაგვანახა ჩვენ, რომ კონპერატიული საზოგადოებანი არიან სხვადასხვა გვარი: უმთავრესათ კონპერატიული მოძრაობა გამოიხატება: а) მომსმარაბეჭდ საზოგადოებათა დაარსებაში, როცა რამდენიმე პირი (საზოგადოება) არღენტს კავშირს იმ მიზნით, რომ შეერთებულის ძალით იყიდონ სხვადასხვა ცხოვრებაში გამოსადევი საგნები ნარდათ, პირველ ხელიდან, (მაგალ., პირდაპირ მექარხნისაგან) და მერე ერთმანეთში გაინაწილონ; б) მწარმოებეჭდ ამხანაგობებში, როცა სოფლის ან ქალაქის მუშები ამხანაგდებიან, რომ მექარხნის თუ მემამულის გაყვლეფისაგან თავი დაახწიონ, სამუშაო აიღონ თვითონ, თვითონ, შეერთებულის ძალით, და საკუთარის იარაღით დაამუშაონ ნედლი მასალა და მოგებაც შემდეგ თანასწორათ გაინაწილონ; გ) საკრედიტო ამხანაგობათა დაარსებაში, რომლის მიზანია გაასესხოს ფული და ამით დროებით ააკრილოს ხელმოკლე ადამიანი ათას გვარ გაჭირვებას და მევახშეთა კლანებს.

არიან სხვა გვარი კონპერატივებიც, მაგრამ ყველა ესენი ცოტათ თუ ბევრათ უახლოვდებიან დასახელებული კონპერატივებს თავის დანიშნულებით და მოწყობილობითაც. ამიტომ უკანასკნელ კონპერატივებზე ჩვენ ცალკე აღარ შეეტერდებით.

თავისთავთ იბადება საკითხი: კონპერაციის რომელ ფორმიდან უნდა დავიწყოთ მუშაობა? რანაირი კონპერაცია უფრო ხეირობს სხვადასხვა ქვეყანაში და რომელი უფრო ადვილი განსახორციელებელი იქნება ჩვენთვის პირველად?

ჩვენ დავასახელეთ სამი უმთავრესი რიგი კოოპერატიულ საზოგადოებათა. ახლა განვიხილოთ თითოეული იმათგანი კერძოთ, შევეხმოთ მათი დანიშნულებასა და მოწყობილობას და ჩვენთვის ცხადი იქმნება მათი ღირსება-ნაკლულოვნებანიც.

ა) მომხმარებელი საზოგადოება.

როგორც წინათაც ესთქვით, მომხმარებელ საზოგადოების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შეერთებულის ძალით ვიყიდოთ ნარდათ საქონელი პირდაპირ მექარხნისაგან ან ქაველი ვაჭრისაგან და მერე გავინაწილოთ. ვიცით, რომ მექარხნებ საქონელს ნაჭერ-ნაჭრობით არ ყიდის, იგი ერთბაშათ, ნარდათ, იძლევა საქონელს. ნარდათ და ბევრის ყიდვა თითოეულ ჩვენგანს არც ესაჭიროება და არც შეუძლია. ამიტომ მექარხნიდან ნარდათ გაძაქვს საქონელი ვაჭრს, ვაჭრიდან კი ყიდულობს მომხმარებელი. და ზადგან ხშირათ საქონელი რამდენიმე ვაჭრის ხელშიც გამოივლის, სანამ მომხმარებლამდის მიაღწევდეს, ხოლო თითოეული ვაჭარი, რომლის ხელშიაც გამოივლის საქონელი, თავის „შრომის“ ფასს ამატებს საქონლის პირვანდელ ფასს, საქონელი, სანამ მომხმარებლამდის მივიღოდეს, საშინლათ ძვირდება.

ვაჭრობის ასეთი მქმედ ულელი, ეს საშინელი სიძვირე, აუტანელ ლოდათ აწეს, როგორც გლეხს, ისე ქალაქის მუშაქ, ამიტომ მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსებას დიდი სარგებლობა მოაქვს მშრომელ ხალხისთვის, როგორც ქალაქში, ისე სოფელშიაც. ამის მაგალითები ჩვენ ვნახეთ. ამას მოწმობს, ისე გასაოცარი ზრდა მომხმარებელ საზოგადოებათა, რომელიც ჩვენ დავინახეთ ყველგან, სადაც კი ერთხელ მოუკიდნია ამას ფეხი...

მომხმარებელ საზოგადოების მოწყობა ყველა კოოპერატიულებზე უფრო ადვილი საქმეც არის. საჭიროა მხოლოდ, რომ საქმის მოთავეები მოხერხდებული ხალხი იყვენ, საქმის

დაწყების უნარი ქონდესთ და საქმე იცოდენ, ცოტათ თუ ბევრათ მიინც.

მოხერხებულს ჩვენში ხშირათ ისეთ ფლიდს, გაიძერა კაცს ეძახიან, რომელიც შავს თეთრათ მოგაჩვენებს, ზოგა-ტყუილებს, შეგაცდენს და საქმეში ისე ჩაგითრებს, რომ შემ-დეგში სადარდელად გაგიხდება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთ „მოხერხებულ“ ვაჯატონებზე არ მოგახსენებთ. ამ „ლირსე-ბას“ აფასებს თანამედროვე ვაჭრობა და მისთვის დაგვილო-ნია! კონპერაცია, როგორც ყოველი მართალი საქმე, არ სა-ჭიროებს ზედმეტ ქება-ღიღებას, რეკლამას და ვისიმე მოტ-ყუილებას. საჭიროა მხოლოდ ახსნა და განმარტება იმ სარ-გებლობის, რომელიც მოაქვს მომხმარებელ საზოგადოებას, მართალი და ურწმუნო ადამიანის გამხნევება და დაჯერება, შურიან და ღვარძლიან ადამიანების არიან ადამიანები, რო-მელნიც ყოველგან და ყოველთვის ახალ საქმეს წინ აღუდ-გებიან ხოლმე — თავიდან ჩამოშორება და სხვ. საქმის დაწყე-ბისა და განვითარების შემდეგ ყველა ალერგიათ შეიგნებს და მიხვთება. მომხმარებელ საზოგადოების მნიშვნელობას, მხო-ლოდ საქმის დაწყების დროს არის საჭირო საზოგადოების დაინტერესება, გაიხსენეთ როჩდელელ პიონერების ისტორია. მოანგარიშე სმისის როგორ ხუმრობა-სიცილში არწმუნებდა ფეიქრებს საქმის სარგებლობაში და ისე ინტერესებდა იმათ, რომ ხშირათ უკანასკნელ კაპიკასაც დაუზარებლათ იღებდენ ესენი საწუკრო თანხის შესახებათ.

ამ უმთხვევაშიც საჭიროა მოვიგონოთ სახელოვანი როჩ-დელის პიონერები!

განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია ქალის როლი მომხმარებელ საზოგადოებაში, ვინაიდან მამაკაცზე უფრო ხში-რათ დიასახლის აქვს საქმე მომხმარებელ საზოგადოებასთან. თუ დიასახლის მოყვრულათ მოეკიდა მომხმარებელ საზოგა-დოებას, უკანასკნელის ჩელნიერი მომავალი უზრუნველყოფი-ლია. ოჯახში საჭირო საგნებას ჭაბულებოთ ივი ჟიულობს,

მას უხთება სანოვაგისითვის სიარული სავაჭროებში, იგი უფრო შეკავშირებულია ვაჭართან. ამიტომ საჭიროა თვითონ ქალი, დიასახლისი, დაინტერესებული იყოს მომხმარებელ საზოგადოების ბედ-ილბალში, გრძნობდეს მისი უპირატესობას კერძო სავაჭროებთან შედარებით, პირდაპირ მონაწილეობას იღებდეს მომხმარებელ საზოგადოების მართვა-გამგეობაში. მომხმარებელ საზოგადოებას არ შეუძლია მოუტანოს ხალხს ის სიკეთე, რომლის მოტანა შეუძლია, თუ ამ საქმეს ქალებში არ მოკიდეს ხელით, ამბობს ერთი მწერალი ქალი*). ლითნის კონგრესზე ფუფურუსმა, საფრანგეთის მომხმარებელ საზოგადოებათა ფედერაციის ყოფილ მდივანმა, სოქვა: „,თუ დედა კაცი გულიანათ მოეკიდა მომხმარებელ საზოგადოებას, მისი აქმე წინ ჩავა, თუ გადაემტერა ან გულგრილათ დაუწყო ცქერა, მომხმარებელ საზოგადოებას ყველაზე უფრო საშინელი მტერი გაუჩნდება: ქალს ყოველთვის შეუძლია შეუჩნდეს ქმარს და საზოგადოებილან გამოიყვანოს; ხან საქონელს დაუწუნებს, ხან სიძეირეზე დაუწყებს ლაპარაკს, ერთი სიტყვით ათას მიზეზს იშვიის და ქმარიც, რომ გადარჩეს ამ გაუთავებელ შინაურ ჩხუბს, სულ გაანებებს თავს მომხმარებელ საზოგადოებასთ. ქალების გადამტერების გამო ბევრი მომხმარებელი საზოგადოება დაიღუპა**).“

ამიტომ უცხოეთში დიდ ყურადღებას აქციევნ ქალის მომხმარებელ საზოგადოებაში ჩატევას. ამ პრაკტიკულ მოსაზრებას განსაკუთრებულ ყურადღებით მოეკიდენ ინგლისში, სადაც, მოგეხსენებათ, პრაკტიკული ხალხი ცხოვრობს, და დედაკაცი ძლიერ დაინტერესეს კოოპერატიულ მოძრაობით. ამ მიზნით ინგლისში არსებობენ ქალთა განსაკუთრებული საზოგადოებანი: „ქალთა-კოოპერატიული გილდია“ (Women's co-

*) Гертруда Давидъ «Что даетъ потребит. о-во женѣ рабочаго».

**) И. Озеровъ „Общества потребителей и т. д.“ გვ. 119.

operativ Gild). ეგ საზოგადოება ლირსია იმის, რომ ცოტა შევჩერდეთ იმაზე.

საზოგადოების მიზანია: 1) გაავრცელოს ცოდნა კომპერაციისა და იმის მნიშვნელობის შესახებ და საზოგადოთ ხელი შეუწყოს კომპერაციის გავრცელებას და 2) ხელი შეუწყოს ქალის მდგომარეობის გაუმჯობესებას საზოგადოთ, უპირველესი მცნება საზოგადოებისა ის არის, რომ არავინ, გილდის წევრმა, არ ულალატოს მომხმარებელ საზოგადოებას. ყველა გილდის წევრები უნდა შედიოდენ რომელიმე კომპერატივში წევრათ, ეწეოდენ პროპაგანდას კომპერაციის მნიშვნელობის შესახებ, ერეოდენ კომპერაციის მართვა-გამგეობის საქმეში, არ უყურებდენ მომხმარებელ საზოგადოებას, როგორც უბრალო სავაჭროს, არამედ იკრიბებოდენ იქ, მართავდენ მიტინგებს, კითხულობურ ლექციებს, დგამდენ წარმოდგენებს, კონცერტებს და სხვ. გილდია პირნათლათ ასრულებს ამ გაღალ დაწილებას: სცემს წიგნებს, მართავს კრებებს, აცნობს წევრებს კომპერაციისა და ასწავლის კომპერატივში მუშაობას, ამზადებს წევრებს იმდენათ, რომ ამათ დამოუკიდებლათ შესძლონ მერე კომპერაციის იდეიის პროპაგანდა და გავრცელება. „კომპერატიული გილდია“ თანდაიან იზრდება და წევრების უმეტესობას მუშა ქალები შეადგენენ, თუმცა, ჯეა-იქ შეხვდებით სხვა წრიდან გამოსულ ქალებსაც.

„გილდის“ პირველი საზოგადოება დაარსდა 1883 წ. და შიგ 50 წევრი ითვლებოდა. 1886 წ. იმას ოცდა ხუთი განყოფილება ქონდა და შიგ 800 წევრი ითვლებოდა, ხოლო 1900 წელს „გილდის“ ქონდა 200 განყოფილება და მისი წევრთა რიცხვი 10 ათასს აღემატებოდა *).

ათი ათასი შეგნებული და გატაცებული ქალი პროპაგანტისტი კომპერაციისა!

*.) И. Озеровъ «Общества потребителей и т. д.» № 6 გვ.

ინგლისის „კომპერატიული კავშირი“ გრძნობს იმ მნი-
შენელობას, რომელსაც „გილდია“ უწევს კომპერატიულ
მოძრაობას და ყოველწლიურათ თავის მხრივ ნივთიერ დახმა-
რებას უწევს იმას. „გილდიაც“ ისე გაიზარდა, რომ იგი თა-
ვის პირდაპირ დანიშნულების გარდა გადაღის საზოგადოებრივ
ცხოვრების სხვა სფერებშიაც და ყოველგან და ყოველთვის
ხელს უწყობს დედაკაცის მდგომარეობის გაუმჯობესებას. იგი
ამაღლებს ხმას მუნიციპალიტეტში უფლების მოსაპოებლათ,
იპრეზე საფაბრიკო კანონების გაუმჯობესებისათვის და სხვ.

ინგლისის მაგალითი მისაბაძია და ვინც დაინტერესებუ-
ლია კომპერაციის ბეჭით, უნდა ცოილობდეს დაინტერე-
სებს კომპერაციით ქალებიც. განსაკუთრებით დიდი იქმნება
ჩათი როლი კომპერაციის აღორძინების პირველ ხანაში. ინ-
გლისის მაგალითი მოწმობს; რომ ამ ასპარეზზე ქალს, დიდი
საქმის გაკეთება შეუძლია, და იმ ქალებს, რომელთაც გული
შესტკივა შშრომელ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისა-
თვის, კომპერაციის ნიადაგზე ახალი სამოღვაწეო ასპარეზი
აქვთ გადაშლილი... იმ „მოხერხებულ“ ადამიანებში, რო-
მელთაც დიდი როლი შეუძლიათ ითამაშონ მომხმარებელ
კომპერაციის დარსებაში, ქალს პირველი ადგილი უჭირავს.

ყოველივე საქმის წარმატებისათვის საჭიროა ცოდნა. „არ
ცოდნა—არ ცოდვაო“, იტყვიან ხოლმე. სიცროვა! იმაზე
უფრო დიდ ცოდვის ვერ ჩაიდენს ადამიანი, როცა საზოგადო
საქმეს, მერე საქმეს, რომელშიაც დაინტერესებულია ღარიბი და
შშრომელი ხალხი, ხელს კიდებს, და არ იცის კი იმის წარმოება.
ის შეცდომები, რომელნიც ჩვენ წინაპრებს მიეტყვებოდა,
ჩვენ არ გვეპატივება, რადგანაც ჩვენ უკვე გაკაფულ გზაზე
გამოვდივართ, ჩვენთვის შესაძლებელია ვისარგებლოთ იმ ცო-
დნით, რომელსაც ჩვენ წინაც ჩებს ბეჭრი შეცდომების, ხში-
რათ საქმის გაფუჭების შემდეგაც, აძლევდა გამოცდილება. ეს
გარემოება განსაკუთრებით მტკიცეთ უნდა ახსოვდეთ კომპე-
რაციის შეშაკთ, რომ საქმის უცოდინარობით საქმე არ გაა-

ფუჭონ და მით სახელი არ გაუტეხონ კოოპერაციას და არ დაკარგონ საზოგადოებაში რწმენა კოოპერაციისადმი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ის პირნი, რომელნიც სათავეში ჩაუდგებიან კოოპერატივს — პომებარებელი საზოგადოება იქმნება იგი თუ სხვა რამე — უნდა იყვენ ცნობილი თავისი უანგარობით და ზეობრივი სიფაქიზით. ხშირათ გაუფლანგავთ ხოლმე ფული საზოგადო საქმეში, მეთაურებს“, ბევრჯელ საზოგადო მოღვაწის ნიღაბ ქვეშ უპატიოსნო პირები აღწოებინილან. ასეთი მწარე მაგალითები ძლიერ აშინებს მასსას და, რომ იგი ნდობით მოეკიტოს საქმეს, ყოველთვის უნდა ვეცადოთ საქმის სათავეში ნამდვილ პატიოსანი და უანგარო მუშაკი მოექცენ.

მომხმარებელ საზოგადოების დარსება იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ მისი მომავალი უზრუნველყოფილია. რუსეთში პირველი მომხმარებელი საზოგადოება 1865 წ. დაარსდა. მოუხედავათ ამისა, ეს ორი-სამი წელიწადია, რაც მომხმარებელი საზოგადოებანი იღებენ იქ სასურველ მიმართულებას და თვალსაჩინოთაც მრავლდებიან, თორემ წინათ სულს ძლიერ იბრუნებდენ თითო-ოროლა საზოგადოებანი, რომელთაც არც კი დაეძახება, კაცმა რომ სიქვას, კოოპერატიული საზოგადოება-განა ჩვენში კი არ ზაარსებულა ასეთი საზოგადოებანი? და-არსებულა და ახლაც არსდება აქა იქ, მაგრამ, საუბედუროთ, ფეხს ვერ იკიდებენ, ვერ მაგრდებიან. ამის მიზეზი უმთავრესათ ის არის, რომ დამარსებელნი ხშირათ ვერ იჩენდენ სა-კმაო ცოდნას, ყურადღებას არ აქცევდენ იმ პირობებს და არ ხელმძღვანელობდენ იმ კანონებით, რომელსაც აუცილებლათ უნდა ექვემდებარებოდეს კოოპერატიული საზოგადოება. კო-ოპერატიულ მოძრაობის ისტორიამ ეკროპაში შეიმუშავა რამდენიმე მცნება, რომლითაც აუცილებლათ უნდა იხელმძღვანელოს მომხმარებელ საზოგადოებამ. ეგ ის ცნობილი „როჩი-დელის პრინციპებია“ რომელიც წინათაც ბევრჯელ ვახსენეთ: 1) მორანილი და გაყიდული უნდა იქმნას ძლიერ კორუტ ღირე-

სების საქონელი; 2) ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს ნაღდზე; 3) ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს საზოგადოთ არსებულ ფასებში (მაზანდაზე); 4) მოგებილან მეტი დივიდენდი (სარგებელი) იმას უნდა მიეცეს, ვინც მეტს ივაჭრებს საზოგადოებილან და 5) ყველა წევრები თანასწორი უფლებით უნდა იყვენ აღჭურვილი.

ეს უმთავრესი სახელმძღვანელია პრინციპებია, და ის მომხმარებელი საზოგადოება, რომელიც ღალატობს ამ პრინციპებში თუნდ ერთსაც, ძირში სჭრის იმ ხეს, რომელზედაც თვითონ არის დაყრდნობილი.

ევროპის თითქმის ყველა კოოპერატივები, როგორც წინათ დავინახეთ, ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ.

სანამ ამ პრინციპების კერძოთ განხილვაში შევიდოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ: როგორ წრეში უფრო იხეირებს შომხმარებელი საზოგადოება, საზოგადოების რომელ ნაწილში უნდა ვეცავოთ წევრების შეძენას?

მომხმარებელი საზოგადოება მდიდარ ხალხს — არის ტრაქიატიასა და ბურუუაზიას — რა თქმა უნდა, არაფრათ ესაჭიროება. ამათ ძვირფასებშიაც შევძლიათ იყიდონ საქონელი, ძვირათ კარგი ღირსების საქონელსაც იშოვიან. ამიტომ ესენი მომხმარებელ საზოგადოებისათვის დაკარგულები არიან. შეიძლება ვინმემ იფიქროს: ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი შეძლებული პირები ჩავწეროთ წევრათ საზოგადოებაში, ამით ჩვენ გავადიდებთ საწარმოებ თანხას და, რა გვენალვლება, თუ სურთ, ეგ მდიდარი წევრები ნუ ივაჭრებენ ჩვენთან. მარტო მშრომელ ხალხს, რომ ჩავკირკიტდეთ, რა გამოვა: „ყვავს არ ქონდა, ბუს გაქონდა“... შემცარია ასეთი აზრი. მომხმარებელი ამხანაგობის სიძლიერე იმაში გამოიხატება, რომ ყველა წევრებმა იქ უნდა ივაჭრონ: იგი მყიდველების რიცხვით უზრუნველყოფილია. გარდა ამისა, ღარიბი კაცი პაჭია მოგებითაც, პატარა შელავათითაც, იმდენათ დარწმუნებულია, რომ იგი გულით მოკიდება მომხმარე-

ბელ საზოგადოებას და მომხმარებელ საზოგადოების წაგება
და მოგება მისთვის ერთი და იგივე არ იქნება. მდიდარი წევ-
რი კი ასე არ უყურებს საქმის ვითარებას. მომხმარებელ სა-
ზოგადოების მოგება, ის შეღავათი, რომელსაც იგი იძლევა,
იძლენათ წვრილმანია მდიდარ წევრისათვის, რომ ის არავი-
თარ უურადღებას არ აქცევს ამას. იგი თუ ეწერება წევრათ
უფრო ქველმოქმედების მიზნით, ეწერება „ხათრისთვის“ და
ამიტომ, რაკი გადაიხდის საწევრო ფულს, მერე „ყოველივე
ფეხებზე კიდია“, მისი მოვალეობა მან შეასრულა. მომხმარე-
ბელ საზოგადოებამ კი ანგარიში უნდა გაუწიოს ასევა წევ-
რებს, განსაკუთრებით როცა გამგეობაშიც გადიან ამათი წარ-
მომადგენლები; უნდა გამოიწეროს მათი გემოვნების და მოთ-
ხოვნილების დასაკმაყოფილებელი საქონელი და დააწყოს სა-
ვაჭროებში, აყვესი მათ სურვილებს, ხშირათ სრულიად უმნი-
შნელოსა და უსაფუძვლოს, და სხვ. ხარკოვის მომხმარებელ
საზოგადოებაშიო, მაგალითათ, ამბობს პროფ. ოზეროვი, ასეთ
წევრებმა საქმე გაუჭირვეს მომხმარებელ საზოგადოების გამგე-
ობას: ამა და ამ ნოქარმა თავი არ დაგვიკრა, ამან და ამან
ხმა ამაღლებით დაგვიწყო ლაპარაკიო და სხვ. პეტერბურგის
ერთ მომხმარებელ საზოგადოებაში კი ცირკულიარი იუწყე-
ბოდა, რომ იყიდება ინგლისის მუხუდო, პირველ ხარისხის
სოკო, გირვანქა—მანეთ, შვეიცარიული მსხალი, თითო—
ხუთ შაურათ, და სხვ. მერე, ამ „შვეიცარიულ მსხალს“ არც
მდიდრები ყიდულობდა მომხმარებელ საზოგადოებისან და
ლარიბები ხომ მით უმეტეს, და სავაჭროს მუშტარიც არ ყავ
და *). როცა მომხმარებელ საზოგადოების უმრავლესობას
ხელმოკლე ხალხი შეადგენს, საქონელიც მათ გემოვნებაზეა
გამოწერილი, ისინიც დაინტერესებული არიან: საამხანაგო
სავაჭროს ბედილბალით, მუდამ იქ ყიდულობენ საქონელს
და საქმეც კარგათ მიდის.

ეს იმას არ ჩიშნავს, რა თქმა უნდა, რომ მომხმარებელ საზოგადოებაში მდირები სრულიად არ უნდა მიიღონ; ეს შეოლოდ იმის მაჩვენებელთა, თუ რომელ წერეში უფრო უნდა ვეძებდეთ წევრებს და სად უფრო იხეირებს მომხმარებელი საზოგადოება. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მომხმარებელ საზოგადოების ძალას საწარმოვთ თანხა კი არ შეადგენს, არამედ შეიძველთა განსაზღვრული რიცხვით უსრუნველეობა და საქმის ხალისიანათ წაყვანა:

თუ ჩვენ იმ აზრს დავადგებით, რომ მომხმარებელ საზოგადოების ნიადაგი მშრომელ ხალხში უნდა ვეძიოთ, ცხადია, ვერც საწევრო ფულს, პაის, გავადიდებთ: რამდენათ ძვირი იქმნება პაი, იმდენათ ნაკლები წევრი გვეყოლება; ამიტომ პარ ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს: საზოგადოთ შემოლებულია უმეტეს კონცერტივებში, რომ ნაწილს პაისას იხილან წევრათ ჩაწერის დროს, დანარჩენს ნაწილ ნაწილათ რამ დენიმე თვის განმავლობაში. გარდა პაისა არსებობს ერთ დროული საწევრო გადასახადი, რომელსაც წევრი იხთოს ერთბაშათ საზოგადოებაში ჩაწერის დროს. ერთ დროული საწევრო გადასახადი ყველასათვის ერთია, პაის კი ვისაც რამდენი სურს, იმდენს ჟეიდენს. მაგრამ მომხმარებელ საზოგადოებათა დემოკრატიული პრინციპი მოითხოვს, რომ რამდენი პაიც უნდა ქონდეს წევრს, ერთი ხმის უფლების მეტით იგი ვერ ისარეგებლებს. მეტ პაიზე იმას მიეცემა განსაზღვრული სარგებლი.

ამით კონცერტიული საზოგადოება განიჩევა აქციონერულ საზოგადოებიდან, სადაც მეტი პაის მჭონე აქციონერს, შეტი ხმის უფლებაც აქვს. ეს ადვალი წარმოსალგენიც არის: აქციონერულ ამხანაგობაში დიდი მნიშვნელობა აქვს კაპიტალს; აქ ყიდულობენ აქციებს მოგებისათვის; ამიტომ ვისაც შეტი აქციები (პაიები) აქვს შეჯენილი, იგი მეტი მოგებას მოელის ამხანაგობიდან, უფრო დანტერესებულია მისი მდგრადებით; ამასთანავე იგი, როგორც ამხანაგობის უმთავრესი ბურჯი (საწარმოვთ თანხაში მას დიჭი ნაწილი ეკუთვნის), შეტი გავლენითაც სარგებლობს.

კონცერატიულ ამხანაგობაში კი ძალა, მომხმარებელთ
წარმოადგენს და საქმის ვითარებაში, ერთნაირათ თუ არა,
ღარიბი უფრო დაინტერესებულია; ამიტომ ხმის უფლებითაც
საქმის გადაწყვეტაში ერთისა და ათი პას პატრონი, ყველა
ერთნაირათ უნდა სარგებლობდეს.

საზოგადოთ შევრი პას ერთი კაცის ხელში თავის მოყრა
არ არის შაინცა და მაინც სასურველი. ეს ძალაუნებლივ აყე-
ნებს საზოგადოებას ამ კაცის, ან ამისთანა კაცის, გავლე-
ნის ქვეშ. რა ხმის თანასწორობაც არ უნდა გამოაცხადოთ,
საზოგადოებას არ შეუძლია განსაუზრუნებული ანგარიში არ
გაუწიოს იმ პირთ, რომელითაც ბევრი პაი აქვთ შეძენილი:
ერთი უბრალო მიზეზი, ერთი უინის მოკვლის სურვილი, და
ასეთი პირი მოითხოვს უეკრათ განაიაგისუფლებულ იქმნას.
წევრობიდან და დაუბრუნონ მისი საწევრო (საპაიო) ფულის
ამნაირათ იგი ერთბაშათ შეარყევს საზოგადოების მდგომარეო-
ბას.

კონცერატიული საზოგადოებანი უმეტეს შემთხვევაში პო-
რობას უდებენ წევრებს, რომ წევრი დღიდან განცხადებისა
წევრობის თავის განებების შესახებ, თუმცა წევრათ აღარ ჩა-
ითვლება, მაგრამ განსაზღვრულ ჰადის განმავლობაში (ექვსი
თვიდან ერთ წლამდის) საწევრო ფულს უკან ვერ მიიღებს.
ამით ხერხდება ერთგვარი გარანტია, რომ საზოგადოება წევ-
რების საზოგადოებიდან გამოსვლის გამო უცებ უხერხულ
ძლიერებისა რებისაში არ ჩაგრდეს; განსაზღვრულ ვადის განმავ-
ლობაში კი საზოგადოებას მიემატება ახალი წევრები, ან
ფულს იშვების იგი სასესხებლათ და ისე გადურჩება ერთნაირ
კრიზისს. მაგრამ, როცა საზოგადოებაში ბევრი წევრი არის,
რამდენიმე პაიანი, რამდენიმე ასეთ წევრის ერთბაშათ გასვლა.
საზოგადოებიდან კისერს მოტებს საზოგადოებას.

ზოგი საზოგადოება, საქმის დაწყებისთანავე სესხულობს.
ფულს საწარმოვთ თანხის გასადიდებლათ. არც ეგ ჩვეულება.
არის მოსაწონი. როცა საზოგადოება ფულს სესხულობს და

ნასესხებ ფულით იძენს საქონელს, ცხადია იგი იაფ ფასებში ვერ გაყიდის იმას. ნასესხები ფული სარგებელს თხოულობს, ამას გადახდა უნდა — ეს კი ზედმეტი ხარჯია. ვისგან უნდა ისესხოს ფული მომხმარებელ საზოგადოებაში? მდიდრიდან, ხშირათ მევახშიდან. ისეთი დაწესებულებანი ჯერ კიდევ არ არსებობენ, განსაკუთრებით ჩვენში, რომ უსარგებლოთ ასეს. ხონ ფული კოოპერატიულ საზოგადოებას ან ცოტა სარგებელი გადაახდევინონ. მაშასადამე ნასესხებ ფულში ღიღი სარგებელი უნდა გადავიხადოთ, ხოლო ეს სარგებელი იმავე საქონელს უნდა შევაწეროთ, რომელიც ჩვენ გვინდა იაფათ მივაწოდოთ მომხმარებელს!

ნასესხებ ფულით საქმის ფართეთ დაწყებას სჯობს საქმე პატარიდან დავიწყოთ. „როჩდელის პიონერებს“ მხოლოდ შაქარი და ერთი ტომარა ფქვილი ეწყოთ სავაჭროში, მათი მოადგილებს კი დღეს მილიონის საქონელი უწყვიათ უზარ-მაზარ კოშკივით აღმართულ სავაჭროებში!..

მომხმარებელი საზოგადოება ვერც თვითონ ისესხებს, გან-შაკუთრებით აღმოჩინების პირველ ხანაში, და მით უფრო ვერც გაასესხებს, ე. ი. საქონელს ნისიათ ვერ გასცემს.

მომხმარებელ საზოგადოებაში ვაჭრობა უნდა სწარმოებულებად იქ ნისიათ ვაჭრობა აღიკრძალოს.

ხშირათ ამბობენ: თუ მომხმარებელი საზოგადოება მშრო-მელ ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ არსებობს, ტოგორ შეიძლება იქ ნისიათ ვაჭრობა აღიკრძალოს.

მაგრამ, განა მარტო ის აწუხებს ხელმოკლე კაცს, რომ ნისიათ ვერ შოულობს საქონელს? პირიქით, მისი დამღუბვე-ლი სწორეთ ნისიათ ვაჭრობა — არის. მეწვრილმანე ვაჭარი, რომელიც კრედიტს უხსნის მუშას, თან და თან აჯდება იმას ჭისერში ისე, რომ ბოლოს უკანასკნელი სჩულიად ვეღარ იხსნის თავს ამ მეწვრილმანისაგან და მისი მეხარკეთ ხოება. ნისიათ ვაჭრობა მუშას გადააჩვენს მომჭირნეობას, ანგარიშით ცხოვრებას, რადგან ნისის წყალობით ხშირად იმაზე მეტი

მიაქვს იმას, რისი ატანაც შეუძლია, და თანდათან ეფლება ვალში. ოვითონ მომხმარებელი საზოგადოება კი, როცა ნისიათ ვაჭრობს, კარგავს ბევრ საწარმოვო თანხას, რომელიც იმ ხნის განმავლობაში, სანაი მოვალე შემოიტანდეს, რამდენჯერმე დატრიალდება საქმეში. ის საზოგადოებანი, სადაც ნისიათ ვაჭრობა სწარმოებს, იძულებული არიან ფული ისესხონ და უმეტეს ნაწილათ ნასესხებ ფულით აწარმოვონ საქმე-მერე რამდენი ნისია დაიკარგება? ნისიათ საქონლის გაცემაშ ბევრი მომხმარებელი საზოგადოება დაღუპა, როგორც როჩი-დელის პრენცეპზე აგებულ საზოგადოებათა დაარსებამდე-ისე შემდეგაც. ის საზოგადოებანი, რომელიც გვერდს უვ-ლიან როჩიდელ პიონერების ამ ანდერძს, სასტიკათ ისჯებიან ცხოვრებაში. სხვათა შორის, ნისიათ ვაჭრობა იყო უმთავრე-სი მიზეზი, რომელმაც უკანასკნელ ხანებში დააჭვეითა და გა-კოტრების კარამდე მიიყვანა პეტერბურგის დიდი კომპერა-ტივი „მშრომელთა კავშირი“.

არის საშეალება, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ხელი შე-უწყოთ ხელმოკლე კაცს, მაგალითათ მუშას ჯამაგირის აღ-ბამდე, არ მოკვდეს შიშილით და მომხმარებელ საზოგადოე-ბით ისარგებლოს. ამისთვის საჭიროა, მომხმარებელ საზოგა-დოებასთან დავაარსოთ შემნახველ-გამსესხებელი კასა. იქიდან უნდა ვისესხოთ ფული, მომხმარებელ საზოგადოებიდან კი ნაღდზე ვივაჭროთ.

მომხმარებელ საზოგადოებამ უნდა ივაჭროს არსებულ ფასებში, მაზანდაზე. მომხმარებელი საზოგადოება, რაც უნდა იყოს, ამ დროის დაწესებულებაა, იმას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს არსებულ პირობებს და იქ, სადაც ირგვლივ ზედმეტ ფასებში იყიდება საქონელი, იმან იაფათ გაყიდოს იგი. ასეთი კონკურენციის გაწევა შეუძლია ისეთ დაწესებუ-ლებას, რომელსაც დიდი თანხა აქვს და პატარა ზარალიც. რომ ნახოს, ამას არ შეუშინდება. კონკურენცივებს კი, განსა-კუთრებით ოლორძინების პირველ ხანაში, ასეთი კონკურენ-

ციის გაწევა ფაქტების დაკლებით არ შეუძლიათ, რადგან პატა-
რა ზარალსაც შეუძლია ძლიერ დაშინოს წევრები. ღონიერ
კომპერატიულ საზოგადოებებს შეუძლიათ ზოგიერთ საქონ-
ლის მაზანდაზე უფრო გაიაფება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში
დიდის სიფრთხილით უნდა გადადგან ასეთი ნაბიჯი. სიაფით
კი არ უნდა მივიზიდოთ წევრებით, ამბობდა მთელი რუსეთის
კომპერატივების წარმომადგენელთა პირები კრებაზე ვ. ნ.
ზელგეში, არამედ კომპერატიის მნიშვნელობის შეგნების
განვითარებითო, და მართლაც, ვინც დარწმუნებულია, რომ
კომპერატივში, როგორც საზოგადო დაწესებულებაში, იმას
არ მოაწყობებენ წინაში სანოვაგის ლირსებაში, ზომაში
და სხვ., იგი პაზანდაზედაც ვაჭრობას არ შეუშინდება იქ,
მით უფრო რომ, ყოფილნება, თუ კომპერატივმა ასეთი ვაჭ-
რობით მოგება ნახა, იმას წილი უდევს ამ მოგებაში და, ამ-
ნაირათ, გადახდილ ფასის ნაწილს სარგებლის, დივიდენდის,
სახით უკან იბრუნებს.

არსებულ ფასებში, მაზანდაზე, ვაჭრობა იმასაც არ ნიშ-
ნავს, რომ ეს მაზანდა მეწვრილმანე, ჩირჩ, ვაჭრებში უნდა
ვეძიოთ, სადაც ხშირათ $100 - 200\%$ და მეტს იგებენ საქო-
ნელში. ეს მაზანდა უნდა იყოს ზომიერი. ჩვენ უნდა გავი-
თვალისწინოთ კარგით აუცილებელი ხარჯები და მერე ამის
მიხდეით; მივიღოთ მხედველობაში ცოტაიადენი მოგებაც და
ფასები ისე გავიწეროთ საქონელს. პეტერბურგის ცნობილ
კომპერატივმა „მშრომელთა კავშირმა“: 1907 წ. საშინელი
კონკურენცია გაუწია მეფურნეებს და + კაპიკის მაგიერ გირ-
ვანქა ჰურის ფასი 3 კაპიკამდის ჩამოიყვანა. მაგრამ იგი სა-
ქონელში 6—7%, იგებდა მაშინ, როცა სხვადასხვა ხარჯებში
და ქირებში საშუალო რიცხვით 11% , ეხარჯებოდა.*) ასეთმა
ვაჭრობამ „მშრომელთა კავშირს“ მხოლოდ ზარალი მო-
უტანა, იგი წელში გატყდა და მერე აღარც წამოწეულა.

*) М., Слобожанинъ „Смотръ кооперативныхъ сидамъ“ 38 გვ.

მოგებას მომხმარებელი საზოგადოება უნდა ანაწილებდეს იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენს ივაჭრებს აქ: ვისაც მეტი წავაჭრი აღმოაჩნდება, იმას მეტი სარგებლობა მოუტანია საზოგადოებისათვის, ამიტომ სარგებელიც იმას მეტი ერგება; ვისაც ცოტა უვაჭრია — იგი ნაკლებ სარგებელს მიიღებს. გარდა იმისა, რომ სარგებლის ასეთი განაწილება დააინტერესებს წევრებს და ყველა ჟურნალის მხოლოდ მომხმარებელ საზოგადოებაში იყიდოს, ასეთი ვანაწილება სამართლიანიც არის. თუ წევრი სექონდის მომხმარებელ საზოგადოებიდან ყიდვის დროს მეტს იხთიდა, იგი ახლა დივიდენდის სახით უკან დაიბრუნებს ზედმეტ გატახდილ ფულს. საქმე იმაშია მხოლოდ, რომ მომხმარებელ საზოგადოებაში ვაჭრობენ ბევრი არა წევრებიც: მიეცემა იმათ ნავაჭრზე რაიმე დივიდენდი, თუ არა? ამ საკითხმა სხვათა შორის კამათი გამოიწვია რუსთის კონპერატივების წარმომადგენელთა პირველ კრებაზედაც. კრება იმ დასკვნაზე მიეკიდა, რომ არა წევრებს დივიდენდი არ მიუცემა, მაგრამ მათი ხვედრი დივიდენდი არც წევრებში უნდა იქმნას განაწილებული. ეს რაიმე საზოგადო ხასიათის საქმეს უნდა მოხმარდეს. დიდ კონპერატივებში შესაძლებელია გაეხსნას არა წევრებს ანგარიში, აგროვონ მათ სახელზე ხვედრი დივიდენდი და, რომაც იგი მოგროვდება იმდენი, რომ შესაძლებელი იქნება პაის ყიდვა, იყიდოს პაიდა წევრათ ჩასწერონ არა წევრი.

პაიზე წევრებს არ ეძლევათ დივიდენდი; ისინი პაიზე იღებენ განსაზღვრულ პროცენტს, რომელიც ჩვეულებრივ განკის პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

ჩვენ განვიხილეთ ის: უმთავრესი მუხლები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მომხმარებელ საზოგადოებაში. მომხმარებელ საზოგადოებას უნდა ქონდეს წესება, სადაც ნაწევრები უნდა იყოს: მიზანი საზოგადოებისა წევრათ ჩაწერის პირობები, წევრის უფლებები, გამგეობის მოვალეობა, უფლება საზოგადო კრებისა და სხვ. ასეთ წესდებას ჩვეულებრივ

უათ შეიმუშავებენ ხოლმე წევრები—დამაარსებელნი საზოგადოებისა და მერე წარუდგენენ მთავრობას დასამტკიცებლათ. თუ წესდება საზოგადოებისა არ განსხვავდება ნორმალურ წესდებისაგან *), თხოვნა იმის დამტკიცების შესახებ მიეცემა ადგილობრივ გუბერნატორს, რომელსაც უფლება აქვს დაამტკიცოს იგი. თუ წესდება ბევრით განსხვავდება ნორმალურ წესდებისაგან, თხოვნა დაიწერება შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე და მიეცემა გუბერნატორს მისთვის წასარდგენათ. თხოვნაზე პირველ და მეორე შემახვევაშიც ხელს უნდა აწერდენ ყველა დამაარსებელნი, სულ ერთია რამდენიც უნდა იყვენ. თხოვნასთან ერთათ წარედგინება წესდების პროექტის ორი კალი, რომელთაგან ერთზე დაეწერება: „Копія“ (პირი); თხოვნაზე ორი. 75 კაპ. მარკა უნდა იყოს დაკრული. გარდა ამისა წესდების და იმის პირის ყოველ ფურცელზედაც თითო 75 კ. მარკა უნდა დაეკრას..

წესდების დამტკიცების შემდეგ საზოგადოებას შეუძლია ამოირჩიოს გამგეობა, გახსნას სავაჭრო და სხვ. მომხმარებელი საზოგადოების სავაჭროები ექვემდებარებიან ჩვეულებრივ სავაჭრო კანონებს; მხოლოდ საზოგადოებანი სადაც 10 ათას მანეთზე ნაკლებია ძირითადი თანხა (პირ და ერთდროული გადასახადი), განთავისუფლებული არიან სახაზინო გადასახადისაგან **) და ამათ შეუძლიათ გამოიტანონ ხაზინიდან უფასო სავაჭრო ბილეთი (მაგრამ, თუ ასეთ სავაჭროებში ყიდიან თუ-თუნს, არაუს და სხვ., ამისათვის კალკე ფასიანი პატენტის გამოტანაა საჭირო).

მაგრამ საქმის დაწყების წინ ყოველთვის საჭიროა ვამთანგარიშება: არის დრო სავაჭროს გახსნის თუ არა; წევრების

*) ნორმალურ წესდების გამოწერა შეიძლება ქ. მოსკოვიდან ამ დრესით: Москва. Союзъ потребительныхъ Обществъ, Сухаревая-Садовая, д. № 269.

**) „Положение о Государств. промысл. налогѣ, Высочайше утвержденное 8 Июня 1898 г.;“ I гл., ст. 10.

რიცხვი და შეგროვილი თანხა საქმის დაწყებისათვის, თუ არა; თუ საქმე საექვოა, სჯობს დავიცადოთ, თანხა გაფა-
დიდოთ, წევრები კიდევ შევიძინოთ და აჩქარებით საქმე არ
გავაფუჭოთ. ამისათვის საჭიროა შემდეგი გამოანგარიშება;
რომელიც გამოცილ პირების აზრით, თავდები იქნება იმის,
რომ მომხმარებელ საზოგადოებამ უნდა იხეიროს.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რამ-
დენ საქონელს იყიდის წლის განმავლობაში შუათანა ოჯახის
პატრონი წევრი ჩვენი მომხმარებელ საზოგადოებიდან სიტრთ-
ხილისათვის ჩვენ ნაკლები უნდა ვიანგარიშოთ — ასე $\frac{3}{4}$ იმის,
რაც ჩვენს აზრით დასჭირდება თითოეულ წევრს. ეს უნდა
გავამრავლოთ წევრების რიცხვზე და ჩვენ დაახლოებით გვე-
ცოდინება, თუ რამდენი ფული უნდა დაბრუნდეს წლიურათ
ჩვენს სავაჭროში. ავიღოთ მაგალითი. ვსოდეთ, ჩვენ გვუავს
100 წევრი; თითოეული იმათგანი შუათანა რიცხვით იყიდის
წელიწადში 50 მან. სხვადასხვა საქონელს ჩვენს სავაჭროში.
ცხადია, სავაჭრომ რომ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება;
იქ ხუთი ათასი მანეთი მაინც უნდა დატრიალდეს.

საწევრო გადასახადი (პაი) კი, ვსოდეთ, ათი მანეთია და
საქმის დაწყებისას სულ ათასი ვანეთი მოვაგროვეთ (100 წევ-
რიდან). ამ ათას მანეთიდანაც 100 მანეთამდის სავაჭროს მო-
საწყობათ უნდა გამოვიდეთ: დაგვჭირდება დახლის გაკეთება,
სასწორის ყიდვა, თაროების გაკეთება და სხვ. დაგვრჩება 900 მ.
რალს გვიშველის ეს ფული, თუ აუცილებელი მოთხოვნილე-
ბა ხუთი ათას მანეთამდის ადრს? გამოცილი პირები ამბობენ,
თუ ვაჭრობა ნაღდზე სწარმოებს (მომხმარებელ საზოგადოე-
ბაში კი ხომ ნაღდზე უნდა სწარმოებდეს ვაჭრობა), ძირითადი
თანხა 7—15-ჯერ დატრიალდება წლის განმავლობაში. მა-
შასადამე, ჩვენც თამამათ შეგვიძლია ვსოდეთ, რომ ჩვენი
900 მან. ათჯერ მაინც დატრიალდება წლის განმავლობაში,
ე. ი. ჩვენი სავაჭროში ერთ წელიწადში ცხრა ათასი მანეთი
გამოივლის. ჩვენ კი აუცილებლათ 5 ათასი მან. გვჭირია.

ახლა საჭიროა ვიცოდეთ: მართლა რომ წევრების მეტმა არა ვინ ივაჭროს ჩვენი საზოგადოებიდან და ტ000 მან. საქონლის მეტი არ დატრიალდეს ჩვენ სავაჭროში, დაგვიტოვებს ეს რა იმე მოგებას, თუ არა? ვაი, თუ ხარჯიც ვერ დავფაროთ? გამოანგარიშებულია, რომ, როცა ვაკარი ერთბაშათ, ნარდათ, ყიდულობს საქონელს და მერე წვრილ-წვრილათ ზომიერ ფასებში ყიდის, იგი იგებს 11-15%. თუ ჩვენ 5 ათას მანეთის საქონელი ვიყიდეთ (მომხმარებელი საზოგადოებაც ხომ ნარდათ იყიდის საქონელს) და მერე ნაწილ-ნაწილათ გავყიდეთ მოვიგებთ წლიურათ, საშუალო რიცხვით რომ 12% ვიანგარიშოთ, 600 მანეთს. ეს ჩვენი უკანასკნელი შემოსავალია. მყრე, განა შესაძლებელია, რომ მომხმარებელ საზოგადოებაში, თუ ის თავის დანიშნულებას პირნათლათ ემსახურება, გარეშე პირებმა არ ივაჭრონ? რაც ამ სახით გაიყიდება, ის მეტი მოგება იქნება საზოგადოებისათვის. თუ ჩვენს აუცილებელ ხარჯებს, ე. ი. სახლის ქირას, ნოქტების ჯამაგირს, განათებას, გათბობას და სხვ., ეს ნავარაუდევი 600 მან. უკვე ფარავს, თამამათ შეგვიძლია სავაჭრო გავხსნათ, სრულიად დაიმედებული, რომ საქმე საფუძვლიანათ არის დაწყებული და სწორ გზაზე დგას... იმის მომავალი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენ ერთგულობას გამოიჩენ წევრები მომხმარებელ საზოგადოებისადმი და რამდენათ იხელმძღვანელებენ საქმის მეთაურნი იმ გაკვეთილებით, რომელსაც გამოცილება იძლევა და რომელსაც ჩვენ ვრცლათ შევეხოთ.

ბ) მწარმოებელი ამხანაგობანი.

მომხმარებელი საზოგადოება, როგორც დავინახეთ, იბრძვის სავაჭრო კაპიტალის წინააღმდეგ, რომლის როლი საქონლის მომხმარებელთა შორის განაწილების საქმეში. ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს; მომხმარებელ საზოგადოების მიზანია—სრულიად განდევნოს კაპიტალისტი საქონლებს

მომხმარებელთა შორის განაწილების საქმიდან, ე. ფ. მისი, მიზანია ბოლო მოუღოს თანამეტროვე ვაჭრობას.

მაგრამ კაპიტალის როლი და მისი დევიზი „რაც შეიძლება მეტი მოგების მოპოება“ მარტო საქონლის განაწილების საქმეში, მარტო ვაჭრობით, არ განისაზღვრება. მსხვილი კაპიტალისტი უფრო ხშირად მწარმოებლის, გექარხნის, როლში გამოდის როლშე და ცითლობს აქ, თვით საქონლის შექმნის პროცესში, ისრგებლოს თავის მიზნის მისაღწევათ. იმან იცის, რომ დღევანდელ წარმოებაში უმთავრესი როლი კაპიტალს უკირავს, დღევანდელი წარმოების მამოძრავებელი ძალა საწარმოვო იარაღები—მანქანა არის, რომლის შეძენა მარტო კაპიტალის მქონეს შეუძლია. ამიტომ იქნ იძენს საწარმოვო იარაღებს, ყიდულობს ნედლ მასალას, ქირაობს აუარებელ მუშას და ამუშავებს იმათ, გატაცებული მარტოთ მარტო საკუთარის ინტერესებით, მოჯადოებული ერთათ-ერთში სურვეილით, რაც შეიძლება მეტი მოიგოს. ასეთი სურვეილი ბადებს შრომის უმოწყალო ექსპლოატაციას, იწვევს ანბრექიას წარმოებაში და ვაჭრობაზე არა ნაკლები არეულობა შეაქვს. საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობაში.

ამიტომ, როგორც იქ, ვაჭრობაში, კაპიტალისტის წინააღმდეგ გამოდის მომხმარებელი საზოგადოება და უნდა იმრს როლი იკისროს, ისე აქ, წარმოებაში, კაპიტალისტის ადგილზე გამოდის მწარმოებელი ამხანაგობა, კისრულობს კაპიტალისტის როლს და მისწრაფის, რომ კაპიტალისტს წარმოების ასპარეზიც დააცლევინოს.

* * * მწარმოებელი ამხანაგობა წარმოადგენს თავისუფალ კავშირის, რომელშიაც შედის რამდენიმე აღამიანი ან მთელი საზოგადოება, იმ მიზნით, რომ იმუშაონ შეერთებულის ძალით და საკუთარის იარაღით, დამოუკიდებლათ, მექარხნის თუ მექამულის გაყველეთდან თავი დაახშიონ და სარგებელი ერთ-მანეთში გაინაწილონ. ამნაირათ, თუ მომხმარებელი საზოგადოება მხოლოდ დახმარებას უწევს წევრს უფრო. კარგათ იცა

ნოვროს, მწარმოებელი ამხანაგობა წარმოაღენს წევრისათვის ცხოვრების მთელ საღსაჩს. მომხმარებელ ამხანაგობის წევრი სხვაგან მუშაობს, მისი ცხოვრების საღსაჩი სხვა დაწესებულებაში მუშაობაა და იქ აღებული სამუშაო ქირა; მხოლოდ შემთხვევით შეიძლება იგი მოყვეს მომხმარებელ ამხანაგობის მომუშავეთა რიცხვში; მწარმოებელ ამხანაგობის წევრშა კი უსათუოთ ამხანაგობაში უნდა იმუშაოს. მწარმოებელ ამხანაგობის ვითარებაზე დამკიდებული მისი ბედი და იღბალი; მომხმარებელ ამხანაგობას აარსებენ წევრები იმ თანხრთ, რომელიც მაინც მიდის მათი ჯიბიდან ვაჭართან; მწარმოებელ ამხანაგობისთვის კი განსაკუთრებული თანხა უნდა გამოიქმნონ დამფუძნებლებმა...

ამიტომ, რამდენათ ადვილია მომხმარებელ საზოგადოების დარსება, იმდენათ საძნელო არის მწარმოებელ ამხანაგობის საფუძვლის ჩაყრა. დავიწყოთ იქიდან, რომ მწარმოებელ ამხანაგობას საქმის დაწყებისათვის სჭირია კაპიტალი: საჭიროა ნედლი მასალის შეძენა, საწარმოვო იარაღების ყიდვა, საღვომის მოპოება და სხვ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მწარმოებელ ამხანაგობაში წევრათ ეწერებიან თითქმის სულ მუშები, ადვილი წარმოსადევნია, რომ ისინი საკმაო კაპიტალს ურთიერთ შორის ვერ შეაგროვებენ. საჭიროა მრავალონ კრედიტი, ისესხონ ფული.

პირველ დაბრკოლებას აქ განიცილის მწარმოებელი ამხანაგობა. არამცთუ კოოპერატიული საზოგადოებანი, რომელიც შედარებით ახალი მოვლენაა, თვით კაპიტალისტური წარმოებანი ვერ პოულობენ ხშირათ კრედიტს აღორძინების პირველ ხანაში. კრედიტი დამოკიდებულია ნდობაზე და სანამ საქმეს ფეხი კარგათ არ მოუდგამს, ნდობას, რასაკვირველია, იმდეს ვერავინ გამოიუცხადებს. განსაკუთრებით არ ენდობიან კაპიტალისტები, და ვერც ენდობიან, კოოპერატიულ ამხანაგობას. როცა აქციონერული საზოგადოება არსდება, იმისთვისაც ძნელია პირველ ხანებში კრედიტის შოვნა, მაგრამ იქ მაინც

ფინანსიურ სფეროში ცნობილი პირები ტრიალებენ, თუ ახალ საქმეს ვერ ენდობიან ბანკირები, იმის მოთავეების გამოცთოლებისა და კომერციული უნარის იმედი აქვთ; ესეც არ იყოს, იქ ქონების პატრონ ხალხს ხედავენ და ესეც ერთნაირი გარანტია არის ბანკირისათვის. მწარმოებელ ამხანაგობაში კი არც ქონების პატრონები მოიპოვთა, არც ფინანსიურ სფეროში ცნობილი პირები. რა თქმა უნდა, პირველ ხანებში მწარმოებელი ამხანაგობანი ვერავითარ კრედიტს ვერ იშოვიან და თუ იშოვეს, ძლიერ ცლდ პირობებში. და ცუდ პირობებში დიდი თანხის ვალათ აღება კი ძლიერ აბრკოლებს საქმეს მომავალში.

მაგრამ, ვსთქვათ, მწარმოებელ საზოგადოებაშ იშოვა კანიტალი საქმის დასაწყებათ; ახლა მაინც თუ შესძლებს მწარმოებელი ამხანაგობა დასძლიოს კაპიტალისტურ წარმოებას. დღევანდველ დროში წარმოების ვითარება ასეთია: ვინც მეტს საქონელს, დაამზადებს და გაყიდის, იგი მეტ მოგებას ნახავს. ამ ნიაუგზე არის ამტყდარი საშინელი უსისხლოւ ომი, კონკურენცია. ყველა გატაცებულია ზედმეტ საქონლის დამზადებით, ყველა ერთი მეორის დაუკითხვათ ამზადებს საქონელს, რაც შეუძლია იმდენს, არავინ ყურადღებას არ აქცევს. ბაზრის, მოთხოვნილების, მდგომარეობას და შედეგათ ის და მოყვება ასეთ გარემოებას, რომ ბაზარი აივება ხოლმე დამზადებულ საქონლით, მყიდველი კი არსაიდან მოჩანს. დება კრიზისი. ამ კრიზისებს მხოლოდ ის წარმოებანი გადაუჩემდიან, რომელთაც შეუძლიათ აიტანონ დიდი ზარალი, ცხადია, ამ ბედნიერთა რიცხვში ვერ მოყვება კომპერატიული ამხანაგობა, რომელიც მხოლოდ ნასესხებ ფულით იწყებს საქმეს. ასეთ შემთხვევებში კომპერატიული საზოგადოებანი კოტრდებიან წირილ კაპიტალისტებთან ერთათ;

გარდა ამისა, არ უნდა დავიწიწყოთ ერთი გარემოებაც, რომელიც კონკურენციაში მწარმოებელ ამხანაგობას კაპიტალისტურ წარმოებაზე უკან აუკნებს. როცა კაპიტალისტი ხე-

დავს, რომ ბაზარი გაიცსო ნაწარმოებით, იწყებს მუშაობას წარმოების სხვა დარგში, ან ამოქლებს ხარჯებს: უკლებს მუშებს სამუშაო ქირას, ზოგს აღგილიდანაც ითხოვს და სხვ. წარმოებელი ამხანაგობა კი ხშირათ, რომ წევრებს დახმარება აღმოუჩინოს; იწყებს მუშაობას სწორეთ იმ დროს; როცა საზოგადი კრიზისია და ხშირათ სწორეთ წარმოების იმ დარღვევიაც, რომლის ნაწარმოებით ბაზარი გადავსებულია და კაპიტალისტი-მწარმოებლები კრიზისის შიშით ლოკატებს აცხადებენ: ამის შესახებ ბ. უები, გამოჩენილი მცოდნე ინგლისის კოოპერატიულ მოძრაობისა, ამბობს: „ამხანაგობის წევრი ხელოსნები შეიძლება კარგი მცოდნენიც იყვენ თავისი საქმის, წარმოების კომერციული მხრის კი სრულიად არაფერო გაეგებათ. ეს ამხანაგობები ხშირათ იმეორებენ ძველ შეხედულებას გაცვლის შესახებ: იმათ გონიათ, თუ მუშამ საქმე იკის და მუყაითათ შრომობს, იგი უსათუოთ ქმნის ლირებულებას, მიუხედავათ იმისა, არის მოთხოვნილება მის ნაშრომზე, თუ არა. ამიტომ ჩვენ ხშირათ ვხედავთ, რომ კოოპერატიულ დაწესებულებას აარსებენ ან ცუდ დროში ან წარმოების იმ დარგში, რომელიც გაკოტრების გზაზე იდგას; კოოპერატიულ დაწესებულებებს აარსებენ ან სამუშაო ქირის დაწევის წინააღმდეგ ან უმუშევართათვის სამუშაოს გასაჩენათ: ცხადია, ასეთი ამხანაგობანი წინდაწინვე სასიკედილოთ არიან განწირული^{*)}). თვითონ მუშები კი, მიუხედავათ ამდენ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, ხშირათ განსაკუთრებით დიდ მოთხოვნილებებს უყენებენ თავის საამხანაგო დაწესებულებას: „ისინი სასწაულს მოელიან მწარმოებელ ამხანაგობისაგანთ, სწრეს ა. ფ. ელმი, და ამიტომ იმდენ მოთხოვნილებებს უყენებენ იმას, რომ ამხანაგობამ უკელაფრის დაკმაყოფილება თუ მოინდომა, სულ უნდა დახუროს საქმეო“^{**}

^{*)} В. Уэббъ. „Кооперативное движение въ Англіи“, 141 გვ.

^{**) A. A. Николаевъ, „Теорія и практика кооперації,“ вип. I, გვ. 36.}

მესამე მიზეზი, დამაბრულებელი მწარმოებელ ამხანაგობებისა, არის ასეთ ამხანაგობების შინაური მოწყობილობა. იმავე ბ. უების აზრით, ყველაზე უარესი დამაბრულებელი მიზეზი აქ იმაღლება: „მწარმოებელ ამხანაგობის ქარხანაში; ამბობს იგი, მუშები ირჩევენ თავიანთ შორის. გამგეობას, ადმინისტრაციას, ოსტატებს, ზედამხედველებს და სხვ. დღისით ეგ ადმინისტრატიული პირები ბრძანებლობენ: აფალიერებენ ნამუშევარს, აფასებენ, აჯარიმებენ მუშას დანაშაულობისაოფის, თვალყურს ადეკვებენ მუშების ყოფაქცევას და სხვ: საღამოს კი თვითონ უნდა წარსდგენ ამ მუშების წინაშე პასუხის ხა- გებლათ, როგორც მათი არჩეულები. ასეთ ურთიერთობას შეაქვს წარმოებაში მთელი არეულობა და ბოლოს საქშე იქ- ნამდის მიღის, რომ წარმოება ან სრულიად ისურება, ან მწარ- მოებელი ამხანაგობა იღებს აქციონერულ ამხანაგობის ხასიათს და წევრები აქციონერების როლში გამოდიან, ზოგი კი კა- გავს მართვა გამგეობაში და საზოგადოთ წარმოების ბეჭ-ილ- ბალში მონაწილეობის მიღების უფლებას და უბრალო მუშე- ბათლა რჩებიან *).

ასეთია დემოკრატიულ მწარმოებელ ამხანაგობათა მდგო- მარეობა ინდუსტრიაში, მსხვილი კაპიტალისტურ წარმოების კვერდით. და, თუ ჩვენ გადავაკლებთ თვალს მწარმოებელ ამხანაგობათა მდგომარეობას საზოგადოთ, ამის დასამტკიცებელ საბუთებსაც ბლომათ დაჯინახვთ. დასავლეთ ეკროპის პრაქ- ტიკა, რომელმაც გაგვაოცა მომხმარებელ კოოპერაციის განსა- ცვიფრებელი ზრდით და საუცხოვო ნიმუშები მოგვცა სასო- ფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობებისა, იმავე დროს ვერაფერს სანუგეშოს გვეუბნება მწარმოებელ ამხანაგობათა შესახებ ინდუსტრიაში. ვერც ერთ ქვეყანაში, საღაც ცო- ლიან მწარმოებელი ამხანაგობათა დაარსებას ინდუსტრიაში, მწარმოებელ ამხანაგობას არ უხეირნია.

*) Б. Уэббъ «Кооперативное движение въ Апгліи» 83. 142—143.

Саფრангეთма ყველა ქვეყნებზე უფრო მეტი ენერგია დახარჯა მწარმოებელ ამხანაგობების დაარსებაში. აქ 1830 წლიდან, და თითქმის უფრო აღრეც, დაიწყეს მწარმოებელ ამხანაგობების დაარსება. 1848 წ. მუშათა გავლენის გამო საერო კრებამ მწარმოებელ ამხანაგობათა დასაარსებლათ 3 მილიონი ფრანკი გადასდო *). ამის გამო 1845 წლიდან 1851 წლამდის, სულ სამი წლის განმავლობაში, საფრანგეთში სამასი თუთხასი კომპერატივი დაარსდა. მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობაც ხელს უწყობდა იმათ, ჩვენამდის მხოლოდ სამ კომპერატივმა მოაღწია იმათ რიცხვიდან, სხვები სულ დაიხურა. სხვა დროსაც ბევრი მწარმოებელი კომპერატივი დაარსდა საფრანგეთში, მაგრამ ამათგანაც სულ რამდენიმეს შეტანა დემოკრატიულ ამხანაგობის სული: ზოგი დაიხურა და ზოგი აქციონერულ ამხანაგობათ გადაიქცა. თითქმის ყველა ეს კომპერატივები ნაქირავებ მუშით სარგებლობენ (მღებავთა კომპერატივში, მაგალ., 22 წევრი — მუშაა და 225 დაქირავებული შუშა) და დაქირავებულ მუშათა რიცხვი ასეთ ამხანაგობებში სულ 5000 ადის. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ნაქირავები მუშები ზოგ ამხანაგობას მოვების განაწილებაში შეყავს, მაგრამ ზოგი კი ამასაც არ შევბა. საფრანგეთის ცნობილი მწარმოებელი ამხანაგობანი: შეტლეთა, მღებავთა, ფორტეპიანოს მკეთებელთა და სხვ. აქციონერულ ამხანაგობებს უფრო გავს, ვიდრე კომპერატივებს: რამდენათ არა დემოკრატიულ ნიადაგზეა ასეთი კომპერატივები ახლა, ამას ის გარე მოებაც გვეუბნება, რომ საწევრო გადასახადი ასეთ კომპერატივებში ხშირათ ძლიერ დიდ თანხას წარმოადგენს. ასეთია, მაგალითათ „ოპტიკების“. კომპერაცია, სადაც საწევრო გადასახადი 5000—20000 ფრანკამდის ადის (1875 მ.—11250 შანეთამდის); წევრების უმეტესობა 30000 ფრანკს იხდის, ხო-

* А. А. Николаевъ «Теорія и практика кооперации», въип. I, гл. 37—38.

ლო 5000 ფრანკის გადამხდელი წევრი არ არის სრული უფლებით აღჭურვილი *).

ა. ნიკოლაევის აზრით, მხოლოდ სამათ სამი კოოპერატივი აქმაყოფილებს აქ დღეს დემოკრატიულ კოოპერაციის მოთხოვნილებას. ესენია: „ფამილისტერი“ — გზეში, მეწარეთა კოოპერაცია ლიმაუში და ოქროსმჭედელთა — სანკლონში **)

გ. გრენტჩეს გამოანგარიშებით გერმანიაში 1874 წ. 322 მწარმოებელ ამხანაგობიდან მხოლოდ 109 არსებობდა, იმათგან აც მხოლოდ 34 წარმოადგენდა მუშებისა და ხელოსნების კავშირს, ზანარჩენთ ვერ გაარჩევლით ჩვეულებრივი აქციონერული საზოგადოებიდან ***)

ბ. უებიც ძლიერ კრიტიკა ეხება მწარმოებელ ამხანაგობათა მდგომარეობა და ციფრებით ხელში გვიმტკიცებს, რომ ვერც ინგლისში უხეირნია ასეთ ამხანაგობებს. ზოგი მწარმოებელი ამხანაგობა კოტრდება, ზოგიც აქციონერულ საზოგადოებათ იქცევა ხოლმე. რამდენიმე ასეულ კოოპერატივებიდან, რომელნიც 1870 წლიდან დაწყებული სხვადასხვა დროს აღორძინებულა ინგლისში, უკანასკნელ ხანებში (1890 წ.) მხოლოდ 54 ედგა სული. მაგრამ, ბ. უების აზრით, აქიდანაც ბევრი ვერ აქმაყოფილებს დემოკრატიულ კოოპერატივის მოთხოვნილებას. უმეტესობა კოოპერატივებში მუშებზე მეტი პი პი გარეშე. პირებს აქვს შეძნილი; მხოლოდ აქა-იქ შეხვდებით მუშებს აღმინისტრატიულ აღგიღზე; ბევრი ამხანაგობა კერძო დაწესებულებაზე უფრო. ადენს თვალს მუშებს და სხვ. ასე რომ, ამ 54 ამხანაგობიდან მხოლოდ 8 პარტია ამხანაგობა არის ყურადღების ლირსი, როგორც ნამდვილი კოოპერატიული დაწესებულებანი. ესენია: ლეისტერის შეჩემეთა ამხანაგობა, კოვენტრიის მესათეთა ამხანაგობა, კეტესინგის მეჩემეთა, ნელისონის საზოგადოება „ოვით დამშარე“.

*.) Кечеджи-Шаповаловъ „Кооперативные идеалы“, 10 გვ.

**) А. Николаевъ «Теория и практика кооперації» 39 გვ.

***) Давидъ «Соціалізмъ и коопер. движеніе», 26 გვ.

და ოთხიც სხვა, რომელთა თანხა ერთათ არ აღემატება 7500 გან *).

ჩვენ შეტს აღარ შევჩერდებით მწარმოებელ ამხანაგობათა მდგომარეობაზე. ნათქვამიც საკმაოთ მოწმობს, რომ იგი მსხვილ წარმოებაში ვერ ხეირობს, და ქალაქებში, საღაც მომარებელ საზოგადოებებმა საშინელი ნაბიჯი გადადგეს წინ, ესენი სრულიად ვერ უშკლავდებიან კაპიტალისტურ წარმოებას. მაგრამ შემცირი ვიქნებით ვიფიქროთ, თითქოს მწარმოებელი ამხანაგობანი წარმოადგენდეს სრულიად უვარების ფორმას კომპერაციისას. თვითონ ბ. უები, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით გაილაშქრა მწარმოებელ ამხანაგობათა წინააღმდეგ ინდუსტრიაში, აღიარებს რომ ნამდვილი მწარმოებელი ამხანაგობანი არსებობენ წარმოების ისეთ დარგში, საღაც არ შექრილა ჯერ „სამრეწველო რევოლუცია“-ი *

ასეთ წარმოების ასპარეზს წარმოადგენს დღეს უმთავრესათ სოფელი. და მართლაც, მწარმოებელ ამხანაგობათა სარგებლობაც და ზრდაც სოფელში თვალსაჩინოა. ჩვენ შეგვიძლია იმის დასამტკიცებლათ, რომ მწარმოებელი ამხანაგობანი სოფლათ ხეირობენ, აუარებელი ფაქტები მოვიყვანოთ, მაგრამ ეგ ზედმეტია, თუ გავიხსენებთ იმ დიად მნიშვნელოვან ფქეზს, რომ დანის ღატაკა გლეხი სოფლის კომპერაციის წყალობით სულ რამდენიმე წლის განმავლობაში. არამცუ წელში გაიმართა, არამედ იმან ნივთიერ მდგომარეობით პირველი ადგალიც დაიჭირა ევროპის სხვა კუთხის გლეხებთან შედარებით. ამერიკელ მწერლის ა. საიმონსის სიტყვით, როგორც უკანასკნელ ანგარიშებიდანა სხანს, დანის კომპერატიული საყასბოები სასტიკ კონკურენციას უწევენ ლონდონის ბაზარზე ჩიკაგოს საყასბოებს. ხოლო ამ ფაქტის დადი მნიშვნელობა მაშინ უფრო თვალსაჩინო იქმნება ჩვენთვისთ, ამბობს იგი, თუ მოვიგონებთ,

*). Б. Уэббъ «Коопер. движение въ Англии 113—139 83.

**). Ibid. 154 83.

հոմ ჩիյացու պյուռներով սանուզագործեցնելու լոռնդոնն այս յրտմա ամերուկյալ დա ցըրութու կոնյուրութմա այս գաղտնացու*).

Իշենտցու ագուլու գասացեց ոյնքա սույլու մշարմոց-
ծելու ամեանացուատա շնորաբյեսուն, հուրա յալայիս և սույ-
լու մշարմոցեց ամեանացուաց յրտմանցու ճավունուրանուրեցու-
տա շնտացրեց ճամանակուլուց մուշեց մշարմոցեց ամեանացուա-
տա ալուհունցուն ֆոնալմուց հոգուրու ֆոնատ ճավունաեց, յաձու-
լու սայուրուց և մուս շյունլուն մացրամ սույլուն մշար-
մոցեց ամեանացուաց օսցու ճուրու յաձուրալու ար սկյուրուատ,
հոգուրու յալային; յալայիս մշան էրույցուարու, մեռլուն
տացու սալլուն ամարա գամունու մշարմոցեց ամեանացուաց օս-
ցասարևեմլատ, ներմուն մերու մաս պայլապյուրու նշայեցն այցե—
ամուրու ճուրու յաձուրալու սկյուրու; սույլու գլուց սուրաուցն ո-
ւութաւ մոցուցուն, սուրաուցն ուրալուցու; արու մուցուն ներլու
մասալու պայլա սկյուրու մաս, համուցն յալայիս մշան; ոչո-
ւուցն, մարտալու, գայութչուց յամունու ուրալուն, յուրաուն մութա-
գա սեց., մացրամ յս տացուսուլուն մուցուն երաջեց ար գամութ-
չուցն, համուցն յահեն մույսուն, մացալուատ, յալային.

Արու գայսալցեմլուն, յրունուս, ճալցեց օսց ագուլուատ
սույլու մշարմոցեց ամեանացուն, հոգուրու յալայիս նա-
շարմոցն ումերու նախուն տցուտոն քլուցեց եմարուցն
եռլումց.

Ճարճա ամուս, սույլուն յուներալուս չեր յուցու տացու-
սույլու ամեարեց այցե յամլունու, հալցան ոյ յաձուրալունու
ար արու չեր սուլ յամցուցեմլու, և յուներալուն ամեան-
ացուաց ար սուտու մատու յուներալունուստան ծումուն;
Յուն-
ուցու, յուներալուն ճալցեց յամցուցեմլուն մշան նշումուն
սույլուն ու ույենուրու յայութչուց յամցուցեմլուն; հոմցուու յաձու-
րալունու նշումուն տցուտոն յամցուցեմլուն, մատու տցուտոնաց.

*) В. Тотоміанц „Сельско.-хоз. кооперація“ 7 83.

შეუწყონ ხელი სოფელში წვრილ წარმოებიდან მსხვილ წარმოებაზე გადასცვლას.

მაგრამ, უნდა ესიქვათ ისიც, რომ მწარმოებელი ამხანაგობანი განსაკუთრებით ფრთას გაშლიან მაშინ, როცა მომხმარებელი კოოპერაცია კარგათ იქნება განვითარებული. მომხმარებელ კოოპერაციის სახით იმათ ეყოლებათ მუდმივი მყიდველი და მათთვის საშიში აღარ იქნება არავითარი კონკურენცია, არავითარი კრიზისები. საქმარ ისია გავიხსენოთ, რომ დანიის სოფლის მწარმოებელ კოოპერაციათა ნაწარმოების უმთავრესი მყიდველი არიან ინგლისის მომხმარებელი საზოგადოებანი.

საქმის დაწყება მწარმოებელ ამხანაგობისათვას თითქმის ისეთივეა, როგორც მომხმარებელ საზოგადოებისათვის. ესეც თავისუფალ სურვილზეა დამოკიდებული. უპირველესად ყოვლისა ხაჭიროა ამიტომ შეგნება იმის მნიშვნელობისა, რომ წევრები ჩაწერონ იმაში. თუ მომხმარებელ საზოგადოების ნიადაგი გმშრომელ ხალხში უნდა ვეძიოთ, მით უფრო მდიდრებს არა აქვთ არავითარი ადგილი მწარმოებელ ამხანაგობაში. მაგრამ ყველა მსურველი, ვანურჩევლათ მდგომარეობისა, თუ კი განაცხადებს მუშაობის სურვილს, უნდა მიიღებოდეს მწარმოებელ ამხანაგობაში. ზარმაცებს, ინტრიგანებს, არ უნდა ქონდეთ აქ ადგილი, რადგან მწარმოებელ ამხანაგობის მომავალი წევრების ერთგულ მუშაობაზედაც კადია; გარდა ამისა, ვერავითარ დისციპლინას ვერ დაამყარებენ მუშები. იმ დემოკრატიულ კავშირში, სადაც აღმინისტრატორებათაც თვითონ გამოდიან, თუ შიგ ინტრიგანები მოყვენ. საწევრო ფული. არ უნდა იყოს არც აქ, რა თქმა უნდა, დიდი.. წესრიგი გამგეობისა და ნებართვის აღების, ისეთივეა როგორც მომხმარებელ საზოგადოებისა.

სოფლის მწარმოებელ ამხანაგობების შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი.

გ) საკრედიტო კოოპერატივები:

მას შემდეგ, რაც ფული შემოვიდა ხმარებაში, იგი ყველასათვის საჭირო შეიქმნა. ისეთი მიმზიდველი, ჯალოსნური,

ძალა გამოაჩნდა ფულს, რომ იმის საჭიროებას გრძნობს არა მარტო ღარიბი კაცი, ხშირათ მდიდარიც. ჩვენ ვიცით, რომ მეტი სარგებელს, მეტი მოგებას, იგი უნდა მოელოდეს, ვისაც შეუძლია მეტი კაპიტალი ჩადოს საქმეში. ამიტომ კაპიტალისტი ხშირათ საკუთარ თანხას არ ჯერდება. და გარეშე პირი დანაც სესხულობს ფულს და ამ ნასესხებ ფულსაც აწარმოებს; იგი სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ ის საქმე, რომელსაც იგი მოახმარს ნასესხებ ფულს, მეტ მოგებას მოუტანს იმას, ვიდრე მას გადახდება ალებულ ვალის სარგებელში. ფულიც არ არის ძნელი საშოგნელი კაპიტალისტისათვის. დღეს ქალაქებში ბლომათ არსებობს ისეთი დაწესებულებანი (ბანკები), რომლებიც სულ მცირე სარგებელში აძლევენ მდიდრებს სესხს, უნდათ პატარა ვადით, უნდათ დიდი ვადითაც.

მიუხედავათ იმისა, რომ ღარიბს ზედმეტ მოგების მისაღებათ კი არ სჭირია ფული, არამედ ხშირათ სულ აუცილებელ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, მოკლე ვადითაც რომ უნდოდეს ფულის სესხება, იგი ადვილათ ვერ იშოვის იმას ბანკები ღარიბისათვ-ს არ არსებობენ. ბანკები მდიდრებისთვის არის გაჩენილი, ამბობდა ლუი ბლანი: ესენი მშენებელათ გამოვინილი საშვალებაა მდიდრების უფრო გასამდიდრებლათ და ძლიერების უფრო გასაძლიერებლათ *).

მერე, ათას გვარ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ კი სჭირია დღეს მუშასა და, განსაკუთრებით, გლეხს ფული. ბატონყმობის დროს გლეხი ეკუთვნოდა ბატონს; თუ პირადი შრომით, თუ სხვადასხვა ნაწარმოებით—პერით, სიმინდით, ლვინით, ერბოთი და სხვ., რომელიც იმას ბატონის მამულში მოყავდა, უხდიდა იგი ბატონს ბეგარას. შინაც ადვილათ გამოდიოდა: ბამის პერანგს, შალის ჩოხას, ქალამანს—ყველა ფერს ოჯახში აკეთებდენ. ასე რომ, ფული მაშინ გლეხს მაინცდამაინც არც კი ესაჭიროებოდა. მას შემდეგ კი, რაც,

*) Л. Бертранд «История кооперации въ Бельгии», 80 გვ.

იგი «ვაანთავისუფლეს»,» საშინლათ იგრძნო იმან ფულის საჭიროება. ათასი გადასახადი ზააწვა ახლა იმას თავზე უპირველესად ყოვლისა, მიწის—ამ ერთათ-ერთ „სარჩო-საბადებელის“—საჭიროება იკრძნო იმან. განთავისუფლებულ გლეხს პაწია. მიწა ერგო. იმ პირველ-ყოფილ საშვალებით, რომლითაც ჩვენი გლეხი ამუშავდეს მიწას, კი არა, საუკეთესო იარაღებითაც რომ დაამუშაოს იგი, იმას არ არჩენს, მით უფრო, რომ მისი ოჯახი მატულობს—ოჯახის ხხალი წევრები იბადებიან, პატარაები იზრდებიან. ცხადია გლეხმა. ან, უნდა იყოდოს მიწა, ან უნდა იქირაოს. მაინც ამისათვის კი საჭიროა, ფული. ქირაში მემამულე ახლა ნაწარმოებს ხშირათ არც კი იღებს—იმასაც ფული სჭირია, რომ მამული გააუმჯობესოს, ქალაქში იცხოვროს და სხვ.

მაგრამ მარტო მიწის დაქირავება ხომ არ ეყოფა გლეხს; საჭიროა გუთნის და სხვა იარაღების ყიდვა, ხარის, კენისა და სხვ. შეძნა, მიწის პატივება და სხვ. აქაც საჭიროა ფული, ეგ საკუთარი მოთხოვნილებებია. ახლა ათასი სხვა საზოგადო ბეგარაც კისერზე აწევს იმას: ასეთია, სოფლის ადმინისტრაციის შესანაბი გადასახადები, გზის გასაყვანი, დრამა და სხვ. ცველა ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ გლეხმა, თუ განსაზღვრულ დროზე არ შეიტანა ფული, ათასი გვარი შევიწროება მოელის; ხშირათ, როველამდისაც არ აცლიან ხოლმე იმას, რომპური ან ლვინო გაყიდოს და დაკმაყოფილოს მოთხოვნილება. იმას კი არავინ კითხულობს, სად იშოულს გლეხმა ფული, კისგან ისესხოს?

სოფელში არიან თითო-ოროლა შეძლებული პირი, წერილი ვაჭრები, ჩარჩები, რომელნიც სარგებლობენ ასეთ შემთხვევით: რასმე გამოართმევენ გლეხს ჩალის ფასათ, ან თამასუქით ასესხებენ ფულს, მაგრამ საშინელ სარგებელს ან-თევინებენ. არის შემთხვევები, როცა გლეხი იხთის 100—200% //, ხოლო 50—40% ჩვეულებრივი მოვლენაა სოფელში, ახლა ათასნაირათ პატივი კიდევ უნდა სცეს მევალემ-ფუ-

ლის მსესხებელს — ხაჭაპურები, ბატონი, ვარიები, კარგი ღვინო და სხვ. მევახშის ჩვეულებრივი „ფეშქაშებია“, მაგრამ უბედურება კიდევ ის არის, რომ ხშირათ მევახშე სარგებლობს მევალის უმეტებით და ერთსა და იმავე ვალს სარგებლიანათ რამდენჯელმე ახევინებს იმას.

„ფული მემართა ვაჭრისა „რიგისთვის“ აღებულია, თავებში პურ-ღვინოს დამჯერდა, ვახში მივეცი ფულია .. „აკი გაუწყრა ღმერთია და მიშილთახა წყეულმა: ვალი მომთხოვა მეორედ, ღვინოზე შემოჩვეულმა, „ხელ-ახლად წამომიარა, სულითხორცამდის გამცალა!“...
(რაფ. ერისთავი.)

ესე ჩივის ბერუა — გლეხი, და ეგ ნამდვილი და ხშირი მოვლენაა საბრალო გლეხის ცხოვრებაში. ერთხელ რაკი ჩაუვარდა გლეხი მევახშეს ხელში, მერე იმისგან ძეირათ დაიხსნის თავს, მისი სამუდამო ყმათ ხთება.

შეუძლია თუ არა აქაც, მევახშის წინააღმდეგ ბრძოლაში, დახმარება გაუწიოს საზოგადოების ლარიბ და მშრომელ ნაწილს კოოპერაციაში?

შეუძლია. მაკრამ ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა კოოპერატიულ ამხანაგობამ ჯერ შეაგროვოს ის თავისუფალი ფული, ის წვრილი თანხები, რომელიც მოიპოება კოოპერაციის თანამგრძნობთა შორის, და მერე მოთხოვნილების გვარათ გაასესხოს. რომ თავისუფალ ფულს ყოველთვის შეიტანენ ასეთ დაწესებულებაში, თუ იყი სანდო იქმნება და შეგ შეტანილ ფულს დაკარგვის საფრთხე არ მოელის, და რომ თავისუფალი ფული აქ-იქ მოიპოება მშრომელ ხალხშიაც, რომელნიც თუ ახერხეს თითო-ორთოლა კაპიკობით ინახავენ ორიოდე გროშს შავი დღისათვის, ამას მოწმობს შემნახველ კასების მდგომარეობა, სადაც წვრილ-წვრილათ იღებენ ფულს, და სადაც უმეტესი ნაწილი შენახულ ფულისა მშრომელ ხალხს ეკუთვნის.

Шефнаხველი კასები პირველათ აღორძინდენ მე-18 საუკუნის გასულს ინგლისში და ერთხანს კერძო პირებისა და სამღვდელოების ხელში იყვენ. მაგრამ საქმე მაინცა და მაინც ვერ ხეირობდა. ბოლოს, 1861 წ. კი, როცა გლადსტონმა მთაშვილ მთავრობის შემნახველი კასები ფოსტის დაწესებულებებთან და მოფინა იმით მთელი ინგლისი, თავისუფალ წვრილ კაპიტალმა თანდათან იწყო დენა ამ კასებში და შიგ დიდ თანხამ მოიყარა თავი. ინგლისიდან შემნახველი კასები მოეფინა სხვა სახელმწიფოებს და ყველკან დიდ თანხას მოუყარა თავი. ასე 1903—1904 წ. ინგლისში შემნახველ კასათა წიგნაკების რიცხვი 11378 ათას ცალს უდრიდა, ხოლო შენახულ ფულის ჯამი 4093 მილიონ მარკას (1.882 მილიონ მან. მეტს); საფრანგეთში 1903 წ. 11469 ათასი წიგნაკი იყო გამოსული, თანხა კი 3444 მილიონ მარკას (1.584 მილიონ მან. მეტს) უდრიდა; პრუსიაში 1905 წ. 10643 ათასი წიგნაკი და 8294 მილიონ მარკას (3985 მილიონ მან.); რუსეთის იმპერიაში შემნახველ კასების წიგნაკების რიცხვი ხუთი მილიონზე მეტია და თანხა 1100 მილიონ მანეთს აღემატება *).

ყველა ეს თანხები, როგორც ვსთქვით, მშრომელ ხალხის შავი დღისთვის გადადებულ გროშებისაგან შესდგება. ცხადია, საკრედიტო კოოპერაციის თანამგრძნობთა შორის შეუძლია საწარმოვო ფულის მოგროვება. მაგრამ შემნახველი კასები არც კოოპერატიული დაწესებულებანი არიან და არც ფულის გასესხება შეადგენს იმათი მიზანს. ასეთი დაწესებულებანი—დაწესებულებანი, რომელთაც იკისრეს, როგორც ფულის შეგროვება ხელმოკლე ხალხში, ისე გასესხებაც მშრომელ ხალხზე, განსაკუთრებით წვრილ მწარმოებლებსა და ხელოსნებზე, აღორძინდენ ყველაზე წინათ გერმანიაში მეცხრამ მეტ საუკუნის მეორმოცდათვე წლებში. ამ დაწესებულებათა

*) М. И. Туганъ-Барановскій „Основы политич. экономії“, 1909 г., 436—437 88.

მამათმთავრებათ ითვლებიან შულცე-დელიჩი და რაიფეიზენი, რომელთაც შექმნეს ორი სხვადასხვა გვარი საკრედიტო, ამხანაგობანი.

შულცე-დელიჩის მოღვაწეობის შესახებ ორიოდე სიტყვა ჩვენ წინათაც ვუთხარით მკითხველს. იგი უძთავრესად გამოიიდა ქალაქის წვრილი ბურუუზიის—ხელოსნების, წვრილი ვაჭრების და სხვ. საჭიროებიდან, რომელთაც საქმის საწარმოვოთ ხშირათ სჭირიათ ფულის სესხება და ბანკებში კი ვერ მოულობენ იმას. შულცე-დელიჩი ფიქრობდა, საქმარისი არის ესენი შეკავშირდენ, უთავდებონ ერთმა მეორეს, შეაგროვონ ფული ურთიერთშორის—ცოტ-ცოტას ესენი ყველა მოახერხებს—და მერე საჭიროების დროს ერთმანეთს ასესხონ. ფულის გასესხება მოიტანს სარგებელს, საწარმოვო თანხა თანდათან გაიზრდება, დაწესებულებას სახელი გაუვარდება და გარეშე პირებიც უფრო და უფრო მოიტანენ ფულს შესანახათ; ხოლო, როცა ფული მოგროვდება, კასასაც მეტი სესხის გაცემა შეეძლებათ. შესანახათ შემოტანილ ფულზე უნდა მიეცეს სარგებელი, რომ ამით ფულის პატრონი დაინტერესდეს და თავისუფალი ფული აქ მოიტანოს და არა სხვაგან. ამნაირათ, შულცე-დელიჩი ორნაირ მიზანს ემსახურებოდა: ერთი მხრით, უნდოდა მიეჩვია ამხანაგობის წევრები მომჭირნეობას, შავი დღისთვის ფულის გადადებას—შენახვას; მეორე მხრით კი, შესაძლებელი ხთებოდა ამ თავისუფალ ფულით ხელი გაემართა წვრილ ვაჭარს, ხელოსანს, და თავისი საქმე გაეფართოვებიათ.

მიუხედავათ იმისა, რომ შულცე-დელიჩის საზრუნოვ საგანს უმთავრესათ საშუალო შეძლების პირები შეადგენდა და არა მშრომელი ხალხის ღარიბი ნაწილი, მისმა დაულალავ ენერგიამ ჯილდო სარგებლობა მოუტანა კოჰპერაციის იდეიის განვითარებას გერმანიაში და ამ ღვაწლს მისას, როგორც წინათაც ვსთქვით, დიდათ აფასებს მისი იდეიიური მოწინააღმდეგები, მუშათა პარტიის ცნობილი მამათმთავარი, ფერდ. ლასალი.

რაიფეიზენი სხვა ნიადაგზე შეუდგა კასების დაარსებას. მისი აზრით შულცე-დელიჩისებური კასები არ არის ყველასთვის ხელმისაწილი, კრედიტი კი ყველას სჭირია; იგი მშრომელ ხალხის უმრავლესობისათვის, ღატაკ გლეხებისათვისაც კი უნდა იყოს ხელმისაწილი. რაიფეიზენი არ ზრუნავდა წევ-რების, მომჭირნეობაზე; მისი აზრით ეგ ცუდი თვისებაც არის, რადგან „ეგოისტათ ხთის ადამიანს“. სამხანაგო კასაში შესა ტანი საწევრო გადასახადი ისე პატარა უნდა იყოს, რომ ყველამ შესძლოს იმის გადახდა, საწარმოვო თანხა კი კასამ გარეშე პირებიდან უნდა იშოვოს, ისესხოს. ეს, რაიფეიზენის აზრით, ადვილია, თუ წევრები გააკეთებენ ურთიერთშორის ხელშეკრულებას და ნასესხებ ფულში პასუხის მგებელნი იქნებიან კასის ყველა წევრები მთელი თავისი ქონებით... საზოგადოთ შულცე-დელიჩისა და რაიფეიზენის საკრედიტო ამხანაგობათა შორის ჩვენ ვხედავთ შემდეგ განსხვავებას:

1) რაიფეზენის ამხანაგობანი მოქმედებენ სოფელში და წევრათ შეღიან შიგ უმთავრესათ სოფლის მეურნეები; შულცე-დელიჩის ამხანაგობანი კი უმთავრესათ ქალაქში მოქმედებენ, წევრებათ შიგ სხვადასხვა პროფესიის ხალხი ეწერება.

ამით შულცე-დელიჩის ამხანაგობანი უფრო კარგ პირობებში იმყოფებიან, რადგანაც შეუძლებელია ასეთი ტიპის ამ ხანაგობა გაკოტრდეს, როცა, მაგალითათ, შრომის რომელიმე დარცში დგება კრიზისი; სულ სხვა იქნებოდა, რომ ესენი მარტო ერთი პროფესიის ხალხს აკავშირებდენ — საკმარისია დადგეს ამ პროფესიაში მომუშავეთათვის ცუდი პრობები, შეჩერდეს ფულის (გალის) შემოტანა და კასაც გაკოტრდება; გარდა ამისა შულცე დელიჩის ამხანაგობებს შეუძლიათ ფართეთ ისარგებლობა საწარმოვო თანხით, რადგან სხვადასხვა დარგის მუშებს სხვადასხვა დროს სჭირიათ ფული; ამიტომ სანამ ერთს დასჭირდებოდეს, მეორე უკან დააბრუნებას ნასესხებ ფულს; ყველას კი რომ ერთათ სჭირდებოდეს, მაშინ კასა ვერც კი შეიძლება თავის მოვალეობის შესრულებას.

2) რაიფეიზენის კავშირების მოქმედების რაიონი განსაზღვრულია (არის კავშირები, სადაც 15—20 წევრზე მეტი არ შედის), შულცე-დელიჩისა კი მოქმედების რაიონის საზღვრებით არ არიან შემოფარგლული.

3) შულცე-დელიჩის კავშირის წევრს შეუძლია სხვა საკრედიტო კავშირის წევრითაც ჩაეწეროს და ფული საიდანაც უნდა, იქიდან ისესხოს; რაიფეიზენის კავშირის წევრს არა აქვს უფლება სხვა საკრედიტო ამხანაგობაში ჩაწერისა და იქიდან ვალის აღების.

4) შულცე-დელიჩის ამხანაგობაში წევრათ შესვლის დროს საჭიროა საწევრო ფულის, შეტანა და პაის შეძენა, პაი შეიძლება სხვასაც გადაეცეს; რაიფეიზენის ამხანაგობაში ჩაწერის დროს არავითარი გადასახადი არ არის, პაიც ძლიერი იაფია და სხვასაც არ გადაეცემა.

5) შულცე-დელიჩის ამხანაგობანი პაიზე დიდ დივიდენდს იძლევიან; რაიფეიზენის სულ ცოტას.

6) შულცე-დელიჩის ამხანაგობის წევრის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია; რაიფეიზენის ამხანაგობის წევრი ვალ დებულია პასუხი აგოს მთელი თავისი ქონებით.

7) შულცე-დელიჩის ამხანაგობა არ კითხულობს, რა დანიშნულებისათვის მიაქვეს წევრს ფული სესხათ; რაიფეიზენის ამხანაგობა მოითხოვს წევრმა განაცხადოს, რისოვის სესხულობს იგი ფულს და თვალყურისაც აღევნებს —ხარჯავს, თუ არა, წევრი ნასესხებ ფულს ნაჩვენებ დანიშნულებისამებრ.

8) შულცე-დელიჩის კასებში თანამდებობის აღმარტულებელი პირები (ამგეობა და სხვ.) ჯამაგირს იღებენ, რაიფეიზენის კასებში კი აღმინისტრაცია უჯამაგიროთ მსახურებს (გარდა ბუჭბურტისა).

9) რაიფეიზენის ამხანაგობანი დიდ ყურადღებას აქვთ ვენ სათადარიგო თანხას და ფიქრობენ, იმდენათ გადამიტებინ იგი, რომ ფულის გარეშე პირებისგან სესხება საჭიროც კი აღარ შეიქნეს; შულცე-დელიჩის ამხანაგობები საკმარისათ

სთვლიან სათადარიგო თანხა საპაიო კაპიტალის 10% უდ-
რიდეს *).

გერმანიაში არსებობს აგრეთვე გააზის კასებაც, მაგრამ
ამათზე ჩვენ აღარ შევჩერდებით, რადგან ისინი თავისებურს
არაფერს წარმოადგენენ: სანხევროთ რაიფეიზენის კასებს გვა-
ნან და სანახევროთ შულცე-დელიჩისას.

გერმანიაში საკრედიტო ამხანაგობები ითვლებიან მთელი
გერმანიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სულის ჩამდგ-
მელათ და კოოპერატივთა თითქმის 60% შეადგენს. 1 იან-
ვარს 1906 წ. მთელ გერმანიაში მარტო სოფლათ 12660 სა-
კრედიტო დაწესებულება იყო, ხოლო მათი ბალანსი 628
მილიონ მანერს აღემატებოდა. 1 ივლისს 1907 წ. მათი რი-
ცხვი 14096 ავიდა. **) უმეტესობა ამ საკრედიტო ამხანაგო-
ბათა არ ჯერდება მარტო ფულის ოპერაციებს და ეხმარება
გლეხებს სამუშაო იარაღების შეძენაში, ნაწარმოების გაყიდ-
ვაში და სხვ. ერთი წლის განმავლობაში ამ ამხანაგობათა
დახმარებით გაიყიდა 750 ათასი ფუთი პლატი, 4000 სული
საქონელი, 2900 ჭურჭელი სხვადასხვა ნაწარმოები, სულ 242
მილიონ მან. ლირებული ***).

როგორც წინათ ვსთქვით, გერმანიაში სოფლათ უფრო
რაიფეიზენის ტიპის კასები მოქმედებენ ის პრინციპები, რომე-
ლითაც ისინი ხელმძღვანელობენ და რომლითაც ისინი განირ-
ჩევიან შულცე-დელიჩის კასებისაგან, ძლიერ შესაფერი შეიქნა-
სოფლისთვის. ასეთია: ა) განუსზღვრედი პასუხისმგებლებს;
წევრების და ურთიერთ ხელშეკრულებას. ეს არის ერთათ ერთი
გარანტია, რომლის გამო ყველა ნდობით ეკიდება კასას, შემ-
დგარს დარიბ წევრებისაგან; ბ) მოქმედების რაიონის შეზღუდვა:
პატარა რაიონის, მაგალითათ სოფლის, მცხოვრებნი კარგათ

*). С. В. Бородаевский „Сельскохоз. товариществоа. въ Германії“. 1908 წ., 13—15 გვ.

**) idid.

***) idid.

იკნობენ ერთმანეთს, იციან ერთი მეორის გაჭირვება, გაიგე-
ბენ — მართლა რაიმე გამოსაღეց საქმისთვის სესხულობს წევრი
ფულს, თუ საქეიფოთ, გასაფლანგავათ, და, ამნაირათ, ეცო-
დინებათ აღწევს იმათ მიერ გასესხებული ფული მიზანს, თუ
არა; გ) აფგრძალება რამდენიმე საკრედიტო ამხანაგობაში ქრთსა და
იმავე დროს წევრათ ჩაწერისა. როცა წევრი ერთსა და იმავე
დროს სხვადასხვა ამხანაგობაში ეწყერება, ძნელია თვალ-
ყურის დევნება მისი ნივთიერ მდგომარეობაზე და შესაძლებე-
ლია იგი ისე ჩაეფლოს ვალებში, რომ ვეღარც შესძლოს მერე
იმის გადახდა. დ) პაის სიაფე. ამის გამო დარიბსაც შეუძლია
ჩაეწეროს კასის წევრათ და ფული ისესხოს; ე) გამგეფის
უსასეიდლოთ შრომა: გამგეობას სოფლის საკრედიტო ამხანაგო-
ბაში მუშაობა ბევრ დროს არ ართმევს; ამიტომ გამგეობის
წევრებს შეუძლიათ ცხოვრების საღიარი სხვაგან გამოძებნონ;
ხოლო კასის გამგეობის ჯამაგირილან განთავისუფლება კი დი-
დი შეღავათს წარმოადგენს კასისთვის. ბუჰგალტერს მთელი კა-
სის საქმეების წარმოება კისერზე აწევს, იმას არ ჩება დრო
სხვაგან სამუშაოთ, ამიტომ რაიფეიზენის კასები იმათ უნიშ-
ნავენ ჯამაგირს *). მაგრამ არიან ისეთი კასებიც, რომელთაც
არც სპეციალისტ-ბუჰგალტრების დაქირავება შეუძლიათ; ამი-
ტომ იდგილობრივ ღვდელს თუ მასწავლებელს უმატებენ 300
— 600 მარკას (150 — 250 მან.) წელიწადში და ესენი კისრუ-
ლობენ ბუჰგალტრობას. მაგრამ, რაღაც ანგარიშს კომპე-
რატიულ დაწესებულებებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეუ-
ლი, ხოლო ღვდელებსა და მასწავლებლებს კი არა აქვთ საკმა-
რისი ცოდნა საქმის წარმოებისათვის, საკრედიტო ამხანაგო-
ბანი აარსებონ კურსებს, ხშირათ ძლიერ მოკლე ვალით, და ამ
კურსებზე გზავნიან თავის ხარჯით. მასწავლებლებსაც და
ღვდელებს ანგარიშის შესასწავლათ. გარდა იმისა, ამხანაგობათა

*) М. И. Туганъ-Барановскій „Основы политической эко-
номии“, 439 — 441 83.

ცენტრალურ დაწესებულებებს ყავს განსაკუთრებული სპეციალისტები, რომელნიც შველიან ანგარიშის შედეგის დროს ისეთ კასებს, სადაც არა ყავთ სპეციალისტი ბუჰგალტრები და სხვ. *)

გერმანიის შემდეგ საკრედიტო კოოპერაციით განთქმულია იტალია. ქაური საკრედიტო კოოპერატივების, სახალხო ბანკების, აუვავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის იტალიის უოფილ მინისტრს, პროფესორს ფინანსიურ უფლებისას და ცნობილ კოოპერატორს, ლუცატტის.

, „მე მინახავს სახალხო ბანკები იტალიაში, სწერდა რუსის პროფესორი ჩუპროვი, რომელნიც განალდებულ თამასუქების რიცხვით არ ჩამოუვარდებიან რუსეთის გამოჩენილ საკრედიტო დაწესებულებებს; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იქ ანალდებენ მრავალ ათასიან თამასუქების მაგიერ ასი—ორმოცდაათი ფრანკის (18—37 მან). ღირებულ დოკუმენტებსთ ^{**}).“

1906 წ. იტალიაში არსებობდა 829 სახალხო ბანკი, იმათგან 760 ბანკის თანხა შეადგენდა 133 მილიონ ლირს (49.210 ათას მან.) და გარდა ამისა ბანკებში იყო შეტანილი შესანახათ 718 ნახევარი მილიონი ლირი (265.660 ათას მან. ***). ამათგან ზოგი სოციალისტების მეთაურობითა და ხელმძღვანელობითაც არის დაარსებული. ასეთია, მაგალ., სახალხო ბანკები რეჯიონ-ემილიაში, მანტუაში და სხვ.****).

რუსეთშიაც არსებობს სახალხო კრედიტის დაწესებულებანი—საკრედიტო კოოპერატივები. ესენია შემნახველ-გამსესხებელი კასები და „საკრედიტო ამხანაგობანი“.

*) А. Н. Авдыферонъ „Кооперация въ Сельскомъ хозяйствѣ Германіи и Франціи“, 1909 წ., 124—126 გვ.

**) А. Чупровъ „Роль личности и общества въ современ. кооперат. движениі“ ი. კუბის „На славномъ посту“.

(**) В. Тотоміанъ «С.-хоз. қооперадія», 113 გ.

****) ibid. გვ. 121.

შემნახველ-გამსესხებელი კასები უფრო შულცე-დელიჩის კასებსა გავს, „საკრედიტო ამხანაგობანი” — რაიფეიზენისას.

შემნახველ-გამსესხებელი კასები წინათ აღორძინდენ. მათი აღორძინებას ხელი შეუწყვეს ერობებმა საზოგადოთ და გან-საკუთრებით მოსკოვის სამეურნეო-საზოგადოებამ. 1871 წ., მაგალ., პეტერბურგის საგუბერნიო ერობამ ასეთ კასების. და-საარსებლათ ვადასდო 10 ათასი მანეთი: მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაარსა განსაკუთრებული „შემნა-ხველ-გამსესხებელ კასათა და სამრეწველო ამხანაგობათა კო-მიტეტი”. 1871 წ. ამ კომიტეტმა შეიმუშავა შემნახველ-გამ-სესხებელ კასათა ნორმალური წესდება. ამ წესდების თანახმათ მიზანი შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა გამოიხატება სოფ-ლის მეურნეთა დახმარებაში. საწარმოვთ თანხის სესხებით. ამხანაგობაში წევრათ ჩაწერა ყველას შეუძლია, ვინც გადიხ-დის საწევრო ფულს, არა უმეტეს 50 მან. საწევრო (პაიების) ფული შეადგენს საწარმოვთ თანხას. კასები იღებს ფულს შე-სანახათაც და ეს ფულიც კასებს შეუძლიათ მოთხოვნილებისა დაგვარათ გაასესხონ წევრებზე. კასის წევრები ვალდებული არიან საერთოთ აგონ პასუხი, და პასუხის მეტობაც განუ-საზღვრელია. კასის საქმეებს განაგებს საზოგადო კრება, საბ-ჭო და გამგეობა.

ერობების ჩარეგამ შემნახველ-გამსესხებელ კასების საქმე ძლიერ წასწია წან. ერობები ძლიერ დიდ კრედიტს უხსნი-დენ კასებს (ასეთია პეტერბურგის, მოსკოვის, პოლაკავის, ტვერის და სხვ. ერობები), ხშირათ 10—20 ათას მანეთს.

მაღლ მიქცეულ იქნა ყურადღება კასების ზოგ ნაკლუ-ლოვნებაზედაც, მაგ. პაის სიღიღეზე და სხვ. ამიტომ, თუ დასახელებულ „კომიტეტის“ თაოსნობით (მაგ. 1896 წ. ამ „კომიტეტის“ პეტერბურგის განყოფილებამ გამოსცა ახალი გაუმჯობესებული სამაგალითო წესდება), თუ მთავრობისაგან, თანდათან შეცვლილი იქნა წინადელი წესდება შემნახველ-გამსესხებელ კასებისა, ისე რომ იგი უფრო ხელმისაწილი

უნდა ყოფილიყო ღარიბი კაცისთვისაც; ასეთია პაის შემცირება, სესხის გრძელის ვადით გაცემა, კასებზე საშუალებლო ოპერაციების დაკისრება და სხვ. და სხვ. დღეს ამხანაგობები ფულის შენახვის და გასესხების გარდა კისრულობენ საშუალებლო ოპერაციებს, ე. ი საოჯახო ნივთების შეძენას, მიწის იჯარით აღებას, წევრებიდან ნაწარმოების ყიდვას და მერე მისი გასაღებას და სხვ. მაგრამ ამისათვის ამხანაგობებს გადადებული აქვთ განსაკუთრებული თანხა.

რაც დრო გადის საზოგადოება მეტ ნდობას უცხადებს შემნახველ-გამსესხებელ კასებს, და შეაქვთ აქ შესანახათ ფული; საწარმოო—თანხა იზრდება და ახლა კასებსაც შეუძლიათ სესხი დაკლებულ სარგებლით გასცენ. ამდენხანს საშუალო რიცხვით შემნახველი კასები რუსეთში იხთვებინებოდენ 12% , ამ ბოლო დროს კი $9,6\%$, და აქიდან რომ გამოვაკლოთ ის, რაც წევრებს დივიდენდათ უბრუნდებათ, გამოდის რომ შემნახველ-გამსესხებელი კასები იხთვებინებიან არა უმეტეს $7,2\%$.

როგორც 1901 წ. გამოქვეყნებულ „შემნახველ გამსესხებელ და სამრეწველო ამხანაგობათა კომიტეტის“ ანგარიშიდანა სჩანს, დღიდან დაარსებისა ამ კასებს გაუცია სესხათ 631.754.657 მან; ამ თანხაზე რომ საშუალო რიცხვით ვიანგარიშოთ 1.1% , 2.7% დივიდენდის გამოკლებით, გამოდის, რომ შემნახველ-გამსესხებელ კასებიდან ფულის მსესხებლებს გაღაუზდიათ სარგებელი 52 მილიონ მანეთამდის. ეს ამხანაგობანი, რომ არ ყოფილიყო იმათ ათჯელ მეტი გადახდებოდა შევახშეთა სასარგებლოთ. სესხი უმეტეს ნაწილათ გატანილია სამეურნეო იარაღის, მიწის, საქონლის, შენობების და სხვ. შესაძენათ *).

დღევანდელი მდგომარეობა შემნახველ გაძსესხებელ ამხანაგობებისა საზოგადოთ იმის მაჩვენებელია, რომ ისინი იზრდებიან და მათი რიცხვიც მატულობს (ახლა 1000-მდის ადის).

*) М. Слобожанинъ «Смотръ Кооперативныхъ силамъ»,
62 გვ.

მაგრამ ისინი მაინც არ არიან ისე ხელმისაწვდომი მშრომელ ხალხის უჭიავლესობისათვის (საჭიროა საწევრო ფულის შეტანა, რთული საქმის წარმოებაა, მოითხოვს წევრებისაგან მეტი შეგნებასა და ოვითმოქმედებას და სხვ.), როგორც მეორე ტიპის ამხანაგობანი — „საკრედიტო ამხანაგობანი“. თუმცა მოწყობილობით ესენი ბევრით გვანან. შემნახველ-გამსესხებელ კასებს, მაგრამ არსებითათ განიჩევიან იმისგან.

უპირველეს ყოვლისა, „საკრედიტო ამხანაგობაში“ წევრები თავისუფალი არიან ყოველგვარ პაიდან, რაღაც ამხანაგობის ძირითად თანხას წევრების პაები კი არ შეადგენს, არამედ სახელმწიფო ბანკისაგან ან კერძო პირისა თუ დაწესებულებისაგან ნასესხები ფული ან შემოწირულებანი. სახელმწიფო ბანკი იძლევა ძირითად თანხისათვის 1000 მანეთამდე, რომელიც ამხანაგობამ უნდა დაუბრუნოს იმას ერთი წლის შემდეგ ნაწილ-ნაწილათ (13 წლის განმავლობაში.) გარდა იმისა, სახელმწიფო ბანკი იძლევა მოკლე ვადიან სესხსაც საქმის საწარმოებლათ.

ამნარათ, „საკრედიტო ამხანაგობანი“, ერთის მხრით, ძლიერ კარგ პირობებში იმყოფებიან: იმით ყველას შეუძლია ისარგებლოს, რაღაც საპაიო თანხაზე ზრუნვა არ არის საჭირო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საკრედიტო ამხანაგობანი, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს, ძლიერ მრავლდებიან. ასე, 1901 წ. იმათი რიცხვი რუსეთში არ აღმატებოდა 94, 1908 წლ. 1 იანვარს კი იყო ნებაზართული 231 ამ „საკრედიტო ამხანაგობა“. 1 ივნისს 1907 წ. გამოქვეყნებულ ანგარიშიდან სჩანს, რომ 1555 ამხანაგობას ქონია გამოტანილი სახელმწიფო ბანკიდან 2422 ათასი მანეთი ძირითად თანხათ და 6.688 ათასი მან. მოკლე ვადიან სესხათ; ყველა ამხანაგობებში 705 ათასი წევრი ითვლებოდა, გაცემული იყო სესხათ 21.152 ათასი მანეთი, ხოლო შესანახათ შემოტანილი იყო ამხანაგობებში 10774 ათასი მანეთი *).

*] ibid 65 გვ.

რაკი ფულს იძლევა სახელმწიფო ბანკი „საკრედიტო ამ-ხან აგობებისთვის“, იგი სასტიკ ყურადღებასაც აღვენებს მათ მდგომარეობას. სახელმწიფო დაწესებულებიდან დამოკიდებულება! და იმის სასტიკ კონტროლს კი ხშირათ ბიუროკრატიული სული შეაქვს ამ საქმეში. ხშირათ არსდებიან საზოგადოებანი ისეთ ადგილას, სადაც ხალხი სრულიად მოუმზადებელია. ქალაქიდან ჩამოსულ მოხელეს სრულიად არ შეუძლია გაერკიოს ადგილობრივ პირობებში, ისე როგორც ადგილობრივ პირებს; ამიტომ ის ხშირათ იძულებულია დაუჯეროს მარტო საქმის ინიციატორებს, რომელნიც ხშირათ ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას. მოხელე მარტო საქმის გარეგანს ფრამით არის დაინტერესებული, საქმის არსებითი შხარე კი ხშირათ იჩიგრება. არის მრავალი მაგალითები იმის, რომ ორიოდე ინიციატორის მეთაურობით ფული გამოუტანიათ სახელმწიფო ბანკიდან, მაგრამ ის კი არავინ იცოდა, როგორ შეიძლებოდა ამ ფულით სარგებლობა; ამისთვის არავის უზრუნველის განმავლობაში *). ან ადგება ხოლმე რამდენიმე პირი, მთაწერინებენ თხოვნაზე წევრების საჭირო რიცხვს ხელს და გამოაქვთ ბანკიდან ფული. წევრები, რაღაც არაფერი ხელის მთაწერის მეტი არ ეხარჯებათ, არ აქცევენ არავითარ ყურადღებას საქმის ვითარებას, არც ის იციან, ეს ზელის მთაწერა ავალებს იმათ რითიმე, თუ არა. ინიციატორებიც ხშირათ სარგებლობენ ამით, გამოაქვთ ფული, ინაწილებენ ერთმანეთში, ხოლო წევრებს კი გარეშე მაყურებლათ სტოკებენ

აქაც რომ წევრები ისე იყვენ დაინტერესებული ამხანაგობის შედგენაში, როგორც შემნახველ-გამსესხებელ კასებში, აქაც რომ სავალდებულო იყოს რაიმე წვლილის გამოლება, წევრები უფრო გაახელენ თვალს, დაუკვირდებიან და შეისწავ-

*) იხ. „Вестник Кооперации“, მრავალი ამის გვარი შემთხვევები.

ლიან, სად მიღის მათი ფული და როგორ იხარჯება იგი, ეცოდინებათ რა უფლებები აქვთ იმათ, ერთი სიტყვით, გა- მოიჩენენ თვითმშემეცების უნარს, დაისწავლიან საქმის გაძლო- ლასა და შეეჩევეიან დამოუკიდებლათ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გულდადებით მუშაობას. ეს ოვისებები კი არის ის ძვირფასი განძი, რომელიც შესაძლებელია კო- პერაციამ მოუტანოს საზოგადოების ფართე ნაწილს; ხოლო იქ, სადაც კოოპერაციას ვერ დაუხშევია თავი სხვისი გავლე- ნისა და მზრუნველობისაგან, იგი ვერ აღწევს ამ დიად მი- ზანს. ხშირათ თვით მთავრობის წარმომადგენელნი აღიარე- ბენ, რომ ბიუროკრატიულ მზრუნველობას არ მთაქს სარ- გებლობა კოოპერაციისათვის. იტალიის ყოფილი შინისტ ა- ლექსატი, მაგალითათ, კოოპერატორთა კრებაზე კრემონში (1907 წ.) ამბობდა, რომ მთავრობის ზედამხედველებს, რო- მელნიც ხშირათ პარტიულ და სხვა კოოპერაციისათვის მავნე გავლენის ქვეშ ვარდებიან, არჩეული ზედამხედველები სჯობ- სო *). რუსეთის კოოპერატორთა პირველ კრებაზე თითქმის ერთხმათ გამოთქვეს სურვილი, რაც შეიძლება მეტი თვით- მოქმედებისა და თავისუფლების ნიადაგზე შენდებოდეს საქა- ლიტო კოოპერაციები, თითქმის ერთხმათ აღიარეს, რომ თანა- მედროვე კანონმდებლობა (7 ივნისი, 1904 წლ.) წვრილი კრედიტის შესახებ ძლიერ ბორკავს ამ თვითმოქმედებასა და მით აბრკოლებს კოოპერაციის საქმეს. ამ კრებაზე გამოირკვა- ისიც, რომ ხშირათ რუსეთშიაც გრძნობენ თვითონ მოხელენი ამ საშინელ მზრუნველობის მავნებლობას და ზერელე უყურე- ბენ, როცა რომელიმე „საკრედიტო ათანაგობა“ ცოტათო გადაუხვევს ხოლმე კანონს **).

ცხადია, იმ საკრედიტო კოოპერატივთა დაარსება და გან- ვითარება არის უფრო სასურველი, რომელნიც ანვითარებენ

*) В. Т. Тотоміанцъ. „Сельскохоз. Кооперация“, 114 83.

**) М. Слобожанинъ „Смотръ Кооперат. силамъ“, 66 85.

წევრებში თვითმოქმედებას, ულფიძებენ დამოუკიდებლათ მუ-
შაობის სურვილს და სხ. ამ მოთხოვნილებებს, შედარებით,
უფრო შემნახვე-გამსესხებელი კასები აკმაყოფილებენ. მაგრამ,
რადგან იმათი დაარსება მოითხოვს მეტ შეგნებასა და საქმის
ცოლნას, ჩვენ დღევანდელ პირობებში დიდის თანაგრძნაბით
უნდა მივევებოთ „საკრედიტო ამნანაგობათა“ დაარსებასაც.
საჭიროა მხოლოდ, აქაც რაც შეიძლება მეტი თვითმოქმედების
შურვილი აღუძრათ წევრებს, ვეცადოთ ამ დაარსდეს,, საკრე-
დიტო ამნანაგობა“ ისე, რომ წევრებმა არ იცოდენ კარგათ
მისი დანიშნულება და ის მოვალეობაც, რომელსაც ისინი კი-
სრულობენ.

საზოგადოთ კი უნდა ვეცადოთ, რომ საკრედიტო კოო-
პერატივებიდან „ფული უსაფუძვლოთ“ არ გაიცეს“. ფული
უნდა მიეცეს სესხათ მხოლოდ ისეთ პირთ, რომელნიც მოი-
ხმარენ იმას ნაყოფრერათ: ან სამეურნეო იარაღის შესაძენათ,
ან მიწის და პირუტყვის საყიდლათ, ან მასალის შესაძენათ
და სხვ. ფულის რამე სხვა ჩვეულებრივ მოთხოვნილების
დასაქმაყოფილებლათ გაცემა, შეუწყნარებულია; ასე მაგალი-
თათ, არ შეიძლება ფული საქიფოთ, დღეობის გადასახდე-
ლათ და სხვ. გაყასესხოთ. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ,
რომ კასიდან გატანილ ფულს წევრი მოიხმარს ისე, რომ ეგ
სესხი იმას სარგებლობას მოუტანს და იგიც პირნათლათ გა-
მოვა ამნანაგობასთან.

ამისათვის საჭიროა, გამგეობაში არჩეული იყვენ ისეთი
პირები, რომელნიც მიუდგომლათ ემსახურებიან საერთო საქ-
მეს. პირადი დამოკიდებულებას ჩვენ სასტიკათ უნდა ვარჩევ-
დეთ საზოგადო საქმიდან: ჩვენ დიდი აღზრდა გვჭირია კიდევ
ამ მხრივ. „ნათელ-მირონბამ“, პირად დამოკიდებულების
საზოგადო საქმის ნიადაგზე გადატანამ, არა ერთი და ორი,
საქმე დალუბა ჩვენში. მომავალ ნორჩ და დემოკრატიულ სა-
ზოგადო დაწესებულებების, კომპერატივების, საქმეა მედგრათ
შეებრძოლონ ამას; ისე კი კომპერატივიც წუმპეში ამოისვრება.

როგორც „საკრედიტო ამხანაგობაში“, ისე „შემნახველ-გამსესხებელ“ კასაში მიიღებიან წევრებით, „ორივე სქესის პირები, სრული წლოვანები, რომელთაც ნება აქვთ მოიხმა-რო თავისი ქონება“, ამხანაგობანი და საზოგადოებანი (მაგ-მომხმარებელი), რომელნიც დარსებულია სოფლის მეურნეე-ბის, ხელოსნების, მწაომოებლების (მუშების) მიერ, და სასო-ფლო საზოგადოებანი.

შემნახველ-გამსესხებელი კასა, როგორც ვთქვით, ძირი-თაღ თანხას აგროვებს საპაიო გადასახადისაგან. „საკრედიტო ამხანაგობა-კი იღებს გრძელ ვადიან და მოკლე ვადიან სესხს. სახელმწიფო ბანკიდან. ამისათვის საჭიროა შეთანხმდეს რამდე-ნიმე ამხანაგი (არა ნაკლებ 20 კაცისა) და თხოვნა შეიტანონ სახელმწიფო ბანკის ახლობელ განყოფილებაში (ქუთაისის გუბერნიიდან და ბათუმის ოლქიდან—ბათუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, თფილისის გუბერნიიდან და ზაქათა-ლის ოლქიდან—თფილისის განყოფილებაში) ან „წვრილი კრედიტის საგუბერნიო კომიტეტის“ სახელზე; შემდეგ სახელ-მწიფო ბანკი გზავნის ადგილობრივ მოხელეს და, საქმის გამომ-კლევის შემდეგ, იძლევა ნებას ამხანაგობის გასახსნელათ და სესხსსაც. ყოველივე დაწვრილებითი ცნობები შემნახველ-გამ-სესხებელ კასისა და „საკრედიტო ამხანაგობის“ დაარსების-შესახებ რუსულ და ქართულ ენაზედ შეიძლება მიიღოს მსურ-ველმა ან გამოიწეროს (უფასოა). სახელმწიფო ბანკის განყო-ფილებებიდან.

ამხანაგობის საქმეებს განაგებს გამგეობა, საბჭო და წევ-რების საზოგადო კრება. გამგეობას და საბჭოს წევრები ირ-ჩევენ. გამგეობა განაგებს ამხანაგობის ყველა საქმეებს და არის წარმომადგენელი ყველა მისი საქმეებისა.

საბჭო თვალყურს აღევნებს გამგეობის მოქმედებას: იმან უნდა განიხილოს საჩივარი გამგეობის შესახებ უნდა განი-ხილოს გამგეობის შედგენილი წესები და წარუდგინოს მათი

შესახებ თავისი მოსაზრება საზოგადო კრებას; უნდა შეამოწმოს ანგარიშება, საბუთები და სხვ.

შემნახველ-გამსესხებელ კასების და „საკრედიტო აქტანა-გობათა“ საქმის წარმოება უფრო რთულია და უფრო პასუხის საგები, ვინემ სხვა კომპერატივების. ამიტომ საჭიროა, რომ ანგარიში აო აიბნეს, საქმის დაწყებისთანავე მოწვეული იქმნეს საქმის მცოდნე პირი. რა თქმა უნდა, ამხანაგობებს არ შეუძლიათ დაიქირაონ, განსაკუთრებით აღორძინების პირველ ხანებში, სპეციალისტი მოანგარიშე. ამიტომ ჩვენც ძალა-უნებლივ უნდა მივმართოთ ევროპის მაგალითს, სადაც, როგორც მკითხველმა დაჩნახა, მოანგარიშის როლს კისრულობენ სოფლის მასწავლებლები და ღვდლებიც. მაგრამ, რადგან არათაც არა აქვთ საკმაო ცოდნა საქმის. წარმოებისათვის, საჭიროა ჩვენშიც ზაფხულობით ან საალდგომოთ და საშობაოთ იმართებოდეს მასწავლებლთათვის კურსები.

ორი კვირის განმავლობაში იმათ შეუძლიათ გაეცნონ საქმის წარმოებას და მერე დახმარება გაუწიონ სოფლის საკრედიტო ამხანაგობებს.

საკრედიტო კოოპერატივები თავისუფალი არიან ყოველ გვარ სამრეწველო გადასახადებისაგან, ისინი არ იხთიან არც ლერბის გადასახადს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან და მთავრობის წარმომადგენლებთან მიწერ მოწერის დროს.

საკრედიტო კოოპერატივებს უფლება ეძლევათ, თუ წევრება ვადაზე არ გადიხადა ვალი, საქმე შემოკლებულ წესით აწარმოვონ: ისინი ასეთ შემთხვევაში არ მიმართავნ სასამართლოს, არამედ შეატყობინებენ პოლიციას და პოლიცია ვალდებულია პირდაპირ, ადმინისტრატიულ წესით, გადაახდევინოს მოვალეს აღებული სესხი.

V.

კონპერაცია სოფლათ

ჩვენ განვიხილეთ სამი უმთავრესი სახე კონპერაციისა, მომხმარებელი, მწარმოებელი და საკრედიტო ამხანაგობანი. ამ ამხანაგობების დაარსებას დიდი სარგებლობა მოაქვს, როგორც ქალაქის მუშისთვის, ისე გლეხისთვისაც. ამიტომ ჩვენ ცვედავთ, რომ ყველა დასახელებული კონპერატივები არსდებიან, როგორც ქალაქში, ისე სოფელშიაც.

ქალაქის მუშა ბეღნიერია იმით, რომ იმას გლეხზე უფრო ადვილათ შეძლია შეიგრძოს კონპერაციის მნიშვნელობა, მონახოს საქმის მცირები, გამოკითხოს იმათ კონპერაციის მოწყობისა და კონპერატივში საქმის წარმოების პირობები; სამაგიეროთ გლეხს თვით სოფლის დღევანდელი ცხოვრების პირობები ხელს უწყობენ კონპერაციისათვის. ჩვენ ვიცით, რომ კონპერაცია იბრძების კაპიტალის გავლენის წინააღმდეგ; ამიტომ იქ, სადაც კაპიტალიზმს მაგრათ აქვს ფესვები გადგმული, როგორც, მაგალ., ქალაქში, კონპერაციის მეტი ძალა სჭირია, მეტი გამოცდილება, მეტი დრო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველათ; იქ კი, სადაც სუსტია კაპიტალი, კონპერაცია ადვილათ ვრცელდება, კონპერაციას შეუძლია გაერიოს ეკონომიკურ ცხოვრების ყოველივე დარგში: ასეთი გარემოებაა სწორეთ სოფელში. ამიტომ, თუ ერთხელ კი მოიკიდა ფეხი კონპერაციამ სოფელში, მისი ბრწყინვალე მომავალი უზრუნველყოფილია, იგი ქალაქის კონპერაციაზე უფრო სწრაფის ნაბიჯათ მიდის წინ.

ამის საუცხოვო მაგალითები დაგვანახა ჩვენ დანიამ, იტალიამ, გერმანიამ და სხვ.

ძირითადი მიზეზები კონპერაციის აღორძინებისა სოფელში. ისეთივეა, როგორც ქალაქში: ცხოვრების აუტანელი პი-

რობები ბადებს მცხოვრებთა შორის აზრს შეერთებულის ძალით გაიუმჯობესონ თავისი ნივთიერი მდგომარეობა. მევახშის საშინელი მუხრუჭი, წვრილი ვაჭრისა და ჩარჩის ვაუმაძლარი მაღა, გლეხისთვის უფრო ძნელი თუ არის, ვინემ მუშისათვის, თორემ უფრო მსუბუქი არაა. მომხმარებელ და საკრედიტო ამხანაგობათა მნიშვნელობაზე ნათქვამის მეტს ჩვენარაფერს ვიტუვით. მწარმოებელ ამხანაგობას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გლეხისთვის.

თუ მუშა, რომელიც სხვისი ქარხანაში მუშაობს, იღებს თავის შრომაში განსაზღვრულ სამუშაო ქირას, მიუხედავათ იმისა საუკეთესო სისტემის მანქანებია შემოღებული იქ, თუ არა, და მას მაინცა და მაინც არც კი აინტერესებს გაუმჯობესებული იქნება ტეხნიკა ამ ქარხანაში და ბევრ ნაწარმოებს დაამზადებს ქარხნის პატრონი, თუ არა, გლეხის უმთავრეს საზრუნავ საგანს წარმოადგენს ის, თუ როგორგაუმჯობესოს თავისი სამუშაო იარაღები, რომ რაც შეიძლება მეტი და კარგი ხარისხის ჭირნახული მოიყვანოს პარია ადგილზე. გლეხი უმეტეს ნაწილათ წვრილი მიწათმფლობელია. იგი მუშაობს თავისთვის. მისი სამუშაო ქირაა ის ნაწარმოები, რომელსაც იგი მოიყვანს მიწაზე ან დაამზადებს. ამიტომ მისი პირდაპირი ინტერესი მოითხოვს, რაც შეიძლება საუკეთესო მანქანა შემოიღოს ხმარებაში; რაც შეიძლება მეტი და საუკეთესო ჯიშის მუშა პირუტყვი მოაშენოს და სხვ. იგი ყოველთვის ვერ შოულობს სამუშაოს გარეთ; საკმაოათუ არა მისთვის, იგი მაინც ჩაკირკიტებს ერთ ნაჭერ მიწას და მხოლოდ ზეცასა და ქვეყანას სწყევლის, თუ ამ მიწამ საკმაო სარჩო არ მოუყვანა...

კომპერვეციის საქმეა აქ მიეშველოს გლეხს, გახადოს; გლეხის შრომა რაც შეიძლება ნაყოფიერი. ამიტომ მწარმოებელ კომპერატივის დაარსება სოფელში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს; ხოლო მომხმარებელი და საკრედიტო ამხანაგობანი უფრო უნდა აფაროვებდენ სოფელში თავის,

მოქმედების საზღვრებს. ასე, მოქმედებელ საზოგადოებაშ ჩვეულებრივათ საჭირო საგნების გარდა (როგორიცაა, წავთი, ფქვილი, მარილი, ჩაი, შექარი, ჩითი და სხვ.), უნდა შეიძინოს მეურნეობაში გამოსადევი საგნებიც, როგორიცაა, თესლი, გოგირდი, შაბი და სხვ., რომლითაც ადგილობრივი კერძო ვაჭრები არც კი ვაჭრობენ; უნდა შეიძინოს სამუშაო იარაღები წევრებისათვის; უნდა მიიღოს, თუ საზარალოთ არ დაინახავს, წევრებისაგან ფულის მაგიერ სხვადასხვა გვარი სოფლის ნაწარმოები, და სხვ. საკრედიტო ამხანაგობებმა უნდა გააფართოვონ საშუამავლო ოპერაციები, ე. ი. ხელი უნდა, შეუწყონ გლეხის ნაწარმოების გასაღებას და გლეხების მიერ საჭირო იარაღებისა და სამეურნეო საგნების შეძენას და სხვ.

მწარმოებელი ამხანაგობანი სოფელში სულ სხვადასხვა სახეს იღებენ. არიან, მაგალითათ, ამხანაგობანი მიწის საზოგადო, შეერთებულის, ძალით დასამუშავებლათ. ასეთი ამხანაგობა იძნეს სამეურნეო იარაღებს, თესლს, პირუტყვს და სხვ. მერე ამუშავებს ჯერ, ერთი წევრის მიწას, მერე მეორისას, მესამისას და სხვ. ჭირნახული გროვდება, ერთათ და მერე გაიყოფა წევრთა შორის. რაღაც ასეთი ჩვეულება არსებობს „მერეთშიაც“; რამდენიმე გლეხი ათი-ოცი კავშირდება (რა თქმა უნდა იმათ არა აქვთ არავითარი ხელშეკრულობა ან წესდება) და ერთათ სთოხნიან ჯერ ერთის ყანას, მერე მეორისას და სხვ. განსხვავება იმაშია, რომ ესენი მუშაობენ საკუთარის იარაღით და ჭირნახული მისი საკუთრებათ რჩება, ვისი ადგილშიაც მოდის. ამ დროებით „კავშირებს“ იმერეთში ეძახიან „ნადს“. ამასვე მოგვაგონებს (ქართლში) „მოდჭამობა“. ასეთ ამხანაგობათა სარგებლობა აშკარაა ყველასათვის,

ვინც იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაუძვებესებულ იარაღის შემოღებას და რამდენიმე კაცის ერთათ მუშაობას (თანამშრომლობას) მეურნეობაში. ყოველგვარ სამეურნეო იარაღის გამოწერა კერძო მეურნისათვის ძნელია, რამდენიმე მეურნე ერთათ კი ადგილათ აღწევს ამ მიზანს. გარდა ამისა,

არის ისეთი სამუშაონი, სადაც ერთი კაცი ვერაფერს ვერ გახტება; მაგალითათ, არის გაყვანა აღვილის გასამშრალებლათ, ტყის გაკაფევა, მოსარწყავ წყლის გამოყვანა. და სხვ. ამხანაგობების მნიშვნელობა ასეთ შემთხვევებისათვის თვალსაჩინოა.

ევროპაში არსებობენ ისეთი ამხანაგობანი, რომლის მიზანს შეადგენს მარტო მანქანების გამოწერა საზოგადო საჭიროებისათვის. ასეთ ამხანაგობებს აქვთ თავისი განსაკუთრებული წესდებაც. წესდების ძალით, ამხანაგობის მანქანებით სარგებლობა შეუძლია, როგორც წევრს, ისე არა წევრებაც, მაგრამ არა წევრებს ხთება მეტი ჭირა მანქანის ხმარებაში, ვინემ წევრებს. წევრს არ აქვს უფლება ისარგებლოს სხვისი მანქანით, თუ ამხანაგობის მანქანა თავისუფალია. მანქანის წალების სურვილი წევრმა რამდენიმე დღით ადრე უნდა განაცხადოს. მანქანის ხმარების ვადა განსაზღვრულია; მაგალითათ, ივლისში და აგვისტოში წევრს შეუძლია განუწყვეტლივ ისარგებლოს სალეწავ მანქანით იმდენჯელ სამი საათი, რამდენი პას აქვს შეძენილი *).

არის ამხანაგობანი, რომელთაც მიზანთ აქვს კარგი ჯიშის პირუტყვისა და ფრინველის მოშენება. ჩვენ დავინახეთ, მაგალითათ, რომ დანიის გლეხთა კოოპერატიული ამხანაგობანი, სხვათა შორის, განთქმული არიან ლორის ხორცით (ლორით). მხოლოდ კარგი ჯიშის და კარგათ ნაპატივები პირუტყვი და ფრინველი იძლევა კარგ ხორცს. ეს ადვილი მოსახერხებელია, როცა არსებობს ამხანაგობა, რადგან მაშინ შესაძლებელია ამხანაგობაში იყოლიოს სპეციალისტი, რომლის რჩევით შეუძლია ისარგებლობ წევრებმა; ამხანაგობას შეუძლია გამოიწეროს კარგი საკვები იაფ ფასებში, იყოლიოს ბეითალი და სხვ. ამხანაგობას შეუძლია გახსნას საკუთარბ საყასბოები ქალაქებში და ამნაირათ გადაარჩინოს წევრები, ათას გვარ

*) С. В. Бородаевский „Сельскохоз. Товарищества въ Германии“.

ჩარჩებსა და დალალებს, რომელნიც ჩალის ფასათ სტყუვებენ
სოფლელებს პირუტყება და ფრინველებს, და სხვ.

არსებობენ მებალებისა და მეხილეების ამხანაგობანი.
მოგეხსენებათ, რომ ხილს კარგი ფასი აქვს, განსაკუთრებით,
თუ შეგვიძლია ისე შევინახოთ იგი, რომ მაღა არ გაფუჭდეს.
ამისთვის კი საჭიროა ცოდნაცა და გამოცთილებაც. ამხანა-
გობას ყავს სპეციალისტი, რომელიც თვითონაც ამზადებს
ხილისაგან ათასნაორ კონსერვებს და საზამთროთ ინახავს იმას,
რომ უფრო კარგ ფასებში გაიყიდოს, და წევრებსაც მაგა-
ლითს აძლევს და უხსნის, როგორ შეინახება ხილი. ამხანა-
გობას შეუძლია შეიძინოს. სხვადასხვა გვარი მოწყობილო-
ბაც. ის წევრები, რომელნიც საკუთრიათ ვერ შესძლებენ ხი-
ლის საზამთროთ შენახვასა და იმისგან რისმე გაკეთებას, აქ
მოიტანენ ხილი; ამხანაგობა დაამზადებს იმისგან კონსერვებს,
მურაბებს და სხვ. ტექილეულობებს და მერე კარგ ფასებში
გაყიდის. თავის შრომაში ამხანაგობა ცოტას რასმე აიღებს,
წევრი კი, რომელსაც მოუვლელობითა და უკოდინარობით
ხილი უნდა დალპობოდა, ძლიერ დიდ მოგებას ნახავს.
განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ამხანაგობა ხილის გა-
საღებაში, გაყადვაში. სოფლის წვრილმა შეურნებმა, განსა-
კუთრებით გლეხებმა, სრულიად არ იკიან, როგორ ან სად
გაიყიდება ხილი. ამიტომ ან სრულიად უსარგებლოთ ულპე-
ბათ იმათ ხილი ან ჩალის ფასათ აძლევენ ქალაქიდან ჩამო-
სულ ჩარჩებს.

სწორეთ პირველყოფილი ჩვეულება არსებობს ამ მხრივ
ჩვენში. გორის მაზრაში, მაგალითათ, ჩამოდის ბაყალი (მეხი-
ლე) თფილისიდან და მარტში ან აპრილში (ხშირას უფრო
ადრეც) ყიდულობს მთელ ბალს ნარდათ. გაჭირვებული ბა-
ლის პატრონი ართმევს ბეს და სწორეთ უმაგალითო იაფათ
აძლევს მთელი წლის მოსავალს ბაყალს. მიუხედავათ იმისა,
რომ ხშირას კინგა ან სეტყვა აფუჭებს ბალები, ძვირათ მოხ-
დება ისეთი შემთხვევა, რომ ბაყალი გულნატყენი დარჩენი-

ლიკოს თავისი ნავაჭრით. აქიდან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ფასში ყიდის გორის მაზრის მეურნე თავის ბალებს. მიუხედავათ იმისა, რომ თვითონ თფილისის მეხილეები (ბაყლები) არავითარ ცოდნით არ არიან აღჭურვილი, რომ კონსერვები ან რამე ტკბილეულობა დაამზადონ ხილიდან, მიუხედავათ იმისა, რომ თვითონაც მერე პირველყოფილ საშვალებით ყიდიან ამ ხილს სხვა ვაჭარზე და სრულიად არ იცნობენ არამც თუ უცხოეთის ბაზარს, რასეთის მოთხოვნილებასაც, ძლიერ ბევრ ფულს იგებენ ხილში...

ჩვენში რომ მეხილეთა ამხანაგობები არსებობდეს, იმათ აღვილათ შეუძლიათ გაიჩინონ ბაზარი, გაუქაღებელი ხილი შეინახონ შერჩეულ დრომდის ან კონსერვებათ და სხვ. გააკეთონ და ისე გაყიდონ. ეს კი დიდ სარგებლობას მოიტანს, ერთი ათათ გაზრდის იმ მეურნეების შემოსავალს, რომელნიც მისდევენ ხილის გაშენებას.

არიან ამხანაგობანი მევენახეთა და მეღვინეების. ასეთ ამხანაგობათა რიცხვი ბევრია გერმანიაში (± 200 მეტი), ხოლო ამ ბოლო დროს ასეთი კოოპერატივები მრავლდებიან საფრანგეთშიაც. საფრანგეთში ასეთ კოოპერატივების დაარსებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს უკანასკნელ (1907 წ.) მეღვინეობის კრიზისის შემდეგ, რასაც თითქმის მთელი სამხრეთ საფრანგეთის აბბონება მოყვა.

დარწმუნებული ვარ, მკითხველს ახსოეს ის დიდი დემონსტრაციები, რომელსაც აღილი კონდა. სამხრეთ საფრანგეთში 1907 წლის განმავლობაში და რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. საქმარისია გაეცნოს ადამიანი ამ მოძრაობის ძირითად მიზეზებს, რომ ნათლათ დაინახოს, თუ რა დიადი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს იმ ქვეყნებს. სადაც ლვინო მოდის, კოოპერაციამ, რომელსაც ახლა მაგრათ მოკიდეს ხელი საფრანგეთის მევანახებმა.

მთელ სამხრეთ საფრანგეთის სოფლებში უცხოვრებთა უმავრეს სალსარს ცხოვრებისას შეადგენს მეღვინეობა. მდიდარ

რი სამხრეთის ბუნება ბლომათ იძლევა ღვინოს; მთელი დე-
ლამიწის ზურგზე განთქმული ღვინოები აქ მოდის. ღვინის
წყალობით სამხრეთ პროვინციის გლეხები ერთხანს ძლიერ
კარგათ ცხოვრობდენ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარე-
პოვებას, რომ ღვინის მოთხოვნილება საფრანგეთში თანდა-
თან მატულობს, უნდა ვიფიქროთ, რომ იქ ღვინის ფასიც
თანდათან აიწერდა და მით მევენახეთა მდგომარეობაც თანდა-
თან გაუმჯობესდებოდა. მით უფრო უნდა აწეულიყო ღვი-
ნის ფასი, რომ ვენახებით გაშენებულ ბალების სივრცემ იკ-
ლო. ასე, 1841 წ. საფრანგეთში ვენახს ეჭირა 2.975.000
გვერდარი *) მიწა, 1882 წ.— 2 196.729, ხოლო ახლა 1.750.000
გვერდარს არ იღება ტება. ღვინის მოთხოვნილება საფრანგეთში
წყლიწადში უდირის 71 მილიონ გვერდობრის, ხოლო ნამ-
დვილი ბუნებითი ღვინო მოდის 58 მილ. მიუხედავათ ასეთი
გარემოებისა, რომლის გამო ღვინო თანდათან უნდა გაძირე:
ბულიყო საფრანგეთში, ისე იაფათ, როგორც საფრანგეთში,
ღვინოს ვერსად იშოვით. მშვენიერი ბუნებითი ღვინო მეურ-
ნებს გაუსალებელი ურჩებათ და უფუჭდებათ.

რით აისხება ასეთი არა ნორმალური მდგომარეობა, სად
არის ამის მიზეზი?

26 მაისს 1907 წ. პერპინიანში (პროვინცია საფრანგეთ-
ში). მევენახეთა დემონსტრაციის დროს, სხვათა შორის, ასეთ
საგულისხმიერო განცხადებებს წაიკითხავდით დემონსტრანტე:
ბის დროშებზე: „ჩვენი კასრები საგვარეულო ღვინით, კუჭი კი
ცარიელი გვაქვს. გაუმარჯოს ბუნებითი ღვინო! ღვინის და-
შაქრვა — აი ჩვენი მტერი!..“ მართლაც, ღვინის დაშაქრვამ;
ფალსიფიკაციამ; გაუჭირა საქმე მეღვინებს. საფრანგეთში
არსებობს მთელი ქარხნები, საზაც ხელოვნურათ ამზადებენ
ისეთ ღვინოებს, რომ მყიდველი, არამოუ ვეო გაარჩევს
იმას ბუნებითი ღვინილან, იმას ამჯობინებს ბუნებით ღვინოს:

*) ერთი გერმანი, მრი დღიურზე ცოტა ნაკლებია.

ეს ხელოვნური ღკინო კი წყლისა და შაქრის წყალობით ძლიერ იაფი ჯდება, განსაკუთრებით იმ ხანებში, როცა შაქრის ფასი დაიწევს ხოლმე. ამიტომ ვაჭრებს ახლა აღარ სჭირიათ ნამდვილი ღვინო, იმათ ზურგი შეაქციეს მეურნეებს და ხელი მიუვეს ფალსიფიკაციას, ეს უფრო ხელსაყრელი შეიქმნა მათვეის.

ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ საფრანგეთში ხშირათ ღვინო მაშინ კი არ იაფდება, როცა ყურძნის კარგი მოსავალია, არამედ მაშინ, როცა შაქრის ფასი დაიწევს ხოლმე. მაგალითათ, 1904 წ. ღვინის მოსავალი საფრანგეთში უდრიდა 66 მილიონ გეკტოლიტრს, (9,625,000 საპალნე), 1905 წ. კი 57 მილიონს. ცხადია, 1905 წ., რა კი მოსავალმა იკლო, ღვინო უნდა გაძვირებულიყო წინა წელთან შედარებით. აქ კი წინააღმდეგი მოხთა. პარიზში 1904 წ. ნოემბერში გეკტოლიტრი (7 ჩაფი) ღვინო ფასობდა 18—23 (6—8 გ.) ფრანკათ, 1905 წ. ნოემბერში კი 12—17 ფრანკათ (4—6 გ.). ეს ახირებული მოვლენა აიხსნება იმით, რომ ამ ხანებში შაქარი ძლიერ გაიაფდა, ხოლო ამის გამო მოწამლული ღვინის დამზადებაც უფრო იაფი ჯდებოდა *).

ასეთი დამოკიდებულებაა შაქრის ფასისა და ღვინის ფასის შეუა; იაფი შაქარი, და არა იაფი ყურძნი, იაფებს ღვინოს საფრანგეთში! მოწამლულმა ღვინომ განდევნა ბაზრიდან ნამდვილი ღვინია, მომხმარებელი ხელოვნური ღვინით იწამლებოდა და მეურნეებს კი შესანიშნავი ღვინო სარდაფებში უძმარდებოდათ.

1907 წლ. მოძრაობა იყო გამოწვეული უმთავრესათ ღვინის ფალსიფიკატორების გამრავლების გამო და მათ წინა აღმდეგ „სიკვდილი ფალსიფიკატორებსო“! გაისმოდა ხშირათ დემონსტრანტებში. საშინელ გაჭირვებას განიცდიდნ მეღვინე-მეურნეები. ამავე დროს «საფრანგეთის სოკიალისტურ

*) В. Т. Тотоміанцъ. „Сельскохоз. Кооперація“ 34 გვ.

კონპერატივთა ბირჟამა გამოუშვა მოწოდება მომხმარებელთა
მიმართ. და უჩიევდა ყველას ღვინო მხოლოდ მომხმარებელ
საზოგადოებებში ეყიდათ, რადგან მხოლოდ იქ იშოვებოდა
ნამდვილი ღვინო. მომხმარებელი საზოგადოებანი კი ღვინოს
პირდაპირ გლეხიდან ან სოფლის ამხანაგობიდან ყიდულობ-
დენ ყოველთვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეღვი-
ნეთა კონპერატივებს არ განუცითათ 1907 წ. საშინელ
კრიზისის სუსტი. კონპერატივების ღვინო ძლიერ აღინდა
პარიზისა და სხვა დიდ ქალაქების მომხმარებელ საზოგადოე-
ბათა მოთხოვნილებას. ამ გარემოებამ მოძრაობის შემდეგ
მიიპყრო მევენახეთა განსკუთრებული ყურადღება. კონპერატია
იქნა ადარებული ერთათ-ერთა მხსნელათ, რომელსაც შეეძლო
შეემსუბუქებია სამხრეთის შევრნეთა მდგრმარება. „მეღვინეთა
კონფედერაციის“ პროექტს, რომლითაც განზრაული იყო
ღვინის გაყიდვის კონპერატიულ ნიაღავზე მოწყობა, საფრან-
გეთის ვამოქენილი სოციალისტი და მოლვაწე ქ. ურესი დი-
დის ალტაცებით მიეგება: „მხოლოდ ძველი ინდივიდუალიზ-
მის მივიწყება იხსნის სამხრეთსო, სწერდა იგი ამ პროექტის
გამო: ამ განცალკევებას, ამ ანარქიულ კონკურენციას ბოლო
უნდა მოულოს კონპერაციამ. ეს იქნება დიადი მოვლენა სა-
სოფლო სამეურნეო წარმოებაში... უწინარეს ყოვლისა საქი-
როა შევქმნათ ისეთი საკუთარი დაწესებულება, რომელიც
იხსნის სამხრეთს. ეს შეიგნო მევენახეთა კომიტეტმა, რომელ-
მაც უკანასკნელ კრებაზე თავის პროგრამას დაწერა: „მეღვი-
ნეთა კონფედერაცია“. ეს კავშირი შეიმუშავებს ღვინის ფა-
სებს, თვალყურს ადევნებს ფალსიფიკაციას, ღვინის ლირსებას
და იმ ადგილებს, საიდანაც მოიქვთ ღვინო. ის საზოგადო
სარდაფებში შეინახავს იმ ზედმეტ ღვინოს, რომელსაც კერძო
მესაკუთრენი ახლა უადგილობის გამო ნახევარ ფასათ ყიდიან;
ფულს. ასესხებს მევენახეებს, რომ გაჭირვების გამო იმათ ყურ-
ძენი უდროვოთ არ მიყიდონ ვაჭარს და სხვ.“... ჩემის აზ-
რითო, სწერდა იგი, სოციალისტებმა და ნაქირავებ მუშებმა

მნარი უნდა დაუჭირონ ღვინის გაყიდვის მოწყობას ისე, როგორც ხელს უწყობდენ და ეხმარებოდენ ისინი მევენახეებს პროტესტებისა და ბრძოლის დროს. ამით ისინი დაიხსნიან განსაკუთლისაგან სიმღიდრეს, რომლის ასებობასთან შეკავშირებულია მრავალ ათასი პროლეტარის მდგომარეობა... რატომ მაროსანის სოციალისტებშია, რომელთაც მოწყვეს და ის მევინეთა კომპერატივი დემოკრატიულ ნიაზაგზე არ უნდა მისცენ წინადაღება „მევინეთა კონფედერაციას“, რომ სხვადასხვა სოფლებში (კომუნებში) დარსებული იქნას ასეთი კომპერატივები და მერე გაერთიანებული იყოს მათი მოქმედება ღვინის გაყიდვისა და კონტროლის საქმეში *) ”... .

აქ ჩვენ მოკლეთ გავაცნობთ მკითხველს მაროსანის შესწავებაზე კომპერაციას.

კომუნა მაროსან მდებარეობს ქ. ბეზიეს მახლობლთა აღგილობრივი მცხოვრები მისდევენ უმთავრესათ მეღვინეობას, რადგან აქ ბლომათ მოდის კარგი ღვინო. 1901 წ. აღგილობრივ ქალაქში კარგათ ცნობილ სოციალისტის ილია ქატალას მეცადინეობით დაარსდა მაროსანში ღვინის დასამზადებელი და გამსალებელი კომპერატივი. კაპიტალის უქონლობის გამო (საჭირო იყო მთელი ქარხნის მოწყობა) ღვინის დაწურვა კომპერატივში ერთხანს არ ხერხდებოდა, ღვინის კომპერატიულათ გაყიდვის საქმე კა უფრო ადვილათ მოეწყო. უმთავრესი მყიდველები ღვინის მაროსანის კომპერატივიდან იყვნენ მომხმარებელი საზოგადოებანი, განსაკუთრებით ჰარიზის დიდი მომხმარებელი საზოგადოება Bellevilloise; ზოგ მრამხმარებელ საზოგადოებებმა დელეგატებიც კი გაფავნეს მაროსანში საქმის მდგომარეობის აღგილობრივ გასაცნობათ და რაკი დარწმუნდენ, რომ საქმე კარგათ იყო დაყენებული, უფრო და უფრო შეუწყვეს ხელი იმის განვითარებას. 1902 წლის განმავლობაში მაროსანის ამხანაგობაში გაყიდა ჩე 20 გეკტო-

*) ibid 53 გვ.

ლიტრი *) ლვინო და რომ უფრო გაეადვილებია მომხმარებელ საზოგადოებათათვის ლვინის მიტანა პარიზში გახსნა საწყობი. 1905—1906 საანგარიშო წელში კი 49220. გეგტოლიტრი ლვინო გაყიდა ამხანაგობამ; წევრების რიცხვი ამ დროს 279 უდრიდა. ამხანაგობის საქმე ისე კარგათ წავიდა, რომ 1905 წ. იმან ლვინის დასაწურავი ქარხანაც გახსნა და რამდენიმე ახალი საწყობები გააკეთა მანსში, ლიმონშში და სხვ. ქარხნის გახსნაში დიდი დახმარება იღმოუჩინა მაროსანის ამხანაგობას პარიზის მომხმარებელ საზოგადოებებმა.

მაროსანის კოოპერატივის წესდება ისე არის შედგენილი, რომ ამ კოოპერატივში წევრებათ გლეხების უღარიბესი ნაწილიც კი მოყვება. ლვინის მწარმოებელ ამხანაგობის წევრი, წესდების ძალით, უსათუოთ წევრათ უნდა ჩაეწეროს მომხმარებელ საზოგადოებაში. ყველა მომხმარებელ და საჭიროებული საზოგადოებებს და მუშათა კავშირებს, რომელნიც ლვინის ყიდულობენ ამხანაგობიდან, უფლება აქვთ კონტროლი გაუკეთონ ამხანაგობას. ეს გარემოება აახლოებს ქალაქის მომხმარებელ საზოგადოებებს მაროსანის ამხანაგობასთან.

მაროსანის ამხანაგობა წევრს, როცა ლვინო მოაქვს იმიდან, 2—3 ფრანკით კერძო ვაჭარზე მეტს აძლევს ხალიერითობან. კი მომხმარებელ საზოგადოებებს მაზანდაზე ყადის ლვინის. მიუხედავათ ამისა, ამხანაგობას თვალსაჩინო მოვება, რჩება. რომელსაც იგი ასე ანაწილებს:

1) 25% ეძლევა მომხმარებელ საზოგადოებებს, იმის მიხედვით, თუ რომელმა მეტი ლვინო წაიღო ამხანაგობიდან;

2) 20% — პროპაგანდისა და მუშათვის კლისის სხვადასხვა დაწესებულებათა სასარგებლობა;

3) 5% — „სოც ალისტურ კოოპერატივთა ბირჟის“ და მომხმარებელ საზოგადოებათა ფედერაციის სასარგებლობა;

4) 25% — საერთო სარდაფის მოსაწყობათ და საზოგადო ვეხახის გასაშენებლათ;

*) ერთი გეგტოლიტრი უდრის დახლოვებით 7 ველოს (ჩიტან).

5) 25%—უნაწილდება თანასწორათ ამხანაგობის ყველა წევრებს.

დაიწყება რთველი თუ არა, ამხანაგობის წევრებს შოაქვთ ახლათ დაყენებული ღვინის ჭაშნიკი განსაკუთრებულ კომისიაში. კომისია სინჯავს ღვინოს, მაგრამ ჯერ არ იცის, ვის ეკუთვნის იგი. მთელი მოგროვილი ღვინო დაიყოფა ხარისხებათ, ფერათ, გემოვნებათ. შერე კომისია დაადგენს ფასებს; ხოლო ამის შემდეგ დაიბარებენ წევრებს. სათითაოდ და ეტყვიან ფასს. წევრს 24 საათი ეძლევა მოსაფიქრებლათ. თუ იგი ამ ხნის განმავლობაში არ დაეთანხმება კომისიის შეფასებას, შეუძლია თავისი ღვინო კერძო ვაჭარს მიყიდოს; თუ დაეთანხმება, ღვინოს კოოპერატივი იტოვებს თავის სახელზე და მოაქვს იგი წევრიდან ან მაშინვე ან მოთხოვნილების დროს.

კერძო მეურნეებს ხშირათ უფროდებათ ღვინო ცუდ აღგილზე შენახვის გამო. მაროსანის ამხანაგობის სურვილს დაღი ხანს შეადგენდა კარგად მოწყობილ სარდაფის აშენება, რომ აქ შესაძლებელი ყოფილოყო წევრების ღვინის შენახვა. პარიზის მომხმარებელ ამხანაგობათა დახმარებით ამ მიზანსაც მიაღწია მაროსანის ამხანაგობამ—პარიზის შომხმარებელ საზოგადოებრბა ასესხეს იქნა საჭირო ფული. ამხანაგობამ შეიძინა რკინის გზის პირას მიწა და 1906 წ. აქ ააშენა მშვენივრათ მოწყობილი სარდაფი. ეგ სარდაფი ამხანაგობას 170000 ფრ. (63.750 მანეთამდის) დაუჯდა. აქ არის შექანიკური აპარატი ყურძნის დასაწურავათ, ელევატორები, მილები, რომელსაც ღვინო გადააქვთ პირდაპირ ღვინისათვის მოწყობილ ვაგონებში და სხვ., აპარატები, რომლის საშვალებით იგებენ ყურძნიდან როგორი სიმაგრის და ხარისხის ღვინო გამოვა და იმის მიხედვით ანაწილებენ ყურძენს. თვითოვეულ წევრისთვის აქ სწარმოებს განსაკუთრებული ანგარიში.

ამ სარდაფის მოწყობაშ ბევრ ფრანგის გლეხს გაუდეიძა
სურავილი ამხანაგობის დაარსებისა.

ასეთია მევენახეთა და მეღვინეთა კოოპერაცია საფრან-
გეთში. მათი მაგალითი ძლიერ ბევრს უუბნება ჩვენი ქვეყნის
და განსაკუთრებით კახეთის მეურნე-მევენახებს და სწორეთ
ამიტომ ჩვენ დიდხანს შევჩერდით იმაზე.

დასახელებულ კოოპერაციების გარდა სოფელში შესაძ-
ლებელია ათასი სხვადასხვა გვარი კოოპერაციის მოწყობა.
ყველა იმათი ჩამოთვლა შეუძლებელია. კოოპერაციის მნიშვ-
ნელობის შეგნებას, მისი ძირითად კანონების გაცნობასა და
ადგილობრივ პირობების შესწავლას შეუძლია კოოპერაციის
იდეა შეიტანოს სოფლის ცხოვრების სულს სხვადასხვა დარგ-
ში. არიან, მაგალ., ურთიერთი დამზღვევი კოოპერაციები
(სეტყვისაგან, საქონლის ჭირისაგან და სხვ.), კოოპერატიუ-
ლი წისქვილები, ფურნეები და სხვ. და სხვ.

ჩვენის აზრით კარგი იქნება, რომ ყველგან, სადაც პირ-
ველიათ ფეხს იდგამს კოოპერაცია, საქმე მომხმარებელ საზო-
გადოებიდან დაიწყონ, რადგან მომხმარებელი საზოგადოება
ყველა კოოპერაციებზე უფრო ადგილი მოსაწყობიცაა და ად-
ვილი განსახორციელებელიც. ჯერ მომხმარებელ საზოგადოე-
ბის მოქმედების საზღვრების გაფართოებით და მერე მასთან
სხვა გვარ კოოპერატივთა მოწყობით შესაძლებელი გახთება
მოეფინოს სოფელს კოოპერაცია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლისთვის კო-
ოპერატივთა კავშირს. კავშირის მოქმედება უფრო ფართვ-
ნიადაგზე სწარმოებს, კავშირი უფრო ძლიერია და თავისი ძა-
ლით იგი აძლიერებს კერძო ამხანაგობებს და განსაკუთრებით
მწარმოებელ საზოგადოებებს. კერძო მეურნეობა თავის დღე-
ში ვერ გაუმჯლავდება ბაზარზე იმ ამხანაგობებს, ამბობს ბ.
ანციფროვი, რომელიც კავშირში შედიანო, რადგან: 1)
კავშირის საშვალებით ამხანაგობებს შეუძლიათ ამოირჩიონ
კარგი მანქანები, ხელსაწყოები, შენობები და სხვ.; 2) კავში-

ініс дієвім діївіт, і в та-ж კამпопіїїрів ამხანაგობаნ.ი ყოველ-
заір მოწყობილовід; 3) შეუძლიათ ისარგებლონ კარვი სპე-
ცіалістісტівіт და ნაწარმოების დამზადებაც იაფათ დაიჯინონ;
4) დაამზადონ კარვი ხარისხის ნაწარმოები და სხვ.*).

*) А. Н. Анциферовъ, „Кооперациія въ сельскомъ хозяйствѣ
Германіи и Франціи“, 514—515 გვ.

VI.

ანგარიში კონპერატიულ დაწესებულებებში.

კანონი ვალდებულათ ხთის, არამცუუ საზოგადო დაწესებულებებს, კერძო სავაჭროებსაც, აწარმოვონ საანგარიში წიგნები. ამით კანონი, ერთი მხრით, იყვლევს, რომ იმის მიხედვი შეაწერონ იმას სახელმწიფო და სხვა გვარი გადასახადები მეორე მხრით კი, იგი იცავს იმ პირების ინტერესებს, რომელ თაც დამოკიდებულება აქვთ სავაჭრო დაწესებულებასთან რომ დაწესებულებაში ანგარიშის არევ-დარევით ამათ ზარალ არ მოუვიდეთ. ამასთანავე, საანგარიში წიგნები საჭირო არი საქმის წარმოებაში ამტკიცარ დავის გამოსარკვევათ და სასამარ თლოც ასეთ წიგნებს უყურებს, როგორც გასამართლებელ საბუთებს და სხვ. გარდა ამისა, ისეთ დაწესებულებათ, რომ ლებშიაც არ სწარმოებს ანგარიში, თვითონაც არ შეუძლია ნათელი და სწორი წარმოდგენა იქნიონ თავის საქმის შესახებ.

წვრილ ვაჭარმა რომ ხანდახან არ აწარმოვოს ანგარიში წიგნები, ეგ კიდევ არაფერია: თვითონ არის თავის პატრონი მოგებაცა და ზარალიც მისი საკუთარ ჯიბეს ეხება; საზოგადო დაწესებულებას კი ნაბიჯი არ შეუძლია გადადგას სააგარიშო დავთორების გარეშე. საქმის პატრონები აქ ისინი არ არიან, ვინც საქმეს განავებს (ე. ი. გამგეობა), საქმი პატრონი აქ მთელი საზოგადოებაა, რომელსაც გამგეობა ვრცელი და სწორი ანგარიში უნდა წარუდგინოს თავის მომდების შესახებ. ეს კი შეუძლებელია, თუ გამგეობა საქმე აღორძინებისთანავე არ შეუდგა ანგარიშის წარმოების.

მხრივ ერთხელ ჩამორჩენილი საქმე დიდხანს იკოჭლებს და ბოლოს მეტ შრომასაც მოითხოვს, ვინემ თავიდანვე დაწყებული ანგარიში.

ანგარიშის სწორათ წარმოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება კოოპერატიულ დაწესებულებაში. მაგრამ საჭიროა, ორმ აქ რაც შეიძლება მარტივთ იყოს დაყენებული ანგარიშის საქმე. რადგან წევრების უმეტესობა კოოპერატივში არ არის ნასწავლი ხალხი, განსაკუთრებით სოფლებში, და ამიტომ გამგეობაში თუ სარევიზიო კომისიებში ხშირათ მხოლოდ წერა-კითხვის მცირები მოყვებიან და რთულ ანგარიშს ესენი, რა თქმა უნდა, ვერ აწარმოებენ. ხოლო განსაკუთრებულ სპეციალისტების (ბუჟგალტრების) დაჭირავება ახალგაზრდა და პატარა კოოპერატივებს არ შეუძლიათ დიდ კოოპერატივებში ძალა უნდებლივ რთულდება საქმე; აქ უცილებლათ საჭიროა სპეციალისტი — მოანგარიშე და ცნობილ სისტემაზე წარმოება ანგარიშისა, პატარა კოოპერატივში კი რთული არაფერი არის მაინც და მაინც და საანგარიშო წიგნების წარმოება აქ ყველა წერა-კითხვის მცირებს შეუძლია.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ვრცლათ შევეხოთ აქ კოოპერატიულ ამხანაგობებში ანგარიშის დაყენების საჭმეს — ეს დიდ უროსა და ადგილს მოითხოვს და ამისათვის განსაკუთრებული ახელმძღვანელობის დაწერა არის საჭირო; მაგრამ მოკლეთ პაინც დავასახელებთ და გავაცნობთ შეითხველს იმ წიგნებს, ჩომელნიც საჭირო იქნება კოოპერატივში ანგარიშის წარმოებისათვის. ჩვენ ავიღებთ საანგარიშო წიგნებს მომხმარებელ აზოვალებისას. ეს წიგნები, ცოტაოდენი ცვლილებით, რომელიც ყველას შეუძლია გააკეთოს, გამოდგება სხვა კოოპერატივებისათვისაც გარდა საკრეატო კოოპერატივებია, სადაც წიგნები უნდა იწერებოდეს იმ ფორმით და წესით, რომელიც დადგენილია წვრილი კრედიტის. მართ-

ველობის მიერ *) (ამ წიგნების მიღება შეიძლება სახელმწიფო
ბანკიდან).

ასე, მომხმარებელ საზოგადოებაში საჭიროა: 1) ინფენტა-
რის წიგნი.

ეს წიგნი ჩვენ უნდა შევადგინოთ საქმის დაწყების წინ.
იგი წარმოადგენს ვრცელ სურათს იმისას, თუ რა გვაქვს ჩვენ
ანუ რისი პატრონი ვართ, როცა საქმეს ვიწყებთ. ინვენტა-
რის წიგნი შედგება ორ ნაწილიდან. პირველ ნაწილში ჩვენ
უნდა ჩამოვთვალოთ: 1) რამდენი ფული გვაქვს ნაღდათ (კა-
სა); 2) უძრავი ქონება (თუ გვაქვს); 3) მოძრავი ქონება
(ჭურქელი, იარაღები, სასწორი, სკამები და სხვა ყოველგვარი
მოწყობილობა); 4) საქონელი. 5) გაცემული სესხი (თუ ვისმე
ჩვენი ვალი მართებს) და საზოგადოთ ყველაფერი, რაც ჩვენ
საკუთრებას წარმოადგენს. მეორე ნაწილში ჩვენ უნდა აღვა-
ნიშნოთ, რა წყაროებიდან წარმოსდგება ყველაფერი ის, რაც
პირველ განყოფილებაშია ახლა მოქცეული. რა თქმა უნდა,
ასეთი წყარო უპირველესად ყოვლისა არის პაები. ამნაირათ,
მეორე განყოფილებაში უნდა აღვნიშნოთ: 1) საპაოლ კაპიტა-
ლი, 2) ერთდროული გადასახადი, 3) ჩვენი ვალები (თუ
გვაქვს აღებული) და სხვ. ამნაირათ, რაკი ამ ანგარიშის პირ-
ველ ნაწილში ჩვენ აღვნიშნავთ, რაც ჩვენ გვაქვს ან სხვის-
თვის გვისესხებია, ხოლო მეორე ნაწილში დაესახელებთ, თუ
რა წყაროებიდან მოგვივიდა ყველაფერი ეს, ცხადია, ორივე
ნაწილი (ჯამი) ამ ანგარიშისა თანასწორი იქნება. პირველ
ნაწილს ამ ანგარიშისას ეძახიან აქტივს, მეორე ნაწილს პასიგნს.
ამ წიგნიდან ამოწერილ ციფრებს, რომელიც მაჩვენებელი იქ-
ნება ჩვენი ქონებრივი მდგომარეობისა, ქვია ბადანსი.

*) იხ. 122 მუხლი საკრედიტო ამხანაგობის სამაგალითო წესდე-
ბისა.

ი), მაგალირათ, ბალანსი მომხმარებელ საზოგადოებისა № № 1
ბალანსი მომხმარ. საზოგადოების № № 1 იანვარს 1909 წ.
აქტიფი.

		შა. გან.	გან.			შა. გან.	გან.	
1	გასა (ნაღდი ფული)	60	25	1	შეკვირი (112 წერის)	1120	3	
2	საქანეფი:	1214	76	2	ერთდღოფული გადასახადი	112		
3	შოდრაფი ქონება	193	85	3	ჩვენი ფალი	321	25	
4	გაცემული სესხი (უზრუნველყოფილია თამასუქებით)	345	12	4	წმინდა მოგება 1908 წ.	260	73	
		სულ	1813	98		სულ	1813	98

2) დღიური. ეს უბრალო დავთარია, სადაც შეაქვთ ყოველდღიური შემოსავალი და გასავალი შეათ ვაჭრობის დროს ვე და მეტე ერთგვარ საღსარს შემოსავლისას თუ გასავლისას აჯგუფებენ და გადაქვთ უურნალში *) მაგრამ ამ წიგნის მოვალეობა პატარა სავაჭროებში შეუძლია შეასრულოს კასის წიგნშიც, საჭიროა მხოლოდ აქ ვრცლათ აღვნიშნოთ შემოსავლის და გასავლის საღსრუბი.

3) კასის წიგნი.

ეს დავთარია, სადაც მარცხენა გვერდზე იწერება ფულის შემოსავალი, მარჯვენა გვერდზე — ფულის გასავალი. საღმოს, სავაჭროს დაკეტის დროს, როგორც შემოსავალს, ისე გასავალს, უნდა გაუკეთდეს ჯამი. შემოსავლის ჯამს მიერთება წინა დღის დანარჩენი ფული და გამოაკლდება გასავალი, დანარჩენი ფული გადაღის მეორე დღეზე.

*) ამნაირათ უურნალი იგივე დღიურია, ხოლო ეს იწერება თეთრათ და აქ შემოსავალ-გასავლის საღსრუბი ნაჩვენებია ჯგუფ-ჯგუფათ. უურნალი შესაძლებელია გმოვტოვოთ პატარა მომხმარებელ საზოგადოებაზე, სადაც არა ყველა განსაკუთრებული მოაწერი შე.

ಪಾಸು ಪ್ರಿಗನ, ನಾರ್ಮಾಲಿಟಾರ್ನಾಗ ಅಣ ಅರ್ಥ ಸಾಕ್ಷಿಗಳ ಧ್ವನಿಗಳು.

ಪ್ರೀತಿಯಾಜ್ಯಾಲಂ.

ಪ್ರಾಸ್ಯಾಲಂ.

ತಾತ್ವಿಕ ಲಾಖಾಲ್.	ಕೆಂ.	ಪ್ರಾ.	ತಾತ್ವಿಕ ಲಾಖಾಲ್.	ಕೆಂ.	ಪ್ರಾ.
ಉತ್ತರೋಪಿ ವ್ಯಾಪ್ತಿ	5		ಉತ್ತರೋಪಿ ವ್ಯಾಪ್ತಿ	5	
1. 0. ದೃಷ್ಟಿಯಾಗಿ ಕ್ರಿಯೆ ಮಾಡಿ	1		1. 0. ಉತ್ತರೋಪಿ ವ್ಯಾಪ್ತಿ ಕ್ರಿಯೆ ಮಾಡಿ	1	
2. ದೀರ್ಘಾವಿಷಯ ಪ್ರಯತ್ನ ಮಾಡಿ	2		2. ದೀರ್ಘಾವಿಷಯ ಪ್ರಯತ್ನ ಮಾಡಿ	2	
3. ಪ್ರಯತ್ನ ಮಾಡಿ	3		3. ಪ್ರಯತ್ನ ಮಾಡಿ	3	
4. ಅಧ್ಯಯನ ಮಾಡಿ	4		4. ಅಧ್ಯಯನ ಮಾಡಿ	4	
5. ಶಿಫ್ಟಿಂಗ್ ಮಾಡಿ	5		5. ಶಿಫ್ಟಿಂಗ್ ಮಾಡಿ	5	
6. ಪ್ರಾರ್ಥನೆಯಾಗಿ ಪ್ರಯತ್ನ ಮಾಡಿ	6		6. ಪ್ರಾರ್ಥನೆಯಾಗಿ ಪ್ರಯತ್ನ ಮಾಡಿ	6	
7. ಸಾರ್ಥಕ ಪ್ರಯತ್ನ ಮಾಡಿ	7		7. ಸಾರ್ಥಕ ಪ್ರಯತ್ನ ಮಾಡಿ	7	
8. ಕ್ರಿಯೆಯ ಮಾಡಿ	8		8. ಕ್ರಿಯೆಯ ಮಾಡಿ	8	
ಸ್ವಲ್ಪ	236	28	ಸ್ವಲ್ಪ	24	"
ಧ್ವನಿ ಹಿಂದಿನ ಗ್ರಂತಿ	120	14	ಧ್ವನಿ ಹಿಂದಿನ ಗ್ರಂತಿ	116	64
	356	42		356	42
	9				

4) წიგნი პირადი ანგარიშებისა.

აქ ვსწერთ ანგარიშებს სწავლასხვა პირებისას: ვისაც ჩვენი მართებს ან ვისრც ჩვენ გვმართებს. თოთოვეულ პირს ცალკე გვერდზე უხსნით ანგარიშს. გაშლილ წიგნის მარტენა გვერდზე ვსწერთ იმას, რაც ჩვენ მივეცით იმას; მარჯვენა გვერდზე კი, რაც მისგან აგვიღია. თუ მარტენა გვერდის ჯამი მეტია, ეს ნიშნავს, რომ იმას მართებს ჩვენი, თუ მარჯვენასი — ჩვენ გვმართებს მოსი. მაგალითათ, იხ. ქვევათ: ჩვენ გვმართებს „ვისლუკისა და ამბ.“ 111 მან. 20 კაზ., ი. ბურიშვილს კი ჩვენი მართებს 20 მან.

№ 80. ანგარიში საფაქტო სახლის „ვისლუკისა და ამბ.“

თვე.	რიც.		მან.	კ.	თვე.	რიც.		მან.	კ.
მარ- ტის	3	გავგზავნეთ ფოსტით	150		იანვ- რის	12	მოგვივიდა 3 ფუთი ჩაი ნისიათ . .	240	70
მაისის	2	„ ფოსტით	75		მაი- სის	10	მოგვივიდა 2 ფ. ჩაი ნისიათ . .	161	36
ივნი- სის	9	„ ტელეგრ. სულ	65	86					
			290	86					
		ჩვენი ვალია	111	20					
			402	06					
								402	06

№ 81. ანგარიში იგანე ზაალისქ ბერიშვილია

თვე.	რიც.		მან.	კ.	თვე.	რიც.		მან.	კ.
იანვ- რის	20	გაუგზავნეთ ფოსტით	90	—	იანვ- რის	18	მივიღეთ ლვინო 2 საპალნე.	110	"
თებერ- ვისის	15	მივეცით პი- რადათ.	25	—	ივნი- სის	16	მივიღეთ ლვინო 1 ლა.	45	—
აგვის- ტის	21	მივეცით პი- რადათ	60	—			მისი ვალია	20	—
			სულ	175				175	—

5) საქონლის წიგნი.

აქ უნდა ჩაიწეროს ანგარიში სხვა და სხვა საქონლის, რომელიც აწყვეია ჩვენს საფაჭროში. მაგალითათ 1 გვერდზე: „ანგარიში პურის ფქვილისა“. ამას მოუნდება ესთქვათ 5 გვერდი. 6 გვერდზე; „ანგარიში შაქრისა“, 8 გვ. „ანგარიში ჩაისა“ და სხვ. ხოლო, რადგან ყველა წერილმან საქონლის ცალკე ცალკე ჩამოთვლა არ შეიძლება ან დიდ დროსა და ადგილს მოითხოვს. შესაძლებელია რამდენიმე ასეთი საქონელი ერთათ შევაერთოთ ამ წიგნში მარცხენა გვერდზე დაიწერება შემოსული საქონელი: წონა, ზომა, რაოდენობა და ფასი, რომელიც ჩვენ დაგვიჯდება საქონელი. მარჯვნია გაყიდულ საქონლის წონა, ზომა, რაოდენობა და აღებული ფასი. ასე რომ, როცა ჩვენ ერთს გვერდზე შეყენებულ ჯამს გამოვაკლებთ მეორე გვერდზე შეყენებულ ჯამიდან, გავიგებთ რამდენი გვრჩება საქონელი (წონა, ზომა და რაოდენობა). ხოლო იშის გასაგებათ, მოგება მოგვეცა ამ საქონლით ვაჭრობამ (და რამდენი). თუ არა, საჭიროა გავუკეთოთ საქონლის ანგარიშს ჯამი (ორივე მხრით: წონას, ზომას, რაოდენობას) იმ რიცხვამდის, როდესაც ჩვენ ვაპირებთ მოგების გამომკვლევას. საქონლის დანარჩენა (იხ. ქვევით: მაგ., 1 სექტემბრისათვის პურის ფქვილისა 29.1 ფუთი, ნავთისა—7.7 ფუთი) ხელახლა უნდა შევაფასოთ (შეიძლება გაძირდა ახლა საქონელი ან გაიაფდა) და იმ ახალ შენაფასების ჯამი გადავსწეროთ მარჯვენა გვერდზე. მერე ხელახლა გაუკეთოთ ჯამები ორივე მხრით. რამდენით საქონლის ფასის ჯამი მარჯვენა გვერდზე მეტია (პურის ფქვილის, მაგალითათ, 103 ქ. 10 კ. შეტი,) ამდენი მოგვიგია ამ საქონელში, თუ მარცხენა გვერდზეა მეტი (მაგალითათ, ნავთის—42 მან შე 5 კ.), წავიგია.

№ 1 അദ്യാരാനിമെൻ കൗൺസിൽ ചുവറലിട്ട്

നിക്ഷേപം	നിംബ്.	വർഷം	വർഷം	ശ്രാബനം	ശ്രാബനം	വർഷം	വർഷം	ശ്രാബനം	ശ്രാബനം	വർഷം	വർഷം	ശ്രാബനം	ശ്രാബനം	
അംഗീകാരം	10	ദിംബിന്ദു 10 ഫീ. റാക്കറ്റ് 36.	10	12	"	11	ദിംബിന്ദു 2 ഫീ. — 1 ഫീ. 1 ഫീ. 50 ഫീ.	11	2	3	"	2	3	"
ഒപ്പ്- ഓഫ്	7	ദിംബിന്ദു 300 ഫീ. 1 ഫീ. — 80 ഫീ.	300	262	"	16	ദിംബിന്ദു 20 ഫീ. 1 ഫീ. 20 ഫീ.	16	6	7	80	6	7	80
ഒപ്പ്- ഓഫ്	15	ദിംബിന്ദു 450 ഫീ. 1 ഫീ. — 90 ഫീ.	450	435	"	30	ദിംബിന്ദു 10 ഫീ. 1 ഫീ. 50 ഫീ.	30	10	15	"	10	15	"
മൊത്തം ചുവറലിട്ട്				ഫൈബ്രിൽ . . .	760	709	ഫൈബ്രിൽ . . .		15	15	"	15	15	50
മൊത്തം ചുവറലിട്ട്				ഫൈബ്രിൽ . . .	760	812	ഫൈബ്രിൽ . . .		291	291	"	291	291	10
ഡാൽഫിൻ ബുൾബുൾ				ഫൈബ്രിൽ . . .			ഡാൽഫിൻ ബുൾബുൾ		760	812	"	760	812	10

No 4 የንግድ አካል ቅዱስ

*) 22 3. 40 3. ბარალია, ამითვის ჯამში უნდა გამოვაკლოთ.

ამის გარდა, საჭიროა გვექინდეს წიგნი, საღატ ჩავწერთ
მიცემულ ჯამაგირებს, ქირას და სხვა ხარჯებს: წიგნი სავაჭრო
ხარჯებისა.

მნაირათ, ჩვენ ჩამოვთვალეთ ყველა წიგნები, რომელიც
უნდა იქმნიონ კანონის ძალით ყველა წვრილათ მოვაჭრეებმა:
კასის წიგნი, პირადი ანგარიშების წიგნი და საქონლის წიგნი *)
და აგრეთვე ზოგი სხვა საჭირო წიგნებიც.

როგორ შეგვიძლია ახლა გამოვიანგარიშოთ, მოგება
ვნახეთ წელს თუ არა? ამისათვის საჭიროა ყველა წიგნებს.
წლის ბოლოს გაუკეთოთ ჯამი **). ჩვენ ვიცით, როგორ გა-
მოვიანგარიშოთ მოგება საქონლის წიგნშიც ასე, ვსოდეთ,
მოვიგეთ:

a) პურის ფქვილში	405 გ.	20 კ.
ბ) ჩისა და შაქარში	49 გ.	80 კ.
გ) ლვინოში	75 გ.	15 კ.
დ) თესლების გაყიდვაში	23 გ.	86 კ.
ე) რკინეულობაში	112 გ.	—
ვ) ხორცში	176 გ.	90 კ.
ი) სხვაზასხვა წვრილმან საქონელში .	79 გ.	72 კ.
<hr/>		სულ 922 გ. 63 კ.

მერე უნდა ვიანგარიშოთ ხარჯები.

ზარჯები:

a) სახლის ქირა	150 გ.	
ბ) განათება და ვაზუობა	36 გ.	50 კ.
გ) ჯამაგირები (2 ნოჭარს)	540 გ.	
დ) მომ. ქონებადან ჩამოვწერეთ (გაცვა) 10% 19 გ. 38 კ.		
ე) ვიზარალეთ ნაეთში	12 გ.	98 კ.
<hr/>		სულ 758 გ. 86 კ.

*) იბ. 607—608 ცტ. ცტ. უსავა თორგოვაღ.

**) მაგალითისათვისჩენ 1 სექტემბრისათვის გამოვრანგარიშეთ (იბ.
ზეცით) საქონლის წიგნში მოგება და ზარალი. მაგრამ ჩვეულებრივათ მო-
გებასა და ზარალს ანგარიშობენ 1 იანვრისათვის.

ამნაირათ, მოგვიგია სულ 922 პ. 63 კ., დაგვიხარჯავს 758 პ. 86 კ., წმინდა მოგება (922 პ. 63 კ.—758 პ. 66 კ.) დაგერჩენია 163 პ. 77 კ.

ამ მოგებას ჩვენ გავანაწილებთ ისე, ორგონუ წესდებაში გვქონდა ნაჩვენები და ორგორუ საზოგადო კრება დაადგენს. ხოლო იმ ცვლილებებს, ორშელიც საანგარიშო ღროვის განმავლობაში მოხთა ჩვენს ანგარიშებში გადავიტანთ იმ სიის წიგნში, ორმეტსაც ჩვენ ვუწოდოთ ინვენტარის წიგნი (ეს წიგნი არის ჩვენთვის თავი წიგნიც).

ამის გამო ეხლა შეიცვლება ინვენტარიში ძველი ციფრებიც. თუ ჩვენ ამოვიწერთ ინვენტარიდან ციფრების უკანასკნელ მდგომარეობას მივიღებთ ახალ ბაჭყალს.

ბალანს მომზარებელი საზოგადოებანი, ორგორუ საზოგადო ხასიათის დაწესებულებანი, უნდა აქვეყნებდენ ადგილობრივ გაზიერებში და კიდევბდენ თავის სავაჭროში და სხვი თავის დაწესებულებებში.

კანონში არ არის ნაჩვენები, ორმეტ ენაზე უნდა სწარდოებდეს ანგარიში მომზარებელ და საწარმოვო ამხანაგობებში. ამიტომ ჩვენ არამცთუ შეგვიძლია, ვალდებულიც ვართ ვაწარმოვთ ანგარიში ადგილობრივ (ჩვენში; მაგ., ქართულათ) ენაზე, რადგან ანგარიში ყველი წევრებისათვეს გასაგები უნდა იყოს, ხოლო წევრების უმეტესობას კი უკავშირო ენა არ ეცავ დინება. და სწორეთ ეს გარემოება მივიღეთ ჩვენ მხედველობაში, როცა ზევით მოვიყენეთ წიგნების ნიმუშები.

ყოველ წევრს ამხანაგობისას უნდა ქონდეს მიცემული საანგარიშო წიგნაკი, სადაც ჩაიწერება, ორგორუ მისი შემოტანილი საპაიო და ერთდროული გადასახადი, ისე მისი ნაიაჭრის რაოდენობა. მოგების გამოანგარიშების შემდეგ წევრი წარმოადგენს ამ წიგნაკს გამეცემაში და გამეცემა ჩაუწერს შიგდიულენს. მაგრამ, რადგან ყოველი წვრილმანის ჩაწერას წიგნაკში ნოქარი ვერ მოასწრებს ყოველთვის და ეს წერა ბევრს ღროვის წაართმევს იმას, ამისათვის უმჯობესია შემოლებული

იქნას „მარკები“. ეს პატია დაბეჭდილი ბარათებია, რომელიც
სხვადასხვა ლირებულებისაა (1 კაპ., 2 კაპ., 20 კაპ., 50 კაპ.,
1 მან., 3 მან.) და ჩიკერებულია წიგნაკში. როცა ნოქარი
(თუ სავაჭროს გამგე) საქონელს მიყიდის ვისმე, ამასთანავე ჩამო-
უხევს და მისცემს იმას იმ ფასიან „მარკას“, რამდენის საქო-
ნელიც მიყიდა.

„მარკა“ 5 კაპიკიანი

№ 176 ს. კულაშის	მომხმარებელი საზო 5 „, ა ა ღ ღ ღ ღ ღ“	ეტიკეტი	№ 176 ს. კულაშის	მომხმარებელი საზო 5 „, ა ა ღ ღ ღ ღ ღ“	ეტიკეტი
---------------------	--	---------	---------------------	--	---------

„მარკა“ 20 კაპიკიანი

№ 305 ს. კულაშის	მომხმარებელი საზო 20 „, ა ა ღ ღ ღ ღ ღ“	ეტიკეტი	№ 305 ს. კულაშის	მომხმარებელი საზო 20 „, ა ა ღ ღ ღ ღ ღ“	ეტიკეტი
---------------------	---	---------	---------------------	---	---------

ზევით მოყვანილია 5 კაპ. და 20 კაპ. „მარკის“ ნიმუში
შები. პირველი ნახევარი „მარკისა“ წიგნაკში რჩება, მეორე
ნახევარი ეძლევა მყიდველს. როცა უკანასკნელი მოაგრივებს
„მარკას“, ვსოდათ, ათი მანეთისას, იგი წარადგენს ამ „მარკებს“
მომხმარებელ საზოგადოებაში და მაშინ იმას ერთბაშათ ჩაუ-
წერენ წიგნაკში. 10 მ. ხოლო მოტანილ „მარკებს“ კი გააუქ-
მებენ. წლის დამლევს მომხმარ. საზოგადოებაში გაუკეთებენ
ჯამს ამ წიგნაკს და გაიგებენ, რამდენის საქონელი წაულია
წევრს მომხმარებელ საზოგადოებილან. ამის მიხედვით ეძლევა
წევრს დავიდენდი...

VII.

შნიშვნელობა კოოპერაციისა.

სულ ადვილი შესაძლებელი იყო კოოპერაციის მნიშვნელობაში დაეჭვებულიყო ადამინა კოოპერატიულ მოძრაობის აღოჩინების პირველ ხანებში — აი მაშინ, როცა კოოპერატიული მოძრაობა, ჯერ კიდევ ნორჩი, „უცალს გზაზე“ გამოდიოდა და ათასი დამაბრუოლებელი მიხეხებით გარემოცული ფეხს ძლიერ იდგამდა; მაგრამ დღეს კოოპერაციის დიად მნიშვნელობას ვერავინ უარყოფს.

ჯერ კიდევ ცოცხალი არიან კოოპერატიულ მოძრაობის დაბადების მომსწრენი და კოოპერატიულ მოძრაობამ კი ისეთი ნაბიჯები გადადგა წინ და ისე გაშალა ფრთხი, ომი იმას უკვე ძლიერ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბევრი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში და მისი გავლენა აშერათ ეტყობა მთელი ერების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საკმარისია მოვიგონოთ ინგლისი, სადაც კოოპერაცია „სახელმწიფოში სახელმწიფოს“ წარმოადგენს, დანია, რომლის გლეხობა, ერთ დროს ღატაკი და უმეტარი კოოპერაციის წყალობით დღეს ნივთიერათ და ჭონებრივათაც ბევრი ქვეყნის გლეხების წინ დგას, გერმანია, სადაც ნახევარი ვლეხობა კოოპერაციის წევრია, იტალია, ბელგია და სხვ თუ როჩდელის „პიონერების“ პაწია საეგვრო ქუჩის ზოკებსაც კი სასაცილოთ არ ყოფნიდა, დღეს კოოპერატიული მოძრაობა ყველა საზოგადოებრივ ჯგუფთა, პოლიტიკურ პარტიათა და ბევრ პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთ მოლვაზეთა უურადღებას იქცევს და ყველანი მას ჯეროვან ანგარიშს უწევს.

დიდი სიტხიზლეა საქორო, რომ კოოპერატიული მოძრაობა კარგათ ავსწონ-დავსწონოთ და საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობაში იმას ჯეროვანი აღგილი დაუთმოთ.

ზოგი ისე გაიტაცა კომპერატიულ მოძრაობის დიად სურათმა, რომ იმას სოვლის კაცობრიობის ერთათ-ერთ მხსნელ მაღამოთ, კაპიტალიზმის ძირიანათ შემმუსტრელ საშვალებათ და ერთათ-ერთ გზათ სფრიადაზმისაგენ; ზოგი კი, მართალია, არ უარყოფს საზოგადოთ კომპერატიულ მოძრაობის მნიშვნელობას, მაგრამ უარყოფს იმის მნიშვნელობას შეშათა განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის; კომპერაცია ამათ უფრო წვრილ ბურჯუაზიის საქმეთ მიაჩინათ, ვიდრე მუშათა კლასის საქმეთ; ჭოგნი არც კი კადრულობენ ისეთ „წვრილმან“ საქმეზე ხელის გასვრას, როგორიცაა კომპერაცია და სხვ.

უნდა გავარკვიოთ რაშია საქმე.

რა თქმა უნდა, ყოფშერაცია არ არის ისეთი უნივერსალური საშვალება, რომელსაც მარტო შეეძლოს კაპიტალიზმის მოსპობა და თანამედროვე ურთიერთობის ძირიანათ შეცვლა.

მართალია, კომპერაცია მტერია ზედმეტ შოგების; რომ ჰელიც შეადგენს კაპიტალიზმის მასაზრდოვებელ ძალას, მაგრამ რა მძღავრიც უნდა იყოს კომპერატიული მოძრაობა, იმას არ შეეძლია ხელში ჩაიგდოს მთელი ერი და მთელი წარმოება და ამნაირათ სრულიად მოუსპოს ნიადაგი კაპიტალიზმის არსებობას, ზედმეტ მოგების შექმნასა და მითვისებას.

უპირველესად ყოვლისა უნდა აღვიაროთ, რომ კომპერაციის გავლენის გარეშე მუდამ რჩება საზოგადოების რამდენიმე ნაწილი და იქ კაპიტალისტურ წარმოებას და თანამედროვე ვაჭრობას მუდამ სამოღვაწეო ასპარეზი ექნება გადაშლილი. მაგრა მუშათა კლასის უღარიბესი ნაწილი (ლუნპენპროლეტარიატი) და ის მუშები, რომელნიც შხოლოდ დროგამოშვებით შოულობენ სამუშაოს. წვრილი ვაჭრები, როგორც მოგეხსენებათ, რომ უფრო ჩაითრიონ ღარიბი ვაცი თავის ბადეში, ძლიერ ხშირათ ვაჭრობენ ნისიათ. ეს კი დიდ შეღავათს წარმოადგენს დასახელებულ მუშებისათვის. უამისოთ ესენი ან შიმშილით დაიხოცებოდენ ან იძულებული იქნებოდენ მოწყალება ეთხოვათ და ქურდობით ერჩინათ თავი.

„ესენი საჭიროებენ წვრილ ვაჭარში, როგორც თვითონ წვრილი ვაჭარი იმათში საჭიროებსო, ამბობს კარლ კაუციკი. ამ მუშათა მასსის, რომელიც იძულებულის მიმართოს კრედიტს, მომხმარებელი ამხანაგობებში შეკავშირება შეუძლებელია, რადკან მომხმარებელ ასხანაგობების არსებობა შესაძლებელია ჩხოლოდ მაშინ, როცა ვაჭრობა იქ სწარმოებს ნალდზე. ამხანაგობის იმ წევრთათვის, რომელნიც დროებით არიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი, შეიძლება ხელის გამართვა დივიდენდის ანგარიშში მიღებით, მაგრამ ფართო კრედიტის შემოღება მომხმარებელ ამხანაგობას არა გზით არ შეუძლია. ამიტომ მომხმარებელი საზოგადოებანი, ისე როგორც პროფესიონალური კავშირები, აკავშირებენ პროლეტარიატის უმაღლეს ნაწილებს და არა მთელ მუშათა მასსასო“ *).

ვერც ის ნაწილი საზოგადოებისა მოყვება კოოპერაციაში, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო იცვლის საცხოვრებელ ადგილს. მდიდრებს არ ესაჭიროებათ მომხმარებელი და სხვა ამ გვარი საზოგადოებანი და ვერც კოოპერატიული დაწესებულებანი იყისრებენ მდიდრების ყოველგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ფუფუნების საგნები, რომლის მომხმარებელი მხოლოდ მდიდარი კლასებია, არ შეადგენს არც კოოპერატიულ წარმოებისა და არც მომხმარებელ ამხანაგობათა განაწილების საქმეს. ფუფუნების საჯნები თითქმის სულ ხელუხლებელი რჩება არსებულ პირობებში.

ასეთია საქმის ვითარება ვაჭრობაში. ახორ ავილოთ წარმოება. მსხვილ წარმოებაში, როგორც მეოთხე თავშიაც ვსთავით, კოოპერაცია ყოველთვის ვერც კი ხეირობს და აქ უპირველესი ადგილი კაპიტალის ურ წარმოებას რჩება.

ის წარმოებანი, რომელთაც ფართე საზოგადოებრივი შნიშვნელობა აქვს, ვერ ვადალენ კოოპერაციის ხელში. ასეთია, მაგალითათ, საზოგადო გზები, სანიტარულ გაუმჯობესე-

*.) К. Каутскій «Потребит. товарищество», изд. А. Ткачевъ 11 83.

ბანი, ქულის არხები და სხვ. გარდა იმისა, რომ ყველაფერ აპას იმდენათ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, რომ არ შეირლება დაემყაროს მშრომელთა თავისუფალ კავშირს, ასეთი საქმეები (მაგ. საზოგადო გზის გაყვანა) ხშირათ იღებენ იძულებითი ხასიათს და ამიტომ სწორეთ საჭიროა; რომ ისინი აუცილებლათ მთელი საზოგადოების ან სახელმწიფოს ხელში იყოს და ადგილობრივ თვითმართველობათა თუ სახელმწიფო ფო დაწესებულებებს ექვემდებარებოდეს. კოოპერატიული დაწესებულებებს შეუძლიათ აქ იკისრონ ინიციატივა, გაუწიონ დასახელებულ ორგანიზებს ავალსაჩინო დახმარება და სხვ., მაგრამ ხელმძღვანელი როლი ასეთ წარმოებაში იმათ, ე. გ. საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს, ეკუთვნის.

არის სხვა მხარეებიც საზოგადოებრივ ცხოვრებისა, სადაც კოოპერაციას არა აქვს ადგილი. ასეთია კანონმდებლობა, ხარჯთაღრიცხვა და გადასახადის განაწილება, გარეგანი და შინაური პოლიტიკა და სხვ. და სხვ.

ამნაირათ ცხადია, რომ კოოპერაცია ვერ ჩაერევა ცხოვრების ცივილიზაციურ დარგში და მაშინადან ვერ იქნება ერთათ ერთი საშვალება არსებულ წესწყობილების შესაცვლელათ, როგორც ზოგიერთი ფიქრობენ. მშრომელ ხალხს თავის მდგრამარეობის გასაუმჯობესებლათ სჭირია კოოპერაციის გარდა, როგორც სხვა ეკონომიკური დაწესებულებანი (მაგ. პროფესიონალური კავშირები), ისე პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობაც.

მეუმათა განმათავისუფლებელი მოძრაობა დროთა და გარემოების მიხედვით იღებს სხვა და სხვა სახეს. კოოპერატიული მოძრაობა არის ერთი სხვ. ამ მრავალფეროვან განმათავისუფლებელ მოძრაობას და საშვალება, რომელიც იმასთანავე ხელს უწყობს მშრომელ ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას არსებულ წესწყობილებაშიაც.

მთელი რუსეთის კოოპერატორთა პირველ კრებაზე ვ. ა. პოლსევ სთქვა: „ჩვენ, კოოპერატორები, არა ვართ მომხრე იმ

პრინციპის: რამდენათ უაჩესია, იმდენათ უკეთესია; ჩვენ მომხრები გართ პრინციპის: რამდენათ უკეთესია, იმდენათ უკეთესია". ესე იყი: რამდენათ უკეთესია ის პირობები. რომელ შიაუ ცხოვრობს ადამიანი, იმდენათ უკეთესიათ შეუძლია იმას გაუმჯობესეს დამაბრკოლებელ მიზეზებს და იბრძოლოს საუკეთესო შერმისისათვის. ასეა საზოგადოთ, ასეა მშრომელ ხალხის ცხოვრებაშიც. და აი აქ იშლება სწორეთ უმთავრესი შნიშვნელობა კოოპერატუ. მოძრაობისა მშრომელ ხალხისთვის.

ვინც დაკვირვებით გადაიკითხა ისტორია. კოოპერატულ მოძრაობისა, იმას არ გამოეპარებოდა შეუძნევლათ ეს გარემოება.

უპირველესად ყოვლისა, კოოპერაცია აცლის საზოგადოებას იმ ათასგარ შუამავლებს, რომელნიც ვაჭრების სახით სხედან მის კისერზე და სუქდებიან: ამით კოოპერაცია აძლებინებს მშრომელ ხალხს, ღარიბს ნივთიერათ, პატარა შემოსავლითაც გაუმჯობესებულ პირობებში იცხოვროს, რადგანაც ის ზედმეტი გადასახადი, რომელსაც იყი ვაჭრის ან სხვა. შუამავლის შესანათ იხთის ჩვეულებრივით. ახლა მას რჩება. ამ შერიც კოოპერაციას აქვთ შნიშვნელობა არა მარტო წევრებისათვის, არამედ საზოგადოების იმ ნაწილისათვისაც, რომელიც არ გამხთარა კიდევ კოოპერაციის წევრათ, ეინაიდან, როცა მომხმარებელი საზოგადოებანი ეფინებიან მთელ მხარეს, აია ფეხენ საქონელს და იუმჯობესებენ იმის ხარისხს, კერძო მოვაჭრებიც კონკურენციის გასაწევათ იძულებული არიან მიმართონ იმათ მაგალითს. „თუ გვინდა, რომ ხელი შეუშალოთ მოუყიულებას, სიყალებს, ზედმეტ მოვებას და სანოვაგის სიძირეს, ამბობდა ცნობილი ფურიერისტი გუსტავ მატიე, საჭიროა მოეწყოს სწორი ვაჭრობა. ე. ი. საჭიროა მწარმოებლისა და მომხმარებლის შუა დამყარდეს პირდაპირი დამთკიდებულება; მაშინ მუშის ისედაც მცირე შემოსავალი ღამას გაასუქებს იმ აუარებელ შუამავლებს—მუქთახორებს, რომელიც დაფრენიან ყარმებას, როგორც უორნები ლეშაო^(*)).

^(*) Бертранъ «Исторія кооперації въ Бельгії», 200^а рр.

კომპერატიულ ფაბრიკებში, ქარხნებში და სხვა კომპერატიულ დაწესებულებაში შრომის პირობები შესამჩნევათ გაუჯობესებულია და ყველან კაპიტალისტურ წარმოებაზე უფრო მაღლა დგას. კომპერატიულ წარმოებაში ხშირად შოულობენ თავშესაფარს უმუშევრათ დარჩენილნი, დეფილები მუშათა მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის. როგორ მუშებსაც ძლიერ ერიდებიან კაპიტალისტები, და სხვ.

კომპერატიულ წარმოებაში, სადაც კი შესაძლებელია იმის დემოკრატიულ საფუძვლზე მოწყობა, მოგება გარეშე პირს აღარ მიაქვს, იგი კომპერატივის წევრებს, მუშებს, რჩება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს კი, რომ კომპერატიულ წარმოებაში კაპიტალს ყოველ შემთხვევაში აქვს ადგილი და კომპერატიული წარმოება სრულიად არ ნიშნავს სოციალისტურ წარმოებას, როგორც ზოგიერთებს გონია.

უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ აქ აზრი სატრანგეთის გამოჩენილ მეცნიერის შარლ ეიდისა, რომელიც მიუხედავათ იმისა, რომ გადამეტებული შეხედულებისაა კომპერატივის მნიშვნელობის შესახებ, მარც ვერ უარყოფს. კაპიტალის როლს კომპერატიულ ამხანაგობისა დამახასიათებელი თვისება, მისი განსაკუთრებული ნიშანი..., ამბობს იგი, იმაში მდგომარეობს, რომ იქ კაპიტალი არ არის გაუქმებული ან აბუჩად აღებული... მაგრამ ჩამოყენებულია თავის ნამდვილ ადგილზე, ე. ი. მისი დანიშნულება აქ შრომის განკარგულებაში ყოფნა, შრომის იყრალათ ყოფნაა, რისთვისაც იმდენ ქირას მიიღებს, რამდენათაც ამ იარაღის საშსახურს განწევს. დღევანდელ პირობებში მესაკუთრეთ გამოდის კაპიტალი და იმას მიაქვს მოგება თავის სასარგებლოთ, შრომა კი მისი მოჯამაგირეა; კომპერატიულ პირობებში საქმის ვარემოება ერთანათ იცვლება — მუშა და მომხმარებელი გათებიან. მეტაკუთრეთ და მოგებას წაიღებენ, ხოლო კაპიტალი უბრალო მუშის მდგომარეობაში ჩადგება “**).

**) იხ. Апциферовъ „Кооперація въ сельскомъ хозяйстѣ въ Германіи и Франції“, 497. გ.

დიალია კომპერაციის მნიშვნელობა სოფელში, სადაც
იმას შეაქვს ტეხნიკური გაუმჯობესებანი, ცოდნა საზოგადო
და სპეციალური, წესი საზოგადო ძალით მოქმედებისა და სხვ.
კაპიტალიზმის განვითარებაც წინ სწერს ამ მხრივ სოფელს.
მაგრამ მაშინ, როცა კაპიტალიზმის მოტანილ სიკეთით სარ-
გებლობენ უმეტეს ნაწილათ კერძო პირები და ამათშიც უმეტეს
ნაწილათ მდიდრები, კომპერაციის საშვალებით შემოტანილ
გაუმჯობესებით სარგებლობს მთელი სოფლის მეურნეობა,
გლეხობის ღარიბი ნაწილიც. «ჩვენი მიზანი წვრილ გლეხობასთან
დამოკიდებულებაში უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობსო,
სწერს ერთ თავის ნაწარმოებში ფრ. ენგელსი, რომ მათი
კერძო წარმოება და კერძო საკუთრება გარდავქმნათ საამხა-
ნაგოთ, მაგრამ ძალით კი არა, მაგალითით და ამ მიზნებთვის
საზოგადოებრივ დახმარების მიწოდებით“. მერე იგი მიგვითი-
თებს დანიელ სოციალისტებზე, რომელთაც თითქმის სულ
გლეხებთან აქვთ საქმე, და აღნიშნავს, რომ იმათ სწორეთ
ასეთი პლანი შეიმუშავეს, „უმთავრესი საქმეა აქ, ამბობს იგი,
რომ ავტესნათ გლეხს, რომ მისი მოსახლობისა და საქუთარ
მიწის გადარჩენა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, თუ იმას
საჭიროა საკუთრებათ და საამხანაგო წარმოებათ გადავაქცევთ...
თუ გლეხმა არ, გაანება თავი თავის განკერძოებულ, მარტო-
ხელ, მეურნეობას, იგი უსათუოთ დაკარგავს ეზოსაც და მი
წასაც, რადგან მსხვილი კაპიტალისტური შეურნეობა ჩიადაგს
გამოაცლის მის დაძვლებულ წარმოების წესს. ახლა ასე არის
საქმე; და აი მივდივართ ჩვენ და საშვალებას ვაძლევთ გლე-
ხებს თვითონ შემოილობ მსხვილი წარმოება, კაპიტალის ზების
ხარჯით კი არა, თავისა საკუთარ და საზოგადო ხარჯით. ნუთუ
ვერ შევაგნებინებთ გლეხებს, რომ ამას მოითხოვს მათი ინ-
ტერესები, რომ მხოლოდ ეგ საშვალება დაიხსნის იმათ?“ *)

*) Ф. Энгельсъ „Крестьянский вопросъ во Франціи и Гер-
манії“, изд. „Буревѣстникъ“, 39—41 83.

ოოგორც კლასიკური მაგილითი სასოფლო კოოპერაციის
მნიშვნელობისა ჩვენ არა ერთხელ დაგასახელეთ დანია. ღირს
შესანიშნავია ის გარემოებაც, რომ კოოპერაციის წყალობით
იზრდება არა მარტო ეკონომიკური სიძლიერე აქური გლე-
ხობის, არადედ გონებრივი ავლა-დიდებაც. „დანიის წვრილი
გლეხიო, ამბობს ერთი რუსის მწერალი, ძლიერ განსხვავდება
გლეხების იმ ტიპისაგან, რომელსაც ჩვენ შევვჩიეთ ევროპის
სხვადასხვა მხარეში და განსაკუთრებით საფრაგეთშით. ფრან-
გის წვრილი მესაკუთრე, მაგრამ ამასთანავე ეკონომიკურათ
გამაგრებული, გლეხი ცნობილია, როგორც უკიდურესი ინ-
დივიდუალისტი, მოკლე ჭიუის მქონე, როგორც მტერი ყო-
ველივე ახლის და გატაცებული რეაქციონურ მიდრეკილებე-
ბით. ძლიერ ნაკლებათ შეხვდებით ასეთ თვისებებს დანიის
გლეხებში... კოოპერაციის, რომელმაც დიდი როლი ითამაშა
დანიის გლეხთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებაში,
არ შეეძლო, რა თქმა უნდა, გაენვითარება მამი ვიწრო ინდივიდუა-
ლიზმი, ხოლო ის ტეხნიკური გაუმჯობესებანი, რომელიც
70—80 წლებში შემოილო დანიის გლეხმა ძველ ტრადიციულ
მეურნეობაში და რომელმაც ხელი შეუწყო მისი მდგომარეო-
ბის გაუმჯობესებას, რა თქმა უნდა, არ შეაძლება იმას განა-
ხლებას... კველა ამ ფაქტორების გავლენის გამო დანიის წვრი-
ლი და საშუალო გლეხობა ვერ იქნებოდა ბურჯი არამკუთუ
რეაქციონურ, კონსერვატორულ პარტიებისაც კი... დანიის
გლეხობის უმეტესობა წევრებია არა კონსერვატორულ, არა-
მედ რადიკალურ და სოციალისტურ პარტიებისა“*).

ახლა აღმზრდელი მნიშვნელობა კოოპერაციისა!

თუნდ მარტო ის რათ ღირს, რომ კოოპერაცია აკავში-
რებს მშრომელ ხალხს, აღვიძებს იმაში სოლიდარობას გრძნობას

*) П. Берлинъ „Роль деревни и города въ политической
жизни“, „Образование“, январь 1907 г. №10 л. 3. თოთომიანცის
წიგნი „Сельскохоз. кооперация“ 216—217 გვ.

და აჩვევს მას თვით მრავეჯებას. კოოპერატიული დაწესებულებანი—ეს მშრომელთა ფართო წრეებია, სადაც შევნებული წევრები თანდათან დიდ გავლენას პოულობენ თვის შეუგნებელ ამხანაგებზე, მასსაზე, და ამ გავლენით სარგებლობენ, რომ ისინიც სწორ გზაზე დააყენონ. ვერავითარი ბურუუზიული საქველმოქმედო საზოგადოებანი და თანამედროვე „სიფხოზლის საზოგადოებანი“ ვერ შესძლებენ გაუწიონ იმდენი სამსახური მშრომელ ხალხის ფართე ნაწილის. ზნეობრივ და კულტურულ ამაღლების საქმეს, რამდენიც შეუძლიათ თვით ამ ხალხის წილში შექმნილ დაწესებულებებს, რომელთა ბედი იღბალში თვითონ ეს ხალხია დაინტერესებული და რომლის მართვა-გამგეობაში თვითონ იღებს აქტიურ მონაწილეობას. ასეთია სწორეთ ის კულტურული და გასართობი დაწესებულებანი, რომელნიც თავს იყრიან მუშათა კოოპერატივების ირგვლივ და კოოპერატივებისავე ხარჯით. ასე ჩვენ დავინახეთ, რომ უცხოეთის კოოპერატივები დიდ ძალ ფულს ხარჯავენ შეკონტაქტის კულტურული კავშირების და ამაგრებენ იმას. პროფესიონალური კავშირები არ არიან ყოველთვის ძლიერი და მუდმივ მომქმედნიო, სთქვა იტალიის კოოპერატორთა მფრთხელეობის განვითარების, სახალხო სახლების, თეატრების, მუშათა კრუნების, წიგნთა უავ-სამკითხველოების. და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა სასარგებლოთ.

კოოპერატივები დიდ სამსახურს უწევენ მუშებს აგრეთვე ეკონომიურ ბრძოლის დროს. ამ მხრივ ისინი ეხმარებიან მუშათა პროფესიონალურ კავშირებს და ამაგრებენ იმას. პროფესიონალური კავშირები არ არიან ყოველთვის ძლიერი და მუდმივ მომქმედნიო, სთქვა იტალიის კოოპერატორთა მფრთხელეობის განვითარების ბეჭდობადა, 3. კიეზამ: ისინი ხან მწვავე ბრძოლას განიცავან და იმარჯვებენ, ხან უმოქმედოთ არსებობენ. და ძლიერ ცუდათ მოვიქცევით, თუ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებს პროფესიონალური კავშირები, როცა იგი შეჩერებულია, არ შევცვლით კოოპერაციით. კოოპერატორები კი არ აუქმებენ პროფესიონალურ კავშირებს, არამდე ამაგრებენ იმას, აძლევენ იმას ახალ ძალას, ახალ სიცოცხლეს (*).

*) იხ. „Вестник Кооперации“ кн. I, 1909 г.—“Три съезда”.

ასეთია კომპერაციის მნიშვნელობა მშრომელ ხალხისათვეს და ამიტომ კომპერაციის იდეაც ძლიერ აღვილათ ვრცელდება მშრომელ ხალხში. უკანასკნელ გარემოებით ბევრი სარგებლობს და კომპერაციით ხელში მიღიან ხალხში თავის იდეების გასავრცელებლათ და გავლენის მოსაპოებლათ. ასე იქცევა, მაგალითათ, დიდი ხანია უცხოეთში კათოლიკეთა სამღვდელოება, რომელიც არამცუ არ ემტერება კომპერა. ტიულ მოძრაობას, რომელსაც ზოგის აზრით „სოციალიზმის სუნიც კი ჯდის“ და რომელიც „მომავლის ჩანასახს“ წარმოადგენს, არამედ არ ზოგავს ენტერესის იმაში მუშაობისათვეს (განსაკუთრებით იტალიაში, გერმანიაში და ბელგიაში). ერთი ისულიერი მოძღვარი (ბლონდელი) პირდაპირ გამოუტყუდა ბელგიის გამოჩენილ მოღვაწეს ვანდერველდეს: „გლეხები ჩემს ქადაგებას კი არ უგდებენ ყურს, არამედ ჩემს დარიგებას კათჟერაფიას და ყოველ დღიურ ცხოვრების გაუმჯობესების შესახებო“ *). და კათოლიკეთა სამღვდელოებას მართლაც ბევრი კომპერატივები უჭირავს ხელში.

უწმინდეს სინოდმა 1907 წელს განსაკუთრებულ ცირკულიარებით (№№ 10 და 17) აუკრძალა რუსეთის სამღვდელოებას შემნახველ-გამსესხებელ კასების გამგეობის წევრებათ ყოფნა, მაგრამ ამ დაბოლო დროს ფინანსთა მინისტრის მოლაპარაკების გამო კვლავ ნება დართო **.

„კეშმარიტ რუსთა კავშირმა“, სხვადასხვა აღვილას რამდენჯერმე იქონია მსჯელობა და საჭიროთ სცნო, რომ ხალხთან დასახლოვებლათ დაარსებულ იქნას ურთიერთ დამხმარეკასები; მომხმარებელი საზოგადოებანი და სხვ.

ესამე დუბის მემარჯვენე დეპუტატებმა ისე „იერთვულეს“, რომ დუბის მუშათა კომისიაში წინადადებაც კი შეიტანება, რომ დავადგინოთ ქარხნებთან და ფაბრიკებთან იმულებული იყონ მოხმ. საზოგადოებანი დაარსონო. ამით ისინი ვთომ მუშების ინტერესებს იუვდენ, ნამდვილათ კი მექარხნებებისას, რადგან ცნობილია, რომ ასეირი მომხმ. საზოგადოებანი ისეთივე მუხრუჭს უჭერენ ხშირათ მუშებს, როგორსაც წვრილი ვაჭრები.

*) Н. Валентиновъ „Западно-Европейское духовенство и народъ“, „Наша газета“, № 67, 1909.

**) „Вѣстникъ кооперации“, № 3, 1909 (А. Голубевъ „Духовенство въ кооперативномъ кредитѣ“).

სახელმწიფო დუმაშ უარყო მემარჯვეშეთა წინადაღება და თვითონ შემდეგი ფორმულა გამოიტანა: „სახელმწიფო დუმა წინააღმდეგია მომხმარებელ საზოგადოებათა ფაბრიკებში და ქარხნებში იძულებით დაარსებისა, ზაგრაშ ამასთანავე ქვეყნისაურეველეთ ციფრს ასეთ საზოგადოებათა ფართოთ გავრცელებისა და განვითარებისათვის კანონმდებლობით მოწესრიგებას იმ პირობებისას, რომელიც ეხება მათი აღმოჩნდებას, მოქმედებას და საწარმოვო საშვალებებით უზრუნველ ყოფას“ *).

კოოპერაციის დიალ მნიშვნელობას იღიარებენ ბევრი გაუმრჩენილი სახელმწიფო მდლევშეები.

ასე, მაგალითათ: „პრესიის ფინანსთა მინისტრმა მიეღომა განაცხადა: გერმანიაში სოფლის მეურნეობა გაუმჯობესდა კოოპერაციის წყალობით; ლევესტებურგის მინისტრ პრეზიდენტი ამბობს: კოოპერაცია და სახალხო განათლება არის ძალა, რომელმაც წამოსწიო ხალხის კეთილდღეობათ; რუსელტი, რომელიც უფრო ტრესტების წარმომადგენელია, ვიზრე მშრომელი ხალხისა, იმ აზრისაა, რომ თუ ქალაქი და კარგულია კოოპერაციისათვის, სოფელი მაინც არ დაკარგულია მისთვის. ერთათ ერთი იმედი სოფლის ტრესტიდან დახსნის არის კოოპერაცია“ **). იტალიის გამოჩენილ კოოპერატორმა, ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა, ლუკატიძ ერთ საჯარო კრებაზე განაცხადა: „ტყუილა მისაყველურებელ, თითქოს მინისტრათ ყოფნის დროს დამევიწყოს ჩემი კოოპერატიული პრინციპები. მინისტრი — ეგ წარმავალი მოვლენა არის; ეკონომისტი და კომუნისტი კი, იმედი მაქვს, საუკუნოთ დაწებიან ხალხის ხსოვნაშია“ ***). წელს ფინლიანდიის კოოპერატორებისათვის, „პალლერვოს“ უბილევიში დანიის იუსტიციის მინისტრმა პრინციპათ მიიღო მონაწილეობა****).

*) ibid. „Фабрично-заводскія потребні. О-ва“, Б. Торгашев.

**) იბ. „Труды первого Всероссийского съезда представителей кооперативныхъ учреждений“, მისამართი ვ. თოთმიანცია, 14 გვ.

***) В. О. Тотоміанцъ „С.-хоз. кооперація“, 116 გვ.

****) „Вѣстія. Финансовъ, № 43, 1909 г.

რადგან კომპერაცია უმთავრესათ ვრცელდება მშრომელ
ხალხში, საჭიროა ისიც ვიცოდეთ, როგორ უყურებენ კომპე-
რაციას მუშათა კლასის იდეოლოგები. ეს მით უფრო საჭიროა
ჩვენთვის, რომ, როგორც წინათაც ვსთქვით, ზოგის აზრით
კომპერაციას არაფითარი მნიშვნელობა არა აქვს მუშათა განმა-
ფავისუფლებელ მოძრაობისათვის და ზოგნი კომპერაციას:
რაღაც წვრილმან საქმეთ სთვლიან, რომლისთვისაც არც კო-
კადრულობენ „ხელის გასვრას“..

ცნობილია, რომ ფერდინანდ ლასალი თავგამოდებული
დამტველი იყო მწარმოებელ ამხანაგობათა.

ფრ. ენგელსის აზრი კომპერაციის შესახებ ჩვენ ზევით
მოვიყვანეთ:

კ. მარქსმა თავისი აზრი გამოსთქვა „ინტერნაციონალში“
„ამნაირათ ჩვენ უნდა ვალვიაროთ, ამბობს კ. კაუცი თავის-
წიგნაკში „მომხმარებელი საზოგადოებანი“; რომ კომპერაცი-
ას არა მცირე შენიშვნელია აქვს შეშათა განმათავისუფლებელ მოძ-
რაობისათვის. ასეთივე აზრი გამოსთქვა კარლ მარქსმათ, ამ-
ბობს იგი, 1866 წ. „ინტერნაციონალში“. მით უფრო გვინ-
და ალვნიშნოთ ჩვენ ეს ფაქტი აქ, რომ მომხრენი ეთიკურ
მოძრაობისა, ანარქისტები და სოციალ-პოლიტიკები ყოველ-
თვის და ყოველგან უსაყველორებენ მარქსსა და მარქსისტებს,
თითქოს ისინი მტრულათ ეპურობოდენ ამხანაგობებს.. უე-
ნევაში „ინტერნაციონალის“ კონგრესსზე 1866 წ. მიღებუ-
ლი იყო გადაწყვეტილება, რომელიც შემუშავებული იყო გე-
ნერალურ საბჭოს მიერ და რომლის პრინციპიალური ნაწილი,
ცხადია, მარქსის დაწერილია.

„მუშათა საერთაშორისო საზოგადოების შიზანი: იმაშია
მდგომარეობს, რომ გააერთიანოს თავისთავათ ალორძინებული
მუშათა მოძრაობა, შექმნას იმისაგან ერთი მუელი და გაასა-
ზოგადოებოს. იგი. მაგრავ იმას თავზე არ უნდა მოვახვიოთ არც
ერთი წინდაწინ განსაზღვრული და შემუშავებული სისტემა:
კონგრესი წინდაწინ არ ემხრობა არც ერთ სისტემას კომპე-

რაციონას და კმაყოფილდება ზოგიერთ ძირითად პრინციპების განმარტვებით:

ა) ჩვენ ვუნობთ კომპერატიულ მოძრაობას, როგორც ერთ იმ ძალათაგანს, რომელიც ამოძრავებულია კლასთა წინააღმდეგობაზე დამყარებულ საზოგადოებრივ წესწყობილების ძირითად გარდასაქმნელათ. კორპუსადის დადი შეიძგელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნათლათ გვიხაუვს, რომ დღევანდელი წესწყობილება, რომელიც ბადებს შშრომელთა სიღარეაკეს და დესპოტიურ უფლებას კაპიტალისას შრომაზე, შესაძლებელია შეცვლილი იქნას შრომის თავისუფალ და თანასწორ წარმომადგენელთა კომპერაციით.

ბ) მაგრამ კომპერატიული მოძრაობა... თავის დღეში ვერ გარდაქმნის დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებას. საზოგადოებრივი წარმოება ამხანავურ შრომის დიად გარმონიულ სისტემათ რომ გარდიქმნას საჭიროა თვით საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებში მოხდეს ძირითადი ცვლილებანი...

გ) ჩვენ ვუჩემთ მუშებს მეტი ყურადღება მიაქციონ მწარმოებელ საზოგადოებათა დაარსებას, ვიდრე მომხმარებელ ამხანავობისას...

დ) ჩვენ ვუჩემთ ყველა კომპერატიულ ამხანაგობებს შემოსავლის ერთი ნაწილი თავის პრინციპების გასავრცელებელ ფონდათ გადასდონ...

ე) კომპერატიული ამხანაგობა რომ აქციონერულ საზოგადოებათ არ გადიქცეს, საჭიროა მოიგებას ყველა მუშები თანასწორათ იყოფდენ“ და სხვ*) ..

ასეთია კ. მარქსის აზრი კომპერაციის შესახებ. საჭიროა აღნიშნოთ, რომ მწარმოებელ ამხანაგობათა უპირატესობა მომხმარებელ ამხანაგობებთან შედარებით, რომელსაც (უპირატესობას) აგრძოვე ეტრუოდა ფ. ლასსალიც, ცხოვრებამ არ გაამართოა და დღეს უპირველეს ადგილზე ყველა მომხმარებელ ამხანაგობებს აყენებს.

*) К. Каутский «Потребит. Товарищество» 23—24 გვ.

კ. კაუცი, რომელსაც კერძით ვერ დავსწამებთ, რომ გადამეტებული თაყვანისმცემლი იყოს კომპერაციისა (ზოგის აზრით იგი თითქოს უარსაც ყოფს კომპერაციის მნიშვნელობას მუშათა. განმათავისუფლებელ მოძრაობისა-თვის), როგორც ზევით დავინახეთ, პირდაპირ ამბობს, რომ კომპერაციის ცოტა მნიშვნელობა არა აქვს მუშათა განმათავისუფლებელ. შეიძრაობისათვის და შეოლოდ მერე დას-ტენს, რომ ასეთივე აზრი გამოსთქვა კ. მარქსმაც გარდა ამისა, დასახელებულ წიგნშივე კ. კაუცი სწერს: „ამნაირათ მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსების ხელის შეწყობა, არამცოთ არ ეწინააღმდეგება ჩვენს პრინციპებს, ზოგჯერ და ზოგ ადგილს ჩვენ ვალდებულიცა ვართ ხელი შე-უწყოთ იმასო“*) ხოლო მეორე ადგილას ამბობს: „კომპერა-ტიული წარმოება უფრო ჩქარა ხდის. შესაძლებლით განთავი-სუფლებულ იქნას მშრომელი მიწის შეშა განუწევერებდ და მტანჭ-ველ შრომისაგან და ამასთანავე გადიდებულ იქნას მისი შრომის ნაუდფიქრება, ვინემ წარმოების სავა რომელიმე ფორმაო“**).

ბევრის გამოჩენილი სოციალისტები ემ. ვანდერველდე და ჟ. დესტრე ამბობენ: „კომპერატივები მუშათა პარტიის ნამდვილ ციხე-სამაგრეებს წარმოადგენნო“***)

ბევრი გამოჩენილი მოლვაწეები მუშათა კლასისა პრაქ-ტიკულათ მუშაობენ კომპერატივებში. ასეთებია, მაგალითთავ ანსელე და ბერტრანი ბელგიაში, ს.-დემოკრატი ელმი (და-მარსებელი მომხმარებელ საზოგადოების „Production“) გერ-მანიაში, ვერნიანინი—იტალიაში და სხვ. და სხვ.

მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოლვაწეებთან ერთათ მუ-შათა პარტიიებიც ყველგან დიდ ყურადღებას აქცევენ კომპე-რატიულ მოძრაობას და ბევრ იმათვანს განსაკუთრებული

*) iqid, გვ. 31.

**) К. Каутскій „Соціалізмъ и Сельское Хозяйство“. изд. „Молотъ“, გვ. 50.

***) Вендервельдъ и. Дестра «Соціалізмъ въ Бельгии». 29გვ.

მუხლები შეაქვთ თავის პროგრამაში კოოპერაციის შესახებ. პირველი მუშათა პარტია, რომელმაც შეიტანა (1892 წ.) თავის პროგრამაში მუხლი კოოპერაციის შესახებ, იყო იტა-ლის მუშათა პარტია.

შერვე მუხლი ბეჭდის მუშათა პარტიის პროგრამისა (1893 წ.) ამბობს: 1) ხელის შეწყობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა: ა) თესლისა და მიწის სასუქის შესაძენათ, ბ) ერბოს მოსამზადებლათ, გ) სამუშაო იარაღების შესაძენათ, დ) ნაწარმოების გასაყიდათ და ე) მიწის საერთოთ დასამუშავებლათ.

საფრანგეთში 1894 წ. გედისტებმა შემუშავეს განსაკუთრებული აგრარული პროგრამა, რომლის მეორე მუხლში ნათქვამია: „საფრანგეთის მუშათა კავშირების შედგენა მიწის სასუქის, თესლისა, ნერგებისა და სხვ. საყიდლათ და ჭირნახულის გასაყიდათ“ და სხვ.*).

გარდა ამისა, კოოპერაცია შეიტანეს თავის პროგრამაში, აგრარულ პროგრამასთან ერთათ, მუშათა პარტიებმა დანიში, შვეციაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და ფინლანდიაში.

*) В. Тотоміанцъ „С.-хоз Кооперація“ 13 გვ.

VIII

კოოპერაცია ჩვენში.

შესაძლებელია, თუ არა, დღეს კოოპერაციის ჯანვითა-
რება ჩვენში? არის ამისათვის შესაფერი ნიადაგი ჩვენში, თუ
არა? აი საკითხები, რომელნიც თვალწინ უდგინ ყველას და
რომელთა განმარტება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

როცა გასულ (1908 წ.) წლის ზაფხულში ქ. ნიუბრ-
ტში ინგლისის კოოპერატორთა მეორმოცე კონგრესზე ტრი-
ბუნაზე გამოჩდა რუსეთის კოოპერატორთა წარმომადგენელი,
მთელი კრება, რომელზედაც 1500 კაცზე მეტი იყო, ერთ-
ბაშათ ფეხზე წამოდგა და დიდი ოვაციით მიეგება იმას; აქა-იქ
გაისმოდა ხმები: „გაუმარჯოს დუმს, დუმს გაუმარჯოს“ *)!
მეტათ საგულისხმოა ეს ფაქტი. ამ ორი სიტყვით გამოცილმა
ინგლისის კოოპერატორებმა, რომელთაც ვერას გზით ვერ დავ-
წამებთ პოლიტიკით გატაცებას, რუსეთში კოოპერაციის გან-
ვითარების გამო აღზრუთოვანებისა და სიხარულის გამოც-
ხადების გარდა, ისიც სთქვეს, რომ კოოპერაციის მომავალი
დუმის მამაკალზედაც არის დამოკიდებული. სიტყვები „გაუ-
მარჯოს დუმს“ ინგლისის კოოპერატორთა პირში ნიშნავდა,
რომ რუსეთის იმპერიაში უფლებრივ წესწყობილების გამარ-
ჯებასა და დამკვიდრებაზე არის დამოკიდებული კოოპერაციის
გამარჯვება და აუვავებაო. „გაუმარჯოს დუმს, მაშინ ჩვენ-
თვის ძვირფასი კოოპერაციაც გაიმარჯვებს რუსეთში“ — აი
რა სთქვეს ორი სიტყვით ინგლისის კოოპერატორებმა.

და მართლაც, მხოლოდ ექ, საღაც მოქალაქენი სრულის
უფლებით არიან აღჭურვილნი, საღაც მოქალაქეთა თვითმოქ-
მედება არ არის მოწყვდებული ვიწრო საზღვრებში, შესაძლე-
ბელია კოოპერაციის ჩეარი ზრდა და სასურველი განვითარე-

*) იხ. „Вѣстн. коопераціи № 1, 1909 წ. „Три съезда“.

ბა. ხოლო, თუ ჩოგორი პირობებია ამ მხრივ ჩვენს კურთხეულ სამშობლოში, რა თქმა უნდა; ეს ინგლისის კონპერატორებმა თუ იცის, მით უფრო კარგათ იცის ყველა ჩვენგანმა... მაგრამ დღევანდელმა პოლიტიკურ პირობებმა იმდენათ მაინც არ უნდა გაგვიტეხოს გული, რომ სრულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდეთ. მიუხდავათ იმისა, რომ, არამც თუ უფლებრივი მდგომარეობა ჩვენებურ მოქალაქისა საზოგადოთ არის შეზღუდული, არამედ თვით ჩვენი დღევანდელი კანონმდებლობაც კონპერაციის შესახებ ბევრ დამაბრკოლებელ ოვისებებს შეიცავს კონპერაციის განვითარებისათვის, კონპერაციას დღევანდელ პირობებშიაც შეუძლია იმდენათ იხეიროს, რომ თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანოს საზოგადოების ფართე ნაწილს. ამის მაგალითები დაგვანახა შუაგულ რუსეთმა, სადაც კონპერაცია ამ უკანასკნელ ორი სამზღვის განმავლობაში სწორეთ საოცარის სისწრაფით მიღის წინ და სადაც კონპერატიული დაწესებულებანი, მიუხდავათ ათას გვარ დაბრკოლებისა, სწორეთ სოკოსავით შრავლდებიან.

იდეა, რაკი ერთხელ დაიბადა საზოგადოებაში, აღვილათ არ ამოიტხვრება. განვლილმა განმანთავისუფლებელ მოძრაობამ შეანქრა საზოგადოების წყვდიადით მოცული ნაწილებიც და დაბადა შასშიაზრი თვითმოქმედებისა. განდევნილი პოლიტიკურ ასპარეზიდან და საშინაოთ დამარცხებული ამ ნიადაგზე, საზოგადოების მასას ახლა ეძებს თავის ამოძრავებულ ენერგიის გამოსავალს სხვადასხვა გვარ კუნძომიურ და კულტურულ დაწესებულებებში და, სხვათა შორის, კონპერაციაშიაც. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ამ უკანასკნელ დროს სახმარი საგნები საშინაოთ გაძვირდა, მასის ნივთიერ საშვალებებმა, მისმა სამყიდველო ძალამ, გაუთავებელ კრიზისებისა და მოუსავლობის, ათასგვარ გადასახადებისა და საკუთარ მოთხოვნილებების მომატების გამო კი საგრძნობლათ იყლო. ურთიერთ დახმარება, კონპერაცია, ასეთ შემთხვევაში თავისთავათ იჩენს ცოლმე თავს; ჩვენში კი

ამას, როგორც ვსთქვით, ახლა ხელს უწყობს მასსის საუკუნო ძილისაგან გამოფხიზლება და მასში თვითმოქმედების იდენტის განვითარება. რა თქმა უნდა, არსებული პოლიტიკური პირობები ბევრჯერ ხელს შეუშლიან კოოპერაციის იდენტის ჯეროვან განვითარებას, მაგრამ ეს სრულიად არ გვაძლევს იმის საბუთს, რომ ზურგი შევაქციოთ კოოპერაციას და არ შეუწყოთ ხელი კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებას. ორში ერთი: ან კოოპერაცია მავნეა და მაშინ უნდა ვიბრძოს მის წინააღმდეგ, ან იგი სასურველი და სასარგებლობის უფლებაა და მაშინ ხელი უნდა შევუწყოთ მის განვითარებას. ხოლო, რამდენათ ხელს შევუწყობთ მას, რამდენათ უფრო ფეხს მოიკიდებს საზოგადოების ფართო ნაწილში კოოპერაციის იდეა, იმდენათ ძლევული იქნებიან ყველა, დამაბრკოლებელი მიზეზები. ამიტომ დემოკრატიის ის ნაწილი, რომელსაც სწამს ხალხის თვითმოქმედების ძალა, ერთის მხრით, და კოოპერაციის მნიშვნელობა, მეორე მხრით, გულიანათ უნდა მოეცყრას ახლა კოოპერატიულ საქმეს.

მოსაზრება, თითქოს ჩვენი ხალხი, განსაკუთრებით გლეხობა, არ იყოს მომზადებული საერთო საქმის საწარმოებლათ, არ იყოს მომზადებული კოოპერაციისათვის, ჩვენ იმდენათ უსაფუძვლოთ, ჩივგაჩნია, რომ არც კი გვინდა შევჩერდეთ იმაზე. ახლა მთავრობის წარმომადგენლებმაც ჟი ის აზრი გადამოთქვეს, რომ ჩვენი სოფელი მომწიფებულია თვითმართველობისათვის, და ერთბას გვპირდებიან, და ამის შემადევა განა ზედმეტი არ არის იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენებური გლეხი რუსის გლეხზე ნაკლებ არ გაუძლება კოოპერაციას და, თუ შეიგნით რუსეთში არ განუცითია ამ მხრივ დაბრკოლება. კოოპერაციას, არც ჩვენში დაბრკოლდება იგი? მეორე, კოოპერატიული დაწესებულებანი, ხომ ერთნაირი შკოლები არიან თვითმოქმედების და თვითმართველობისა? რამდენათ სკელი იქნება ჩვენში კოოპერატივების ქსელი, რომდენათ ადრე ფეხს მოიკიდებს ჩვენს სოფელში

კონპერაცია, იმდენათ აღრე მიეჩვევა ჩვენი გლეხობა თვით
მოქმედებას და საერთო საქმის გაძლილასა და მართვა-გამგე-
ობას.

მართალია, კონპერაციაში საქმის საწარმოებლათ და კო-
ნპერაციის ტეხნიკურ მხრისათვის (საანგარიშო წიგნების წარ-
მოება, მიწერ-მოწერა და სხვ.) საჭიროა ცოტათ თუ ბევრათ
მცოდნე პირები, მაგრამ ჩვენს სოფელში მოიძებნება — უნდა
მოიძებნოს — ასეთი ელემენტები. ამ მხრით ევროპის კონპერა-
ტივებიც კი არ არიან სულ უზრუნველყოფილნი, თორებ ჩვე-
ნებურ კონპერატივებმა რომ ცოტა მოიკოჭლოს, არაფერო
უშავს. ყველგან მცოდნე პირების მადლიანი როლი კონპე-
რაციაში, განსაკუთრებით სოფლათ, სოფლის მასწავლებელს
აწევს კისერზე. სოფლის მასწავლებელი ერთათ-ერთი ცოტათ
თუ ბევრათ განათლებული კაცია სოფელში, რომელიც გლეხ-
თანაც ახლოს არის და სოფლის ჭირვარამიც თვის ჭირ-ვარ-
მათ უნდა მიიჩნიოს. საზოგადოების ის დაწესებულებანი, რო-
მელნიც ცოტათ თუ ბევრათ ურევიან სოფლის მასწავლებლის
დანიშნვის საქმეში, მოვალენი არიან ხელი შეუწყონ მასწავლებ-
ლებს გაეცნონ კონპერაციას, რომ მერე იმათ ხელმძღვა-
ნელობა გაუწიონ სოფლის კონპერატივებს. ამ მიზნის მისაღ-
წევათ ევროპაში აარსებონ საზაფხულო კურსებს, სადაც მას-
წავლებლებს შეუძლიათ შეისწავლონ კონპერაცია. ასეთ კურ-
სებზე ჩვეულებრივათ გადიან: პოლიტიკურ ეკონომიკის მოქ-
ლე კურსეს, სახელმწიფო უფლებას და კონპერატიულ კანონ-
მდებლობას, თეორიას, ისტორიას და პრაქტიკას კონპერაცი-
ისას, კონპერატიულ დაწესებულებებში საჭირო ანგარიშს და
წიგნების წარმოებას და სხვ. ჩვენში „სომეხთა კულტურულ
საზოგადოებამ“ იკისრა ეს მეტათ სამატიური საჭმე. და 1908
და 1909 წ. ზაფხულში გიმართა თფილისში სოფლის მას-
წავლებელთათვის კურსები კონპერაციის შესასწავლათ. პირ-
ველ წელიწადს კურსებზე მარტო სასოფლო ბანკებ მი საჭი-
რო ანგარიშს გადიოდენ, წელს კი ამას გარდა კითხულობდენ
ლექციებს (სომხურათ) კონპერაციის შესახებ საზოგადოთ.

მოგვეპოებიან, თუ არა; ჩვენც ასეთი დაწესებულებანი, რომელნიც იკისრებენ ამ მეტათ სიმპატიულ საქმეში ინიციატივას ან საზოგადოთ არიან, თუ არა, ჩვენში დაწესებულებანი, რომელნიც ზრუნავენ კოოპერაციაზე?

ეს საკითხი არ არის ახალი. ჯერ კიდევ ამ ოცდა ორი წლის წინათ, 1887 წ., გაზ. „ივერიის“ თანამშრომელი ბ. ნარი მწერალებით აღნიშნავდა, რომ ჩვენში ამხანაგობების შესახებ არავინ ზრუნავს. იგი სწერდა: „ვინ არის დღეს ჩვენში, რომ ჩვენებურ ამხანაგობათა ავი და კარგი სინამდვილესთან დაახლოვებით იცოდეს, ვინ არის ჩვენში, რომ შათზე ზრუნავდეს? რომელი დაწესებულებაა? რომელი კერძო ჰირი? რედაქტორი არიან ჩვენებურ გაზეთებისა? თავად-აზნაურთა ბანკები არიან?...“ და სხვ.*“) საქმის ვითარება ამ მხრივ ამ ოცდა ორი წლის განმავლობაში სრულიადაც არ შეცვლილა. დღესაც არ მოიპოვება ჩვენში ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც ზრუნავდენ კოოპერაციის გავითარებისათვის ჩვენში. ამ მხრით რუსეთს უფრო სწყალობს ბედი: იქ ერობებმა თვალსაჩინო როლი ითამაშეს კოოპერაციის განვითარების საქმეში, განსაკუთრებით ხელი შეუწყვეს იმათ საკრედიტო კოოპერატივების განვითარებას; ხოლო ახლა რუსებაში არსებობენ სპეციალური დაწესებულებანიც, რომელნიც ხელს უწყობენ კოოპერატიულ საქმეს. ასეთია: მოსკოვის კომიტეტი შემნახველ-გამსესხებელ და სამრეწველო ამხანაგობათა და განსაკუთრებით მისი პეტერბურგის განყოფილება, მოსკოვის კმეშირი მომეშმარებელ ამხანაგობათა და სხვ. ამ დაწესებულებათა სამოქმედო ასპარეზი არ განისაზღვრება შიგნით რუსეთით, მაგრამ ისინი განაპირ ქვეყნებს, როგორიცაა მაგალითათ ჩვენი ქვეყანა, სოჭორის გამო ვერ უწევენ ისეთ დახმარებას პრაკტიკულათ, როგორსაც ახლო გუბერნიებში.

განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი რუსეთის კოოპერაციის განვითარების ისტორიაში ითამაშა მოსკოვის სასოფლო-

სამეურნეო საზოგადოებამ. ასეთი დაწესებულება არსებობს ჩვენშიაც. ამასაც შეეძლო, რა თქმა უნდა, ცოტა რამ გაეკეთებია კოოპერაციისათვის ჩვენში, მაგრამ, საუბედუროთ, სრულიად არაფერი გაუკეთებია. ეს კი ერთათ-ერთი ზაწესებულებაა ჩვენში, რომელსაც პირდაპირ შეეძლო და შეუძლია ხელი მოკიდოს ამ საქმეს. ვიტყვით მეტსაც: ჩვენის აზრით, ეს მის პირდაპირ მოვალეობასაც შეადგენს, რადგან ღრმათ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ სასტატო მეურნეობის აუგავება ჩვენში, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, კოოპერაციის დაუხშარებლათ და გარეშე, კოოპერაციისა შეუძლებელია.

მეტი დაწესებულება კი ჩვენში არ გვეგულება, რომ მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდეს კოოპერაციაზე. ზრუნვა; ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენს წერა-კითხვის საზოგადოებას შეუძლია გამოსცეს წიგნები კოოპერაციის შესახებ და ითავოს მოწყობა დრო გამოშვებით მოკლე ვადით კურსებისა კოოპერაციის შესახებ ჩვენი სოფლის მასწავლებლთათვის.

მართალია, ქართული პრესა განურჩევლათ მიმართულებისა, დრო გამოშვებით უთმობს ადგილს წერილებს კოოპერაციის შესახებ, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა, საზოგადო-ხასიათის წიგნებიც კოოპერაციის შესახებ, სახელმძღვანელოები, პ.წია წიგნთ-საცავების შედგენა კოოპერატიულ ლიტერატურით და სხვ. კერძო გამომცემლობა. რომელიც ყოველ გამოცემაში მხოლოდ ნივთიერ მხარეს უურჩებს, ვერ გაუწევს ამ საქმეს ჯეროვან სამსახურს; საზოგადო დაწესებულება კი, რომელიც წიგნების გამოცემის საქმეს ემსახურებოდეს, ჩვენ გვეგულება ჯერ მხოლოდ ერთი: „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. და რომ ის კოოპერატიულ ლიტერატურის გამოცემას უურადლებას მიაქცევდეს, რამდენათაც, რასაკერძოელია, ნივთიერი მდგომარეობა-ხელს შეუწყობს მას ამისთვის, იგი დიდ სარგებლობას მოუტანს ამით კოოპერაციის საქმეს ჩვენში.

კომპერატიულ მოძრაობის მეთაურათ და კომპერატიულ დაწესებულებათა ცენტრებათ ჩვენში უნდა გახდენ, და ძალა-უნებლივ გახდებიან, ჯერ-ჯერობით ის კომპერატივები, რო-მელნიც სხვა კომპერატივებზე უფრო იხეირებენ და გაიზრ-დებიან, ხოლო რამდენიმე ათეულ კომპერატივების აღმოჩი-ნების შემდეგ ასეთ მეთაურებათ გახდებიან ამ კომპერატივთა კავშირი და პერიოდული კრებები (სიეზდი).

ინტელიგენციის შეუძლია თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანოს კომპერაციის საქმეს ჩვენში. კომპერაცია ჩვენში ახალი საქმეა, მერე ისეთი ახალი საქმე, რომელიც, მართა-ლია, ადვილი გასაგებია, მაგრამ, რომ იხეიროს, საჭიროებს ტეხნიკურ მხარეების კარგათ მოწყობასა და შესწავლას. ასე-თია, როგორც წინათაც ვთქვით, მაგალითათ, საანგარიშო წიგნების წარმოება, სხვა და სხვა საქმეების გამო გარეშე პი-რებთან და დაწესებულებებთან მიწერ-მოწერა, სამეურნეო ამხანაგობებში ახალი სისტემით მუშაობის შემოლება და მან-ქანების ხმარება და სხვ. და სხვ. ყველაფერი ეს კი, ჯერ-ჯერობით მაინც, ჩვენებურ მუშისა და გლეხისათვის ძნელი იქნება. ჩვენ დავასახელეთ ერთი ტანი ინტელიგენტისა, რო-მელსაც შეუძლია ამ მხრით დილი დახმარება გაუწიოს ვლე-ხობას. ეს არის სოფლის მასწავლებელი. მაგრამ ინტელიგენ-ციის როლი კომპერაციაში არ უნდა განისაზღვროს მარტო სოფლის მასწავლებლის დახმარებით.

მართალია, ჩვენ მდიდარი არა ვართ ინტელიგენტებით, მაგრამ, ჩვენში რომ მაინც ბევრი ინტელიგენტი დაიარება უსაქმოთ, ესეც ყველასათვის ცხალია. უინიციატივობა რა-ლაც, მგონი, თანდაყოლილი, საზოგადო სენია ჩვენი, და სწორეთ. ამიტომ ჩვენ ვერ ვბედავთ რაიმე ისეთ საქმეს მოვკიდოთ ხელი, სადაც ჩვენი გამჭრიახობის და საქ-მიუნობის უნარის გამოჩენა იქნება, საჭირო. ამიტომ უფრო ხშირათ ვეტანებით კანცელარიაში შაბლონურ სამსახურს; ხოლო ახლა, როცა ეს კანცელარიები აივსრ ჩვენებურ, თუ

ჩამოსულ მოხელეებით, უსაქმოთ დარჩენილებმა არ ვიცით
რა ვაჟეთოთ, და კანცელიარიაში სამსახურის შოვნის მოლო-
დინში უსაქმოთ ვათენებთ და ვაღამებთ... ამავე დროს სო-
ფელი კი საშინაო საჭიროებს ინტელიგენტურ ძალებში.

ჩვენებურ ინტელიგენტიას თვითმოქმედების კოტა უნარი
რომ მაინც მისცა, იგი სიამოვნებით ჩაებმებოდა სასოფლო
კოოპერაციის უღელში. ამით უმუშევარ ინტელიგენტების
რაზებიც თვალსაჩინო შემოკლდებოდა და სოფლის კოო-
პერატივებსაც საკმაო ხელმძღვანელები და დამხმარენი აღმო-
უჩნდებოდენ.

მე მიკვირსო, სთვეა წელს ერთ თავის საჯარო ლექცი-
აზე თფილისში რუსეთის ცნობილ კოოპერატორმა გ. თ. თოთო-
შიან ცმა, რომ რუსეთის ქალაქებში შიმშილით იხოვებიან
ინტელიგენტები და 25—30 მან. კანცელიარიაში სამსახურს
სიამოვნებით სთანხმდებიან, მაშინ, როცა კოოპერაციაში იმათ
მეტი დამოუკიდებლობითაც შეუძლიათ ისარგებლონ, ნივთი-
ერათაც უფრო უზრუნველყოფილი იყონ და მეტი სარგებ-
ლობაც მოუტანონ საზოგადოებასო*).

რა გვარი კოოპერატივები უფრო იხეირებენ და უფრო
ადვილი მოსახერხებელია ჩვენში?

ამაზე გადაჭრით პასუხის მიცემა ყოვლად შეუძლებელია.
ჩვენ წინათ ვსთვეით, რომ ყველა კოოპერატივებზე უფრო

*) ევროპის ზოგ ქალაქებში უმუშევარი ინტელიგენტები, საკუთარ—
„ინტელიგენტურ“, კოოპერატივებსაც აარსებენ. ასე, მაგალითათ, იმავე
ვ. თ. თოთოშიანცის სიცყვით, გერმანიის ერთ ქალაქში უმუშევარ ინ-
ტელიგენტების ერთ ჯგუფს გაუკეთებია კოოპერატიული ბოსტანი. გა-
ხამებული პერანგიანი მეშები—ინტელიგენტები (სხვათ: შორის ერ-
თი ექიმი და ერთი ინჟინერიც) ხნავენ, სთესავენ, თოხნიან; მოყვათ კომ-
ბოსტო, ქართოფილი და სხვადასხვა მწვანილი; ყველაფერ ამას ქალაქში
ყიდიან. ბოსტანში ბუზაობა არ მოითხოვს დიდ შორმას, შემოსავალს კი
იმდენს აძლევს წევრებს, რომ ისინი გვარიანათ ცხოვრობენ.

ადვილი მოსახერხებელი მომხმარებელი საზოგადოებანი არიან; როგორც ქალაქში, ისე სოფელშიაც, მერე „საკრედიტო ამხანაგობანი“, რაღაც „საკრედიტო ამხანაგობათა“ დასაჭ-სებლათ დახმარებას იძლევა სახელმწიფო პანკი, და სხვ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ადგილობრივ პირობებს და გარემოებას, როცა ვაპირებთ კოოპერატივის დაარსებას. პირიქით, ყოველგვარი კოოპერატივი უნდა დაარსდეს დროის, ადგილისა და გარემოების მიხედვით.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ურთიერთი დახმარება, თანამ-შრომლობა, ანუ კოოპერაციის მარტივი ფორმა, თუმცა კო-ოპერაციის სახელით არ არის ცნობილი, მაგრამ მაინც ხშირი მოვლენაა სოფლათ. თუ ჩვენ ვეცათებით გამოვდებნოთ არსე-ბული ფორმები ურთიერთ დახმარებისა სოფელში, ამათი გა-ფართოვება და განმტკიცება, ამათი ნამდევილ კოოპერაციათ გადაკეთება იქნება ჩვენთვის ყველაზე უფრო ადვილი. მოსა-ხერხებელი.

ურთიერთ დახმარება, თანამშრომლობა, ჩვენებურ სოფ-ლებში კი ბევრნაირ სახეს იღებს. ასეთია, მაგალითათ, იმე-რული „ნადი“. სოფლის მეურნეობაში დიდ როლს თამაშობს ამინდი. ამიტომ იმერელი გლეხი ჩქარობს. ავდარმა ჭირნახუ-ლი არ გაუფუჭოს. ამისათვის იგი მიმართავს ხოლმე მეზობ-ლებს, რომ დაეხმარონ იმას, ხოლო თვითონაც. თავის მხრით აღუთქვამს იმათ სამაგიერო დახმარებას. თოხნისა და განსა-კუთრებით რთველის დროს თქვენ ხშირათ შეხვდებით. იმე-რეთში ასეთ დროებით შეამხანაგებულ სოფლის მუშებს. ჯერ ერთის ყანას სთოხნიან ისინი, მერე მეორისას, ჯერ ერთს შველიან რთველში, მერე მეორეს, მესამეს და სხ. ამ „კავ-შირებს“ ქვია „ნადი“, „ნადი“ არ არის მუდმივი. შეიძლება თოხნაში ერთს მეზობელთან ვიყო „ნადში“, რთველში მეო-რესთან; წელს ერთთან, მერმის მეორესთან და სხვ. მაგრამ „ნადი“ საზოგადოთ ისეთი ხშირი მოვლენაა, განსაკუთრე-

ბით, რთველში, როცა ზამთრის სუსხი მოახლოვებულია და კირნახულის მოწევა ძლიერ საჩქარია, რომ იშვიათათ მოიძებნება ისეთი გლეხი, რომ „ნადი“ არ მიმართოს.

ამასვე მოგვაგონებს ქართლ-კახეთში ცნობილი ჩვეულება „შამითადისა“ და „ნაცვალგარდობის“. მაგრამ „შამითადს“ უფრო შებრალების, ქველ-მოქმედების, ხასიათი აქვს, ვინევ ურთიერთ-დახმარების, თანამშრომლობის. გაიხსენეთ, მაგალითათ, რ. ერისთავის ლექსი „თინიას შამითადი“. „ქვრივი ოხერს, ბექავ თინიას“ არავინა ყავს მოშკალი; ამიტომ იგი ჩამოუვლის სოფელს და „დაელრიჯება“ ყველას დაეხმარონ და მოუმკან პური. „ბექავ თინიას“ შეიძრალებენ“ და... „ჰოოჟუ-მათი, კიუნით მოედვენ ქვრივის ყანასა“ მოსამკალათ...

„ნაცვალგარდობა“ კი უფრო ურთიერთ დახმარების პრინციპება აშენებული, ეს იგივე „ნაღია“: რამდენ ხანსაც მე შენ ჯეხმარები, იმდენ ხანს ვალდებული ხარ შენ მომეხმარო.

მაგრამ ნამდვილ კოოპერაციის მარტივ ფორმას წარმოადგენს „მოდეგარდა“. ძვირათ შეხვდებით ისეთ გლეხს, რომ გუთნეული *) ხარ-კამეჩი ყავდეს. ამიტომ გლეხები ძალაუნები, ლიკ ერთდებრან. ხოლმე ხენა-თესვის დროს, დღეს მე და, შეიძლება, ერთი ან ორი ვინმე კიდევ, მოვდივართ ჩვენი ხარ-კამეჩით შენთან და გეხმარებით; როცა შენს მიწას, დავჭინავი-დავთესავთ, მერე შენ უნდა. წარმოხველდე ჩვენთან: შეიძლება ზოგი პირადი შრომითაც კი არ იღებდეს მონაწილეობას ამ დახმარებაში; გათხოვებს გუთანს, ხარ-კამეჩს, ღვედს და სხვ. ეგ სულ ერთია. იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ იღებდა მონაწილეობას ამ საერთო ძალით. მუშაობაში, მიიღებს სამაგიერო დახმარებას. ამ ურთიერთ დახმარებას ეძახიჩ „მოდგამობას“: უამისოთ. გლეხების უმეტესობა ვერც კი დახნავს

*) ქართლში და კახეთში ხნავენ გუთნით. გუთანში კი უბაშენოთხიდან-ჩვემდის ულელ ხარკამეჩს. ერთი გუთნისათვის საჭირო ხარ-კამეჩს ქვია გუთნეული.

და დათესს; „მოდგამობის“ საფუძველი ურთიერთ დახმარებაა და იმის სარგებლობას ყველა ნათლათ გრძნობს:

„ხანულობა“. „ხანულობა“ არის შემოღებული, აგრუთვე ქართლ-კახეთში, რძის მეურნეობაში. მაგალითათ, მეტ მყავს ერთი ძროხა. ჩვენებური ძროხები კი ჩვეულებრივ ცოტას იწველებიან. მინდა გავაკეთო უჩბო და ამასთანივე კარგი ხსრისხის დოკუ დამრჩეს. ერთი (ჩვენებური) ძროხის მონაწველი არ კმარა „სადღვებელის“ შესავსებათ და ორც შრომათ ღირს, ხოლო რმდენიმე დღე, რომ ერთი „სადღვებელის“ შესავსები რძე ვაგროვო, მაწონი ძლიერ დამჯავდება (დაობი დება კიდეც) და ერბოც ცუდი ხარისხის გამოვა და დოკუ (დოს ქართლის გლეხობაძლიერ ხშირათ ხმარობს შეჭამანდათ) ამიტ იმ ერთი მეზობელი „შეუხანულდება“ ხოლმე მეორეს, ე. ი. მოაქვს იმისგან რძე განსაზღვრულ ვადის განმავლობაში, იმას უმატებს თავის ძროხის რძეს და ამნაირათ ყოველ დღე აფროვებს იმდენ რძეს, რამდენიც საკმარისი შესადღვებათ. ვადის გასვლის შემდეგ თავისი ძროხის რძეს უგზავნის მეზობელს და სხვ. ისე, „ხანულობაც“. ურთიერთ დახმარებაზეა აშენებული, აქაც კოოპერაციის მარტივ ფორმას ვხედავთ.

ამნაირათ, ჩვენ ხშირათ შეგვიძლია ვრისარგებლოთ ხალხში არსებულ ჩვეულებით და გამოვიყენოთ ეს ჩვეულება. როგორც პირველი საფეხურები კოოპერატიულ დაწესებულებათა შესაქმნელათ სოფელში. ხოლო მერე თანდათან გადავიდეთ სხვა კოოპერატიულ ამხანაგობებზე, როგორიცაა მომზადებელი საზოგადოებანი, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობანი და სხვ. ყოველმა კოოპერატიულ დაწესებულებამ, მომხმარებელით საზოგადოება იქნება იგი თუ საკრედიტო ამხანაგობა, არ უნდა დაივიწყოს, რომ იმის ვალია, ხელი შეუწყოს სოფლის ხელ-მოკლე მეურნეს შემოიღოს საუკეთესო სისტემის იარაღები, მოუპოვოს კარგი ღირსების თესლები, ნერგები და სხვ. და იგრძოვე დაეხმაროს იმას ნაწარმოების გასაღებაში.

ხოლო რომ უფრო მაგრათ მოიკიდოს ჩვენში ფეხი კოოპერაციამ და უფრო მაღე გავრცელდეს ოგი, კოოპერაცია ჩვენში აუცილებლათ უნდა იყოს უპარტიო, უნდა იდგეს ყოველივე პარტიის გარეშე.

საქიროა იდეა კოოპერაციისა, იდეა ამხანაგობის, იმდენათ პოპულიარული შეიქნეს საზოგადოების ფართე ნაწილის-თვის, რომ უველა ცალკე, საკუთრათ, მუშაობის წინ კოოპერაციულ პირობებში საქმის დაწყებას უნდა აყენებდეს. მაშინ კოოპერაცია თვითონ იპოვის გზას ფრთხის გასაშლელათ, მაშინ ჩვენ დავინახავთ, თუ რა დიდი ასპარეზი, ყოფილა ჩვენში გადაშლილი კოოპერაციისათვის და რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია იმას ჩვენთვის.

ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნება უხვათ იძლევა ყველა-ფერს, მაგრამ ჩვენ, ჩვენი უცოდინარობისა და, უსაღსრობის გამო, ვერ ვსარგებლობთ ასეთ სიკეთით... შესანიშნავი კახური ღვინო მომხმარებელს, პაზარს, ვერ პოულობს, განთქმული თავისი ნოიერებით მდ. რიონის მიდამოები საქმაო საკვებს აღარ იძლევა, ქართლში ხშირი მოუსავლობაა, ხლია, რა ქველი გლეხი, ვინ იცის, რა სიშორებება ხშირათ გადახვეწილი ორი გროშის საშორენელათ და სხვა და სხვა. კოოპერაცია ერთი საუკეთესო საშვალებათაგანია ასეთ პირობებში მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ....

მევენახეთა და შეღვინეთა კოოპერაციები კახეთში, მეხილეთა ამხანაგობანი ქართლში, მეაბრეშემეთა კოოპერატიულები იმერეთში, ხოლო ხშირი ქსელი სასოფლო-სამეურნეო, მომხმარებელ, საკრედიტო და საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებათა უვეჯვან, საშვალებას მისუმში ჩვენებურ მეურნეს უფრო გაანაყოფიეროს თავისი შრომა, ხოლო ნაშრომს, ნაწარმოებსაც, ბაზარი მოუპოვოს. ჩვენებური წვრილი მეურნე, ჩვენებური მიწის მუშა, რომელიც ახლა პირველყოფილ ირალებით ხელში ჩაკირკიტებს მიწას, მოუთმენლათ მოელის კოოპერაციის თავის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

რა თქმა უნდა, კონპერაცია ვერც ჩვენში გახთება ყოველიად შემძლე საშვალებათ. ბევრი რამ არის, კოპერაციის გარდა, გა-აკეთებელი ჩვენში, ბევრი რამ გვაკლია ჩვენ ჩვენი ნივთიერ და კულტურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ასე, ჩვენ მუდამ ვამბობთ, რომ გვჭირია მეტი განათლება — გვინდა შკოლები, გვჭირია მისვლა-მოსვლის გაადვილება — გვინდა რკინის გზები, გვჭირია უმაღლესი ნასწავლი პირები, მცოდნე ჩვენი ქვეყნის პირობებისა — გვინდა უნივერსიტეტი, გვჭირია მონაწილეობის მიღება ჩვენს შინაურ ცხოვრების მოწესრიგებაში — გვინდა ერობა და სხვ. და სხვ.

მაგრამ ისე, როგორც გვჭირია რკინის გზები, ვიტყვეთ ამას პროფ. ოზეროვის სიტყვებით, მისვლა-მოსვლის გაადვილებას ფოსტა-ტელეგრაფის ქსელი და წყლის არხები, გვჭირია ხშირი ქსელიც კონპერატივებისა.

და ამიტომ, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყნის ნივთიერ და კულტურულ წარმატებისათვის გვჭირია შკოლები, რკინის გზები, ერობა და სხვ., უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ჩვენ ამისათვის გვჭირია უგრეივე ქორპურაციაც!...

ს ა რ ჩ ე ვ ბ .

ა გ ტ ი რ ი ს ა გ ა ნ .

I. რ ა ხ რ ი ს კ ო მ პ ე რ ა ც ი დ ა :

სიტყვის განმარტება. თანამშრომლობის მაგალითები. კოორდინაცია მარტივი. კოოპერაცია კაპიტალისტური. კოოპერაცია მშრომელთა. ჩევნი საუბრის საგანი გვ. 7—10

II. კ ო მ პ ე რ ა ც ი დ ა მ ი ზ ა ნ ი .

თანამედროვე ვაჭრობისა და წარმოების განვითარება. მათი მიზანი. მათი დამხასიათებელი. თვისებანი. მომზმარებელ საგნების გაძვირება მწარმოებლიდან მომზმარებლის ხელში მისვლამდე. საზოგადოების უძრავლესობის მდგომარეობა არ სებულ წარმოებისა და ვაჭრობის პირობებში. მიზანი კოორდინაციისა გვ. 11—18

III. ი ს ტ ი რ ი ა :

ა კ ა ნ ი კ ო მ პ ე რ ა ტ ი უ ლ მოძრაობისა. ინგლისის მდგრადირეობა მე-18 საუკუნის ნახევრიდან. რობერტ ოუენი. როჩდელის „პირატები“ და მათი „პრინციპები“. როჩდელის მომზმარებელი საზოგადოება, კოოპერაცია ინგლისში, ბელგიაში, დანიაში, საფრანგეთში, გერმანიაში და ირალიაში. კოოპერაციულ მოძრაობის მოყველე მიმოხილვა რუსეთში და ჩევნიში გვ. 19—64

IV. ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი კ ო მ პ ე რ ა ც ი დ ა :

ა) შ ა ქ ს ხ ა რ ე ბ ე ჭ ი დ ი ს ა ზ ა გ ა დ ა ე ბ ა :

მომზმ. საზ. მიზანი. მომზმ. საზოგადოების მოწყობა. ქალის როლი მომზმ. საზოგადოებაში. ინგლისის „ქალთა კოოპერაციული გილდია“. მოხერხება და საქმის ცოლა. „როჩდელის პრინციპები“. სად უფრო იხეირებს მომზმ. საზოგადოება. პაის სიმცირე. თანასწორობა. მომზმ. საზოგადოება ვერც თვითონ ი ესხებს, ვერც ნისისზე ჭრსუებს საჭინელს. ვაჭრობა მარანდაზე. ღრევიდენდის განაწილება. წესდება. ნებართვის აღება. წინასწარი გამოანგარიშება გვ. 65—82

ბ) შ წ ა რ მ ზ ე ბ ე ჭ ი დ ი ს ხ ა ნ გ ა რ ბ ა ნ ი .

მიზანი მწარმოებელ ამხანაგობისა. რა არის მწარმოებელი. ამხანაგობა. იმის განვითარების დამატებულებელი. მიზეზე

II.

ბი. მაგალითები საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის. მწარ-
მოებ. ამხანაგობანი სოფლათ. მათი უპირატესობა. მოწყო-
ბა ძწარმოებელ ამხანაგობათა გვ. 82—92

გ) საკრედიტო კოოპერაციები.

ფულის საჭიროება. მევაზშე. საკრედიტო კოოპერაციების
დანიშნულება. ჟემნახველი კასები. შუაცე-ფელიჩისა და რაი-
ფეიზენის კასები გერმანიაში. იტალიის სახალხო ბანკები.
ზემნახველ-გამსესხებელი და „საკრედიტო“ ამხანაგობანი
რტსაფში. მათი ზრდა და განვითარება. განსხვავება ზემნახ-
ველ-გამსესხებელ და „საკრედიტო“ ამხანაგობათა შორის.
სახელმწიფო ბანკის დახმარება. საკრედიტო ამხანაგობის
მოწყობა ჩვენში. საქმის წარმოება გვ. 82—110

V. კოოპერაცია სოფლათ.

ნიდაგი კოოპერაციისათვის სოფელში. კოოპერაციის დანიშ-
ნულება სოფლათ. ამხანაგობანი მიწის დასამუშავებლათ, სა-
მუშაო იარაღის შეს ძენათ, პირუტყვასა და ფრინველის მო-
საშენებლათ. ამხანაგობანი მეჯალებისა და მეხილეების. მე-
ხილემებაღეთა მდგომარეობა ჩვენში. მეჯენახეთა და მეღვი-
ნეთა ამხანაგობანი საფრანგეთში. რამ გამოიწვია მეჯენახე-
თა ამხანაგობების დარსება საფრანგეთში. მართანის ამხა-
ნაგობა. სხვა გვარი კოოპერაციები სოფლათ. კოოპერაციე-
თა კავშირები გვ. 111—124

VI. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში.

კანონი ანგარიშის შესახებ. ანგარიშის საჭიროება კოოპერა-
ტიულ დაწესებულებებაში. საჭირო წიგნები და მათი ფორმა.
მოგების გამოანგარიშება. ადგილობრივი ენა „მარკები“ გვ. 125—136

VII. მიზენელობა კოოპერაციისა.

კოოპერატ. მოძრაობა იქცევს დიდ ყურადღებას. კოოპერა-
ციის მოქმედების საზღვრები. მნიშვნელობა კოოპერაციისა
შემომელ ხალხისათვის. სხვა და სხვა საზოგადო და სახელ-
მწიფო მოღვაწეთა და მუშათა კლასის იდეოლოგების. აზრი
კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ გვ. 137—151

VIII. კოოპერაცია ჩვენში.

საზოგადო პირობები. კოოპერაციის განვითარება შესაძლე-
ბელია. სოფლის მასწავლებელი. სამეურნეო საზოგადოებისა
და წერა-კითხვის საზოგადოების დახმარება. ინტელიგენცი-
ის როლი. სხვადასხვა გვრი ურთიერთ დახმარება ჩვენში.
ნადი. ნაცვალებრდობა. ხანულობა. მოდეამობა. იმათი გა-
მოყენება. კოოპერაციის საჭიროება გვ. 152—173

ვთხოვთ მკითხველს ყურადღება მიაქციოს მემდევ უმთავრეს
კორრეკტურულ შეცთომებს:

გვ.	სტრ.	%	დაბეჭდილია	უნდა იყოს
12	7	"	ადგილის	ადგილის
14	5	"	ამზალებს	ამზალებენ
15	1	"	მოლაპარაკებულია	მოლაპარაკებულია
22	1	"	იმყოფებოდა	იმყოფებოდენ
59	9	"	6688 მანეთი	6686 ათასი მანეთი
81	1	"	საკმაო	საკმაო
99	3	ქვეიღ.	გადიოდენ	გაადიდონ
100	11	-	2900 ფუთი	2900 ათასი ფუთი
112	9	"	საკმაო	საკმაო
121	12	"	იმიღვან	იმისგან
135	8	%	ვუწოდოთ	ვუწოდეთ

33

5 226